

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

სოლომონ კავლიაშვილი

კრივატიზაციის ფენომენი და
პრობლემები საქართველოში



თბილისი
2009

ვუძღვნი
გარდაცვლილი მამის,
პაველ პავლიაშვილის
ნათელ ხსოვნას

უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში, საქართველოში პრივატიზაციას დაექვემდებარა სახელმწიფო საკუთრების უმეტესი ნაწილი: ფაბრიკა-ქარხნები, სამშენებლო ტრესტები, ავტოსატრანსპორტო საწარმოები, ენერგეტიკული, საეაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები და ა.შ. მათი უმრავლესობა ან არ ფუნქციონირებს, ან ფუნქციონირებს მნიშვნელოვნად შემცირებული სიმძლავრით.

მონოგრაფიის მიზანია – ჩამოყალიბდეს პრივატიზაციის სოციალურ-ეკონომიკური ასპექტები და გაანალიზდეს, საქართველოში ფართომასშტაბიანი პრივატიზაციის პროცესები და შედეგები. იგი ამ მიმართებით ერთ-ერთი ფუნდამენტური გამოკვლევაა.

ნიგნი განკუთვნილია მეცნიერ-ეკონომისტებისთვის, სტუდენტებისთვის, პოლიტიკოსებისთვის და პრივატიზაციის საკითხებით დაინტერესებული ფართო მკითხველთათვის.

რედაქტორი – პროფ. გ. ტყეშელაშვილი
რეცენზენტები: პროფ. გ. ყუფუნია
პროფ. თ. შენგელია

© საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2009

ISBN 978-9941-14-752-4

<http://www.gtu.ge/publishinghouse/>



ყველა უფლება დაცულია. ამ წიგნის არც ერთი ნაწილი (იქნება ეს ტექსტი, ფოტო, ილუსტრაცია თუ სხვა) არანაირი ფორმით და საშუალებით (იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური), არ შეიძლება გამოყენებულ იქნას გამომცემლის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ხავეტორო უფლებების დარღვევა ისჯება კანონით.

ავტორისაგან

ქვეყნის მშენებლობისთვის, დღევანდელ პირობებში წარმატება და მაღალი დამატებითი ღირებულების მიღწევა, შესაძლებელია არა სტანდარტულ მანუფაქტურაში, არამედ ე.წ. „differentiation“-ში ანუ განსხვავებულობაში, უნიკალურობაში, რომელიც გულისხმობს ახალ მოდელს, განსხვავებული მომსახურებისა და მონოდების პირობებს, განსხვავებულ ხარისხს.

ალბათ არაფერი იწვევს ისეთ ემოციებსა და აზრთა სხვადასხვაობას, როგორც პრივატიზაცია. იგი საკმაოდ მწვავე განსჯის საგანია ყველგან, მათ შორის საქართველოშიც. პრივატიზაციის მთავარი ამოცანა ის გახლავთ, რომ იგი თავისუფლად აუმჯობესებს ინდივიდუალური სანარმოების ეფექტურ ფუნქციონირებას, რესურსების გადანაწილებას და ასევე მნიშვნელოვნად გადამწყვეტია საბაზრო ეკონომიკაზე დაფუძნებული სისტემის შესაქმნელად.

პრივატიზაცია ფუნდამენტურად ცვლის სახელმწიფოსა და მთავრობის როლს ეკონომიკაში. პრივატიზაცია ქმნის საბაზრო ინფრასტრუქტურას, რაც ხელს უწყობს კერძო ბიზნესის სწრაფ განვითარებას და ძირეულად ცვლის სახელმწიფოსა და მთავრობის როლს ეკონომიკაში.

იმისათვის, რომ პრივატიზაციის პროცესმა, ჩემს ნიგში აღწერილი თეორიული სარგებელი, პრაქტიკულად მოუტანოს ქვეყანას, აუცილებელია პრივატიზაციის პროცესმა მიგვიყვანოს მკაფიოდ განსაზღვრულ კერძო საკუთრების უფლებასთან.

ეკონომიკის რეფორმატორთა ყურადღება, აქამდე ძირითადად მიჰყრობილი იყო გამართული მაკროეკონომიკური, პოლიტიკური და ოურიდოული გარემოს შესაქმნელად, მაგრამ დღეს, ცხადი გახდა, რომ მაკროეკონომიკური პირობების არსებობა საქართველოში აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა, ეკონომიკის სტაბილური ზრდისთვის. კეთილდღეობა და ქვეყანაში სიმდიდრის შექმნა, დამოკიდებულია ქვეყნის მიკროეკონომიკური საფუძვლების შექმნაზე, რომელიც პროდუქტიულობისა და კონკურენტუნარიანობის მაღლების ერთადერთი საშუალებაა. სწორედ მიკროეკონომიკური საფუძვლების შექმნაზეა ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ბედი: სიახლე, განსხვავებულობა, კეთილდღეობა და კონკურენტუნარიანი უპირატესობის შექმნა გლობალურ ეკონომიკაში დევს – ქვეყნის მიკროეკონომიკურ საფუძვლებში.

ნაშრომის პირველ თავში გაანალიზებულია – საკუთრებითი ურთიერთობების ტრანსფორმაციის მეთოდოლოგიური საფუძვლები, მეორე თავში – სახელმწიფო ქონების მართვის სტრატეგია, მესამე თავში – პრივატიზაციის შედეგები და პერსპექტივები საქართველოში.

კაცობრიობის ისტორია – რესურსებისა და ტერიტორიების მუდმივი გადანაწილებისა და ომების ისტორიაა, ამ ძველი რესურსების „პარადიგმის“ პირობებში იმარჯვებს ის ქვეყანა, რომელიც ძლიერია, დიდი ტერიტორია და მოსახლეობა ჰყავს.

ძალზე ძნელია ღირსეული ადამიანისთვის წარმატების მიღწევა, მაგრამ გამორჩეულნი მაინც ახერხებენ იყენენ – ლინკოლნი, ტომას მაზარეკი, ეასლავ პაველი, საბა, ილია, ზვიადი...

ჩვენი მიზანი საქართველოსთვის არის, როგორც ეკონომიკური კეთილდღეობა, ასევე სოციალური სამართლიანობა ყველა მოქალაქისთვის, რადგან თანამედროვე ეკონომიკა და 21-ე საუკუნის ცოდნის საზოგადოება, ვერ განვითარდება ამ ორი კომპონენტის ერთიანობისა და პარალელურად მუშაობის გარეშე – ამ მეტად გლობალურ ხანაში და ეკონომიკის პირობებში.

პატივისცემით,
სოლომონ პავლიაშვილი

სარჩევი

ავტორისაგან	3
წინასიტყვაობა	5
თავი 1. საკუთრებითი ურთიერთობების ტრანსფორმაციის მეთოდოლოგიური საფუძვლები	6
1.1. საკუთრებითი ურთიერთობების ტრანსფორმაციის ამოსავალი პრინციპები	6
1.2. საქართველოს ეკონომიკის თანამედროვე განვითარებისა და მართვის ეროვნული მოდელის თავისებურებანი	21
თავი 2. სახელმწიფო ქონების მართვის სტრატეგია	32
2.1. სახელმწიფო ქონების მართვის მიზნები, ამოცანები და პრინციპები	32
2.2. სახელმწიფო ქონების მართვის სამართლებრივი საფუძვლები, განვითარების თავისებურებანი, ორგანიზაციული სტრუქტურა და საწარმოთა რესტრუქტურიზაცია	41
2.3. სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების მართვა	50
თავი 3. პრივატიზაციის შედეგები და პერსპექტივები საქართველოში	62
3.1. პრივატიზაციის მიზნები, ეტაპები და მეთოდები	63
3.2. პრივატიზაციის ინსტიტუციური საფუძვლები და საინვესტიციო გარემო	76
3.3. პრივატიზაციის დინამიკა და შედეგები 1993-2003 წლებში	86
3.4. პრივატიზაციის ახალი ტალღა და თავისებურებანი 2004-2008 წლებში - "აგრესიული პრივატიზაცია"	105
3.5. პრივატიზაციის საერთაშორისო შეფასება და პერსპექტივები	131
დასკვნა	143
რეზიუმე	144
სამეცნიერო შრომების სია	146

წინასიტყვაობა

უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში მიმდინარეობს სახელმწიფო ქონების პრივატიზაცია-განსახელმწიფოებრიობა. თუ კომუნისტების მმართველობის ეპოქაში, სანარმოო საშუალებები მთლიანად სახელმწიფოს ეკუთვნოდა და მოქალაქეებს ეკრძალებოდით მათი ფლობა და განკარგვა, დღეისათვის პირიქით არის - სანარმოო საშუალებების აბსოლუტური უმრავლესობა კერძო საკუთრებას წარმოადგენს. მესაკუთრის შეცვლის პროცესი არ იყო და დღესაც არ არის მარტივი. თვითონ განსახელმწიფოებრიობა ხასიათდება სირთულეებით, ძნელია აქ დაცული იქნას აბსოლუტური სამართლიანობა, ამასთან იცვლება დამოკიდებულება საკუთრებისადმი - იბადება შესაბამისი განწყობა, ისინი ხშირად წინააღმდეგობრივი ხასიათისაა, ზოგჯერ ანტიგაონისტურიც. იცვლება წარმოების და პროდუქტის ორგანიზაციის ხასიათი, სახელმწიფოს ფუნქციონირებისათვის საჭირო თანხების მობილიზება ძირეულად განსხვავებული ხდება. ყოველივე აღნიშნულთან ერთად საჭიროა მოხერხდეს სანარმოო ძალთა შენარჩუნება, შეჩერდეს შეძლებისდაგვარად მათი დაქუცმაცების პროცესი, როგორც ქალაქად, ასევე სოფლად იმ მიზნით, რომ გარდამავალმა პერიოდმა შედარებით უმტკივნეულოდ გაიაროს. აღნიშნული ძალზედ რთული მისაღწევია. ეს დადასტურდა, როგორც ჩვენი, ასევე სხვა ქვეყნების გამოცდილებითაც.

საქართველოში პრივატიზების აქტიური ფაზა თითქმის განვლილი ეტაპია, თუმცა პროცესი დღესაც გრძელდება. ამ მიმართებით განვლილი გზის ღრმა მეცნიერულ ანალიზს, რომლის პრეტენზიაც ავტორს აქვს, უდიდესი მნიშვნელობა აქვს პრივატიზაციის თეორიისა და პრაქტიკის შემდგომი განვითარებისათვის.

ავტორი თავად იყო სახელმწიფო ქონების მართვის პროცესების მონაწილე, გარკვეული პერიოდის განმავლობაში. ამდენად მის მიერ მონოღებული მეცნიერულად დამუშავებული, პრაქტიკით განმტკიცებული ნაშრომი, უდაოდ საინტერესო და მნიშვნელოვანი გამოკვლევაა.

მონოგრაფიაში თანმიმდევრობითაა გადმოცემული პრივატიზაციის თეორიული პრინციპები, სხვადასხვა გამოჩენილი ეკონომისტების მოსაზრებები და თეორიული პოსტულატების კრიტიკული განხილვა, განვითარებული ინდუსტრიული სახელმწიფოების გამოცდილება, როგორც პრივატიზების, ასევე ნაციონალიზაციის საკითხებში, პოსტსოციალისტური სახელმწიფოების მიერ ანალოგიურად განვლილი გზა, მათი წარმატებები და შეცდომები, რაც მთავარია საქართველოს განვლილი გზის სრულყოფილი ანალიზია ჩატარებული, ამდენად მიგვაჩნია, რომ იგი საინტერესოა არა მარტო სახელმწიფო ხელმძღვანელი მუშაკებისა და მეცნიერ-ეკონომისტებისათვის, არამედ სტუდენტებისა და მკითხველთა ფართო წრისათვის და მათთვის, ვისთვისაც სულერთი არ არის ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესები.

მონოგრაფია დანერგულია კარგი ქართულით, მსჯელობა ლაკონური და ლოგიკურია, მასში განხილულია მნიშვნელოვანი თეორიული და სტატისტიკური მასალა, მიღებულია ნონადი შედეგები, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია თეორიული და პრაქტიკული მუშაობის პროცესში.

*რედაქტორი - საქართველოს ბანკიური უნივერსიტეტის
ბრანსპორტისა და მანქანების ფეაარტამენტის უფროსი,
სრული პროფესორი - გელა ბეჟუღაშვილი.*

საკუთრებითი ურთიერთობების ტრანსფორმაციის კვლევის მეთოდოლოგიური საფუძვლები

საქართველოში, სახელმწიფო ქონების მართვის სტრატეგიის შემუშავება და განხორციელება, საკუთრებითი ურთიერთობის კვლევის მეთოდოლოგიური საფუძვლების განსაზღვრას უნდა ემყარებოდეს. ამიტომ ამ ამოცანის გადაწყვეტა, პირველ რიგში, საკუთრებითი ურთიერთობის ტრანსფორმაციის ამოსავალი პრინციპები თანამედროვე პირობებში, საქართველოს ეკონომიკური განვითარების ობიექტური ტენდენციებისა და მეურნეობის მართვის, ეროვნული მოდელის ძირითადი მახასიათებლების დადგენას მოითხოვს.

1. 1. საკუთრებითი ურთიერთობების ტრანსფორმაციის ამოსავალი პრინციპები

საკუთრებითი ურთიერთობების ტრანსფორმაცია ობიექტური პროცესია და იგი ნებისმიერ საზოგადოებაში ყოველთვის მისი მწარმოებლური ძალების განვითარების კვალობაზე მიმდინარეობს. თუმცა იგი სუბიექტური ხასიათის პროცესია, რადგანაც მას მეურნე სუბიექტები – სახელმწიფო, ფირმები და ინდივიდები ახორციელებენ. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ პროცესის წარმატება თუ წარუმატებლობა, ამ სუბიექტების მიერ საკუთრებითი ურთიერთობების თეორიული და პრაქტიკული დაუფლების ხარისხით განისაზღვრება. ამიტომ, მათი ტრანსფორმაციის ამოსავალი პრინციპების დადგენა, საკუთრების არხის, ფორმების, განვითარების ტენდენციების ცოდნას უნდა ემყარებოდეს. ასეთი მიდგომა პრივატიზაციის თეორიის თავისებურებების გამოვლენის საშუალებასაც იძლევა.

ეკონომიკურ მეცნიერებაში კარგად არის ცნობილი, რომ საკუთრება ნებისმიერი საზოგადოების პირობებში მეურნეობრივი სისტემის საფუძვლად იყო მიჩნეული. ჯერ კიდევ ანტიკური ეპოქის უდიდესმა მოაზროვნეებმა მიაქციეს ყურადღება საკუთრების სოციალურ-ეკონომიკურ მხარეს: დემოკრიტე ხაზგასმით ამბობდა, რომ

„კერძო საკუთრება, არსებობისათვის – ბუნებრივი ბრძოლის აუცილებელი პირობაა“, ანუ იგი მას ფაქტობრივად სამეურნეო სისტემის საფუძვლად აღიარებდა. პლატონი – იდეალური სახელმწიფოს განხილვისას მის უმნიშვნელოვანეს პირობად, საკუთრების ურღვევობასა და სტაბილურობას მიიჩნევდა. ეს იდეები აისახა რომის სამართალში, რომელშიც ძირითადია – კერძო საკუთრების უფლება, რომელიც ყოველმხრივ და საგულდაგულოდ იყო დამუშავებული: განისაზღვრა მესაკუთრის უფლებამოსილებანი, სანივთო უფლებათა დაცვის სხვადასხვა ფორმა და ა.შ. რომის კერძო სამართალი, აშკარად გამოხატული ინდივიდუალისტური სანყისით გამოირჩეოდა და სამეურნეო დამოუკიდებლობას განამტკიცებდა, ამიტომ სავსებით ლოგიკურია, რომ შემდგომში იგი საფუძვლად დაედო ბურჟუაზიული სახელმწიფოების სამართალს.

კაპიტალისტური ეკონომიკის სისტემის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში, უპირველესი ფუნდამენტური მნიშვნელობა, კერძო საკუთრების ინსტიტუტის დამკვიდრებას ჰქონდა. მისი აუცილებლობის მეცნიერულ დასაბუთებაში, უდიდესი წვლილი მიუძღვის: დ. იუმს, ი. კანტს, ა. სმიტს, დ. რიკარდოს, ჯ. ს. მილს და სავსებით, კლასიკურ პოლიტიკურ ეკონომიას¹.

მაგრამ წარმოების საშუალებებზე საკუთრების ინსტიტუტის განსაზღვრელი მნიშვნელობა, კაპიტალისტური და სოციალისტური წარმოების წესის ფუნქციონირებისთვის, ყველაზე უფრო გამოკვეთილად დასაბუთებული ჰქონდა კ. მარქსს. ამასთან, მარქსიზმი, საკუთრებას კომპლექსურად განიხილავდა, როგორც ურთიერთობას ნივთისადმი, როგორც იურიდიულ ან წმინდა ეკონომიკურ ურთიერთობას, როგორც ბურჟუაზიული ურთიერთობების ერთობლიობას².

მარქსისტული ეკონომიკური თეორიის მიხედვით, სწორედ კერძო საკუთრება, წარმოების საშუალებებზე არის კაპიტალისტური წარმოების წესის ფუნდამენტური ნანამძღვარი, ზედმეტი ღირებულების წარმოშობისა და მშრომელთა ექსპლუატაციის მიზეზი, ზოლო საზოგადოებრივი საკუთრება წარმოების საშუალებებზე – სოციალისტური წარმოების წესის საფუძველი, ადამიანთა სოციალური თანასწორობის აუცილებელი პირობა.

XX საუკუნის ეკონომიკურ თეორიაში, ნეოკლასიკური მიმდინარეობის გაბატონებასთან ერთად, სხვა, მათ შორის კეინსური და ინსტიტუ-

¹ იხ. Хейге П. Экономический образ мышления. М., 1991. с. 434.

Милль Д.С. Основы политической экономии. М., 1980. т.1. с. 399.

² იხ. Экономическая Энциклопедия. Политическая экономия. М., 1979, т.3. с.600. Экономический строй социализма с. 29-39.

ციური მიმდინარეობის გავრცელებაც აღინიშნებოდა. მართალია, თანამედროვე დასავლური ეკონომიკური აზრი, კლასიკოსების მსგავსად აღიარებს საკუთრების ფუძემდებლურ მნიშვნელობას, ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირებისთვის, განსაკუთრებით ეკონომიკური აგენტების სტიმულებისა და ქცევისთვის, მაგრამ მაინც უდაოდ სახეზეა მისი როლის ერთგვარი გაუფასურების ტენდენციაც. ასეთი დასკვნის გაკეთების საშუალებას შემდეგი გარემოებანი გვაფიქრებინებს: ჯერ ერთი, როგორც წესი, საკუთრება განიხილება, მხოლოდ საკუთრების უფლების თვალსაზრისით, ანუ როგორც იურიდიული კატეგორია და არ განიხილება, როგორც ეკონომიკური ურთიერთობა აგენტებს შორის, როგორც ადამიანებს შორის მკვეთრი სოციალური დიფერენციაციის მიზეზი. ეკონომიკური თეორიის თანამედროვე დასავლურ სახელმძღვანელოებში საკუთრების საკითხი საერთოდ არ განიხილება, არ განიხილება მხოლოდ, როგორც საკუთრების უფლება გარემოს დაბინძურებასთან ან სახელმწიფო საწარმოების შედარებით დაბალ ეფექტურობასთან დაკავშირებით³.

გაბატონებული მიმდინარეობები – განსაკუთრებით ნეოლიბერალიზმი – აღიარებს საკუთრების განმსაზღვრელ მნიშვნელობას კონკურენციის, თავისუფალი ფასწარმოქმნის, დამოუკიდებელი მენარმეობის, ეკონომიკური პასუხისმგებლობის, ეფექტიანობის დამკვიდრებისთვის, მაგრამ მაინც სოციალური საკითხების გადანყვევებისთვის, მთავარი მნიშვნელობა არაპირდაპირი მართვის ხასიათსა და ხარისხს ენიჭება, რაშიც სუბიექტების საქმიანობის საბაზრო კოორდინაცია იგულისხმება, თავისუფალი კონკურენციისა და ფასწარმოქმნის საფუძველზე⁴.

ამავე დროს კონსერვატიული, ლიბერალური, მემარჯვენე მიმდინარეობები, მუდმივად კერძო საკუთრების, ინდივიდუალური თავისუფლების, მენარმეების ინტერესების ხელშეუხებლობის პრინციპს იცავენ და პრიორიტეტს ანიჭებენ.

საკუთრების თანამედროვე თეორიის განვითარება დაკავშირებულია, უნინარეს ყოვლისა, ინსტიტუციურ მიმართულებასთან, განსაკუთრებით კოუზის, ბიუკენენის, ნორტის, უილიამსონის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებთან⁵, თუმცა თვითონ ამ მიმართულების

³ იხ. Макконелл К.Р., Бр. С.Л., Экономикс. М., 1992.; Фишер С, Дорбуш Р, Шлапензи Р, Экономикс. М., 1995.; Дж. Ю. Стиглиц. Экономика государственного сектора. М., 1997.

⁴ იხ. Eucken W. Die Grundsätze der Wirtschaftspolitik Tübingen, 1952, s. 270.

⁵ იხ. Капелюшкин Р. Экономическая теория прав собственности. М., 1990; Бюкенен Дж. Избранные труды. М., 1987; Норт Д. Институты, институциональные изменения и функционирование экономики. М., 1997.

ფარგლებშიც ინტენსიური დისკუსია დღემდე გრძელდება. საკუთრების უფლების ინსტიტუციური კონცეფცია, ეკონომიკურ შედეგებზე, საკუთრების ზემოქმედების კონკრეტული გზებისა და მექანიზმების, აგრეთვე, თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემის – პრივატიზაციის სრულად გაცნობიერების საშუალებას იძლევა.

ინსტიტუციონალიზმის ერთ-ერთი მთავარი თავისებურება ის არის, რომ ეკონომიკის ფუნქციონირებისა და განვითარების ანალიზისთვის, უმნიშვნელოვანეს როლს საკუთრების უფლებასა და ტრანსაქციულ ხარჯებს ანიჭებენ. საკუთრება გულისხმობს მესაკუთრის უფლებას რესურსების ფლობაზე, გამოყენებასა და განკარგვაზე. ტრანსაქციული ხარჯები შეთანხმების დადებისა და განხორციელების პროცესში წარმოქმნილი დანახარჯებია, განეული მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეთა მიერ. საკუთრების უფლების სპეციფიკაციის განსაზღვრას ახორციელებს ქვეყნის კანონმდებლობა, რომელიც აფიქსირებს, რომ მესაკუთრეს ქონების ფლობის, გამოყენებისა და განკარგვის უფლება აქვს. თანამედროვე პირობებში საკუთრების უფლების სპეციფიკაცია უფრო მოქნილ სისტემად გადაიქცა, რაც ამაღლებს ბაზარზე დადებული ხელშეკრულებების ეფექტიანობას, რესურსების გამოყენების უკუგებასა და საბოლოო ანგარიშით ცხოვრების დონეს. მაგალითად, საკუთრების უფლების გამოყენების მრავალფეროვნება იზრდება საკუთრების სატრასტო მართვისას, ლიზინგის, ფრანჩაიზინგის და კომერციული საქმიანობის სხვა თანამედროვე ფორმების დამკვიდრებით⁶.

საკუთრების უფლება ბაზრის ფუნქციონირების საფუძველია, მის გარეშე იგი საერთოდ ვერ იარსებებდა. ბაზარი, როგორც ინსტიტუტი, ემყარება ნორმების მთელ კომპლექსებს, რომლებსაც სუბიექტები იყენებენ ხელშეკრულებების დადებისა და გაცვლის განხორციელების დროს. ეს ნორმები, რომლებსაც საეკონომიკურ სამართლიანად ბაზრის კონსტიტუციას უწოდებენ, მოიცავენ ისეთ უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტებს, როგორებიც არის: უტილიტარიზმი, მიზნობრიობა, გახსნილობა, რაციონალურობა, ნდობა, მოლოდინი, თავისუფლება, ლეგალიზმი, ტრადიციები. ცხადია, ნორმას არა აქვს დირექტიული და იმპერატიული ხასიათი, მაგრამ ეკონომიკური აგენტებისთვის უფრო მისაღებია და სასარგებლოა საკუთრების სპეციფიკებული უფლებების არსებობა, ვიდრე მათი უქონლობა. სწორედ ამ უკანასკნელთა არსებობა ამცირებს შემთხვევითობასა და არაპროგნოზირებადობას ეკონომიკურ აგენტებს შორის ურთიერთმოქმედებაში და, რაც მთავარია,

⁶ იხ. Уильямсон О. Экономические институты капитализма. СПб. Лениздат. 1996; Миллов В.Д. Инвестиционные фонды трасты: Как управляют капиталом? М., 1982.

იშვიათი რესურსების ოპტიმალური გამოყენების წანამძღვრებს უზრუნველყოფს.

განვითარების პროცესში, კერძო საკუთრებაზე უფლების ყველაზე უფრო ლიბერალური ფორმა, დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში ჩამოყალიბდა. გამოიკვეთა საკუთრების უფლების მთავარი ტენდენციები. უპირველესად საკუთრების უფლების ერთგვარი შესუსტების ტენდენცია. იგი თავს იჩენს ისეთ პროცესებში, როგორიც არის: გადან-ყვეტილებათა მიღების გარკვეული საკანონმდებლო შეზღუდვა⁷.

ასეთი შეზღუდვები ჩვეულებრივად სახელმწიფოს ჩარევის შედეგია და მან შეიძლება რესურსების არაეფექტიანი გამოყენება გამოიწვიოს. მეორეს მხრივ, საკუთრების უფლების სტრუქტურული სრულყოფის მნიშვნელობის გაძლიერება.

ასეთი სრულყოფა საკუთრების უფლების ძირითადი თვისების – ადამიანის საქმიანობის მოტივაციის, სტიმულირების გაძლიერებას უნდა ემსახურებოდეს. ეს კი საკუთრების სხვადასხვა ფორმას შორის ოპტიმალური თანაფარდობის მიღწევით შეიძლება. მესამე, საკუთრების უფლების სისტემური, კომპლექსური მართვის გაძლიერება, რადგანაც მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება მისი მაღალი დონისა და ეფექტის შენარჩუნება სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დასაჩქარებლად. საზღვარგარეთის, მათ შორის პოსტსოციალისტური ქვეყნების გამოცდილების შესწავლა გვიჩვენებს, რომ იქ, სადაც საკუთრების უფლების კომპლექსური მართვა ვერ ხორციელდება, მისი დაცვის დონეც დაბალია, რაც სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას მნიშვნელოვნად აფერხებს.

საკუთრების სტრუქტურა ეკონომიკური სისტემის განვითარების კვალობაზე ვითარდება. ყველა ეკონომიკურ სისტემას საკუთრების ფორმების შესაბამისი სტრუქტურა ახასიათებს. ტრადიციული მეურნეობას, რომელიც დღეს გვხვდება აფრიკის და აზიის ჩამორჩენილ ქვეყნებში და ნატურალური მეურნეობის დიდი მოცულობით გამოირჩევა, მინა და შრომის იარაღები ეკუთვნის თემს, რომელიც კოლექტიურ მეურნეობას ეწევა. წვრილი სასაქონლო წყობის პირობებში, გაბატონებულია სანარმოო რესურსებზე კერძო საკუთრება, რომელიც ხელოსნების, წვრილი მენარმეებისა და გლეხის პირად შრომას ემყარება. კაპიტალისტური წარმოების საშუალებებზე, რომლის მესაკუთრე კაპიტალისტები დაქირავებულ შრომას იყენებენ, თუმცა სანარმოო რესურსების გარკვეული ნაწილის მესაკუთრედ სახ-

⁷ მაგალითად, შრომის კანონმდებლობასთან, ან გარემოს დაცვის კანონმდებლობასთან, ან მოგების დაბეგვრის სისტემასთან ან ფასებზე კონტროლის დანესებასთან დაკავშირებით და ა.შ.

ელმნიფოც გვევლინება. ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემის პირობებში, საწარმოო რესურსების უდიდესი ნაწილი სახელმნიფოს საკუთრებაში იყო, მაგრამ პრივილეგირებული მდგომარეობით საზოგადოებაში სარგებლობდა პარტიულ-სახელმნიფოებრივი ნომენკლატურის ვინრო ფენა, მაშინ, როდესაც მოსახლეობის დიდი ნაწილი თავისი შრომის შედეგებით ვერ სარგებლობდა. შრომის დაბალი მოტივაცია ვერ უზრუნველყოფდა წარმოების ეფექტიანობის საჭირო დონეს, ინდივიდუალური და საწარმოო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, რამაც სოციალისტური ქვეყნების ეკონომიკა საბოლოო ანგარიშით კრიზისამდე მიიყვანა.

თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფუნქციონირებს საკუთრების ორი ძირითადი ფორმა: კერძო და სახელმნიფო საკუთრება, რომელიც ინდივიდუალურ და კორპორაციულ საკუთრებას მოიცავს. ინდივიდუალური კერძო ფირმები, როგორც ნესი, მცირე ფირმებია, უპირატესად ხელოსნობის, სოფლის მეურნეობის, მომსახურების სფეროებში. მათი მესაკუთრეა ერთი ან რამდენიმე პირი. აქ სჭარბობს ინდივიდის ან ოჯახის საკუთარი შრომა, თუმცა საჭიროების შემთხვევაში დაქირავებული შრომაც გამოიყენება. ეკონომიკის ეს ნაწილი ძალიან დინამიურია, მართალია, მილიონობით მცირე ფირმა კოტრდება და მუშაობას წყვეტს, მაგრამ მათ ნაცვლად ყოვლთვის ახალი ფირმები ყალიბდება.

ინდივიდუალური საკუთრება – მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის პირობებში, ზრდის ტენდენციით ხასიათდება. მის ფარგლებში ვითარდება პირადი საკუთრების ფორმა, რომელიც სულ უფრო ინტენსიური გაფართოებით ხასიათდება.

კორპორაციული საკუთრება – არის ყველგან, სადაც თვითონ ტექნოლოგიური თავისებურება გულისხმობს საშუალო და მსხვილი წარმოების ჩამოყალიბებას და ამისთვის საჭირო კაპიტალიც მოიძებნება.

კორპორაციული საწარმოები – არსებობენ საზოგადოებების (სააქციო და შეზღუდული პასუხისმგებლობის), ამხანაგობების, კოოპერატივების, არაკომერციული ორგანიზაციების (ფონდების, გაერთიანებების) სახით.

სახელმნიფო საკუთრება – განვითარებულ ქვეყნებში, შედარებით მოკრძალებულად არის წარმოდგენილი, ძირითადად იმ დარგებში, რომლებიც სხვადასხვა მიზეზით დაბალი რენტაბელობით, ან ინვესტიციების ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ უკუგებით ხასიათდებიან. იგულისხმება, პირველ რიგში, ინფრასტრუქტურის დარგები, მათ შორის სარკინიგზო ტრანსპორტი, ენერგეტიკა, კომუნალური მეურ-

ნეობა, განათლების სფერო, სამხედრო დანიშნულების წარმოება. საშუალოდ განვითარებულ ქვეყნებში სახელმწიფო საწარმოების წილი მშპ-ს შექმნაში XX ს-ის დასასრულს დაახლოებით 5-7% იყო, მაშინ, როდესაც განვითარებად და პოსტსოციალისტურ ქვეყნებში იგი 11-15%-ის ფარგლებში მერყეობდა.

სახელმწიფო საწარმოები ან მთლიანად მის საკუთრებაშია, ან სახელმწიფო ფლობს აქციების საკონტროლო პაკეტს, ან სოლიდურ შემაკავებელ რაოდენობას. იურიდიულად მათი მესაკუთრეა, ცენტრალური ან რეგიონული ორგანოები. ქალაქების, თემების, სოფლების საკუთრება – მიჩნეულია მუნიციპალურ საკუთრებად, რომელიც თავისი არხით ძალიან ახლოსაა სახელმწიფო საკუთრებასთან. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ უკანასკნელ შემთხვევაში საკუთრება დაკავშირებულია, უფრო დაბალი დონის ბიუჯეტთან და ტერიტორიულად შეზღუდულ არეალში ფუნქციონირებს.

ამასთან, სახელმწიფო საკუთრების განხილვისას გასათვალისწინებელია თვითონ სახელმწიფოს თავისებურებანიც, რომ იგი განსაკუთრებული სახის მესაკუთრეა: იგი პოლიტიკური ორგანიზაციაა, ძალდატანების იარაღია, სახელმწიფოს ბიუროკრატიულ აპარატს აქვს სტიმულების სულ სხვა სისტემა, ვიდრე კერძო მესაკუთრეებს, რის გამოც, სახელმწიფო საწარმოების მოტივაცია, მოგების გადიდებისათვის შეიძლება ხელოვნურად შესუსტდეს, სამაგიეროდ საბიუჯეტო სახსრები შესაძლოა ეკონომიკურად გაუმართლებელი მიზნების სარეალიზაციოდ დაიხარჯოს, პოლიტიკური ლობირების ან კორუფციული გარიგების შედეგად; სახელმწიფო ფულის ემიტენტია, ამიტომ სახელმწიფო საწარმოებისათვის, სუბვენციების გაცემა შეიძლება ინფლაციის გამომწვევი ფაქტორი გახდეს; სახელმწიფოს შეუძლია ისეთი კანონმდებლობის მიღება, რომელიც სახელმწიფო საწარმოების პრივილეგირებულ მდგომარეობას უზრუნველყოფს კერძოსთან შედარებით; სახელმწიფო მოხელეებს და პოლიტიკოსებს არ უნდა ჰქონდეთ საწარმოების მოგებაში ლეგალური მონაწილეობის უფლება, ერთდროულად კი, ეფექტიანი ანტიკორუფციული სისტემა უნდა ფუნქციონირებდეს.

სახელმწიფო საკუთრების ეფექტიანი რეალიზაცია, სხვადასხვა მაკომპენსირებელი ფაქტორების გამოყენებასაც გულისხმობს. ამ ფაქტორთაგან უნდა დავასახელოთ, პირველ რიგში, სახელმწიფო სექტორის წილი მთლიან შიდა პროდუქტში. როგორც წესი, სახელმწიფო სექტორი შედარებით უფრო დაბალეფექტიანია, ვიდრე კერძო სექტორი. ეს ბუნებრივია, რადგანაც სახელმწიფო ხშირად ვალდებულია განახორციელოს გრძელვადიანი და კაპიტალტევადი ინვესტიციები,

ანარმოოს საზოგადოებრივი დოვლათი, მათ შორის განათლების, ჯანმრთელობის, ეკოლოგიის, თავდაცვის სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროებში, რისთვისაც მოგების მაქსიმიზაციისაკენ სწრაფვა სულაც არ არის პრიორიტეტი. აქედან გამომდინარე, ქვეყნის ეკონომიკაში წარმოების ეფექტიანობის შედარებით მაღალი დონის მიღწევა შეუძლებელია, კერძო სექტორის განუვითარებლობის პირობებში.

მეორე ფაქტორი დაკავშირებულია, ქვეყნის ტერიტორიისა და ბაზრის სიდიდესთან. ტერიტორიათა და ბაზრის მოცულობით მცირე, მაგრამ დიდი სახელმწიფო სექტორის მქონე ქვეყანა საექსპორტო ბაზრებზე, როგორც წესი, უფრო ძლიერ კონკურენციას აწყდება, ვიდრე იგივე სახელმწიფო სექტორის დიდი ტერიტორიისა და ბაზრის მოცულობის მქონე ქვეყანა. ეს იმას ნიშნავს, რომ მცირე ქვეყნისათვის კერძო სექტორის უპირატესი განვითარების პრობლემა, განსაკუთრებულ პრიორიტეტულობას იძენს.

მესამე ფაქტორი, სახელმწიფო საწარმოების დარგობრივ სტრუქტურას გულისხმობს. კერძოდ, გასათვალისწინებელია, რომ სახელმწიფო საწარმოები, არახელსაყრელ ვითარებაში ფუნქციონირებენ ისეთ დარგებში, რომლებიც მინოდების მაღალი ელასტიკურობით, მცირე საწარმოების სიმრავლით და ინოვაციების დიდი მასშტაბებით ხასიათდებიან⁸.

ზემოთ აღნიშნულიდან ცხადია, რომ საკუთრების ყველა ფორმას თავისი განსაკუთრებული ფუნქცია გააჩნია და არასწორია მათი დილემის სახით დაპირისპირება – რომელი უნდა ავირჩიოთ, სახელმწიფო, თუ კერძო საკუთრება? სინამდვილეში საკითხის ამგვარად, ალტერნატიულად დაყენება – მიზანშეუწონელია. პრობლემა, სახელმწიფო და კერძო საკუთრების ოპტიმალური, რაციონალური თანაფარდობის მიღწევით, საკუთრების პლურალიზმის დამკვიდრებით გამოიხატება და არა რომელიმე მათგანის აბსოლუტური უპირატესობის აღიარებით, თუმცა საკუთრების ფორმის შეფასებას ადექვატური კრიტერიუმების საფუძველზე უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.

შეფასების უმთავრესი კრიტერიუმებია: საკუთრების რომელი ფორმა უზრუნველყოფს განვითარების მოცემულ ისტორიულ ეტაპზე და პერსპექტივაში, უფრო მაღალ ეკონომიკურ ეფექტიანობას, ცხოვრების უფრო მაღალ დონესა და ხარისხს, მოსახლეობისა და წარმოების მოთხოვნილებების უკეთ დაკმაყოფილებას, ადამიანის კეთილდღეობასა და სრულყოფილ განვითარებას, მისი სოციალური დაცულობის მაღალ ხარისხს, ეკოლოგიურ უსაფრთხოებას, ქვეყნის კონკურენტუნარიანობას მსოფლიოს ბაზრებზე.

⁸ იხ. Балцерович Л. Социализм, капитализм, трансформация. М., 1999. с. 106–108.

მსოფლიო გამოცდილება ადასტურებს, რომ ამ კრიტერიუმების ერთობლიობის მიხედვით, უპირატესობა ენიჭება კერძო საკუთრებას. მთავარია ის გახლავთ, რომ კერძო საკუთრება, ადამიანის თავისუფლებისა და აქედან გამომდინარე, მისი ყოველმხრივი განვითარების საფუძველია. იგი გულისხმობს მოგების გადიდებისა და კონკურენციის მოტივებს, რომელთა რეალიზაცია, მაღალ ეკონომიკურ ეფექტიანობასა და მოთხოვნილებების უკეთესად დაკმაყოფილებას განაპირობებს. თუმცა კერძო საკუთრებას სერიოზული ნაკლოვანებებიც აქვს: მოგებისა და კონკურენციის მოტივი, მენარმეებს აიძულებს შეამცირონ წარმოების ხარჯები, მათ შორის სამუშაო ძალაზე, რაც უმუშევრობის გადიდების ფაქტორია, ან გარემოს დაცვაზე, რაც ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესებას იწვევს, ან უბიძგებს გადასახადების დამალვისაკენ და ა.შ.

კერძო საკუთრების უპირატესობანი იმდენად აშკარაა, რომ იგი განვითარებული ქვეყნების საბაზრო ეკონომიკების საფუძველს წარმოადგენს. ამასთან, დასავლეთის ქვეყნებში სხვადასხვა ინტენსივობით პრივატიზაციის პროცესი მუდმივად მიმდინარეობს. სახელმწიფო სექტორის წილი ამ ქვეყნების მატერიალურ ეროვნულ სიმდიდრეში, XX საუკუნის 60-იან წლებამდე საკმაოდ მაღალი იყო, 30-50%-ის ფარგლებში მერყეობდა, თუმცა მომდევნო წლებში იგი შემცირების ტენდენციით ხასიათდებოდა. მაგალითად, აშშ-ში აღნიშნული მაჩვენებელი 1929-1960 წლებში – 13-დან 30%-მდე გაიზარდა, ხოლო 1982-1995 წლებში – პრივატიზაციის პროცესის გაძლიერებასთან დაკავშირებით, 22-დან 20%-მდე შემცირდა⁹.

სახელმწიფო სექტორი ტრადიციულად და ლობიერების მაღალი შესაძლებლობის გამო უფრო ძლიერია. დასავლეთ ევროპის ქვეყნებში მრეწველობის მთლიან წმიდა პროდუქტში სახელმწიფო წილის მიხედვით 2000 წელს, ყველაზე უფრო მაღალი მაჩვენებლით გამოირჩეოდა: საფრანგეთი – 25%, იტალია – 15%, დიდი ბრიტანეთი – 9%, გერმანია – 14, 3%. მაშინ, როდესაც დაბალი იყო ეს მაჩვენებელი ბენილუქსის ქვეყნებში და ირლანდიაში 2 - 4%-ის ფარგლებში. ამავე დროს, საინტერესოა პორტუგალიისა და საბერძნეთის მაგალითი, სადაც სახელმწიფო სექტორი 70-იანი წლების ბოლოსა და 2000-იანი წლების დასაწყისში, ძალიან სწრაფად იზრდებოდა. სახელმწიფო საწარმოების წილი პორტუგალიის მთლიან შიდა პროდუქტში 1979-1982 წლებში – 21-დან 24%-მდე, ხოლო ერთობლივ ინვესტიციებში – 29-დან 38%-მდე გაიზარდა. საბერძნეთისთვის ანალოგიური მაჩვენებლები

⁹ იხ. Мировая экономика. Глобальные тенденции за 100 лет. М., 2003, с. 362.

გაიზარდა 10, 8 -დან 14%-მდე და 15-დან 30%-მდე. რაც იმით აიხსნება, რომ ეს ქვეყნები ინდუსტრიული განვითარების დონით, დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებთან შედარებით ჩამორჩენილნი იყვნენ და მისი დაძლევისთვის სახელმწიფო სექტორის როლი ტრადიციულად გამორჩეული იყო¹⁰.

შემობრუნება დასავლეთის ქვეყნებში, სახელმწიფო საკუთრების განვითარების სფეროში, აღინიშნა 80-90-იან წლებში, როდესაც სახელმწიფო საწარმოების პრივატიზაციის ახალი ძლიერი ტალღა დაიწყო. ამ პროცესმა მთლიან შიდა პროდუქციის წარმოებაში სახელმწიფო საკუთრების წილის მნიშვნელოვანი შემცირება გამოიწვია. საშუალოდ დაახლოებით 7-11%-ის დონემდე, თუმცა ცალკეულ ქვეყნებში ეს მაჩვენებელი რამდენადმე უფრო მცირეა ან უფრო მაღალია. შემდგომი პრივატიზაციის პოტენციალი ამ ქვეყნებში ძირითადად ამონურულია, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში ეს პროცესი მუდმივად მიმდინარეობს.

ყურადღებას იპყრობს დასავლური პრივატიზაციის შემდეგი თავისებურებები. მათთვის დამახასიათებელია არა დაჩქარებული მასობრივი პრივატიზაცია, არამედ ხანგრძლივ პერიოდში მიმდინარე ნერტილოვანი პრივატიზაცია, მაგალითად, საფრანგეთში ათი წლის განმავლობაში მხოლოდ 220 საწარმოს პრივატიზაცია მოხერხდა. სახელმწიფო საწარმოების პრივატიზაციისთვის მომზადება სპეციალური პროგრამით ხორციელდება, რომელიც მათ რესტრუქტურისაციას, რენტაბელობის დონის ამაღლებას ითვალისწინებს და მხოლოდ ამის შემდეგ ხდება მათი პრივატიზაცია, რადგანაც არაკონკურენტუნარიანი საწარმოს ყიდვას, არავინ მოისურვებს. ნიშანდობლივია ისიც, რომ ყოფილი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში პრივატიზაცია სწორედ მსგავსი მოდელით განხორციელდა.

საკუთრების უფლების სპეციფიკაცია, ანუ დადგენა ტრადიციულად შემდეგ უფლებებს მოიცავს:

- * ფლობის უფლება, რაც საკუთრებაზე ფიზიკურ კონტროლს გულისხმობს;

- * გამოყენების უფლება, ანუ ქონების პირადი გამოყენება;

- * განკარგვის უფლება, ანუ მართვა გულისხმობს გადანყევტილებას, თუ როგორ და ვინ შეიძლება ქონება გამოიყენოს;

- * მითვისების უფლება, ანუ უფლება შემოსავალზე, რომელიც ქონების პირადი გამოყენების ან სხვებზე გამოყენების უფლების გადაცემის საფუძველზე მიიღება;

¹⁰ იხ. Фишер В. Европа: экономика, общество и государство. 1914-2000. М., 2001, с. 317-320.

* უფლება ნარჩენ ღირებულებაზე, ანუ სუვერენის უფლება, უფლება ნივთის გაუცხოებაზე, მოხმარებაზე, შეცვლაზე ან განადგურებაზე;

* უფლება უსაფრთხოებაზე, რომელიც ექსპროპრიაციისაგან იმუნიტეტის გარანტირებაა;

* უფლება ნივთის შემკვიდრებით, ანუ ანდერძით გადაცემაზე;

* უვადობა დროში, უფლებების ფლობის შეუზღუდაობას გულისხმობს, თუ სხვა რამ სპეციალურ კონტრაქტში არ არის მითითებული;

* აკრძალვის უფლება უარყოფით გამოყენებაზე, ანუ ნივთის გამოყენების აკრძალვა, თუ იგი უარყოფითი გარეგანი ეფექტების წარმოებასთან არის დაკავშირებული;

* პასუხისმგებლობა დაჯარიმების სახით, ანუ ნივთის წართმევის უფლება ვალის ასანაზღაურებლად;

* ნარჩენი ხასიათი, რომელიც უფლებების უკან დაბრუნების მოლოდინს გულისხმობს, მათი გადაცემის ვადის გასვლასთან დაკავშირებით.

რა თქმა უნდა ყველა ამ უფლების მფლობელი, მესაკუთრეს არ წარმოადგენს. მესაკუთრეა ის, ვინც ძირითადი პირველი ხუთი უფლებიდან, ერთი უფლების მფლობელი მაინც არის.

საკუთრების უფლებების რეალიზაციის ხარისხი დაკავშირებულია მენარმეობის რეჟიმთან, რომელიც განსაზღვრავს, თუ საკუთრების რომელი ფორმებისა და ტიპების შექმნა და განვითარებაა საჭირო. მენარმეობის რეჟიმის, საკუთრების სტრუქტურის და საკუთრების უფლებების განაწილების ურთიერთკავშირის შესახებ საინტერესოა ლ. ბალცეროვიჩის თეორემები, რომლებიც კაპიტალისტური და სოციალისტური მეურნეობის პრაქტიკის მეცნიერული ანალიზის საფუძველზე ჩამოყალიბდა. ლ. ბალცეროვიჩის კონცეფციით გამოიყოფა მენარმეობის რეჟიმის (RP) სამი ძირითადი ტიპი: ჩაკეტილი (RPz), ღია, ანუ ლიბერალური (RPo) და რესტრუქციული (RPr).

პირველი გულისხმობს – მხოლოდ ერთი ტიპის საკუთრების მონოპოლიეს. მეორე – საკუთრების პლურალიზმს, რომელიც სულ უფრო ფართოვდება მსოფლიოში. მესამე – უშვებს სახელმწიფო საკუთრების მონოპოლიას ეკონომიკის სტრატეგიულ სექტორებში და კერძო ფირმების განვითარებას სხვა სექტორებში. ცვლადი (RW) გამოყენებით შეიძლება საკუთრების სხვა ფაქტორების განსაზღვრა, სახელდობრ: საკუთრების სტრუქტურის (SW) და საკუთრების უფლებების საერთაშორისო განაწილების (MPW) განსაზღვრას. ამასთან, შეიძლება გამოიყოს SW სამი მთავარი ტიპი: კაპიტალისტური (SWk), სადაც გაბატონებულია კერძო სექტორი; სოციალისტური (SWs), სადაც სჭარბობს სოციალისტური, სახელმწიფო და თვითმმართველობის საწარმოები; შერეული (SWM), რომელიც შუალედური ფორმაა. ამავე დროს

მიზანშეწონილია საკუთრების სტრუქტურის დინამიკაში განხილვა. შესაბამისად (SW) სანჯისი მდგომარეობა ამ შემთხვევაში შეიძლება (SW₀), ხოლო მისი საბოლოო მდგომარეობა (SW_n) აისახოს. ერთდროულად (RPT) აღინიშნება მენარმეობის რეჟიმი თო-დან თნ მომენტამდე. ამ აღნიშვნების საფუძველზე ლ. ბალცეროვიჩი აყალიბებს შემდეგ უმნიშვნელოვანეს თეორემებს:

თეორემა 1. თუ $SW_0 = SW_k$ მაშინ $RPT = RP_0$ და პერიოდულად არ ხორციელდება საკუთრების ნაციონალიზაცია, მაშინ $SW = SW_k$.

მაშასადამე, მენარმეობის ღია რეჟიმი საკმარისი პირობაა მემკვიდრეობით მიღებული საკუთრების სტრუქტურის შენარჩუნებისათვის;

თეორემა 2. თუ $SW = SW_s$ ან SW_n , ხოლო $RP = RP_0$ და პერიოდულად არ ხორციელდება საკუთრების ნაციონალიზაცია, მაშინ $SW \rightarrow SW_k$ მენარმეობის ღია სისტემა მემკვიდრეობით მიღებული საკუთრების სოციალისტური და შერეული სტრუქტურის კაპიტალისტურ სტრუქტურად ტრანსფორმაციის მიმართულებით მოქმედებს.

თეორემა 3. თუ $SW = SW_s$ და $RP = RP_z$, მაშინ $SW \rightarrow SW_k$ მენარმეობის დახურული სისტემა მემკვიდრეობით მიღებული საკუთრების სოციალისტური სისტემის შენარჩუნების აუცილებელი და საკმარისი პირობაა.

თეორემა 4. თუ $SW_0 = SW_m$ და $RP = RP_z$, მაშინ $SW = SW_s$

მენარმეობის რესტრიქციული სისტემა მემკვიდრეობით მიღებული საკუთრების შერეული სისტემის შენარჩუნებისთვის აუცილებლობას წარმოადგენს.

თეორემა 5. თუ $SW = SW_k$, მაგრამ $RP = RP_z$, მაშინ $SW \rightarrow SW_m$ ან SW_s .

კერძო საკუთრების შეფერხება გამოიწვევს მემკვიდრეობით მიღებული საკუთრების კაპიტალისტური სტრუქტურის ტრანსფორმაციას, შერეულ სოციალისტურ საკუთრებაში, რადგანაც ასეთი ვითარება ახალ ინვესტიციებზე სახელმწიფოს მონოპოლიას გულისხმობს.

ამ თეორემებიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ უპირატესობა მენარმეობის ღია რეჟიმს ენიჭება, რომელიც საკუთრების შერეულ კაპიტალისტურ სისტემას, ანუ კერძო და არაკერძო საწარმოების თანაარსებობას გულისხმობს, პირველის გაბატონებულ პირობებში. ამიტომ პოსტსოციალისტური ტრანსფორმაციის პირობებში მენარმეობის რეჟიმის დამკვიდრებას თან უნდა სდევდეს სახელმწიფო საწარმოების კერძო ფირმებად გარდაქმნის პროცესი, ანუ სახელმწიფო საკუთრების პრივატიზაცია.

პრივატიზაციის თანამედროვე თეორიებიდან უნდა აღინიშნოს, პირველ რიგში, პრივატიზაციის მიკროეკონომიკური თეორია, პრივატი-

ზაციის მაკროეკონომიკური თეორია და პრივატიზაციის კომპარატივისტული თეორია. მიკროეკონომიკური თეორია, დღეს უპირატესად საკუთრების უფლებებისა და პრინციპალი-აგენტის ინსტიტუციურ თეორიებს ემყარება, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ გარდამავალი ეკონომიკის პირობებში საკუთრების უფლებები, მისი სტრუქტურა და ტრანსაქციული ხარჯები ძალიან არასტაბილურია, რის გამოც არა მარტო რთულდება პრივატიზაციის პერიოდში სწორი გადაწყვეტილებების მიღება, არამედ პოსტპრივატიზაციულ პერიოდშიც ხშირად საკუთრების ხელახალი გადანაწილების პრობლემაც ძალიან მწვავედ დგება. პრინციპალი-აგენტის თეორია, ასაბუთებს რესურსების მფლობელის, ანუ პრინციპალის შესაძლებლობებს, რომელიც ყიდულობს ინფორმაციას და ახდენს საკუთრების და გადაწყვეტილებების მიღების უფლებათა დელეგირებას ინფორმაციის მფლობელისადმი, ანუ აგენტი-სადმი, თუმცა ამავე დროს იგი აანალიზებს და აკონტროლებს აგენტის საქმიანობას, რესურსების გამოყენებით მაქსიმალური შემოსავლის მიღების მიზნით. პრინციპალის მიერ აგენტისადმი უფლებების დელეგირება გამოწვეულია იმით, რომ თვითონ იგი არ ფლობს სრულ ინფორმაციას ეფექტიანი მართვის განხორციელებისათვის. ამიტომ მოწოდებულია უზრუნველყოს სათანადო მოტივაციები აგენტისათვის მიზნების მაქსიმიზაციის მისაღწევად. აგენტის როლს ასრულებენ ფირმების მენეჯერები მესაკუთრეების და აქციონერების მიმართ.

პრივატიზაცია ცვლის, როგორც პრინციპალის ამოცანებს, ასევე აგენტების მოტივაციას და სტიმულს. ამ თეორიის უპირატესობა არის ის, რომ ასაბუთებს მენეჯმენტის სტიმულის სტრუქტურების დამოკიდებულებას, არა მარტო საკუთრებაზე, არამედ აგრეთვე კონკურენციის ხასიათზე და მარეგულირებელ ინსტიტუციურ ნორმებზე, იმ გარემოზე, რომლის ჩარჩოებშიც სანარმოები ფუნქციონირებენ. ამიტომ პრივატიზაციის განხორციელება არა მარტო საკუთრების ფორმის ცვლილებას, არამედ მასთან ერთად ჯანსაღი ინსტიტუციური გარემოს ჩამოყალიბებას გულისხმობს.

პრივატიზაციის მიკროეკონომიკური თეორია მისი დასაბუთების კონკრეტული ფაქტორების განსაზღვრის საშუალებას იძლევა. ამ ფაქტორებიდან უმთავრესია შემდეგი:

- * სახელმწიფო საკუთრების მცირე ეფექტიანობა კერძო საკუთრებასთან შედარებით;

- * სახელმწიფოს პრინციპალის როლში შედეგიანობის სიმცირე აგენტების შესახებ ინფორმაციის უქმარისობის გამო;

- * სახელმწიფო სანარმოების აგენტი-მენეჯერებისთვის სტიმულების სუსტი სისტემა – გაზარდონ არა საკუთარი მოგება, არამედ

პრინციპალი-სახელმწიფოს მოგება, რადგანაც არ არსებობს გაკოტრების ან პრინციპალის შეცვლის საშუალება.

პრივატიზაციის მიკროეკონომიკური თეორია ცალკეულ საწარმოებს და ფირმებს შორის ურთიერთობების ახსნის საშუალებას იძლევა საბაზრო-კონკურენტული და ინსტიტუციური ფაქტორების საფუძველზე, მაგრამ მას არ შეუძლია ახსნას პრივატიზაციის მრავალი პროცესი, მოგვეცეს სისტემური წარმოდგენა პრივატიზაციაზე, რადგანაც იგივე ითვალისწინებს მიკროეკონომიკისა და საბაზრო ურთიერთობების მიღმა დარჩენილ სხვა ფაქტორებს. ამიტომ პრივატიზაციის მიკროეკონომიკური თეორიის პარალელურად მისი მაკროეკონომიკური თეორიაც ვითარდება.

ეს უკანასკნელი ეყრდნობა ისეთ თეორიებს, როგორიც არის: საზოგადოებრივი არჩევანის თეორია, დეპოლიტიზაციის თეორია, კომპარატავისტული თეორია, ლიკვიდაციური თეორია და კომერციონალიზაციის თეორია. საზოგადოებრივი არჩევანის თეორიაში პრივატიზაციის ასპექტში გამოიყოფა ოთხი ჯგუფი, რომლებიც სახელმწიფო საწარმოებზე ზედამხედველობას და კონტროლს ახორციელებენ: საზოგადოება საერთოდ; არჩეული პოლიტიკოსები; არაარჩეული ბიუროკრატები, ანუ დანიშნული მოხელეები; სახელმწიფო ფირმების მენეჯერები. თითოეულ ამ ჯგუფს, თავისი განსაკუთრებული ფუნქცია ახასიათებს და ისინი მათ მაქსიმიზაციას ესწრაფვიან, რაც წარმოების დაბალანსებას აფერხებს. მეორეს მხრივ, თითოეული მათგანი და თვითონ ფირმებიც არაიდენტურ ინფორმაციას ფლობს, ანუ ინფორმაცია ასიმეტრიულია და საბოლოო ანგარიშით, ფირმებზე ზედამხედველობაც არაოპტიმალურია და ფირმებიც მცირე ეფექტიანობით ხასიათდებიან.

დეპოლიტიზაციის თეორიის მიხედვით, პრივატიზაცია საწარმოებზე კონტროლის გადასვლას გულისხმობს პოლიტიკოსებისაგან მენეჯერებთან, რასაც ეკონომიკის კორპორატიზაციის გაფართოებას, ფინანსურ რესურსებზე სახელმწიფოს კონტროლის შემცირებასა და მენეჯერების, აქციონერების, კონტროლის გაძლიერებას გულისხმობს, რაც საბოლოო ანგარიშით ფირმების დეპოლიტიზაციას, ანუ პოლიტიკოსების გავლენისაგან ფირმების გათავისუფლებას გამოიწვევს.

საკუთრების კომპარატავისტული თეორიის არსიც, სახელმწიფო და კერძო სექტორების ეფექტიანობის შედარებითი ანალიზის საფუძველზე, სახელმწიფოს უსუსურობისა და პრივატიზაციის აუცილებლობის დასაბუთებით გამოიხატება. ლიკვიდაციური თეორია საერთოდ უარყოფს სახელმწიფო საწარმოების არსებობის მიზანშეწონილობას და მათი ფუნქციონირების შეწყვეტას, პრივატიზაციის მეშვეობით მოითხოვს. ბოლო პერიოდში პოსტსოციალისტურ ქვეყნებში პრივატიზაციის

შეფასების გათვალისწინებით იზრდება, სახელმწიფო საწარმოების, კომერციონალიზაციის თეორიის პოპულარობა. მისი მომხრეები აღიარებენ სახელმწიფო საწარმოების შესაძლებლობებს, მათ აუცილებლობას, მაგრამ ამავე დროს ასაბუთებენ მათი აქციონერების გზით დამოუკიდებლობის უზრუნველყოფისა და კონკურენტულ ურთიერთობებში ჩართვის საჭიროებას. კონკურენტუნარიანობის მიღწევის შემდეგ, ასეთი საწარმოების პრივატიზაცია პრობლემას არ წარმოადგენს.

ზემოთ აღნიშნული, საშუალებას გვაძლევს, განვსაზღვროთ თანამედროვე პირობებში, საკუთრებითი ურთიერთობების ტრანსფორმაციის შემდეგი ძირითადი პრინციპები:

- * საკუთრებითი ურთიერთობების განვითარება, სოციალურ-ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის კვალობაზე – თანამედროვე განვითარების მთავარი განმსაზღვრელი ტენდენციაა. პოსტინდუსტრიული ეკონომიკის ჩამოყალიბება, ინფორმაციული და ბიოლოგიური ტექნოლოგიების უპირატეს გამოყენებაზე გადასვლა – საკუთრებითი ურთიერთობების კარდინალურ ტრანსფორმაციასაც განაპირობებს;

- * საკუთრებითი ურთიერთობების ტრანსფორმაციაზე გლობალიზაციის ზემოქმედების გაძლიერება, რაც ქვეყანაში ტრანსნაციონალური საკუთრების თანდათან გაფართოებას იწვევს;

- * კერძო და სახელმწიფო საკუთრების თანაფარდობის ოპტიმიზაციის წინა პლანზე წამოწევა და მისი მიღწევის მთავარ საშუალებად – პრივატიზაციის დამკვიდრება;

- * საკუთრების სისტემის მუდმივი სტრუქტურული ტრანსფორმაციის ობიექტური აუცილებლობა, მატერიალური საკუთრების წილის შემცირებისა და არამატერიალური საკუთრების წილის გადიდების პირობებში;

- * არამატერიალური, ანუ ცოდნაზე და ინფორმაციაზე საკუთრების მასშტაბების ზრდის შედეგად, საკუთრების შეგნებულად ორგანიზაციის ტენდენციის გაძლიერება, რაც პირველ რიგში კრეატიული, შემოქმედებითი, ინოვაციური ფირმების ჩამოყალიბებით, სახელმწიფო ქონების მართვით და პრივატიზაციის პროცესის სახელმწიფოს მიერ ორგანიზაციით ვლინდება;

- * სახელმწიფო საკუთრების პრივატიზაციის კომპლექსური მართვის აუცილებლობა. პრივატიზაციის მიკროეკონომიკური, მაკროეკონომიკური და კომპარატივისტული თეორიების შედეგების და ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით.

ამ პრინციპების რეალიზაცია საქართველოს ეკონომიკის განვითარებისა და მართვის ეროვნული მოდელის თავისებურებების შესწავლას უნდა ემყარებოდეს.

1. 2. საქართველოს ეკონომიკის თანამედროვე განვითარებისა და მართვის ეროვნული მოდელის თავისებურებანი

როგორც უკვე აღინიშნა, სახელმწიფო ქონების მართვისა და პრივატიზაციის პოლიტიკა, ობიექტურად სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, მართვისა და საკუთრების სფეროში მიმდინარე ტენდენციებითა და საქართველოს ეროვნული ინტერესებით განისაზღვრება.

მიმდინარე საუკუნის დასაწყისში მსოფლიო განვითარება, ისტორიული პროცესებით ხასიათდება: ჩქარდება მეცნიერულ-ტექნოლოგიური რევოლუცია, ყალიბდება მაღალგანვითარებული ადამიანის ტიპი, თანდათან მკვიდრდება პოსტინდუსტრიული საზოგადოება, ძლიერდება გლობალიზაციის ტენდენციები. ყველაზე უფრო შთამბეჭდავია კომუნიკაციურ-ინფორმაციული და ბიოლოგიური რევოლუციები, რაც დროისა და სივრცის სწრაფად დაძლევის, განახლებადი რესურსების უპირატეს გამოყენებაზე გადასვლით ვლინდება. ინფორმაციული და ბიოლოგიური ტექნოლოგიების დაუფლებით თანამედროვე ადამიანი საზოგადოებრივი განვითარებისა და ბუნების მაკონსტრუირებელ ინტელექტუალურ ძალად ყალიბდება. უდიდესი მნიშვნელობისაა აგრეთვე პოსტინდუსტრიული საზოგადოების შესაბამის ახალ ეკონომიკაზე გადასვლის პროცესი, რომლისთვისაც დამახასიათებელია: ცოდნის, ინფორმაციის განვითარების მთავარ ფაქტორად გადაქცევა, მდგრადი განვითარების სტრატეგიის დამკვიდრება, საქმიანობის მატერიალური და ფინანსური მოტივის ნაცვლად ცოდნის დაგროვების, თვითგანვითარების მოტივის წინ წამოწევა, ეკონომიკის სტრუქტურაში ინფორმაციული და ეკოლოგიური წარმოების გაბატონება¹¹.

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ვითარება მნიშვნელოვანწილად იმით არის გამოწვეული, რომ აქ ჩამოყალიბებული ტენდენ-

¹¹ საქართველოში რეფორმის მიმდინარეობისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შეფასება უფრო ვრცლად მოცემულია ნაშრომებში: იხ. პაპავა ე. პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა. თბ., 2002; ბასილაია თ., სილაგაძე ა., ჩიქვაძე თ., პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე. თბ., 2001; გოცირიძე რ. ეკონომიკა, პოლიტიკა, ცხოვრება. თბ., 1999; მესხია ი., ნიკოლეიშვილი ო. გადასახადები და დაბეგვრა. თბ., 2002; მექვაბიშვილი ე. სახელმწიფო და ეკონომიკა. თბ., 1995. ჭითანავა ნ. გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები. ნაწილი I, II, III. თბ., 1997-2001 და სხვ.

ციები, ხშირად წინააღმდეგობაშია განვითარების ზემოთ დახასიათებულ ტენდენციებთან. განსაკუთრებით დამაფიქრებელია სოციალურ-ეკონომიკური ჩამორჩენილობის მასშტაბები. 90-იანი წლების კრიზისული მოვლენების დაწყებამდე საქართველო საშუალოდ განვითარებული ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანა იყო. ცხოვრების დონეც საკმაოდ მაღალი იყო. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით კი, ხანგრძლივი ეკონომიკური კრიზისისა და დეპრესიული მოვლენების შედეგად მდგომარეობა კარდინალურად შეიცვალა: მკვეთრად შემცირდა წარმოების მოცულობა, ცხოვრების დონე, მოსახლეობის ზრდის ტემპი, მეცნიერულ-ტექნოლოგიური პოტენციალი, გაუარესდა საწარმოო სტრუქტურა. მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა 1990-2000 წლებში, დაახლოებით 60 %-ით, სამრეწველო პროდუქციის მოცულობა – 80 %-ით, ხოლო მთლიანი ეროვნული პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე დაახლოებით 2 600 აშშ დოლარიდან 700 აშშ დოლარამდე შემცირდა. მოსახლეობის ზრდის ტემპმა საქართველოში 1975-1999 წლებში – 0, 3% შეადგინა, მაშინ, როდესაც მსოფლიოში იგი 1, 6% იყო.

მაშასადამე, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესი საქართველოში მისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის მკვეთრი შემცირებით ხასიათდებოდა.

განსაკუთრებით დიდია ჩამორჩენა მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის სფეროში, რაც პირველ რიგში, ტექნოლოგიური მიღწევების ინდექსის დაბალი დონით ვლინდება. ძალიან დაბალია ტრადიციული ტექნოლოგიების გამოყენებისა და ახალი ტექნოლოგიების შექმნის მაჩვენებლები. ელექტროენერგიის მოხმარება საქართველოში, მოსახლეობის ერთ სულზე ამჟამად მსოფლიოში არსებული დონის 60%-ს შეადგენს. 1000 კაცზე მობილური ტელეფონის რაოდენობით მსოფლიო საშუალო დონეს საქართველო 5-ჯერ ჩამორჩება, განვითარებულ ქვეყნებს – 23 -ჯერ, პერსონალური კომპიუტერების რაოდენობით – შესაბამისად 17-ჯერ და 77 -ჯერ, 1000 კაცზე ინტერნეტ-კვანძების რაოდენობით – 70 -ჯერ და 457 -ჯერ¹².

მეცნიერულ-ტექნოლოგიური ჩამორჩენილობა და შეუთავსებლობა მსოფლიო ბაზრის მოთხოვნებთან საქართველოს დაბალი კონკურენტუნარიანობის, მსოფლიო მეურნეობაში სუსტი ინტეგრაციის, საყოველთაო გლობალიზაციისა და ლოკალიზაციის პროცესებისადმი მზადყოფნის დაბალი ხარისხის მაჩვენებელია. კომუნიკაციურ-ინფორმაციული და ბიოლოგიური რევოლუციები აყალიბებენ ერთიან

¹² იხ. Доклад о развитии человека за 2001 год. с. 48-49.

მსოფლიო სისტემას, ამწვევებზე კონკურენტუნარიანობისა და ადაპტაციის პრობლემას, რაც ამაღლებს განვითარების ეფექტიანი სტრატეგიის განხორციელების მნიშვნელობას. გლობალიზაციის ეკონომიკური არსი გამოიხატება იმით, რომ დღეს ნებისმიერი ეკონომიკური რესურსის წარმოება და გამოყენება შეიძლება დედამიწის ნებისმიერ წერტილში, რასაც კარდინალური ძვრები ახლავს, არა მარტო ცალკეული ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, არამედ საკუთრებითი ურთიერთობების განვითარების თვალსაზრისითაც.

ამავე დროს, ინტენსიურად ვითარდება ლოკალიზაციის პროცესი. იგი ისეთი მოვლენებით აისახება, როგორიცაა: რეგიონული ინტეგრაციული გაერთიანებების ჩამოყალიბება, ფირმების სტრატეგიული ალიანსების გაფართოება, საშუალო და მცირე ბიზნესის გავრცელება, ფიზიკური პირების მეურნეობის განვითარება. ლოკალიზაცია აძლიერებს წარმოების მოქნილობას, მოთხოვნილებების უკეთ დაკმაყოფილებას, რესურსების უფრო ეფექტიანად გამოყენებას, ცალკეულ ფირმებში დამოუკიდებელი საწარმოო ქვედანაყოფების პრაქტიკის გაფართოებას, ხელს უწყობს დასაქმების პრობლემის გადაწყვეტას, გლობალიზაციის მოთხოვნებთან ადაპტაციას.

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ანალიზი, ზემოთ დახასიათებული საერთო ტენდენციების გათვალისწინების საფუძველზე, საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ ქვეყნის განვითარების სტრატეგიული მიზნები, ინტერესები და სამომავლო ამოცანები, რომელთა გადაწყვეტა აუცილებელია სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის მიღწევისათვის.

საქართველოს გრძელვადიანი სტრატეგიული მიზნებიდან, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შემდეგი: ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფა და სახელმწიფოებრიობის განმტკიცება; სამოქალაქო საზოგადოების, დემოკრატიის დამკვიდრება; მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება; მეცნიერულ-ტექნოლოგიური ჩამორჩენილობის დაძლევა; ჯანსაღი ეკოლოგიური გარემოს უზრუნველყოფა; საყოველთაო გლობალიზაციის პროცესში აქტიური მონაწილეობა.

ამ სტრატეგიული მიზნების მიღწევა, მხოლოდ საქართველოს ეროვნული ინტერესების განუზრელად განხორციელების საშუალებით შეიძლება. ეროვნული ინტერესებიდან განსაკუთრებით კარდინალური მნიშვნელობისაა ისეთი ინტერესები, როგორიც არის: საქართველოს ეროვნული და კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნება; მისი თითოეული მოქალაქის ყოველმხრივი განვითარებისათვის ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური პირობების უზრუნველყოფა;

ბუნებრივი, ინტელექტუალური და მატერიალური რესურსების ეფექტიანი გამოყენების მიღწევა; ქვეყნის კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა.

ეროვნული ინტერესების რეალიზაცია საზოგადოებრივი განვითარების ყველა სფეროში კონკრეტული ამოცანების გადანაცველას მოითხოვს. ამ ამოცანებიდან მთავარია შემდეგი:

- პოლიტიკური განვითარების სფეროში: წარმომადგენლობითი დემოკრატიის განმტკიცება, ადამიანის თავისუფლების, დემოკრატიული სახელმწიფოს დამკვიდრება;

- სოციალური განვითარების სფეროში: მოსახლეობის ცხოვრების მაღალი დონის, შემოსავლების მიღწევა, სიღარიბის ლიკვიდაცია, მდიდრებსა და ღარიბებს შორის მკვეთრი განსხვავების მოსპობა, სოციალური კაპიტალის, ურთიერთობების მუდმივი სრულყოფა.

- ეკონომიკური განვითარების სფეროში: საკუთრებითი ურთიერთობების სრულყოფა – კერძო და სახელმწიფო საკუთრების რაციონალიზაციის, თანაფარდობის ოპტიმიზაციის გზით; კონკურენტულ საბაზრო სისტემაზე გადასვლის დაჩქარება; სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ტემპების ამაღლება; ბიზნესის განვითარებისთვის სათანადო ინსტიტუციური და ინვესტიციური გარემოს შექმნა; მოსახლეობის ერთ სულზე, მთლიანი შიდა პროდუქციის მოცულობით, წარმოების ეფექტიანობის მაჩვენებლით განვითარებული ქვეყნების ჯგუფის დონის მიღწევა; მსოფლიო ბაზრებზე ქართული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა.

ამ ისტორიული ამოცანების წარმატებით გადანაცველას, ბუნებრივია, პირველ რიგში, საქართველოს სახელმწიფოებრივი მართვის ეფექტიანობა და ხარისხი განსაზღვრავს.

მართვის ეროვნული მოდელის ჩამოყალიბება, ეფექტიანობა და ხარისხი განისაზღვრება იმით, თუ რამდენად ადეკვატურად გამოხატავს, მართვის საერთო კანონზომიერებებს პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაზე გადასვლის ისტორიული პროცესების ზეგავლენით და ამავე დროულად ქვეყნის თავისებურებებსა და ინტერესებს.

ამიტომ აუცილებელია განისაზღვროს, ჯერ ერთი – მართვის საერთო კანონზომიერებები, მეორე – სწარმოთა მართვის სრულყოფის ტენდენციური და მესამე – გარდამავალ ეტაპზე მისი ეფექტიანობის ამაღლების ძირითადი მიმართულებები.

მართვის საერთო კანონზომიერებებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, შემდეგი ტენდენციების გათვალისწინება და რეალიზება:

მართვის სრულიად ახალი პარადიგმის ჩამოყალიბება. მართვის ტრადიციული პარადიგმისთვის დამახასიათებელი იყო: იერარქიული,

მბრძანებლური მართვა, ორიენტაცია სისტემის შიდა გარემოზე, დანახარჯების შემცირებაზე, მოგების მაქსიმიზაციაზე, სპეციალიზებულ ტექნოლოგიებზე, საქონელზე.

ახალი პარადიგმის ძირითადი მახასიათებლებია:

* მართვის შერეული სტილი, იერარქიული და დემოკრატიული, მონაწილეობითი მართვის სინთეზი, არსებული რეალობის შესაბამისად, ორიენტაცია შედეგებზე და საქმიანობის ეფექტიანობაზე, შესაბამისად, ორიენტაცია შედეგებზე და საქმიანობის ეფექტიანობაზე, შიდა და გარეგან გარემოზე, კონტროლირებად და არაკონტროლირებად სფეროებზე, ტექნოლოგიების და პროდუქციის მუდმივ განახლებაზე, ცოდნაზე¹³.

* ინტეგრირებული, გლობალური მართვა, ურთიერთგადაჯვარებული ფუნქციებით. ეკონომიკის გლობალიზაციასთან ერთად ფართოვდება ბიზნესისა და შესაბამისად მენეჯმენტის არეალი, ყალიბდება გლობალური მართვა, რომელიც გამჭოლი, ურთიერთგადაჯვარებული, დივერსიფიცირებული ფუნქციებით ხასიათდება. დღემდე გაბატონებული იყო ფუნქციონალური მართვა, შესაბამისად ორგანიზაციების სტრუქტურა ფუნქციონალური ქვედანაყოფების გამოყოფაზე იყო აგებული. თანამედროვე პირობებში, წინა პლანზე გამოდის მართვის მატრიცული ფორმა, როდესაც გადანაყვებილებების მიღება სხვადასხვა ფუნქციის ინტეგრაციისა და კოორდინაციის გათვალისწინებით ხდება¹⁴.

* პერსონაჟის მართვიდან მუშაკის მწარმოებლურობის მართვაზე გადასვლა. იერარქიული მართვის პირობებში პერსონალის მართვა, ბუნებრივია, ხელმძღვანელის ბრძანებაზეა აგებული, რაც მუშაკთა შორის მოტივაციას და შესაბამისად მწარმოებლურობას აფერხებს. ამიტომ თანამედროვე პირობებში, როდესაც ადამიანური კაპიტალის, ინტელექტუალური შესაძლებლობების გამოყენება განსაკუთრებით განმსაზღვრელ მნიშვნელობას იძენს, მთავარია არა პერსონალის მართვა, არამედ მუშაკთა მწარმოებლურობის ამაღლებისათვის საჭირო პირობების უზრუნველყოფა, მათი ძალისხმევის ეფექტიანად და სწორი მიმართულებით წარმართვა, თითოეული ადამიანის მიერ ცოდნისა და უნარის მაქსიმალური შედეგიანობით, მწარმოებლურობით გამოყენება¹⁵.

¹³ იხ. Друкер П.Ф. Задачи менеджмента в XXI веке. М., 2000.

¹⁴ იხ. Чоудхари С. Менеджмент XXI века. М., 2001.

¹⁵ იხ. Уткин Е. А. Основы мотивационного менеджмента. М., 2000.; Арристронг М. Стратегическое управление человеческими ресурсами. М., 2002.

• სტრატეგიული მართვის გაძლიერება. თანამედროვე პირობებში წინა პლანზე გამოდის სტრატეგიული მიზნების ეფექტიანი განხორციელების ამოცანა, სისტემური, სინერგიული ეფექტების მიღების საფუძველზე. განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას იძენს გრძელვადიანი დაგეგმვისა და პროგნოზირების ინსტრუმენტების გამოყენება, გლობალიზაციის ტენდენციების გათვალისწინებით, მათ შორის სტრატეგიული ალიანსების გაფართოება საერთაშორისო კონკურენციის გამონევენების საპასუხოდ¹⁶.

• ქსელური მართვის გავრცელება ციფრული, ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების საფუძველზე, გლობალიზაციის პირობებში წარმოება, საქონლისა და მომსახურების გადაადგილება, ფინანსური და ინფორმაციული ნაკადების მოძრაობა, მათი მართვა თანამედროვე ტელეკომუნიკაციებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებას ემყარება. მომხმარებელიცა და მწარმოებელიც ამ ქსელების ნაწილია, ანუ კავშირი მათ შორის ინფორმაციული ქსელების საშუალებით ხორციელდება. ბიზნესში გადაწყვეტილების მიღება ამ ქსელების მეშვეობით მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ხდება¹⁷.

• ინოვაციური მართვის პრიორიტეტულობის ამაღლება. ცოდნის, ინტელექტუალური, ადამიანური კაპიტალის გადაქცევა განვითარების მთავარ ფაქტორად იწვევს იმას, რომ გადამწყვეტ მნიშვნელობას მართვის მთელ სისტემაში ინოვაციური მენეჯმენტი იძენს. ეს უკანასკნელი გულისხმობს ერთიანი ინოვაციური ცვლის მთლიანი სისტემის მართვას, დაწყებული მეცნიერული გამოკვლევებიდან, ნოვაციებიდან და დამთავრებული ახალი ტექნოლოგიებისა და პროდუქციის წარმოების ფაზით. ამასთან, ეს ციკლი მუდმივად განახლებადია, რადგანაც წარმატების მიღწევისთვის თანამედროვე ბიზნესში მთავარია ტექნოლოგიებისა და პროდუქციის მუდმივი განახლება. სხვა შემთხვევაში ბაზრებზე კონკურენტუნარიანობის შენარჩუნება უბრალოდ შეუძლებელია. ახალი ტექნოლოგიების გამოყენება წარმოების ხარჯების შემცირებას, პროდუქციის ხარისხის ამაღლებას განაპირობებს¹⁸.

• ანტიკრიზისული მართვა. განსაკუთრებით აქტუალურია აგრეთვე ანტიკრიზისული მართვის პრობლემა, როგორც ქვეყნის, ასევე ცალკეული ფირმის მასშტაბით. ამ ასპექტში მალღდება ისეთი სახის კრიზისების მართვის მნიშვნელობა, როგორიც არის: კრიზისები

¹⁶ იხ. Кемпбел Д.Б Стоунхаус Дж. Х. Стратегический менеджмент. М., 2003.

¹⁷ იხ. Арлазаров В.Л. Емельянов Н.Е. Управление информационными потоками., 2002.

¹⁸ იხ. Балабанов И.Т. Инновационный менеджмент. М., 2001

სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში, სახელმწიფო მართვის სისტემის კრიზისი, კრიზისები ორგანიზაციის განვითარებაში. ამასთან, კრიზისი ყველა სფეროში ცალკეული ხასიათისაა, ანუ გარკვეული პერიოდის შემდეგ მეორდება, სხვადასხვა მიზეზით და თავისებურებებით. ამიტომ აქტუალურია ანტიკრიზისული მართვის პრობლემა, მისი დიაგნოსტიკის, სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავება და განხორციელება¹⁹.

* რისკების მართვის მნიშვნელობის ამაღლება. გლობალიზაციისა და მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის გაღრმავებას იწვევს მოვლენების, ტენდენციების არაპროგნოზირებადობის გაძლიერება, რაც ეკონომიკის ყველა სფეროში რისკების მართვისა და პროგნოზების როლის ამაღლებას განაპირობებს. ქაოსის პირობებში მართვა, რისკების მართვის სრულყოფა, პროგნოზირების ახალი მეთოდების შემუშავება ეკონომიკური თეორიისა და პრაქტიკის უმნიშვნელოვანეს ამოცანებად ყალიბდება²⁰.

* მომხმარებელზე, აქციონერზე და კლიენტზე ორიენტირებული მართვა. თანამედროვე კომპანია არ შეიძლება მხოლოდ საკუთარი ინტერესებით ხელმძღვანელობდეს. მისთვის ძალიან მნიშვნელოვანია სოციალური პასუხისმგებლობა, პრესტიჟი საზოგადოებაში, რისი მოპოვებაც მხოლოდ მომხმარებლის, აქციონერებისა და კლიენტების ინტერესების გათვალისწინებით შეიძლება. ამიტომ ნებისმიერი ორგანიზაციის წარმატება, მხოლოდ ამ უკანასკნელთა ინტერესების რეალიზაციის ხარისხზე დამოკიდებული²¹.

დასახელებული საერთო ტენდენციების რეალიზაცია, თითოეული ქვეყნის თავისებურებებზეა დამოკიდებული. კერძოდ, მართვის ხასიათზე, ამოცანებზე, მიზნებზე, სტრუქტურაზე, მეთოდებზე, რომლებზეც ზემოქმედებს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონე. მას თავისი სპეციფიკა აქვს განვითარებულ ქვეყნებში, რადგან სანარმოების მართვა ხასიათდება არა მარტო ლიბერალიზაციის მაღალი ხარისხით, არამედ აგრეთვე კორპორაციული მართვის განვითარებული ფორმებით. კერძოდ, დამახასიათებელია მოგების მაქსიმიზაციისაკენ სწრაფვა, აქციონერული საკუთრების გავრცელება, მაღალ-რისკიანი გარემო, ტრანსაქციული ხარჯების შემცირებისკენ სწრაფვა, ხელფასების მოქნილი პოლიტიკა შრომის ზღვრულ მწარმოებელუ-

¹⁹ იხ. Антикризисное управление. Под ред. Э.м. Короткова. М., 2000.

²⁰ იხ. Хохлов Н.В. Управление риском. М., 2001.; Морозова Т.Г. Прогнозирование и планирование в условиях риска. М., 2001.

²¹ იხ. Бизнес и менеджер М., 1992.

რობასთან კავშირში, საქმიანობის კოორდინაცია იერარქიულად ხელმძღვანელობის მიერ და სახელმწიფოსგან სრული დამოუკიდებლობა.

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში თვითონ მართვაც გარდამავალი ხასიათისაა, რადგანაც, მართალია, ადმინისტრაციულ-მმართველური, ცენტრალიზებული დირექტიული დაგეგმვის სისტემა ლიკვიდირებულია, მაგრამ არც საბაზრო მართვის ეფექტიანი სისტემაა დამკვიდრებული. ამიტომ გასათვალისწინებელია, რომ რეალურად სახეზეა შემდეგი პროცესები: ჯერ ერთი, თვითონ მართვის სისტემაში მიმდინარე ცვლილებები, გამოწვეული წარმოების სფეროში და ადამიანის მოტივაციაში მიმდინარე ძვრებით და მეორე, საბაზრო მართვაზე გადასვლასთან დაკავშირებული ცვლილებები.

ასეთ პირობებში საწარმოების მართვისათვის დამახასიათებელია ისეთი თავისებურებანი, როგორიცაა: საწარმოს გადარჩენისათვის, შრომითი კოლექტივის შენარჩუნებისათვის ძალისხმევის პრიორიტეტულობა; საკუთრება – ფორმალურად აქციონერული, რეალურად კი რეკომბინირებული საწარმოს მმართველის საკუთრება; პრინციპალი, ანუ რესურსების მფლობელი და განმსაზღვრელი გადაწყვეტილებების მიმღები – საწარმოს ხელმძღვანელობა; არასტაბილური ბიზნეს-გარემო; ახალი სამეურნეო კავშირების დამყარების გართულება მაღალი ტრანსაქციული ხარჯების შედეგად; შედარებით დაბალი და უპირატესად ფიქსირებული ხელფასი; მუშაკთა საქმიანობის ვერტიკალური კოორდინაცია, დირექციაზე მუშაკის დამოკიდებულების ხარისხის მიხედვით; სახელმწიფოსაგან ფორმალური დამოკიდებულების შენარჩუნება საწარმოების მენეჯმენტური, ფინანსური, ტექნოლოგიური სისუსტის გამო²².

აღნიშნულიდან ჩანს, რომ გარდამავალ ეკონომიკაში არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ანტიკრიზისულ მართვას, კრიზისის პროფილაქტიკას, როგორც მაკრო, ასევე მიკრო დონეზე.

ანტიკრიზისული მართვის მთავარი დანიშნულებაა ეკონომიკური კრიზისების თავიდან აცილება, ხოლო მისი არსებობისას – რაც შეიძლება სწრაფად და მცირე სოციალური დანაკარგებით დაძლევა. იგი ყოველთვის სტრუქტურული, ინვესტიციური, ინოვაციური მენეჯმენტის ღონისძიებებთან ინტეგრირებულად უნდა ხორციელდებოდეს.

ანტიკრიზისული მართვის განხორციელება გულისხმობს: ეკონომიკური კრიზისების ტიპოლოგიას, მიზეზების დადგენას, თვითონ

²² იხ. Гончаров В.В. В поисках совершенного управления: руководство для высшего управленческого персонала. М., 1996; Мильнер Бю Реформы управления управления реформами. М., 1994.

სახელმწიფო მართვის კრიზისის დაძლევა, ანტიკრიზისული მართვის ეფექტიანობის ამაღლებას, კრიზისების დიაგნოსტიკას, სანარმოთა რესტრუქტურიზაციას, ინოვაციური და ინვესტიციური პოლიტიკის გატარებას, პერსონალის ანტიკრიზისულ მართვას.

როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, კომპანიების ნარუმატებლობის მთავარი მიზეზია, მათი მენეჯმენტის, ხელმძღვანელობის დაბალი ეფექტიანობა და ხარისხი, მათი შემოქმედებითი უნარის უკმარისობა, მცირე ინოვაციურობა, ორიენტაცია არსებულ რესურსებზე, ტრადიციულ მიზნობრივ მიჯნებსა და საქმიანობის სტილზე. მართვის დაბალი ეფექტიანობის ძირითადი მიზეზია ორგანიზაციის მდგომარეობის არაობიექტური შეფასება, უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ არსებული პრობლემების ცალმხრივი და სუბიექტური ხედვა.

სხვა მიზეზებია: მართვის ძველი მეთოდებისადმი ერთგულება, თუმცა ისინი უკვე შედეგს აღარ იძლევიან; მომხმარებელთან კავშირის განწყვეტა, ორგანიზაციის სტრუქტურული მოუქნელობა, უმოდრაობა; პერსონალის დაბალი კვალიფიკაცია და დინამიზმი; გარემოს არაადეკვატური აღქმა, გლობალური კონკურენციის მნიშვნელობის გაუთვითცნობიერებლობა.

მართვის ეფექტიანობის ამაღლება, ამ მიზეზების აღმოფხვრას გულისხმობს, მაგრამ ამავდროულად აუცილებელია პორიზონტალურ კომპანიებზე გადასვლა, როდესაც ორგანიზაციული სტრუქტურა ყალიბდება არა დასმული ამოცანების მიმართ, არამედ პროცესის მიმართ. ფუნქციების მიხედვით სტრუქტურების შექმნის ნაცვლად, კომპანიის სტრუქტურა აიგება ძირითადი პროცესების მიმართ თავისი სპეციფიკური მიზნებით. ასეთი პროცესებია: ადამიანური რესურსების მართვა; ინოვაციური და ტექნოლოგიური სტრატეგია; სასაქონლო სტრატეგია და მარკეტინგული მართვა; ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა და ფასნარმოქმნა; საგარეო-ეკონომიკური საქმიანობა²³.

ერთდროულად ყალიბდება პორიზონტული იერარქია, მცირდება ვერტიკალური ადმინისტრირება, იხურება სანარმოები, რომლებსაც დამატებული ღირებულების გადასახადის გადახდა არ შეუძლიათ. თვითმმართველობის პრინციპზე ყალიბდება სპეციალიზებული ჯგუფები, გუნდები ნებისმიერი სამუშაოს მართვისათვის, რაც ამცირებს უმაღლესი ხელმძღვანელობის როლს. ნარმატების მთავარ მაჩვენებლად განისაზღვრება მოთხოვნილებების დაკმაყოფილება და არა მოგების ან რენტაბელობის ზრდა. შრომის ანაზღაურება ხორციელდება მიღწეული საბოლოო მატების მიხედვით და არა მარტო

²³ იხ. Экономическая стратегия фирмы. Под ред. А.П. Градова. М., 1996.

ინდივიდუალური შედეგის მიხედვით. სტიმულირდება შემოქმედება და რამდენიმე პროცესის ცოდნა. ყალიბდება ინფორმაციაზე დაფუძნებული ორგანიზაცია, სადაც მენეჯერების რიცხვი მცირდება, ხოლო სპეციალისტების, შემოქმედებითი მუშაკების როლი მალღდება. თავისუფალი მენარმეობა თვითონ ფირმის შიგნითაც ინერგება. მარკეტინგული, ინოვაციური, ფუნქციონალური და სხვა სტრუქტურები დამოუკიდებელ ერთეულებად ყალიბდებიან, თვითონ ყიდულობენ და ყიდიან საქონელს, მომსახურებას ენევიან ფირმის შიგნით და გარეთ. მათი გაერთიანება ინფორმაციული ქსელების, ფინანსური სისტემებისა და მენარმეობითი კულტურის ერთიანობის საფუძველზე ხორციელდება. ფირმის შიგნით ყალიბდება ორგანიზაციული ბაზრები, რომლებიც ოპერაციების შემცირების საფუძველზე ამცირებენ ზედნადებ და სხვა სახის სანარმოო ხარჯებს. მართვის ეფექტიანობის ამაღლების ყველაზე უფრო მთავარი ფაქტორია, კვალიფიციური კადრების არსებობა, შემოქმედებითი, ცოდნისეული პოტენციალი, ადამიანური კაპიტალი²⁴.

ეკონომიკის მართვის საერთო კანონზომიერებებისა და გარდამავალი ტიპის მახასიათებლების შესწავლა საქართველოში, მისი თავისებურებების განსაზღვრის საშუალებას იძლევა.

ამ თავისებურებებიდან ყურადღებას იპყრობს შემდეგი: ჯერ ერთი, ეკონომიკის მართვის გარდამავალი ტიპის არსებობა, რაც გარდამავალი ეკონომიკის თავისებურებებითაა გამონეული. ეს იმას ნიშნავს, რომ მართვის ეფექტიანობის ამაღლების ფუნდამენტური პირობებია:

- * გარდამავალი პერიოდის დასრულება საქართველოში პრივატიზაციის საფუძველზე საბაზრო-კონკურენტული ურთიერთობის დამკვიდრებით.

- * მეორე, მართვის სისტემის აგება ტერიტორიული პარადიგმის საფუძველზე, მისთვის დამახასიათებელი უპირატესად იერარქიული, არასისტემური, ფუნქციონალური, ოპერატიული ხასიათით. აქედან გამომდინარე უპირველესი ამოცანაა მართვის ახალი პარადიგმის საფუძველზე აგება გლობალური, სისტემური, სტრატეგიული, ინოვაციური მართვის პრიორიტეტულობის უზრუნველყოფის პირობით.

- * მესამე, ანტიკრიზისული და რისკების მართვის უგულებელყოფა, რაც სერიოზულად აფერხებს მოქნილ, ადაპტიურ წარმოებაზე გადასვლას, ეფექტიანობის ამაღლებას, პროგრესულ სტრუქტურულ ძვრებს ეკონომიკაში და საბოლოო ანგარიშით სოციალურ-ეკონომიკური ჩამორჩენილობის დაძლევას.

²⁴ იხ. Курс переходной экономики. М., 1997. с. 259-265.

* მეოთხე, მართვის ორგანიზაციული სტრუქტურის ჩამორჩენილობა, მისი აგება უპირატესად ვერტიკალური სტრუქტურის, ფუნქციონალური დანიშნულებისა და ამოცანების მიხედვით, რაც მუშაკთა შრომის მწარმოებლურობას, შემოქმედებითი უნარის გამოყენებას მკვეთრად აფერხებს.

* მეხუთე, მართვის დაბალი სოციალური პასუხისმგებლობა, უპირატესად კორპორაციული და კერძო ინტერესებით ხელმძღვანელობა, მომხმარებლებისა და კლიენტების ინტერესების სუსტად გათვალისწინების ფონზე.

აღნიშნულიდან ჩანს, რომ ქვეყანაში მიმდინარე რეფორმის ერთ-ერთი სტრატეგიული მიზანი-ეკონომიკის მართვის ძირეული ტრანსფორმაცია და მისი ეფექტიანობის მკვეთრი ამაღლების უზრუნველყოფა, დღემდე მიუღწეველი რჩება. მისი რეალიზაცია სრულიად ახალ მიდგომებს მოითხოვს. საქართველოს ეკონომიკის მოდერნიზაცია, სოციალურ-ეკონომიკური კეთილდღეობა, პირველ რიგში, სახელმწიფო მართვისა და სანარმოების მართვის ეფექტიანობით განისაზღვრება. ამიტომ საქართველოს გარდამავალი ეკონომიკის პირობებში მართვის ეფექტიანობის ამაღლებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა სახელმწიფო ქონების მართვის გარდაქმნასა და პრივატიზაციის განხორციელებას ენიჭება.

სახელმწიფო ქონების მართვის სტრატეგია

2.1. სახელმწიფო ქონების მართვის მიზნები, ამოცანები და პრინციპები

სახელმწიფო ქონების მართვის მიზნები, სახელმწიფოს ფუნქციებით ეკონომიკაში, სახელმწიფო სექტორის როლით განისაზღვრება. ამასთან, გასათვალისწინებელია მათი როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისობრივი ხასიათი, აგრეთვე დროში ცვალებადობა, თანამედროვე და სამომავლო მოთხოვნებისადმი შესაბამისობა.

სახელმწიფოს ყოველთვის აქვს გარკვეული ეკონომიკური ფუნქციები, თუმცა გარდამავალი ეკონომიკის პირობებში, მათ სხვა განსაკუთრებული ფუნქციებიც ემატება. ეს ფუნქციები დამოკიდებულია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეზე, სახელმწიფოს ხასიათზე, როგორი სახელმწიფოს ტიპია გაბატონებული და შესაბამისად პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური შეხედულებები. ანალიზი გვიჩვენებს, რომ, რაც უფრო დაბალია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონე, მით უფრო მაღალია ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის ხარისხი და პირიქით, რაც უფრო მაღალია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონე, მით უფრო გავრცელებულია მართვის, საბაზრო პრინციპები და მცირეა სახელმწიფოს უშუალო ჩარევა ეკონომიკაში. საბოლოო ანგარიშით, ასეთი ტენდენციები აისახება იმით, რომ განვითარებული ქვეყნებისთვის დამახასიათებელია ფეფქტიანი სახელმწიფო, ხოლო დაბალი განვითარების ქვეყნებისთვის—ექსპლუატატორული სახელმწიფო, ავტორიტარული, არადემოკრატიული მართვის სისტემით, კორუფციის მაღალი დონით, მოსახლეობის მცირე რაოდენობის ხელში სიმდიდრის დიდი კონცენტრაციით და მისი უდიდესი ნაწილის მასშტაბური სიღარიბით.

სახელმწიფოს ეკონომიკაში ჩარევის მინიმიზაციის მოთხოვნით ტრადიციულად ნეოკლასიკური, ნეოლიბერალური მიმდინარეობა გამოდის, მაშინ, როდესაც ასეთი ჩარევის აუცილებლობას კეინსიანისტური და ინსტიტუციური მიმართულებები ასაბუთებენ²⁵.

მაგრამ იმის გამო, რომ ნეოლიბერალური თეორია დღემდე მაინც

²⁵ იხ. Табовацев В. Государство и переходная экономика: пределы управляемости., 1997.

გაბატონებულია ეკონომიკურ მეცნიერებაში, რეფორმები პოსტსოციალისტური ქვეყნების უმრავლესობაში ნეოლიბერალების რეკომენდაციების საფუძველზე წარიმართა, ე.წ. „შოკური თერაპიის“ სქემით²⁶.

ასეთი სწრაფი რადიკალური რეფორმები პოსტსოციალისტური ქვეყნებისთვის საერთაშორისო სავალუტო ფონდთან შეთანხმებით შემუშავდა და განხორციელდა შემდეგი ძირითადი მიმართულებების მიხედვით: მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის მიღწევა ინფლაციის, სახელმწიფო ბიუჯეტის შემცირების, მკაცრი ფულად-საკრედიტო და საფინანსო პოლიტიკის, სოციალური დაცვის სისტემის შექმნის გზით; ეკონომიკის ლიბერალიზაცია ფასების გათავისუფლების, საპროცენტო განაკვეთის, ხელფასის, საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციის განხორციელებით; სტრუქტურული გარდაქმნები საკუთრების პრივატიზაციის საფუძველზე; ინსტიტუციური ტრანსფორმაცია საბაზრო ინფრასტრუქტურის, სამართლებრივი და მარეგულირებელი ინსტიტუტების ჩამოყალიბების მეშვეობით.

მაგრამ ბოლო პერიოდში გლობალიზაციისა და მეცნიერულ-ტექნოლოგიური რევოლუციის ზემოქმედებით ეკონომიკის განვითარებაში მომხდარ ცვლილებებთან დაკავშირებით სახელმწიფოს როლის შესახებ ახალი შეხედულებები მკვიდრდება, რაც ამ პრობლემაზე ნეოლიბერალური კონცეფციის ცვლილებებსაც იწვევს. ამ ცვლილებებიდან უნდა აღინიშნოს შემდეგი:

- * სოციალისტური ეკონომიკური სისტემის კრახი ევროპისა და აზიის ქვეყნებში და საბაზრო ეკონომიკის მშენებლობის პროცესი, დედამიწის ამ ნაწილში;

- * საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოების უმრავლესობაში ფინანსური კრიზისი;

სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი როლი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში, რომლებმაც ე.წ. „ეკონომიკური სასწაული“ მოახდინეს;

- * სახელმწიფოს როლის ამალება ქვეყნის კონკურენტუნარიანობის უზრუნველსაყოფად ინოვაციური განვითარების, განათლების, ეკოლოგიური და ინსტიტუციური მიმზიდველობის სტიმულირების გზით;

- * რიგი სახელმწიფოების დაშლა, განსაკუთრებული გარემოება, რისკების ზრდა ცალკეულ ქვეყნებში და მსოფლიოში საერთოდ²⁷.

ამ ტენდენციების მოქმედება გარდამავალი ეკონომიკის პირო-

26 იხ. Мильнер Б. Итоги и уроки. Вопросы экономики. № 9, 2003. с. 147-154.

27 იხ. Государство в меняющемся мире. Отчет о мировом развитии. 1997. Вашингтон, 1997. с. 1.

ბებშიც ძლიერდება. სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციების სისტემა გარდამავალი ეკონომიკის პირობებში, მათ შორის საქართველოშიც, ორ ჯგუფად იყოფა:

პირველი ჯგუფი მოიცავს – ფუნქციებს, რომლებსაც სახელმწიფო თანამედროვე საბაზრო ეკონომიკაში ტრადიციულად ასრულებს. ასეთი ფუნქციებია: მეურნე სუბიექტების ინსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძვლების უზრუნველყოფა – საკუთრების უფლებებისა და ფორმების, კონტრაქტების დადებისა და შესრულების პირობების, ბიზნეს-ურთიერთობების განსაზღვრა; საბაზრო ქცევის უარყოფითი ეფექტების ლიკვიდაცია და კომპენსაცია – სახელმწიფოს მიერ გარემოს დაცვა, ფუნდამენტური გამოკვლევების, განათლების სახელმწიფო სისტემის, სამედიცინო მომსახურების, სოციალური და სანარმოო ინფრასტრუქტურის უმნიშვნელოვანესი ობიექტების ორგანიზაცია და დაფინანსება; ეროვნული ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირებისთვის ხელშეწყობა – გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის პირობების უზრუნველყოფა, ციკლური რჩევების შესუსტება, სტრუქტურული გარდაქმნების განხორციელება.

მეორე ჯგუფის ფუნქციები – საბაზრო ურთიერთობების ფორმირებასთან არის დაკავშირებული: საბაზრო ეკონომიკის ადეკვატური სამეურნეო კანონმდებლობის შემუშავება; დემონოპოლიზაცია და კონკურენციის ნახალისება, სახელმწიფო საკუთრების პრივატიზაცია და კერძო სექტორის სტიმულირება²⁸.

ამგვარად, სახელმწიფოს როლი თანამედროვე ეკონომიკის რეგულირებაში გამორჩეულია. თავისი საქმიანობით იგი პირდაპირ ან ირიბად განსაზღვრავს ბაზრის უმნიშვნელოვანეს პარამეტრებს, მენარმეებისთვის აწესებს ორიენტირებს, აყალიბებს საერთო ეკონომიკურ და სამართლებრივ სივრცეს, ზღუდავს მეურნეობრიობისთვის საშიშ ტენდენციებს, ცდილობს უზრუნველყოს რესურსების ეფექტიანი განაწილება და გამოყენება, საფინანსო და ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, ეფექტიანობისა და მწარმოებლურობის ზრდის სტიმულები, წინსვლის მყარი ტემპები, რაციონალური სტრუქტურული გარდაქმნები. ეს იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო ყოველ მოცემულ მომენტში განსაზღვრავს იმ პირობებსა და გარემოს, რომლის ფარგლებშიც ბაზარი ფუნქციონირებს, ანუ ამ უკანასკნელის ხასიათი და ეფექტიანობა სახელმწიფოს მარეგულირებელ ფუნქციაზე დამოკიდებული. თუ სახელმწიფოს ეფექტიანობის ხარისხი მაღალია, ბაზარიც

²⁸ იხ. Экономика. Под ред. А.С. Булатова. М., 1999. с. 644-645.

²⁹ იხ. Горбачев М.С. и др. Гран глобализации. М., 2003. с. 161.

კონკურენტულია და მაღალი უკუგებით ხასიათდება, ხოლო არაეფექტიანი სახელმწიფოს პირობებში ბაზრებზე კონკურენციის ხარისხი სუსტია და შესაბამისად წარმოების ეფექტიანობაც დაბალია. განვითარებულ საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლა არაეფექტიანი სახელმწიფოს არსებობისას უბრალოდ შეუძლებელია. ამიტომ სახელმწიფოსა და ბაზრის დაპირისპირება თანამედროვე პირობებში არა მარტო უხეში თეორიული შეცდომაა, არამედ პრაქტიკულადაც დიდი ზიანის მომტანია. შემთხვევითი არ არის, რომ დღეს მრავალი ნამყვანი ნეოლიბერალი მეცნიერ-ეკონომისტი (ჯ. სტიგლიცი, ჯ. საქსი, პ. კრუგმანი და სხვები) მწვავედ აკრიტიკებს „ვაშინგტონის კონსენსუსის“ დოგმებს, საერთაშორისო სავალუტო ფონდის საქმიანობას, მონეტარულ პოლიტიკას, ეკონომიკის დარეგულირების, სახელმწიფოს სამეურნეო ფუნქციების შემცირების, დაჩქარებული პრივატიზაციის კონცეფციებს²⁹.

სახელმწიფოს როლის შემცირების შესახებ საუბარი, დღეს უკვე მიუღებელია. არ შეიძლება მისი გაიგივება ეკონომიკაში, სახელმწიფოს უშუალოდ ჩარევასთან, მის მენარმეობით საქმიანობასთან. ეს უკანასკნელი მართლაც მინიმუმამდე უნდა იქნას დაყვანილი, რათა მენარმეობა ჯანსაღ კონკურენტულ საფუძველზე განვითარდეს, მაგრამ სახელმწიფოს როლი ამ შემთხვევაშიც ძალიან მნიშვნელოვანია, ზემოთ დასახელებული ტენდენციების გამო. მთავარია არა სახელმწიფოს მარეგულირებელი ფუნქციის მინიმიზება, არამედ სახელმწიფოსა და ბაზრის შორის თანაფარდობის ოპტიმიზაცია, თითოეულს შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენება, წარმოების ეფექტიანობისა და ცხოვრების დონის ასამაღლებლად.

ასეთ თანაფარდობას ყველაზე უფრო განვითარებულ ქვეყნებში, არსებული ვითარება უახლოვდება. ამ ქვეყნების ეკონომიკა, ლიბერალიზაციის ყველაზე უფრო მაღალი ხარისხით გამოირჩევა, მაგრამ ამავე დროს სახელმწიფოს მარეგულირებელი ფუნქციის მნიშვნელობაც ძალიან მაღალია. სახელმწიფოს ეკონომიკური და სოციალური როლი, პირველ რიგში, ისეთი მაჩვენებლებით გამოიხატება, როგორებიც არის: სახელმწიფო საკუთრების სიდიდე და სახელმწიფო გასაწვლების წილი მთლიან შიდა პროდუქტში. აშშ-ში სახელმწიფო საკუთრება სუსტადაა დაკავშირებული სამეურნეო საქმიანობასთან, მაგრამ სამაგიეროდ სახელმწიფო გასაწვლები ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანეს მასტაბილიზებელ ფაქტორად გამოდის. სახელმწიფო გასაწვლების წილი მთლიან შიდა პროდუქტში მე-19 საუკუნის

²⁹ იხ. Горбачев М.С. и др. Глобализации. М., 2003. с. 161.

ბოლოს, საშუალოდ განვითარებული ქვეყნების ჯგუფში შეადგენდა 8, 3%-ს, მაშინ, როდესაც აშშ-ში იგი 15, 4% იყო. მე-20 საუკუნის 80-იან წლებში ეს მაჩვენებელი მონიწივე ქვეყნებში 42, 6% იყო და არც ერთ ქვეყანაში არ ჩამოსულა 30%-ზე დაბლა, ხოლო აშშ-ში 1993 წ. იგი 38, 7%-ს შეადგენდა³⁰.

აქედან მისი დიდი ნაწილი სოციალური დანიშნულებისაა. სპეციალისტების ექსპერტული შეფასებით, მომავალში ეს მაჩვენებელი დაახლოებით 50%-ის ფარგლებში იქნება.

აქედან ცხადია, რომ სახელმწიფო თანამედროვე პირობებში, არა მარტო ეკონომიკური ზრდის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, არამედ მთელი საზოგადოებრივი განვითარების საწინდარია.

მოუხედავად აღნიშნული ტენდენციებისა, საქართველოში ნეოლიბერალური მიდგომების ზეგავლენით, სახელმწიფოს ეკონომიკური როლის მინიმიზების კონცეფცია გაბატონდა. სწორედ ამის შედეგი იყო ის, რომ რეფორმების პერიოდში 2002 წლამდე სახელმწიფო ქონების მართვის მნიშვნელობა, ჩრდილში იყო მოქცეული და წინა პლანზე თეორიასა და პრაქტიკაში სახელმწიფო საკუთრების დაჩქარებული პრივატიზაციის პრობლემა იყო წამოწეული. მეორეს მხრივ, საქართველოს ეკონომიკის ინსტიტუციური მოწყობა, ეფექტიანი სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესი, პრივატიზაციის განხორციელება ქვეყნის გრძელვადიანი განვითარების ინტერესებსაც უნდა ითვალისწინებდეს.

ამგვარად, საქართველოში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, საბაზრო მეურნეობაზე გადასვლის, ინფორმაციული საზოგადოებისა და ცხოვრების მაღალი ხარისხის თანდათან დამკვიდრების ამოცანები, ეკონომიკის სახელმწიფო სექტორის რეგულირებისთვის, სახელმწიფო პოლიტიკის, ქონების მართვის და პრივატიზების ახალი მიზნების, პრინციპებისა და ღონისძიებების განსაზღვრის აუცილებლობას განაპირობებს. სახელმწიფო ქონების მართვის სტრატეგია სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია. იგი სახელმწიფო ქონების მართვის მიზნების, ამოცანების, პრინციპებისა და მათი რეალიზებისთვის საჭირო ღონისძიებების ერთობლიობას მოიცავს.

განვითარების თანამედროვე ეტაპზე სახელმწიფო ქონების მართვისა და პრივატიზების ახალი სტრატეგიის არსი ეკონომიკაში პოსტინდუსტრიული საზოგადოების შესაბამისი თვისებრივი გარდაქმნების სტიმულირებით გამოიხატება. მისი განხორციელების ერთ-ერთი უმ-

³⁰ იხ. Государство и рынок: американская модель. М., 1999.. с. 16.

ნიშვნელოვანესი შედეგი, სოციალური სამართლიანობისა და საბაზრო თანასწორობის მიღწევა უნდა იყოს³¹.

სახელმწიფო ქონების მართვის ძირითადი მიზანია: საქართველოს მდგრადი განვითარების, ეფექტიანი ეკონომიკის დაშვადრების, მოსახლეობის ცხოვრების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფისათვის ხელშეწყობა – ინტელექტუალური, ინოვაციური და ინვესტიციური საქმიანობის სტიმულირების საფუძველზე.

აქედან გამომდინარე, სახელმწიფო ქონების მართვის კონკრეტული მიზნებიდან მთავარია შემდეგი:

- * ბიუჯეტის შემოსაუღების გადიდება სახელმწიფო ქონების ეფექტიანი მართვის საფუძველზე;

- * საკუთრების სტრუქტურის ოპტიმიზაცია მაკრო, მეზო და მიკრო-დონეებზე სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის მყარი გრძელვადიანი წანამძღვრების უზრუნველსაყოფად;

- * სახელმწიფო საკუთრების ობიექტების მაქსიმალური რაოდენობის ჩართვა მართვის სრულყოფის პროცესში;

- * სახელმწიფო აქტივების გამოყენება ეკონომიკის რეალურ სექტორში ინვესტიციების მოზიდვისათვის და ფინანსური სფეროს ქარბად სპეკულაციური განვითარების თავიდან ასაცილებლად, რისკების შესამცირებლად, ეფექტიანი ანტიკრიზისული პოლიტიკის გასატარებლად;

- * სახელმწიფო ქონების გამოყენება უპირატესად ვაუჩერული, ინოვაციური ფირმების, მცირე და საშუალო ბიზნესის ინოვაციური სექტორის პრიორიტეტულად განვითარებისთვის;

- * კომერციული ორგანიზაციების კონკურენტ-უნარიანობის ამაღლება, მათი საქმიანობის საფინანსო-ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესება შიდა სტრუქტურული გარდაქმნის, არაეფექტიანი ფუნქციების ლიკვიდაციის საფუძველზე.

ამ მიზნების განხორციელებისათვის აღმასრულებელმა ხელისუფლებამ უნდა გადანეყიტოს შემდეგი ამოცანები:

- * სახელმწიფო საკუთრების ობიექტის სრული ინვენტარიზაცია, ამ ობიექტების აღრიცხვისა და შეფასების სისტემის შემუშავება განვითარების ახალი კრიტერიუმების შესაბამისად, მათზე უფლების გაფორმება;

- * სახელმწიფო ქონების მართვის ეფექტიანობის ამაღლება, თანამედროვე მეთოდების, ორგანიზაციული სრულყოფის, ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების, პროგრამულ-მიზნობრივი მიდგომის

³¹ იხ. პაპავა ვ. საბაზრო თანასწორობის დოქტრინა. თბილისი, სმკ, 1999 წ.

საფუძველზე, მართვის პროცესების დეტალური სამართლებრივი რეგლამენტაცია;

* სახელმწიფო საკუთრების ობიექტების კლასიფიკაცია მართვის სპეციფიკის განმსაზღვრელი ნიშნების მიხედვით – მსხვილი, საშუალო, მცირე სანარმოები, ლიბერალური, კორპორაციული, გარდამავალი ეკონომიკის ტიპის სანარმოები, ტრადიციული, კრეატიული ტიპის სანარმოები, ვერტიკალური და პორიზონტული მართვის სანარმოები და ა.შ.

* მართვის ობიექტების რაოდენობის ოპტიმიზაცია და ცალკეული ობიექტების მიხედვით, პროგრამულ-მიზნობრივ მართვაზე გადასვლა, მართვის თითოეული ობიექტის მიხედვით სახელმწიფო მართვის მიზნების განსაზღვრა;

* კომერციულ და არაკომერციულ ორგანიზაციებში, სახელმწიფოს უფლებების უზრუნველყოფა;

* კორუფციის, ჩრდილოვანი ეკონომიკის მინიმიზაცია, ამ მიზნით ქმედითი ინსტიტუციური და პოლიტიკური ღონისძიებების განხორციელება, სახელმწიფო სექტორებში მართვის გამჭვირვალე, დემოკრატიული სტილის დამკვიდრება;

* სახელმწიფო ქონების გამოყენებაზე კონტროლის უზრუნველყოფა;

კადრების მომზადებისა და გადამზადების ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება და განვითარება;

* სახელმწიფო ბიუჯეტში დამატებითი შემოსავლების მოზიდვის სტიმულირება სახელმწიფო ქონების მართვის ეფექტიანობის ამაღლებით, ახალი მენეჯმენტური, მარკეტინგული მეთოდების, ტექნოლოგიების ამაღლებით, პროდუქციის ცოდნის დანერგვით;

* სახელმწიფო ქონების კონკურენტუნარიანობის ამაღლება შიდა და საერთაშორისო ბაზრებზე.

აღნიშნული ამოცანების რეალიზაცია, ქვეყნის აღმასრულებელი ხელისუფლების ყველა ორგანოს საქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს და სახელმწიფო მართვის მუდმივი მონიტორინგისა და კონტროლის საგანია. ასეთი რეალიზაცია შესაძლებელია მხოლოდ სახელმწიფო ქონების მართვის შემდეგი პრინციპების განხორციელების საფუძველზე:

სახელმწიფო წილის შემცირება ქონების საერთო მოცულობაში – როგორც წესი, სახელმწიფო უფრო მომჭირნედ ახორციელებს ინვესტიციებს მის საკუთრებაში არსებულ სანარმოებში, ვიდრე კერძო სექტორი. ეს იმიტომ, რომ სახელმწიფოს სხვა საზოგადოებრივი დოვლათის უზრუნველყოფაც ევალება. ინვესტიციების შედარებითი

სიმცირე კი, სახელმწიფოს საწარმოების შედარებით სუსტ კონკურენტუნარიანობას განაპირობებს, რაც სახელმწიფო საკუთრებისადმი კრიტიკულ დამოკიდებულებასა და საბოლოო ანგარიშით ხშირად საწარმოს პრივატიზებას იწვევს, მაგრამ კერძო საკუთრების ბატონობის პირობებშიც კი, სახელმწიფო საკუთრება მაინც უდიდეს როლს ასრულებს ქვეყნის განვითარებაში;

სახელმწიფო საკუთრების მართვის კომპლექსურობა – გამოცდილება და სამომავლო განვითარების ტენდენციები გვიჩვენებს, რომ სახელმწიფო საკუთრებაში რჩება არამარტო ფინანსური და ინტელექტუალური რესურსების მნიშვნელოვანი ნაწილი, არამედ განათლების, ჯანმრთელობის, ენერგეტიკის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, ტელეკომუნიკაციების, ინფრასტრუქტურის, ინოვაციური სფეროს, ბუნებრივი რესურსების დიდი ნაწილი. სახელმწიფო სხვა ეკონომიკურ აგენტებთან შედარებით, მაინც უდიდეს მესაკუთრედ რჩება. ამიტომ სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა – არა მხოლოდ პრივატიზების, არამედ სახელმწიფოს საკუთრების კომპლექსური მართვის განხორციელება;

სახელმწიფოს ინტეგრირების დაცვა – სახელმწიფოს, საწარმოს საქმიანობაზე რეალური ზემოქმედების შესაძლებლობა უნდა პქონდეს. ამისათვის იგი საწარმოს მენეჯმენტისადმი განკარგულების გაცემის უფლებას უნდა ფლობდეს. კონტროლს სახელმწიფო საწარმოების მუშაობისადმი ახორციელებენ კვალიფიციური სპეციალისტები. ამასთან, სახელმწიფო ინტერესების რეალიზაცია არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საწარმოების საქმიანობის ხასიათსა და შედეგებს;

საწარმოების სახელმწიფო მართვის ორგანიზაცია – საწარმოები სახელმწიფო ქონებით სხვადასხვა ორგანიზაციული ფორმით არსებობენ: სახელმწიფო საწარმოები – როდესაც მის ქონებას სახელმწიფო 100%-ით ფლობს; საწარმოები – ნაწილობრივ სახელმწიფო წილით, საწარმოები – ნაწილობრივ მუნიციპალურ-სახელმწიფო-ბრივი წილით და საწარმოები – ნაწილობრივ მუნიციპალური წილით. შესაძლებელია შერეული საკუთრების სხვადასხვა ფორმა სახელმწიფო საკუთრების მონაწილეობით. სახელმწიფო საწარმოებისადმი კონტროლის ინსტრუმენტი, სამეთვალყურეო საბჭოები, კერძოდ, საწარმოების მენეჯერების დანიშვნისა და გათავისუფლების მექანიზმი;

სამეწარმეო კონცეფციების, ბიზნეს-გეგმების შემუშავება – საწარმოს მართვის უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტი სამეწარმეო კონცეფცია, ანუ ბიზნეს-გეგმა, სადაც მისი განვითარების მიმდინარე და სამომავლო შესაძლებლობებია განსაზღვრული. მიმდინარე და პერსპექტიული ბიზნეს-გეგმების შემუშავება და განხორციელება კოორ-

დინირებული უნდა იყოს სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინდიკატურ გეგმასთან;

საწარმოთა სტატისტიკური და ინფორმაციული ბაზის შექმნა – იგი დაკავშირებულია საკმაოდ დიდ ხარჯებთან, მაგრამ მისი უქონლობა საწარმოს, როგორც წესი, უფრო ძვირი უჯდება. გლობალიზაციისა და ინფორმატიზაციის პირობებში, სათანადო ინფორმაციული ბაზის გარეშე ვერც ერთი საწარმო ეფექტურად ვერ იფუნქციონირებს;

საწარმოთა ფინანსური, ინტელექტუალური, ტექნოლოგიური და პერსონალური უზრუნველყოფა – თანამედროვე პირობებში ბიზნესში წარმატებისათვის მთავარია კონკურენტუნარიანობის მაღალი დონის მიღწევა შიდა და საგარეო ბაზრებზე, რაც საწარმოების ფინანსურ, ინტელექტუალურ, ტექნოლოგიურ და პერსონალურ მზადყოფნას მოითხოვს. ამიტომ სახელმწიფო პოლიტიკა, უწინარეს ყოვლისა, ასეთი მზადყოფნის მიღწევას უნდა ემსახურებოდეს;

მართვის პრინციპების კონკრეტიზაცია – საწარმოთა მართვის პრინციპების რეალიზაცია მოითხოვს მათ კონკრეტიზაციას ყოველი ცალკეული საწარმოს მიმართ, შემდეგი თანმიმდევრობით:

- * არსებული მდგომარეობის ანალიზი, განვითარების ხელშეწყობილი და ხელშემწყობი ფაქტორების ჩვენებით;

- * მართვის მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრა;

- * მართვის მექანიზმის შერჩევა, ეკონომიკური ინსტრუმენტებისა და სამართლებრივი აქტების ჩათვლით, რომლებიც აუცილებელია საწარმოს მართვის ეფექტიანი მექანიზმის ამოქმედებისათვის;

- * მართვის ეფექტიანობის კონტროლი;

ამ პრინციპების განხორციელება საქართველოში, სახელმწიფო ქონების მაღალეფექტიანი მართვის აუცილებელი პირობაა.

2. 2. სახელმწიფო ქონების მართვის სამართლებრივი საფუძვლები, ორგანიზაციული სტრუქტურა და სანარმოთა რესტრუქტურიზაცია

სახელმწიფო ქონების მართვის ეფექტიანობა, პირველ რიგში, მისი სამართლებრივი, საკანონმდებლო უზრუნველყოფის ხარისხით განისაზღვრება. ეს იმიტომ, რომ სახელმწიფო და პრივატიზებულმა სანარმოებმა შეძლონ ერთმანეთთან კონკურენცია, ინდივიდუალური და სანარმოო მოთხოვნილებების სრულად დაკმაყოფილება. გარდამავალ პერიოდში უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტებიდან, სისტემებიდან და კანონებიდან უნდა დავასახელოთ შემდეგი:

- * კანონები, რომლებიც კერძო საკუთრების უფლებებს, ხელშეკრულებების რეგულირებას, კორპორაციული საკუთრების ორგანიზაციულ ფორმებს, გაკოტრების პროცედურებს განსაზღვრავენ;

- * საგადასახადო სისტემა, რომელიც მკაფიო ნებსებას და რაციონალურ განაკვეთებს ემყარება;

- * სხვა სისტემები და ინსტიტუტები, მათ შორის ჯანსაღი კონკურენციის, ანტიმონოპოლიური საქმიანობის, რესტრუქტურიზაციისა და საერთაშორისო ინტეგრაციის სფეროებში.

საკანონმდებლო უზრუნველყოფის თვალსაზრისით, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება შემდეგ კანონებს: მენარმეთა შესახებ კანონი, პრივატიზების შესახებ კანონი, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ კანონი, საკუთრების უფლების შესახებ კანონი, გირავნობის შესახებ კანონი, აუდიტორული საქმიანობის შესახებ კანონი, ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ კანონი, გაკოტრების შესახებ კანონი, საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ კანონი, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ კანონი და ა.შ.

საქართველოს კონსტიტუცია, მიღებული კანონები და სამთავრობო დადგენილებები, სახელმწიფო ქონების მართვის ფუნქციებს და ორგანიზაციულ სტრუქტურას მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავენ.

სახელმწიფო ქონების მართვა, შემდეგი ძირითადი ფუნქციების შესრულებას გულისხმობს:

- * ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობისთვის იმ სანარმოების, დარგების და სექტორების ფუნქციონირების უზრუნველყოფას, რომლებიც კერძო სექტორისთვის არ არის მიმზიდველი და მომგებიანია სხვადასხვა მიზეზით, მაგრამ აუცილებელია ქვეყნის მეურნეობისა და

მოსახლეობის მოთხოვნები დასაკმაყოფილებლად;

- * საწარმოთა პრივატიზების პროცესის მართვას;
- * მეურნეობის მუდმივ სტრუქტურულ განახლებას;
- * სახელმწიფო ბიუჯეტის შევსებას.

საერთაშორისო გამოცდილების შესწავლა გვიჩვენებს, რომ სახელმწიფო ქონების მართვა, ხორციელდება შემდეგი ძირითადი ორგანიზაციული ფორმების მიხედვით:

* პოლდინგების მიერ ცალკეულ დარგებში ან დარგთაშორის კომპლექსებში;

- * სპეციალიზებული სააგენტოების მიერ;
- * უშუალოდ სამინისტროების მიერ;
- * შერეული კომპლექსური სისტემის მეშვეობით.

ამასთან, მართვის ორგანიზაციული მონაცემი, როგორც წესი, ემყარება შემდეგ ძირითად პრინციპებს:

* წარმატებისთვის მთავარია, არა საკუთრების ფორმა თავისთავად, ან მისი იურიდიული სტატუსი, არამედ საწარმოებისთვის ფუნქციონირების ჯანსაღი გარემოს, პირობების, ინსტიტუციური ვითარების არსებობა. პირველ რიგში კონკურენტული გარემოს, ეფექტიანი მენეჯმენტის არსებობა;

* მართვის ცენტრალიზაციისა და დეცენტრალიზაციის შეხამება: ცენტრალიზებული მართვის უზრუნველყოფა სახელმწიფო ინტერესების განხორციელებისთვის, ხოლო მაქსიმალური დეცენტრალიზაციის უზრუნველყოფა საწარმოების კონკურენტულ გარემოში, ეფექტიანად ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად.

აქედან გამომდინარე, საქართველოშიც ქონების მართვის ორგანიზაციული სტრუქტურაც ამ კრიტერიუმებს უნდა ემყარებოდეს. ერთდროულად გათვალისწინებული უნდა იქნას ქვეყნის თავისებურებანი განვითარების დღევანდელ ეტაპზე და მისი რეალური სამომავლო ინტერესები, რომ ორგანიზაციული სტრუქტურა ხშირად არ საჭიროებდეს შეცვლას და ხანგრძლივი პერიოდის მოთხოვნებს აკმაყოფილებდეს.

საზღვარგარეთის გამოცდილების შესწავლა გვიჩვენებს, რომ განვითარებულ ქვეყნებში სახელმწიფო მართვაში უშუალო და გადამწყვეტ როლს ასრულებს – სახელმწიფო პოლდინგების ინსტიტუტი (იტალია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი, გერმანია და ა.შ.), გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში – სპეციალიზებული სააგენტოები, ან ფონდები (პოლონეთი, ჩეხეთი, სლოვაკეთი, აღმოსავლეთ გერმანია და სხვა), განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობაში – სამინისტროები, ხოლო ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში – სულ

უფრო მეტად ვრცელდება მართვის შერეული ორგანიზაციული სტრუქტურა, რადგანაც იგი უფრო შეესაბამება სწრაფად ცვალებად პირობებთან ადაპტაციის მოთხოვნებს.

იმისათვის, რომ უფრო დასაბუთებულად განვსაზღვროთ, საქართველოსთვის მისაღები, სახელმწიფო საწარმოების მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა, მიზანშეწონილია ზემოთ ჩამოთვლილი ფორმების შეფასება, ანუ მათი დადებითი და უარყოფითი თავისებურებების გათვალისწინება.

კერძოდ, სახელმწიფო პოლდინგების საფუძველზე მართვის დადებითი თავისებურებებიდან საყურადღებოა – შემთხვევა, როდესაც იქმნება მოთავე პოლდინგური კომპანია, სადაც, როგორც ნესი, სახელმწიფო ფლობს საკუთრებას 100%-ით, ან 51%-ით, ან საკონტროლო პაკეტს. მასში შედიან სხვა პოლდინგური კომპანიები, რომლებიც თავის მხრივ ფლობენ ცალკეულ იურიდიულად დამოუკიდებელ საწარმოებს. ეს იმას ნიშნავს, რომ პოლდინგი ხასიათდება დივერსიფიკაციით, მრავალდარგოვნობით, სადაც შედიან ბანკები, მრეწველობის, ტრანსპორტის, მშენებლობის, სოფლის მეურნეობის, მომსახურების სფეროს საწარმოები. დიდ ქვეყნებში მსხვილი მოთავე პოლდინგური კომპანიები რამდენიმე ათეულია, რომლებიც 100-130 საწარმოს განაგებენ. პოლდინგები და საწარმოები, როგორც იურიდიული პირები – თვითდაფინანსების პრინციპზე, ანუ დამოუკიდებელი ფუნქციონირებენ, მაგრამ მოგების ნაწილს სახელმწიფოს წილის შესაბამისად, ურიცხვავენ ბიუჯეტს და მისი წილის შესაბამისად – მოთავე პოლდინგს.

მოთავე პოლდინგი, თავის მხრივ – კანონით დაწესებული თანაფარდობით, მოგების ნაწილს გადაურიცხავს ბიუჯეტს, ნაწილს კი თავისი საქმიანობისთვის იტოვებს. მაგალითად, იტალიაში, დაწესებული იყო მოგების 65%-ის გადარიცხვა ბიუჯეტში, ხოლო 35% რჩებოდა მოთავე პოლდინგს. პოლდინგური მართვის დიდი უპირატესობა ის არის, რომ იგი, როგორც დამოუკიდებელი იურიდიული პირი, ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, სხვა სახელმწიფო ინსტიტუტებიდან და ორგანიზაციებიდან (ფონდები, კომპანიები, მუნიციპალიტეტები), მაგრამ ამასთან ერთად ფულადი ბაზრიდან, რადგანაც შეუძლია აიღოს კრედიტები ბანკებიდან, ინსტიტუციური ინვესტორებიდან, გამოუშვას საკუთარი აქციები და ობლიგაციები. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ შემთხვევაში სახელმწიფო ახორციელებს მხოლოდ ირიბ, არაპირდაპირ კონტროლს სახელმწიფო საწარმოების ფუნქციონირებაზე, პოლდინგები და მასში შემავალი საწარმოები, უპირატესად სააქციო საზოგადოებებია, ეს კი საშუალებას აძლევს მათ იმოქმედონ კონკურენტულ გარემოში, კერძო სექტორის საწარმოების ანალოგიურად. ამავე დროს

მოთავე პოლდინგი აკონტროლებს და წარმართავს პოლდინგებისა და საწარმოების საქმიანობას – არა ადმინისტრაციული მეთოდებით, არამედ კონკრეტული საბაზრო მექანიზმის მოთხოვნების შესაბამისად. იგი ამტკიცებს განვითარების სტრატეგიულ, საწარმოო და ფინანსურ გეგმებს, რომლებიც ინდიკატურ გეგმაში და ქვეყნის ბიუჯეტში აისახებულიან. საბიუჯეტო დაგეგმვა, წლიური, ხუთწლიანი და ათწლიანი ინდიკატური გეგმის ან სტრატეგიული გეგმის საფუძველზე საზღვარგარეთის ქვეყნებში ჩვეულებრივი მოვლენაა.

ამგვარად, ერთის მხრივ, პოლდინგური ორგანიზაცია უზრუნველყოფს ბიუჯეტში შემოსავლებს, მეორეს მხრივ – სახელმწიფო საწარმოების ფუნქციონირებასა და განვითარებას კონკრეტულ საბაზრო გარემოში, რაც აიძულებს მათ, მუდმივად იზრუნონ წარმოების სრულყოფაზე და მომგებიანობაზე.

პოლდინგების უარყოფითი თავისებურებებიდან უნდა აღინიშნოს შემდეგი: რადგანაც პოლდინგები დამოუკიდებლად და კონკრეტულ გარემოში ფუნქციონირებენ, თავისი ინტერესებიდან გამომდინარე, მათ შეუძლიათ მიიღონ ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც მოცემულ მომენტში შეიძლება სახელმწიფო ინტერესების საწინააღმდეგო იყოს. მაგალითად, რეგიონთა შორისი წყალსადენის მშენებლობის ნაცვლად, მათ ინვესტიციები შეიძლება რომელიმე მომგებიანი ბიზნესის განვითარებაში დააბანდონ. მეორეს მხრივ, მოთავე პოლდინგების საქმიანობის კოორდინაცია საჭიროა სტრატეგიული განვითარების თვალსაზრისით. ამიტომ ყველა შემთხვევაში პოლდინგების საქმიანობაზე სტრატეგიული კონტროლი სახელმწიფოს ქონების მართვის უწყების კომპეტენციაში უნდა შედიოდეს. ეს უნდა განხორციელდეს ფინანსური პასუხისმგებლობით უწყების წინაშე, იგი უნდა აკონტროლებდეს პოლდინგების მიერ საბიუჯეტო გეგმის შესრულებას, საერთოდ, მათი ფინანსური გეგმისა და სტრატეგიული განვითარების გეგმისადმი კონტროლს.

სააგენტოს საფუძველზე სახელმწიფო ქონების მართვის დადებითი თავისებურებებიდან საყურადღებოა შემდეგი: ამ შემთხვევაში ქონების მართვის სააგენტო იურიდიული პირია, ანუ ფინანსურად დამოუკიდებელია, მაგრამ არ არის სააქციო საზოგადოება, როგორც პოლდინგი. აქედან გამომდინარე, დადებითი მხარეა ის, რომ იგი სახელმწიფოს სახელით ფლობს წილს ან აქციებს სახელმწიფო საწარმოებში, რის საფუძველზეც მას შეუძლია მათი ფინანსური მხარდაჭერა, ტექნოლოგიური და ორგანიზაციული რესტრუქტურისა, ინვესტიციების განხორციელება, ვალების შემცირება, გაჯანსაღება ბაზართან ადაპტაციის მიზნით.

სააგენტო მოქმედებს, როგორც კომერციული კომპანია, მოგების პრინციპებზე და ახორციელებს მრეწველობის და სხვა დარგების რესტრუქტურირებას, იმ საწარმოების გაჯანსაღებას, რომელთა აქციონერი (მფლობელი) არის სააგენტო და რომლებზეც იგი ამ მიზნით სესხებს გასცემს. სააგენტო ახორციელებს:

- * ნილების, ან აქციების შეძენა-გაყიდვას;
- * დებიტორებისგან მისაღები თანხების კონვერტაციას მოვალეების ძირითად სამუალებებში, აქციებში;
- * სტრატეგიული ინვესტიორების მოძიებას იმ საწარმოებისთვის, რომლებშიც სააგენტოს ნილია;
- * საწარმოების ლიკვიდაციას აუცილებლობის შემთხვევაში;
- * სპეციალური ეკონომიკური ზონების მართვის თავისი წარმომადგენლობის მეშვეობით;
- * რეგიონული ინფრასტრუქტურის განვითარებას;
- * სხვადასხვა კომპანიებზე გარანტიების გაცემას.

აქედან ჩანს, რომ სააგენტოს ძირითადი ფუნქციაა – სახელმწიფო საწარმოების რესტრუქტურირება, ამ ფუნქციისგან სახელმწიფო უწყებების გათავისუფლება კომერციული საქმიანობის საფუძველზე.

სააგენტოს უარყოფითი თავისებურებებიდან აღსანიშნავია შემდეგი: სააგენტოს ფუნქციები და საქმიანობა ძალიან ჰგავს პოლდინგების საქმიანობას, მაგრამ მაინც იგი ამ უკანასკნელთან შედარებით მოუქნელი ფორმაა. ჯერ ერთი, სააგენტოს რაოდენობა შეზღუდულია, იგი მხოლოდ რამდენიმე შეიძლება იყოს, სხვადასხვა სფეროში, სულ 1-3. მეორე – სააგენტო არ არის სააქციო საზოგადოება, რის გამოც მისი საბაზრო მეურნეობაში ჩართვის შესაძლებლობები შეზღუდულია, რადგან მას არ შეუძლია თვითონ მოიძიოს დამატებითი ფინანსური სახსრები აქციებისა და ობლიგაციების გამოშვებით. თანამედროვე პირობებში კი, დაფინანსების ამ წყაროს, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. მართალია, ამის უფლება ცალკეულ საწარმოებს, სააგენტოში შესულ საზოგადოებებს აქვთ, მაგრამ ისინი არ არიან მაღალი ნდობის საწარმოები და მათი მონაწილეობაც ფინანსურ ბაზრებზე შეზღუდულია.

რაც შეეხება დარგობრივი სამინისტროს საფუძველზე სახელმწიფო ქონების მართვას, მისი დადებითი თავისებურებანი შემდეგნაირად გამოიყურება. სამინისტროს, მისი მაღალი მენეჯმენტის შემთხვევაში, შეუძლია აქტიურად და ეფექტიანად განახორციელოს ქვეყნის ინტერესები ქონების მართვის სფეროში, როგორც მოკლევადიან, ისე გრძელვადიან პერიოდში.

ამისათვის საჭიროა ქონების აქტიური მართვის პოლიტიკა, რაც გულისხმობს:

- სახელმწიფო საწარმოების სექტორის მართვის სტრატეგიული გეგმის შემუშავებასა და განხორციელებას, რაც ქვეყნის ინდიკატურ გეგმაში რეგულარულად უნდა აისახებოდეს;

- სახელმწიფო საწარმოების რესტრუქტურისაციის განხორციელებას ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით;

- პრივატიზების რეგულარულად განხორციელებას;

- ბიუჯეტის შევსებას, სახელმწიფო საწარმოების სექტორის მდგრად ფინანსურ განვითარებაზე გადასვლას.

მთავარია ის, რომ მას შეუძლია სწორი პოლიტიკის განხორციელების შემთხვევაში სახელმწიფო საწარმოების და მთლიანად სახელმწიფო სექტორის განვითარებისთვის ხელშეწყობა ქვეყნის ინტერესების შესაბამისად.

უარყოფითი თვისებებიდან უნდა აღინიშნოს ის, რომ სამინისტროს არ შეუძლია მარტო თვითონ ეფექტიანად გადაჭრას სახელმწიფო საწარმოების სექტორის დაფინანსების, ფუნქციონირებისა და განვითარების საკითხები, რადგანაც იგი სახელმწიფო სტრუქტურაა და თვითონ უშუალოდ ვერ შეასრულებს კომერციული ხასიათის ფუნქციებს, დამატებითი ფინანსური რესურსების მოზიდვას ფინანსური ბაზრებიდან და ა.შ. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ფუნქციების დამაკმაყოფილებლად შესრულება, მოითხოვს სამინისტროს ბიუროკრატიული აპარატის გადიდებას. რაც მთავარია, არაჯანსაღი ინსტიტუციური გარემოს პირობებში, მრავალრიცხოვანი ბიუროკრატიული აპარატის მქონე დარგობრივი მართვის სამინისტროს არსებობა კორუფციის, კრიმინალური გარიგების დიდ საფრთხეს შეიცავს.

ზემოთ განხორციელებული შედარებითი ანალიზი, აგრეთვე საქართველოს სპეციფიკის გათვალისწინება – რესტრუქტურისაციისთვის ფინანსური რესურსების სიმწირე, ეფექტიანი მესაკუთრის ჩამოყალიბების საჭიროება, ეკონომიკური ზრდის, სამუშაო ადგილების შექმნის ამოცანა, ბიუჯეტში სახელმწიფო საწარმოებიდან სახსრების მობილიზების პრობლემის მოგვარება, საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ შემდეგი:

- აუცილებელია ქონების მართვის შერეულ, კომპლექსურ ორგანიზაციულ სისტემაზე გადასვლა. ასეთი სისტემა გულისხმობს: სახელმწიფო ქონების ფუნქციონირებისა და განვითარების სფეროში სახელმწიფოს მაკოორდინებელი ფუნქციის განხორციელებას, ქონების მართვის სააგენტოს მიერ, ან ამ ფუნქციის ეკონომიკის სამინისტროსადმი გადაცემით;

- სახელმწიფო საწარმოების ფუნქციონირებას სააგენტოების, პოლდინგების შემადგენლობაში ან დამოუკიდებლად;

* აუცილებელია ეფექტიანი და პრევენციული კონტროლის განხორციელება, სახელმწიფო საწარმოების სექტორის ფუნქციონირებისადმი, რომელიც არა მარტო სააგენტომ, ან სამინისტრომ, არამედ აგრეთვე პარლამენტმა და მთავრობამაც უნდა განახორციელოს, სახელმწიფო სახსრების ეფექტიანი ხარჯვისა და სახელმწიფო საწარმოების კონკურენტულ გარემოში ჩართვის უზრუნველსაყოფად.

ქონების მართვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, საწარმოთა სტრუქტურული გარდაქმნა, ანუ რესტრუქტურიზაცია საშინაო და საგარეო ბაზრებზე, მათი კონკურენტუნარიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად. თუ საწარმო პრივატიზაციისთვის არ არის განკუთვნილი, მაშინ რესტრუქტურიზაცია შუალედურ ეტაპად ხორციელდება, რომელიც პრივატიზაციას წინ უსწრებს. სამწუხაროდ, საქართველოში პრივატიზაცია ხშირად რესტრუქტურიზაციამდე განხორციელდა, რადგანაც სტრუქტურული გარდაქმნისთვის, გაჯანსაღებისთვის საჭირო ინვესტიციები არ იყო. ამიტომ ამ პროცესს თან ახლდა მასობრივი უმუშევრობა, წარმოების მკვეთრი დაცემა, რამაც საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა გაახანგრძლივა და გაართულა. ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ხშირ შემთხვევაში რესტრუქტურიზაცია არასწორად იყო გაცნობიერებული და მასში ფაქტობრივად საწარმოს წერილ ერთეულებად დანაწევრებას გულისხმობდნენ, რომლებსაც კოლექტივის წევრები, ან მათი ხელმძღვანელები ეპატრონებოდნენ. ასეთი დანაწევრება ხელს უწყობდა საწარმოო აპარატის დაშლას, მის გაყიდვას ჯართის სახით, რაც არაერთხელ დაფიქსირდა ცალკეულ დარგებში, მათ შორის მსუბუქ და კვების მრეწველობაში, მანქანათმშენებლობაში, საყოფაცხოვრებო მომსახურებაში და ა.შ. ასეთი პროცესები იმას ადასტურებს, რომ რესტრუქტურიზაციის პროცესი, რეფორმების გატარების საწყისი ეტაპიდანვე კომპლექსურად არ იყო გააზრებული. მათ შორის დღემდე დაკნინებულია ინსტიტუციური გარემოს ჩამოყალიბების მნიშვნელობა, რომ შესაძლებელი გახდეს სამამულო და უცხოური ინვესტორების მოზიდვა საწარმოთა რესტრუქტურიზაციისა და პრივატიზაციის დროულად და ეფექტიანად განხორციელებისთვის.

კერძოდ, აუცილებელია საწარმოთა რესტრუქტურიზაციის მსოფლიოში გამოცდილი მეთოდების თანმიმდევრულად გამოყენება, რომლებსაც მსოფლიო ბანკი უწევს რეკომენდაციას სახელმწიფო საწარმოების სტრუქტურული გარდაქმნისას. ასეთი რეკომენდაციის ძირითადი ეტაპების თანმიმდევრობა შემდეგი თავისებურებებით ხასიათდება:

პრობლემის განსაზღვრა – საჭიროა საწარმოს მძიმე კრიზისული

მდგომარეობის, კონკრეტული მიზეზების ღრმა ანალიზი: გასაღების ბაზრის უქონლობა, ხარისხზე კონტროლის არარსებობა, კვალიფიციური სამუშაო ძალის სიმცირე, ძველი მონყობილობისა და ტექნოლოგიების არსებობა, მენეჯმენტის დაბალი ეფექტიანობა და ა.შ. ასეთი პრობლემები უამრავია და კონკრეტულ გადაწყვეტას მოითხოვს;

ლონისძიებების განხორციელება, ზარალთანაშორების შემცირების მიზნით – შესრულებული ანალიზის საფუძველზე საჭიროა ისეთი პრიორიტეტული ღონისძიებების განხორციელება, რომლებიც შედარებით უფრო დიდი ეფექტის მომტანი იქნება საწარმოსთვის. კერძოდ, უნდა განისაზღვროს საწარმოს ახალი საწარმოო პროგრამა, რომელი მიმართულებებით უნდა შეწყდეს საწარმოს საქმიანობა, რომელი უნდა განახლდეს, საქმიანობის რომელი ახალი სფეროები უნდა გაჩნდეს. შეიძლება საჭიროებდეს საწარმოს მენეჯმენტის გაძლიერება, ახალი სპეციალისტების დანიშვნა, რომლებსაც მენეჯმენტისა და წარმოების უფრო ეფექტიანი მეთოდების, ტექნოლოგიების განხორციელების უნარი აქვთ; ან პოლიტიკის კორექტირება ფასების, გადასახადების, საერთოდ კანონმდებლობის შეცვლასთან დაკავშირებით;

ზარალის განაწილება – იგი პრივატიზაციამდე უნდა განანილდეს, რომ არ გართულდეს ახალი მენეჯმენტის ამოცანები. რადგანაც ამ ეტაპზე ზარალისთვის პასუხისმგებელია სახელმწიფო, ამიტომ ეს უკანასკნელი ვალდებულია ამ ეტაპზე განსაზღვროს მისი დაფინანსების წესი;

საწარმოს მომგებიანობის უზრუნველყოფა – აუცილებელია, რომ საწარმოს ხელმძღვანელობამ რაც შეიძლება სწრაფად აღადგინოს მისი კონკურენტუნარიანობა და მომგებიანობა. შეიძლება ამისათვის საჭირო გახდეს არა მარტო ზარალიანი წარმოების ლიკვიდაცია, არამედ აგრეთვე დამატებითი ინვესტიციების განხორციელება და ახალი ტექნოლოგიების დანერგვა.

საწარმოთა რესტრუქტურისა და მუდმივი პროცესისა – ნორმალურ ვითარებაში მათი პრივატიზება სანაციის შემდეგ ხდება, მაგრამ ზოგჯერ იქმნება ვითარება, როდესაც სანაციამდე უნდა მოხდეს პრივატიზება. რეფორმის ერთ-ერთი მთავარი ნაკლი საწარმოთა რესტრუქტურისა და მუდმივი პროცესისა და სისტემური ცვლილებების პროგრამა ითვალისწინებდა საწარმოთა პრივატიზაციისა და რესტრუქტურისა და მუდმივი პროცესის განხორციელებას: საშუალო და მსხვილი საწარმოების პრივატიზებას 40%-მდე 1994 წელს, სახელმწიფოს სანაციური პოლიტიკის განსაზღვრას 1993-1994 წელს და ა.შ. რეფორმის პირველ ეტაპზე 1996 წლამდე წინა პლანზე

ფინანსური წონასწორობის პრობლემა წამოიწია საწარმოთა რესტრუქტურის რეორგანიზაციის მნიშვნელობის შეუთავსებლობის ფონზე, მაგრამ მომდევნო პერიოდში საწარმოთა რესტრუქტურის რეორგანიზაციის სერიოზული შედეგებია, დაგვიანება გაუმართლებელია. ამიტომ აუცილებელია სახელმწიფომ გაატაროს ქმედითი ინსტიტუციური და ფინანსური ღონისძიებანი რესტრუქტურის რეორგანიზაციის დროულად და მუდმივად განხორციელებისთვის.

პოსტსოციალისტური ქვეყნებისა და საქართველოს გამოცდილება გვიჩვენებს, რომ რესტრუქტურის რეორგანიზაციის მართვა მაჩვენებელთა შემდეგ სისტემას უნდა ემყარებოდეს: 1. რენტაბელობის დონე; 2. დადებითი ოპერაციული ნაკადი, ანუ საწარმოს გაყიდვის შედეგად მიღებულ შემოსავლებს გამოკლებული წარმოების ფუნქციონირების ღირებულება; 3. ოპერაციული ფულადი ნაკადი, ანუ მისი წილი პროცენტებში გაყიდვების მოცულობის მიმართ; 4. სამუშაო ძალის მწარმოებლურობა, რომელიც განისაზღვრება როგორც დამატებული ღირებულება, საწარმოო ფუნქციონირების ღირებულების გამოკლებით, ხელფასის გარეშე, გაყოფილი დახარჯული ადამიან-საათების რაოდენობაზე, ან მუშაკთა საერთო რაოდენობაზე; 5. თითოეული ფაქტორის – სამუშაო ძალის, მატერიალური რესურსების, კაპიტალის მწარმოებლურობა.

საწარმოთა რესტრუქტურის რეორგანიზაციის პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას, ამ მაჩვენებლების მოკლევადიანი, საშუალოვადიანი და გრძელვადიანი მართვა უნდა ედოს საფუძვლად. ამასთან, პრიორიტეტი უნდა მიეცეს საწარმოს კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფას, როგორც შიდა, ასევე მსოფლიო ბაზრებზე.

2. 3. სახელმწიფოს ნილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების მართვა

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით აღმასრულებელი ხელისუფლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა სახელმწიფო საწარმოებისა და დაწესებულებების მართვა. ისინი ახორციელებენ სამეურნეო საქმიანობას სახელმწიფო სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების მიზნით და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინდიკატური გეგმის შესაბამისად. სახელმწიფო დაწესებულებები ასრულებენ არაკომერციული ხასიათის ფუნქციებს. მათი დაფინანსება სრულიად ან ნაწილობრივ ხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

* სახელმწიფო საწარმოებისა და დაწესებულებების მართვის ძირითადი პრობლემაა მათი საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლება. ამისათვის კი საჭიროა შემდეგი ამოცანების გადაწყვეტა:

* სახელმწიფო ქონების ეფექტიანი ფუნქციონირებისა და განვითარების მიღწევა;

* დივიდენდების, საიჯარო ქირის, სპეც-სახსრების, კაპიტალური შემოსავლების ეფექტიანი მართვა;

* საწარმოთა რაოდენობის ოპტიმიზაცია;

* საწარმოთა საქმიანობაზე ეკონომიკური მონიტორინგისა და კონტროლის უზრუნველყოფა;

* კრედიტორული დავალიანებების დაფარვა, მათ შორის გადასახადების, აუცილებელი გადახდებისა და ხელფასის სფეროებში.

ამ ამოცანების რეალიზაცია გულისხმობს ისეთი კონკრეტული ღონისძიებების განხორციელებას, როგორიც არის:

* სახელმწიფო საწარმოების საქმიანობის ინსტიტუციურ უზრუნველყოფას, აუცილებელი საკანონმდებლო ბაზის მუდმივი სრულყოფის ჩათვლით;

* საწარმოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმებისა და რაოდენობის განსაზღვრას;

* საწარმოებისა და დაწესებულებების მიმდინარე და პერსპექტიული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამების შემუშავებასა და წარდგენას აღმასრულებელ ხელისუფლებაში, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინდიკატურ გეგმაში გათვალისწინებისთვის;

* საწარმოების საქმიანობისადმი კონტროლის გაძლიერებას, რაც

გულისხმობს: საწარმოების ხელმძღვანელთა დანიშვნას, კონკურსის საფუძველზე;

* მათი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისობაში მოყვანას;

* საწარმოებისა და დაწესებულებების საქმიანობის ამსახველი ერთიანი ინფორმაციულ-სტატისტიკური სისტემის შექმნასა და სრულყოფას, ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების პერიოდულ ანალიზს, მათ აუდიტორულ შემოწმებას, მოგების განაწილების პრინციპების დადგენას.

ანალიზი გვიჩვენებს, რომ სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების მართვა კარდინალურ სრულყოფას მოითხოვს. მთავარია არა მარტო ასეთი მართვის დაბალი შედეგიანობა, არამედ მისი გაუმჯობესების უკიდურესად ნელი ტემპი. ამასთან, აშკარად იკვეთება სამი ეტაპი: პირველ ეტაპზე – 1998 წლამდე ყურადღების ცენტრში იყო პრივატიზაციის განხორციელება და სახელმწიფოს წილების მართვა ფაქტობრივად უგულებელყოფილი იყო. მეორე ეტაპი – მოიცავს 1998-2001 წლების პერიოდს, როდესაც სახელმწიფოს წილების მართვის უფლება გადაეცა დარგობრივ სამინისტროებს, რაც გაუმართლებელი იყო, რადგანაც საბჭოთა პერიოდის სამინისტროების დაბრუნებისკენ გადადგმული ნაბიჯი იყო და რაიმე სერიოზული შედეგები საწარმოთა მომგებიანობის ამაღლების თვალსაზრისით ვერ იქნა მიღებული. უფრო მეტიც, ზოგიერთ შემთხვევაში მინისტრები შპს-ების და სააქციო საზოგადოების დირექტორებს, თათბირებზე იბარებდნენ. რის გამოც, სამინისტროებმა დაკარგეს მათი მთავარი ფუნქცია – პოლიტიკის გატარების ფუნქცია. მომდევნო მესამე ეტაპზე – როცა მათ მართვას, ქონების მართვის სამინისტრო ახორციელებდა, პრეზიდენტის 2002 წლის №40 ბრძანებულების „სახელმწიფო ქონების პრივატიზებისა და მართვის გაუმჯობესების ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საფუძველზე. სამინისტროს მიერ, ამ პერიოდში მეტად მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა:

1. მოხდა საინფორმაციო ბაზის დაზუსტება და პერმანენტული განახლება;

2. ნორმატიული და მეთოდოლოგიური ბაზის სრულყოფა;

3. საინფორმაციო ბაზის სიღრმისეული ანალიზი და კონკრეტული წინადადებების შემუშავება, ცალკეულ საწარმოებთან მიმართებაში;

4. საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების რეკომენდაციების შესრულების უზრუნველყოფა.

ხოლო სამინისტროს ლიკვიდაციის (რომელიც განხორციელდა ამ

სამინისტროს ხელმძღვანელობის უშუალო ინიციატივით) შემდეგ შექმნილი სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების მენეჯმენტს, ქონების მართვის სააგენტო ახორციელებს.

რეალური შედეგები შემდეგი მონაცემებით გამოიხატება: სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული საწარმოებიდან დივიდენდების სახით ბიუჯეტში ჩაირიცხა: 1996 წელს – 18 600 ლარი, 1997 წელს – 960 000 ლარი, 1998 წელს – 253 000 ლარი, 1999 წელს – 269 000 ლარი, 2000 წელს – 10 800 000 ლარი, 2001 წელს – 10 030 000 ლარი³².

მაგრამ დივიდენდებთან ერთად ეს საწარმოები, გადასახადებსაც იხდიდნენ. 2002 წელს ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების გეგმა (სპეციალური სახსრების გარეშე) შეადგენდა 773, 9 მლნ. ლარს. ფაქტიურად მიღებული იქნა 722, 6 მლნ. ლარი, გეგმა შესრულდა 93, 4%-ით. ამავე დროს საგადასახადო სამსახურების მიერ, ოფიციალურად რეგისტრირებული იყო 227 663 გადამხდელი, მათ შორის 70 383 იურიდიული, ხოლო 157 280 ფიზიკური პირი. გადამხდელთა ამ საერთო რაოდენობაში 1 800-მდე (აჭარის გარეშე) სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით, მოქმედი საწარმო იყო. მათ მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახადების სახით შეტანილმა თანხამ, დაახლოებით 103 მლნ. ლარი შეადგინა, რაც ფაქტიურად მიღებული მთელი საგადასახადო შემოსავლების 14%-ს შეადგენდა. ნიშანდობლივია ისიც, რომ 2002 წელს ერთი გადამხდელის მიერ ბიუჯეტში გადასახადების სახით გადახდილი იყო 3 174 ლარი, მაშინ, როდესაც კერძო სექტორში ეს მაჩვენებელი 2 745,0 ლარს შეადგენდა, ხოლო სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედ საწარმოებში – 56, 0-57, 0 ათას ლარს, რაც 17-ჯერ აღემატება მთლიან საშუალო მაჩვენებელს და 20-ჯერ და კიდევ უფრო მეტად კერძო სექტორის ანალოგიურ მაჩვენებელს. თუმცა გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოებანი, კერძოდ, ოფიციალურად რეგისტრირებული 227 663 გადამხდელიდან, რეალურად გადამხდელი სუბიექტების რაოდენობა ბევრად ნაკლები იყო. ისიც უნდა ითქვას, რომ გადასახადების აკრეფის პრობლემა იყო როგორც კერძო, ისე სახელმწიფო სექტორშიც. საკმარისია ითქვას, რომ სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების მთელი ერთობლიობიდან, ბიუჯეტში გადასახადების საერთო მოცულობის 95%-ზე მეტი 15 საწარმოზე მოდიოდა. მათ შორის შპს „საქართველოს რკინიგზაზე“ – 56, 7 მლნ. ლარი, ს.ს. „თბილისის საერთაშორისო აეროპორტი“ – 2,0 მლნ. ლარი, ს.ს. „საქართველოს ელექტროკავშირი“ – 12, 1 მლნ. ლარი, ს.ს. „თბილავიამშენი“ – 14, 1 მლნ. ლარი, შპს

³² იხ. საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს სტატისტიკური მასალები.

„საქართველოს ტელეკომი“ – 2, 6 მლნ. ლარი, ს.ს. „მადნეული“ – 5, 6 მლნ. ლარი და ა.შ.³³

მაგრამ ამავე დროს მოტანილი მონაცემები გვიჩვენებენ, რომ გადასახადების ამოღების დონე, უფრო მაღალი იყო სახელმწიფოს ნილობრივი მონაწილეობით მოქმედ საწარმოებში, ვიდრე კერძო სექტორში, თუმცა ამ სექტორში უდიდესი რეზერვები იყო, როგორც დივიდენდების, ასევე საგადასახადო შემოსავლების გადიდების თვალსაზრისით. საკმარისია აღინიშნოს, რომ სახელმწიფოს ნილობრივი მონაწილეობით მოქმედ საწარმოებში დაახლოებით 2, 5 მლრდ. ლარის ღირებულების ძირითადი საშუალებები იყო, რომელთა გამოყენების ეფექტიანობის ამაღლებით, შესაძლებელი იყო მკვეთრად გაზრდილიყო დივიდენდებისა და გადასახადების სახით სახელმწიფო ბიუჯეტში გადარიცხვები ამ საწარმოებიდან.

ამიტომ განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ქონების მართვის ლიკვიდაციის შემდეგ, სახელმწიფო საწარმოთა მართვის სააგენტოს შექმნას და მისი საქმიანობის უახლესი მენეჯმენტური მიღწევების საფუძველზე წარმართვას.

სააგენტოს ძირითადი მიზნებია:

- * საწარმოთა განვითარებისა და სახელმწიფო ბიუჯეტში დივიდენდების ამოღების თანაფარდობის ოპტიმიზაცია;

- * საწარმოში სახელმწიფო წილისა და აქციების მართვის კოორდინაცია და სრულყოფა;

- * საწარმოების შედეგობრივი მაჩვენებლების ზრდა;

- * საწარმოთა ქონების ლიკვიდურობის დონის ამაღლება და პრივატიზების დაჩქარება.³⁴

მიგვაჩნია, რომ ამ მიზნების შესაბამისად სააგენტოს საქმიანობის ძირითად მიმართულებებად უნდა განისაზღვროს:

- * არსებული ნორმატიული და მეთოდოლოგიური ბაზის სრულყოფა;

- * საინფორმაციო ბაზის შექმნა და მუდმივი განახლება;

- * აქციათა პაკეტების მართვა, საბაზრო ინფრასტრუქტურის განვითარებაში აქტიური მონაწილეობა;

- * მჭიდრო თანამშრომლობა აღმასრულებელ ხელისუფლებასთან, ფასიანი ქაღალდების სახელმწიფო კომისიასთან, სხვა მარეგულირებელ ორგანოებთან;

- * სახელმწიფო საწარმოებში არსებული ვითარების კონკრეტული

³³ იხ. საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს სტატისტიკური მასალები.

³⁴ იხ. სახელმწიფო საწარმოთა მართვის სააგენტოს დებულება.

ანალიზი და მათი ეფექტიანი ფუნქციონირების ღონისძიებების განხორციელება;

* კონტროლი წმინდა მოგების განაწილებაზე და მიღებული მიმდინარე და სტრატეგიული გადაწყვეტილებების შესრულებაზე.

წორმატიული და მეთოდოლოგიური ბაზის სრულყოფა, ცხადია, მუდმივი პროცესია, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ დღემდე სახელმწიფო სრულად ვერ იყენებს მოქმედი კანონმდებლობით, უწინარეს ყოვლისა, მენარმეთა შესახებ კანონით მინიჭებულ უფლებამოსილებებს, საწარმოთა მართვისა და წლიური ფინანსური შედეგების განაწილების სფეროებში. სწორედ ამით არის გამოწვეული, რომ სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების ხელმძღვანელობა, დღემდე ვერ ჩამოყალიბდა მაღალი დონის მენეჯმენტად და სოციალური პასუხისმგებლობის მქონე ფენად. ძალიან ხშირად ამ წრის წარმომადგენლები სახელმწიფო ქონებას პირადი კეთილდღეობისთვის იყენებენ და ვერ წყვეტენ საწარმოს განვითარების უმნიშვნელოვანეს პრობლემებს. არის შემთხვევები, როდესაც საკმაოდ მნიშვნელოვან თანხებს იხდიან მოგების გადასახადის სახით სახელმწიფო ბიუჯეტში ის საწარმოები, რომლებიც ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით ზარალობენ. ასეთ სააქციო საზოგადოებებს წმინდა მოგება, როგორც წესი, არა აქვთ. აქედან გამომდინარე, დგება სახელმწიფო წილების კერძო მფლობელზე გადაცემის აუცილებლობა³⁵.

სხვა პოსტსოციალისტური ქვეყნების გამოცდილებაც გვიჩვენებს, რომ საწარმოს ზარალიანობა ხშირად მენეჯმენტის მიერ ხელოვნურად ინიცირდება, პასიურობით, ეფექტიანობისადმი უყურადღებობით და ა.შ. ამიტომ არის, რომ მკვეთრად იმატა ზარალიანი საწარმოების რიცხვმა.

გადავხედოთ საწარმოთა 2002 წლის ანგარიშებს, რომლის ანალიზი შემდეგ სურათს იძლევა: საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 13 ივლისის №262 ბრძანებულების შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტში დივიდენდები უნდა ჩაერიცხა უშუალოდ ეკონომიკის სამინისტროს ან სხვა სახელმწიფო ორგანოების მიერ დაფუძნებულ საწარმოებს. ასეთი, 388 საწარმო იყო. მათგან 2002 წელს ბალანსი წარმოდგენილი ჰქონდა 302 საწარმოს, ხოლო ეს წელი მოგებით დაამთავრა 121 საწარმომ, წმინდა მოგების საერთო თანხამ 72, 8 მლნ. ლარი შეადგინა. აქედან შპს „საქართველოს რკინიგზაზე“ მოდიოდა 35, 8 მლნ. ლარი,

35 იხ. შერგულაშვილი თ., წარმანია დ., სახელმწიფო ქონების მართვა. — საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი. ბიულეტენი №44, 2000, გვ. 22.

ენერგეტიკის სანარმოებზე – 20, 2 მლნ. ლარი, შპს „საოკეანო სანაოსნო კომპანიაზე“ – 8, 0 მლნ. ლარი, ხოლო სხვა დანარჩენ სანარმოებზე – 8, 76 მლნ. ლარი. ამავე დროს ზარალით 2002 წელი დაამთავრა 137 სანარმომ, მიღებული ზარალის საერთო თანხამ კი 25, 4 მლნ. ლარი შეადგინა. 8 სანარმოს ბალანსით ნაჩვენები ჰქონდა ნეიტრალური შედეგი, ხოლო 36 სანარმო ვერ ფუნქციონირებდა სხვადასხვა მიზეზის გამო. მაშასადამე, ზარალიანი და არმომუშავე სანარმოების რიცხვმა 57% შეადგინა, რაც ძალიან მაღალი მაჩვენებელია და ჯერ კიდევ გამოუყენებელ რეზერვებზე, ამ სანარმოების რესტრუქტურ-იზაციის აუცილებლობაზე მიუთითებს³⁶.

ასეთ პირობებში საჭირო იყო ნორმატიული და მეთოდოლოგიური ბაზის სრულყოფა, რასაც საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება, ეკონომიკის სამინისტრო, იუსტიციის სამინისტრო და სანარმოთა მართვის სააგენტო ახორციელებდა. ამ პერიოდის ნორმატიული აქტებიდან უნდა აღინიშნოს საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 14 ივნისის №262 ბრძანებულება სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედ სანარმოებში. წმინდა მოგების განაწილებისას სახელმწიფოს ინტერესების დაცვისა და სახელმწიფოს კუთვნილი დივიდენდების ბიუჯეტში ამოღებისა და განაწილების მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ, აგრეთვე სხვა ნორმატიული აქტები სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილ სანარმოებში წარმომადგენლებთან ხელშეკრულების გაფორმების წესის შესახებ, სანარმოების ბალანსზე რიცხული ამორტიზებული და გამოუყენებელი ძირითადი საშუალებების განკარგვისა და გადაცემის წესის შესახებ და ა.შ.

სახელმწიფო ქონების მართვის ერთ-ერთ პრიორიტეტულ ამოცანას, მისი საინფორმაციო ბაზის სრულყოფა წარმოადგენს. ამ მხრივ უკვე მნიშვნელოვანი სამუშაოები შესრულდა, მაგრამ შესასრულებელი უფრო მეტია. აქ იგულისხმება არა მარტო საწყისი სტატისტიკური და სანარმოო-ფინანსური ინფორმაციით მართვის უზრუნველყოფა, არამედ ანალიტიკური ინფორმაციის მომზადება ეფექტიანი გადან-ყვეტილებების მისაღებად.

არსებული ინფორმაციით 2002 წლისთვის, საქართველოში სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით ფუნქციონირებდა დაახლოებით 1 700-მდე სანარმო, მათ შორის 388 დაფუძნებული იყო უშუალოდ ყოფილი სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს მიერ, ხოლო 1 400-მდე სანარმო ამავე სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების,

36 იხ. საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს სტატისტიკური მასალები.

ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოების მიერ. საწარმოთა დაახლოებით 80% დაფუძნებულია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებების, ხოლო დანარჩენი 20% – სააქციო საზოგადოებების სახით.

სახელმწიფოს ნილობრივი მონაწილეობით, მოქმედ საწარმოებში ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ქონების მართვის სააგენტოს მიერ უნდა განისაზღვროს ასეთი მონაწილეობის მიზანი და ამ მიზნის მიღწევის საშუალებანი.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფოს კუთვნილი წილები და აქციითა პაკეტები საკონკურსო საფუძველზე, სამართავად შეიძლება გადაეცეს კერძო კომპანიებს. კონკურსში გამარჯვებულ კომპანიასთან ფორმდება მართვის ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს მმართველის პასუხისმგებლობას, ანგარიშების წესს, კონტროლის ფორმებს, საქმიანობის შეფასების კრიტერიუმებს, სანქციებს – ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობისთვის, მართვის ხელშეკრულების შეწყვეტის წესსა და პირობებს.

სააგენტოს საქმიანობის ეფექტიანობა, მისი მენეჯმენტის ხარისხზე დამოკიდებული. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება მისი ძალისხმევის კონცენტრაციას შემდეგი მიმართულებებით:

- სახელმწიფოს ნილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების რაოდენობის ოპტიმიზაცია და მათი ნაწილის გადაცემა ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოებისთვის სამართავად;

- სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის დაჩქარება;

- წლების მანძილზე ზარალიანი და უპერსპექტივო საწარმოების ლიკვიდაცია, გაკოტრება და რეორგანიზაცია;

პერსპექტიული საწარმოების რესტრუქტურისაცია და მაქსიმალურად ხელშეწყობა. ამასთან, საწარმოთა მართვის გაუმჯობესებისთვის მიზანშეწონილია მათი ორ ჯგუფად კლასიფიკაცია: პირველ ჯგუფში – საჭიროა იმ საწარმოების თავმოყრა, რომელთა პრივატიზაცია შეზღუდულია ან აკრძალულია მოქმედი კანონმდებლობით და საწარმოები, რომლებიც განსაკუთრებული ფუნქციით და საქმიანობით გამოირჩევიან, ხოლო მეორე ჯგუფში – იმ საწარმოებისა, რომელთა პრივატიზაცია შეზღუდული არ არის და აქედან გამომდინარე სახელმწიფო მართვაში დროებით არიან. ასეთი დაჯგუფება სახელმწიფო საწარმოების მართვის მიზნებისა და მექანიზმების დახვეწისა და ეფექტიანობის ამაღლების საშუალებას იძლევა.

უალრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება საწარმოთა ბიზნეს-გეგმების შემუშავებასა და განხორციელებას, მათ მიერ მარკეტინგული, ტექ-

ნოლოგიური, კონკურენტული, საგარეო-ეკონომიკური, ფინანსური სტრატეგიის განხორციელებას, ანტიკრიზისული მართვის დაუფლებას, რადგანაც სხვანაირად წარმატების მიღწევა გლობალიზაციის და რისკების გამრავლების პირობებში შეუძლებელია”.

უნდა ამაღლდეს სააგენტოს კონტროლის ხარისხი საწარმოთა ფინანსურ მდგომარეობაზე, ანგარიშგებაზე. ვგულისხმობთ არა მარტო ფინანსური ანგარიშგების რეგულარულად წარდგენას სააგენტოში, არამედ იმასაც, რომ ხშირად მთელი რიგი საწარმოების ბალანსები შესრულებულია არაკვალიფიციურად, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების დარღვევით. სააგენტომ კვალიფიციური დახმარება უნდა გაუწიოს საწარმოებს ბუღალტრული აღრიცხვის მოწესრიგებაში, ბიზნეს-გეგმების შემუშავებასა და განხორციელებაში, მისი მენეჯმენტის ეფექტიანობის ამაღლებაში.

საწარმოთა წმინდა მოგების ოპტიმალური განაწილება სააგენტოს, როგორც პარტნიორის, ერთ-ერთი უპირველესი ფუნქციაა. მოქმედი კანონმდებლობით დივიდენდები სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედ საწარმოთა წმინდა მოგებიდან სახელმწიფო ბიუჯეტის ერთ-ერთ შემოსავალს წარმოადგენს. ამიტომ ეს პარამეტრი ყოველწლიურად განისაზღვრება და ბიუჯეტის შესახებ კანონპროექტის დამტკიცების შემდეგ კანონის ძალას იძენს.

როგორც უკვე აღინიშნა, დივიდენდების გეგმიური პარამეტრი სახელმწიფო ბიუჯეტში წლიდან-წლამდე იზრდებოდა, თუმცა მისი ზრდის დიდი რეზერვებიც არსებობდა. მაგრამ ბიუჯეტში ამ სახსრების აკუმულაცია უდიდეს ყურადღებას მოითხოვს. კერძოდ, საჭიროა ბიუჯეტში დივიდენდების სახით მისაღები შემოსავლების პროგნოზირების ხარისხის მკვეთრი ამაღლება. ამ პარამეტრის განსაზღვრისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ ვიღებთ რა გადაწყვეტილებას საწარმოს წმინდა მოგების ნაწილის ბიუჯეტში დივიდენდების სახით მიმართვაზე, ამით ვუმცირებთ მას ინვესტიციების დაფინანსების წყაროს და საცესებით შესაძლებელია, რომ პერსპექტივაში სახელმწიფოს უფრო მეტი შემოსავლები დავაკარგეინოთ.

ამიტომ ყოველი კონკრეტული გადაწყვეტილების მიღების დროს, აუცილებელია სახელმწიფოსა და საწარმოს მიმდინარე და გრძელვადიანი ეკონომიკური ინტერესების დაბალანსება, დივიდენდების სახით ბიუჯეტში მისაღები შემოსავლების გეგმიური პარამეტრის ისეთნაირად განსაზღვრა, რომ მისი შესრულება არ გახდეს პრობლემა-

37 იხ. Жданов С.А. Механизмы экономического управления предприятию М., 2002; Анстова М.Д. Реструктуризация предприятий: вопросы управления. М., 2002.

ტური და ასევე ხელოვნურად არ შევამცირით ბიუჯეტში გადასახადებით ამოსაღები თანხების მოცულობა.

უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საწარმოებში სახელმწიფოს წარმომადგენლის ინსტიტუტის მუშაობის სრულყოფას. სამეთვალყურეო საბჭოს წევრი არ არის სამეურნეო მუშაკი. იგი საწარმოში სახელმწიფოს პოლიტიკის გამტარებელია. ამიტომ დაუშვებელია მისი უშუალოდ აღმასრულებელი დირექციების ფუნქციებში ჩარევა, ან პასიურობა და აღმასრულებელი დირექციის ზეგავლენის ქვეშ მოქცევა. ორივე უკიდურესობა მიუღებელია. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ვალდებული არიან, კარგად ერკვეოდნენ არა მარტო მოქმედ კანონმდებლობაში, არამედ აგრეთვე საწარმოებისა და დარგის პრობლემებში, სახელმწიფო ქონების მართვის სტრატეგიაში და საერთოდ ქვეყნის ეკონომიკურ და ფინანსურ პრობლემებშიც.

სახელმწიფოს ნილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების მართვის სფეროში მომხდარმა საკანონმდებლო ცვლილებებმა, გარკვეული ასახვა გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ საქართველოს კანონშიც კპოვა კერძოდ, საწარმოთა მართვის სააგენტოს მიეცა სრული უფლება, მონაწილეობა მიიღოს საწარმოს გაკოტრებისა თუ რეაბილიტაციის მმართველების შერჩევაში, სარეაბილიტაციო პროგრამების შემუშავებასა და განხორციელების მონიტორინგში, პოტენციურ ინვესტორებთან და კრედიტორებთან ურთიერთობებში და ა.შ.

ძალიან სერიოზული საკითხი იყო და რჩება საწარმოთა კრედიტორული დავალიანების გამო, კრედიტორების მხრიდან მისი ქონების დაყადაღების, აუქციონის წესით ამ ქონების რეალიზაციისა და მიღებული შემოსავლებით კრედიტორის გასტუმრების არსებული წესი. ასეთმა ქმედებებმა სახელმწიფოს ნილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების მიმართ, საგადასახადო სამსახურების მხრიდან მასიური ხასიათი მიიღო. ერთი შეხედვით, აქ ყველაფერი თითქოს მისაღებია, სახელმწიფო ნაწილობრივ იკმაყოფილებს ფისკალურ ინტერესს, მაგრამ არ შეიძლება ანგარიში არ გავუწიოთ იმასაც, რომ ეს ფაქტობრივად ხდება სახელმწიფო ქონების განიავების ხარჯზე, რადგანაც სახელმწიფო ქონება იყიდება ძალიან დაბალ ფასებში. ასეთი ქმედებებით ხშირად სტიმულირდება წინასწარ შემუშავებული სქემების რეალიზაცია, სახელმწიფო ქონების ფარული პრივატიზაცია, მაშინ როდესაც ქვეყნის აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ შესაძლებელია გამოინახოს სახელმწიფო ქონების ბევრად უფრო ეფექტიანი გამოყენების მიმართულებები.

ბევრ საწარმოს ბიუჯეტის მიმართ გააჩნია, მნიშვნელოვანი ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანება, მაგრამ ეს არ უნდა გახდეს

მათი ქონების მასიურად დაყადაღებისა და უკიდურესად დაბალი ფასით გაყიდვის საფუძველი. საჭიროა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, საწარმოთა მძიმე ფინანსური მდგომარეობის მიზეზების და შესაძლებლობების მიუკერძოებელი შეფასება და მხოლოდ ამის საფუძველზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღება, სახელმწიფო სტრატეგიული ინტერესების გათვალისწინებით.

ისიც გასათვალისწინებელია, რომ საწარმოთა მიერ წარმოდგენილ ბალანსებზე თანდართული აუდიტორული დასკვნები, ხშირად არაფრის მთქმელია და ბალანსში ასახული ციფრების დადასტურებას წარმოადგენს. ამკარად ჩანს ხოლმე, რომ ზოგჯერ აუდიტორული კომპანიები მოქცეულია საწარმოთა ხელმძღვანელების ზეგავლენის ქვეშ და თავისი დასკვნებით ობიექტური ინფორმაციის მონოდებას კი არა, არამედ საწარმოთა ხელმძღვანელობის ქმედების მიზანშეწონილობისა და კანონიერების დასაბუთებას ემსახურება. ამიტომ აუდიტორული კომპანიების შერჩევა უნდა მოხდეს ტენდერების მეშვეობით უცხოური და ქართული აუდიტორული კომპანიების მონაწილეობით.

ამგვარად, სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებში მართვის ეფექტიანობის გადიდებისთვის, აუცილებელია როგორც ინსტიტუციური ფაქტორების მაქსიმალური უკუგებით გამოყენება, ისე მენეჯმენტის ხარისხის და პირადი პასუხისმგებლობის ამაღლება. კერძოდ, პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს:

- * საწარმოთა მართვის სააგენტოს საქმიანობის რაციონალიზაციას;
- * სახელმწიფო საწარმოების იგივე სამართლებრივ სივრცეში მოქცევას, როგორშიც კერძო საწარმოები მოქმედებენ;
- * მათ ჩამოყალიბებას უპირატესად სააქციო საზოგადოებად, რომლებიც უფრო მეტი გამჭვირვალობით ხასიათდებიან აქციონერებისა და საზოგადოებისთვის;
- * სამეთვალყურეო საბჭოების ქმედითუნარიანობის გაძლიერებას;
- * მენეჯერებისა და დირექტორების კვალიფიკაციისა და პასუხისმგებლობის ამაღლებას;

* თანამედროვე მენეჯმენტისა და ტექნოლოგიების დანერგვას.

არასახარბიელო მდგომარეობა იყო სახელმწიფო ქონების იჯარით გადაცემის შედეგად, თანხების ამოღების თვალსაზრისით, როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ ბოუჯეტში. ამას სტატისტიკური მონაცემებიც ადასტურებს: საქართველოს პარლამენტის სპეციალური დროებითი კომისიის მასალებიდან ირკვევა, რომ 1999 წლის მდგომარეობით, სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს და მისი ტერიტორიული ორგანოების მიერ იჯარა-გამოსყიდვის ფორმით გაცემული იყო 1691 ობიექტი, მათ შორის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს მიერ – 95

ობიექტი. 1999 წლის განმავლობაში, ქონების მართვის სამინისტროს მიერ, იჯარით გაცემული ობიექტებიდან შემოსულმა საიჯარო ქირამ შეადგინა 120 ათასი ლარი, ხოლო სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების მიერ, იჯარით გაცემული ობიექტებიდან – 738 ათასი ლარი, ჯამში 858 ათასი ლარი. ამავე დროს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს მიერ იჯარა-გამოსყიდვის უფლებით გაცემული ობიექტებიდან შემოსულმა საიჯარო ქირამ შეადგინა 258 ათასი ლარი, ხოლო მისი ტერიტორიული ორგანოების მიერ იჯარა-გამოსყიდვის უფლებით გაცემული ობიექტებიდან – 910 ათასი ლარი, ჯამში 1, 168 მლნ. ლარი. სულ 1991 წლის განმავლობაში, სახელმწიფო ქონების იჯარით, მათ შორის გამოსყიდვის უფლებით გაცემის შედეგად შემოსულმა საიჯარო ქირამ, შეადგინა 2, 026 მლნ. ლარი, ანუ ერთ ობიექტზე 1 192 ლარი, რაც უკიდურესად დაბალი მაჩვენებელია³⁸.

აქედან ჩანს, რომ არა მარტო სახელმწიფო ქონების აღრიცხვა იყო მოუწესრიგებელი, არამედ დღემდე გაბატონებულია სრული უპასუხისმგებლობა მისი მართვისადმი, სახელმწიფო შენობა-ნაგებობების, საწარმოების ფართობების გაცემა ოფიციალურად მიზერულ თანხებში ხდება და ამავე დროს სისტემური ხასიათი აქვს მოიჯარის მიერ ბიუჯეტის კუთვნილი თანხების გადაუხდელობას. ამისათვის საჭიროა, სახელმწიფომ განახორციელოს გაფორმებული კონტრაქტების მკაცრი მონიტორინგი, საჭიროების შემთხვევაში რეალური ნიხრის საფუძველზე მათი ხელახალი გაფორმება.

მოუხედავად ამისა, უნდა აღმოიფხვრას ისეთი ვითარება, როდესაც არ არსებობს უძრავი ქონების საბაზრო შეფასების სისტემა, გამოყენების მკაფიო წესები, რაც იწვევს მისი ღირებულების, რენტის შემოსავლების შემცირებას, წარმოშობს კორუფციას, რადგანაც სახელმწიფო იძლევა ქონებას არენდაში საბაზროსთან შედარებით გაცილებით უფრო მცირე განაკვეთებით. მოუწესრიგებელია სახელმწიფო მიწების აღრიცხვის, შეფასების, დაცვის საკითხები, მისი გამოყენება წარმოების ტერიტორიული ინტენსიფიკაციის და სახელმწიფო უსაფრთხოების თვალსაზრისით. აუცილებელია დაუმთავრებელი მშენებლობის სამეურნეო ბრუნვაში ჩართვა.

ასევე მნიშვნელოვანია სპეც-სახსრების საკითხი. იგი შედგება საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით დანესებული სხვადასხვა მოსაკრებლებისგან და გადასახადებისგან, რომელთა აკუმულირებას ახდენენ სახელმწიფო ორგანიზაციები: სამინისტროები,

³⁸ იხ. საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს სტატისტიკური მასალები.

დეპარტამენტები, სამმართველოები, მათ მიერ გაწეული მომსახურების ასანაზღაურებლად, მაგრამ რეალურად ეს ფულადი სახსრები წლების განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებში და გასაღებში არ აისახებოდა, პარლამენტის კონტროლის მიღმა რჩებოდა, რაც იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო სტრუქტურები ფაქტიურად ორმაგ ბუღალტერიას, ორმაგ ბალანსს ანარმოებდნენ, მსგავსად ჩრდილოვანი ეკონომიკისა კერძო სექტორში. პარლამენტი კი, ამტკიცებდა სახელმწიფო ორგანოების ხარჯებს ისე, რომ წარმოდგენაც კი არ ჰქონდა მათ ნამდვილ შემოსავლებზე და გასაღებზე, თუმცა ეს თანხები საკმაოდ სოლიდურია და დაახლოებით 100 მლნ. ლარის ფარგლებში მერყეობდა. ყველაზე საგანგაშო მდგომარეობა ამ მხრივ იყო უმაღლეს სასწავლებლებში, მეცნიერებათა აკადემიის დაწესებულებებში, რომლებიც ყოველგვარი შეთანხმების გარეშე აქირავებდნენ ფართებს, შენობებს მიწურულ ფასებში. ხშირ შემთხვევაში ეს ფართები მათი საკუთრება ხდებოდა.

აქედან გამომდინარე, ცხადია, არ შეიძლება ქვეყანაში ლეგალური და არალეგალური ბიუჯეტის არსებობა, სპეც-სახსრების ზუსტი აღრიცხვისა და პროგნოზირების უგულებლყოფა. ეს თანხები აუცილებლად სრული მოცულობით უნდა აისახებოდეს ბიუჯეტში და მხოლოდ ამ უკანასკნელის მეშვეობით, შემდეგ უნდა წარიმართებოდეს სამინისტროებისა და დეპარტამენტის საქმიანობისთვის, მათ შორის პერსონალის მატერიალური ნახალისებისთვის, ოფისის ხარჯებისთვის, მივლინებებისთვის და ა.შ.

სახელმწიფო ქონების მართვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა კაპიტალური შემოსავლების მართვა, ანუ პრივატიზაციიდან მიღებული შემოსავლების ფისკალური ეფექტების მიღება, მაგრამ მისი დინამიკა და თავისებურებანი პრივატიზაციის პროცესის განუყოფელი ნაწილია, ამიტომ მას მომდევნო თავში პრივატიზაციის შედეგების კონტექსტში განვიხილავთ.

თავი III

პრივატიზაციის შედეგები და პერსპექტივები საქართველოში

საქართველოში, პრივატიზაციის სახელმწიფო სტრატეგიის შეფასებისთვის, საჭიროა განვიხილოთ მისი მიზნები, ამოცანები, ეტაპები, განხორციელების მეთოდები, ინსტიტუციური საფუძვლები, დინამიკის თავისებურებანი, მიღებული შედეგები და პერსპექტივები.



3. 1. პრივატიზაციის მიზნები, ეტაპები და მეთოდები

პრივატიზაციის მიზნების განსაზღვრა თვითონ მისი დეფინიციის თავისებურებას ეყრდნობა. ეს უკანასკნელი კი, როგორც დასავლურ, ასევე გარდამავალი ეკონომიკის თეორიაში შეიძლება ვიწრო გაგებით, ან შედარებით უფრო ფართო გაგებით იქნეს წარმოდგენილი: ვიწრო გაგებით პრივატიზაცია მის ოპერატიულ, გამოყენებით, ტექნოლოგიურ, პრაქტიკულ მნიშვნელობას, ანუ საკუთრების ნივთობრივ შინაარსს, ბუნებრივ – სამართლებრივ მხარეს გულისხმობს. ამ შემთხვევაში პრივატიზაცია – სახელმწიფო საწარმოების აქტივების, ქონების გაყიდვის პროცესს წარმოადგენს კერძო სექტორისადმი, ფიზიკური ან არასახელმწიფო იურიდიული პირებისადმი. ასეთი პრივატიზაცია, სახელმწიფო საწარმოების განსახელმწიფოებრიობასაც მოიცავს, როდესაც სახელმწიფო ქონება, იჯარის, არენდის, ხელშეკრულების საფუძველზე ხდება სახელმწიფო საწარმოს მართვის მოდელის შეცვლა ქონებრივი უფლების გაუცხოების გარეშე, როგორც ნესი, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სააქციო საზოგადოების, ან შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ჩამოყალიბების გზით. საწარმოს მესაკუთრე არ იცვლება, იგი კვლავ სახელმწიფო საკუთრებაში რჩება, მაგრამ ხდება მისი საქმიანობის კომერციონალიზაცია, ჩართვა საბაზრო-კონკურენტულ ურთიერთობებში.

ფართო გაგებით პრივატიზაცია – სისტემური ხასიათისაა, როდესაც სახელმწიფო უარს ამბობს საკუთრებითი ურთიერთობების სუბიექტის ფუნქციაზე, საბაზრო-კონკურენტული მეურნეობის პირობებში და შესაბამისად ერთდროულად მცირდება მისი შესაძლებლობები საკუთრების უფლების ეკონომიკური რეალიზაციის სფეროში. მაშასადამე, პრივატიზაცია ფართო გაგებით გულისხმობს, არა მხოლოდ სახელმწიფო აქტივების, საწარმოების გაყიდვას, არამედ აგრეთვე ეკონომიკის დეტალიზაციას, დარეგულირებას, ახალი ეკონომიკური, სამართლებრივი ინსტიტუციური სტრუქტურების ჩამოყალიბებას, რომელთა გარეშე კერძო საკუთრების ინსტიტუტის ფუნქციონირება და განვითარება საერთოდ შეუძლებელია. იგულისხმება, პირველ რიგში, კერძო სექტორის, საბაზრო ინფრასტრუქტურისა და ცალკეული ბაზრების ჩამოყალიბება³⁹.

³⁹ იხ. Радыгин А.К. Теория приватизации в переходной экономике. Вопросы экономики, №12, 1995, с.63–64.

ამასთან, ობიექტურად ყალიბდება პრივატიზაციის ორი ტიპი: პირველი – აქტივების პრივატიზაცია, რომელიც გამოწვეულია დაბალკონკურენტულობის სახელმწიფო საწარმოების აქტივების სტიქიური გაყიდვის პროცესებით, რაც მუდმივად ხდება საბაზრო ეკონომიკის პირობებში, განსაკუთრებით მცირე და საშუალო ბიზნესის სფეროში. პრივატიზაციის ამ ტიპს ზოგჯერ ბუნებრივი, ორგანული პრივატიზაციის ტიპს უწოდებენ⁴⁰.

ამ შემთხვევაში პრივატიზაცია კერძო სექტორის ქაოსურ განვითარებას იწვევს, სახელმწიფო სექტორი სპონტანურად მცირდება, ხოლო კერძო სექტორი, ასევე სპონტანურად ფართოვდება, ანუ პრივატიზაცია არ ხორციელდება ფართო სახელმწიფო საპრივატიზაციო გეგმებისა და პროგრამების საფუძველზე. თუმცა სტაბილიზაციისა და ლიბერალიზაციის სახელმწიფო პოლიტიკის ხასიათი, რესტრუქციული საბიუჯეტო და ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, აძლიერებს კონკურენციას და სუსტი სახელმწიფო საწარმოების პრივატიზაციას ასტიმულირებს. მაშასადამე, პრივატიზაციის ეს ტიპი, უპირატესად სახელმწიფოს მაკროეკონომიკური და მიკროეკონომიკური პოლიტიკით გამოწვეული გარემოს ზემოქმედებით რეალიზდება. თავისი ბუნებით იგი ევოლუციური პრივატიზაციის გამოხატულებაა.

რაც შეეხება პრივატიზაციის მეორე ტიპს – იგი ტრანსფორმაციული პრივატიზაციის ტიპია, რომელიც სახელმწიფო საწარმოების მიზნობრივად ოფიციალური გეგმებისა და პროგრამების საფუძველზე განხორციელებულ პრივატიზაციას გულისხმობს. ასეთი ტიპი, უფრო მეტად პოსტსოციალისტურ ქვეყნებშია გავრცელებული, თუმცა პერიოდულად განვითარებულ ქვეყნებშიც გვხვდება, როგორც ეს იყო დასავლეთ ევროპის ქვეყნებში 50-60-იან წლებში, ან აშშ-ში და დიდ ბრიტანეთში 80-იან წლებში⁴¹.

ეს ტიპი როგორც ევოლუციურად, ასევე სწრაფად, რადიკალურად შეიძლება განხორციელდეს. პრივატიზაციის შეფერხება იმას იწვევს, რომ არაეფექტიანი სახელმწიფო საწარმოების შენახვა, ბიუჯეტის ხარჯზე ხდება, რაც საბოლოო ანგარიშში, ზრდის შენელებასაც იწვევს.

პრივატიზაციის სპონტანური და მართვადი ტიპები, ერთმანეთთან თააარსებობენ, თუმცა პერიოდულად შეიძლება რომელიმე მათგანი იყოს გაბატონებული. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ პირველი ტიპის პრივატიზაციის მასშტაბები ზოგჯერ ძალიან შეზღუდულია, მაშინ როდესაც მართვადი ტიპის – შედარებით მასშტაბურია და მსხვილი

40 იხ. Бальцерович Л. Социализм, капитализм, трансформация. М., 1999. с. 203–206

41 იხ. Бруно М. Глубокие кризисы и реформа. Вопросы экономики, №2, 1997, с. 23–25.

ეკონომიკური ტრანსფორმაციის პირობებში ხორციელდება. ორივე ტიპი ობიექტურად აყალიბებენ პრივატიზაციის ფუნდამენტურ მიზნებს, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია შემდეგი:

- * საბაზრო ეკონომიკის შესაბამისი საკუთრებით ურთიერთობათა სისტემის ჩამოყალიბებისა და კვლავწარმოების უზრუნველყოფა;

- * საბაზრო ინსტიტუტების, მექანიზმების, ინფრასტრუქტურის დამკვიდრებისთვის ხელშეწყობა;

- * ეკონომიკის სახელმწიფო, კერძო და ახლად პრივატიზებულ სექტორებს შორის თანაფარდობის ოპტიმიზაციის მიღწევა;

- * საბაზრო-კონკურენტული მოტივაციური მექანიზმის დამკვიდრება წარმოების ეფექტიანობის ამაღლების საფუძველზე სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად;

- * პოლიტიკური დემოკრატიის დამკვიდრებისთვის ეკონომიკური პირობების მომზადება;

- * სოციალური თანასწორობისთვის, ახალი სოციალური ფენების ჩამოყალიბებისთვის, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებისთვის პირობების შექმნა;

- * სახელმწიფო ბიუჯეტში შემოსავლების ზრდისთვის ხელშეწყობა.

აქედან გამომდინარე, პრივატიზაციის შეფასება, ამ მიზნების განხორციელების ხარისხის საფუძველზე უნდა მოხდეს. მათი რეალიზაცია, ცხადია, ეტაპობრივად ხდება. პირველ ეტაპზე – ხელისუფლების ინიციატივისა და საკანონმდებლო აქტების საფუძველზე, პირველად პრივატიზაცია უპირატესად ხორციელდება მცირე და საშუალო ბიზნესის სფეროში. ამ ეტაპზე გარდამავალი ეკონომიკებისთვის მთავარია კერძო საწარმოების რაოდენობის „კრიტიკული მასის“ მიღწევა სოციალისტური ეკონომიკური ურთიერთობების დემონტაჟისთვის და საბაზრო ინსტიტუტების, კონკრეტული ურთიერთობების დასამკვიდრებლად. ანალიზი გვიჩვენებს, რომ ეს ეტაპი საქართველოში მოიცავს 1992-1996 წლების პერიოდს, როდესაც მასობრივი პრივატიზაცია ძირითადად განხორციელდა და კერძო სექტორის წილმა, ქვეყნის მთლიან, შიდა პროდუქტში 50%-ს გადააჭარბა. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ პერიოდში უკვე მოხდა თვისობრივი ძვრები საბაზრო ინსტიტუტებისა და ურთიერთობების დამკვიდრების თვალსაზრისით.

მეორე ეტაპისთვის დამახასიათებელია – მცირე პრივატიზაციის დამთავრება და დიდი პრივატიზაციის განხორციელება, საკუთრების უფლებების ინტენსიური გადანაწილების პროცესი, ამ უკანასკნელში სახელმწიფოს ქაოსური ჩარევის დასრულება და მართვადი პრივატიზაციის წინა პლანზე წამოწევა. ამ ეტაპის დამთავრების კრიტერიუმი, კერძო საკუთრების უპირატესობის პირობებში, საკუთრების პლუ-

რალური სისტემის ჩამოყალიბება, მისი სტაბილიზაცია, საბაზრო სტრუქტურების საბოლოოდ დამკვიდრება, მათი თვითგანვითარების, კვლავწარმოების მექანიზმის სრულად ამოქმედება. ეს ეტაპი საქართველოში დაიწყო 1997 წლიდან, დიდ პრივატიზაციაზე გადასვლით და სხვადასხვა მიზეზით შეფერხებების გამო დღესაც გრძელდება.

მესამე ეტაპისთვის დამახასიათებელი იქნება:

- * საკუთრების ახალი ურთიერთობების სრულფასოვანი ეკონომიკური რეალიზაცია, რასაც სისტემური გარდაქმნების ყველა სხვა ელემენტის დასრულება განსაზღვრავს;

- * ამ ურთიერთობების სტაბილური კვლავწარმოება საბაზრო მეურნეობის სისტემის და ახალი ინსტიტუციურ-სამართლებრივი გარემოს საფუძველზე.

სწორედ ამ ეტაპმა უნდა უზრუნველყოს საქართველოს საბაზრო ეკონომიკის მაღალი ეფექტიანობა, კონკურენტუნარიანობა და ჩართვა საერთაშორისო ინტეგრაციულ პროცესებში.

პრივატიზაციის ცალკეული ეტაპის ხასიათი, მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს, როგორც მის ტემპს, სიჩქარეს, ისე მეთოდებს. როგორც წესი, ორგანული, ქაოსური პრივატიზაცია, ნელი ტემპით მიმდინარეობს, მაშინ, როდესაც ტრანსფორმაციული სისტემური, მართვადი პრივატიზაციისთვის დამახასიათებელია, როგორც მაღალი, ისე შედარებით დაბალი ტემპი, გამომდინარე ქვეყანაში არსებული ვითარებიდან და სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის თავისებურებებიდან. საერთოდ, მცირე და საშუალო ბიზნესის სფეროში პრივატიზაცია შედარებით უფრო უმტკივნეულოდ და სწრაფად ხორციელდება, მსხვილი ბიზნესის სფეროში კი, იგი გაცილებით უფრო ხანგრძლივ პერიოდს მოითხოვს, მაგრამ პრივატიზაციის ტემპები ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განისაზღვრება სახელმწიფო სექტორის შემცირებისა და კერძო სექტორის ზრდის ტემპით. მეორეს მხრივ, პრივატიზაციის ტემპი თვითმიზანი არ არის. იგი ყოველთვის მიბმულია წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის მიზნებთან.

მაშასადამე, პრივატიზაციის ტემპი ორგანულ კავშირშია, ერთის მხრივ, სახელმწიფო სექტორის, კერძო სექტორის და ფორმირებადი პრივატიზებული საწარმოების სექტორის თანაფარდობის ოპტიმიზაციის პროცესთან, ხოლო, მეორეს მხრივ, ეფექტიანობისა და ეკონომიკური ზრდის ტემპთან.

აქედან გამომდინარე, თეორიულად და პრაქტიკულად მთავარია განისაზღვროს პრივატიზაციის ის ტემპი, რომელიც ხელს შეუწყობს აღნიშნული თანაფარდობის ოპტიმიზაციას და ეფექტიანობისა და

ეკონომიკური ზრდის მაქსიმიზაციას.

ეკონომიკური განვითარების გამოცდილება, მათ შორის გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ წარმოების მაღალი ეფექტიანობით, ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპებით გამოირჩევიან, პირველ რიგში, ის ქვეყნები, რომლებიც კერძო სექტორის მაღალი ხვედრითი წილით, მენარმეობის რეჟიმის ლიბერალიზაციით, კონკურენტული ბაზრებით და განვითარებულ სახელმწიფოებს წარმოადგენენ⁴².

მაგრამ კერძო სექტორის ჩამოყალიბება ხდება ორი გზით: პირველი გზა არის – კერძო საწარმოების შექმნა თვითონ კერძო მესაკუთრეების მიერ, ქვეყანაში მენარმეობის ლიბერალური რეჟიმის, საბაზრო ინფრასტრუქტურისა და სახელმწიფოს, სწორი ეკონომიკური პოლიტიკის არსებობისას. მეორე გზა არის – სახელმწიფო საწარმოების პრივატიზაციის პროცესი. პირველის უპირატესობა არის ის, რომ ამ შემთხვევაში საწარმოებს ნამდვილი მესაკუთრენი აყალიბებენ და ისინი არ არიან დამძიმებული სოციალისტური საწარმოებისთვის დამახასიათებელი სტრუქტურული და მენეჯმენტური სიძნელეებით. კერძო სექტორის განვითარება, სწორედ ასეთი საწარმოების ჩამოყალიბების ნახალისებითა და ხელშეწყობით უნდა ხდებოდეს და სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სტრატეგიად უნდა გადაიქცეს. გასათვალისწინებელია, რომ ამისათვის, როგორც წესი, საკმარისი კაპიტალი არ არსებობს. ამიტომ რეალურია ამ მიმართულების მხოლოდ მცირე და საშუალო ბიზნესის სფეროში რეალიზაცია, რომლებშიც წარმოება შედარებით მცირე კაპიტალტევადია. ეკონომიკის სტაბილიზაციისა და ლიბერალიზაციის სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება, პირველ რიგში, კერძო მცირე და საშუალო საწარმოების ჩამოყალიბებასა და განვითარებას უნდა ასტიმულირებდეს. მაგრამ როგორც წესი, საკმარისი კაპიტალი არ არსებობს. ამიტომ რეალურია ამ მიმართულების მხოლოდ მცირე და საშუალო ბიზნესის სფეროში რეალიზაცია, რომლებშიც წარმოება შედარებით მცირე კაპიტალტევადია. ეკონომიკის სტაბილიზაციისა და ლიბერალიზაციის სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება, პირველ რიგში, კერძო მცირე და საშუალო საწარმოების ჩამოყალიბებასა და განვითარებას უნდა ასტიმულირებდეს. მაგრამ როგორც წესი, მართკომ ამ გზით კერძო სექტორის ჩამოყალიბება ათწლეულობით ახანგრძლივებს ამ პროცესს, შედეგად საბაზრო-კონკურენტულ სისტემაზე

⁴² იხ. Фишер С., Сахин Р., Бег К. Стабилизация и рост в переходных экономиках: первые уроки. Вопросы экономики, №5, 1997, с. 19-39.

გადასვლაც გვიანდება, რაც სოციალურ-ეკონომიკური ჩამორჩენილობის გაგრძელებას იწვევს. ასეთ ვითარებაში გამოსავალი არის ერთდროულად სახელმწიფო სანარმოების პრივატიზაციის განხორციელება. თუ ეს უკანასკნელი ხორციელდება ნელი ტემპით, მაშინ კერძო სექტორის ჩამოყალიბებაც გახანგრძლივდება, რაც ეფექტიანობის ამღლებას, ეკონომიკურ ზრდასა და მოსახლეობის ცხოვრების დონის გადიდებას, მნიშვნელოვნად აფერხებს.

მაშასადამე, სწრაფი, ტრანსფორმაციული პრივატიზაციის მიზანშეწონილობა ეჭვს არ იწვევს, მაგრამ კონკრეტულად მისი ტემპი ცალკეული ქვეყნის თავისებურებებითა და შერჩეული მეთოდებით განისაზღვრება.

ქვეყნის თავისებურებებში იგულისხმება, უწინარეს ყოვლისა, საბაზრო გარდაქმნების სასტარტო პირობები: სახელმწიფო სექტორის მოცულობა, ფინანსური ბაზრების არსებობა, ინფლაციის დონე, ცხოვრების დონე, კვალიფიციური კადრების არსებობა, სოციალური და სანარმოო ინფრასტრუქტურის განვითარების დონე, მსოფლიო მეურნეობაში ინტეგრაციის ხარისხი, ქვეყნის სიდიდე, შიდა ბაზრის მოცულობა და ა.შ. ქვეყნები, რომლებიც უკეთესი სასტარტო პირობებით ხასიათდებიან, პრივატიზაციის პროცესს შედარებით უფრო სწრაფად და ნაკლები სოციალური ფასით ახორციელებენ, მაგრამ მაინც გადამწყვეტი მნიშვნელობა, ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნების პოლიტიკის ხარისხსა და პრივატიზაციის მეთოდების შერჩევასა და მათ ეფექტურ გამოყენებას ენიჭება.

✓ პრივატიზაციის მეთოდებიდან გამოიყოფა ტრადიციული და არატრადიციული, ეკვივალენტური და არაეკვივალენტური მეთოდები. ტრადიციული მეთოდები დიდი ხანია დამახასიათებელია განვითარებული ქვეყნებისთვის. ამ დროს ხდება სახელმწიფო სანარმოების აქტივების ნაწილობრივად ან მთლიანად გაყიდვა კერძო სექტორისადმი. არატრადიციული პრივატიზაცია კი, გულისხმობს სახელმწიფო სანარმოების მასობრივ გაყიდვას, უფასო ან კვაზი უფასო პრივატიზაციის სხვადასხვა ფორმას. ტრადიციული პრივატიზაციისთვის დამახასიათებელია ნელი ტემპი, ამიტომ ამ დროს არ ხდება მისი სანარმოო აპარატისა და მწარმოებლურობის გაუარესება, რის გამოც წარმოების მნიშვნელოვან შემცირებასაც არა აქვს ადგილი. მაგრამ საერთო ჯამში, ტრადიციული პრივატიზაციის დონის სახელმწიფო სექტორი დიდი ხნის განმავლობაში ინარჩუნებს გაბატონებულ მდგომარეობას ეკონომიკაში და არაეფექტიანი სახელმწიფოს პირობებში, ასეთი ვითარება ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვან შემაფერხებელ ფაქტორად გამოდის. ამიტომ ტრანსფორმაციული პრივა-

ტიზაციისას, როდესაც საჭიროა კერძო სექტორის სწრაფი განვითარება, როგორც წესი, გამოიყენება არატრადიციული, ანუ სახელმწიფოს მიერ მართვადი მასშტაბური პრივატიზაციის მეთოდები.

ექვივალენტურ პრივატიზაციას მიეკუთვნება ფულადი პრივატიზაცია, ანუ სახელმწიფო საწარმოების გაყიდვა სხვადასხვა კერძო ინვესტორისადმი. ასეთი პრივატიზაცია პრიორიტეტული იყო: უნგრეთში, აღმოსავლეთ გერმანიაში, ჩეხოსლოვაკიაში 1995 წლიდან, დამხმარე ხასიათს ატარებდა სლოვენიაში და ხორვატიაში. პრივატიზაციის ასეთ მეთოდს ახასიათებს შემდეგი უპირატესობანი: გაყიდვის შედეგად მნიშვნელოვანი შემოსავლების მიღება; რეალური შესაკუთრების ჩამოყალიბება, რომლებსაც აქვთ ცოდნა და სურვილი საწარმოების ეფექტიანი მართვისთვის, აგრეთვე საჭირო კაპიტალი ყოფილი სახელმწიფო საწარმოების რესტრუქტურისაციისთვის. მაგრამ პოსტსოციალისტურ ქვეყნებში ამ მეთოდის გამოყენება მაინც შეზღუდული აღმოჩნდა. სამაჟულო ინვესტორებს ხშირ შემთხვევაში არ აღმოაჩნდათ საკმარისი კაპიტალი პრივატიზაციის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. უცხოური კაპიტალი პოსტსოციალისტური ქვეყნების უმრავლესობაში, განსაკუთრებით პოსტსაბჭოთა სივრცეში, ინვესტირებას ბოლო დრომდე მცირე მასშტაბებით ახორციელებს. ცხადი გახდა, რომ პირდაპირი გაყიდვა, როგორც პრივატიზაციის მეთოდი, მხოლოდ ბაზრის განვითარებული ინსტიტუტების არსებობის პირობებშია წარმატებული.

ასე, მაგალითად, 1990-1994 წლებში, ხუთი წლის განმავლობაში უნგრეთში გაიყიდა სახელმწიფო აქტივების მხოლოდ ერთი მესამედი. ბულგარეთი, პოლონეთი, რუმინეთი შეეცადა ამ მეთოდის გამოყენებას პრივატიზაციის საწყის ეტაპზე, მაგრამ შედეგი ძალიან შეზღუდული იყო. გარეშე ინვესტორებისთვის საწარმოების უმრავლესობის მიყიდვა შეძლო მხოლოდ აღმოსავლეთ გერმანიამ, ისიც სამუშაო ადგილების უდიდესი ნაწილის შემცირებისა და დასავლეთ გერმანიის მასშტაბური ტექნიკური და ფინანსური დახმარების პირობებში. სხვა ქვეყნებმა, რომლებსაც არ ჰქონდათ ასეთი ეკონომიკური დახმარება, მიაღწიეს ამ მეთოდის შედარებით ფართოდ გამოყენებას მხოლოდ მას შემდეგ, რაც მათ უარი თქვენ თავის კონტროლზე ეკონომიკის საბაზო დარგებზე, სტრატეგიულ საწარმოებზე და ბუნებრივ მონოპოლიებზე.

პრივატიზაციის არაექვივალენტურ ფორმებს განეკუთვნება: უფასო მასობრივი პრივატიზაცია (სლოვენია, იუგოსლავია, ბულგარეთი); შეღავათები შრომით კოლექტივებს – აქციების ყიდვისას ფასის შემცირება, მუშაობის სტაჟის გათვალისწინება, გადახდის გადავადება (ბულგარეთში); რესტიტუცია და კომპენსაცია – თავდაპირველ ეტაპზე გამოიყენებოდა ბულგარეთში, ჩეხეთში, მაგრამ მცირე მასშტაბით.

რეფორმების სანყის ეტაპზე ყველა პოსტსოციალისტურ ქვეყანაში გაბატონებული იყო შეხედულება, რომ პრივატიზაცია განხორციელდებოდა 2-3 წელიწადში. მაგრამ სულ მალე ცხადი გახდა, რომ ეს ასე არ მოხდებოდა. ამიტომ ყველგან მიღებულ იქნა და განხორციელდა პრივატიზაციის სპეციალური პროგრამები, ანუ პრივატიზაცია მართვადი ფორმით გატარდა. ამასთან, პრივატიზაციის წარმატებით განხორციელებას საფუძვლად დაედო კაპიტალის დაგროვების, მათ შორის უცხოური ინვესტიციების მოზიდვის და პრივატიზაციის ტემპების, ფორმებისა და მეთოდების მკაცრი ურთიერთდამოკიდებულების პრინციპის რეალიზაცია. ის ქვეყნები, რომლებიც ამ პრინციპს მაღალ ხარისხში ახორციელებდნენ, პრივატიზაციის მაღალი უკუგებით და ეკონომიკური ზრდის დაჩქარებით გამოირჩეოდნენ.

ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ყველა ქვეყანაში გამოყენებული იყო პრივატიზაციის კომბინირებული მეთოდები, ექვივალენტური და არაექვივალენტური მეთოდების შერეული სქემები, სახელმწიფო საწარმოების კერძო საწარმოებად გარდაქმნის პროცესში. ამასთან, შედარებით უფრო სწრაფად და ეფექტიანად განხორციელდა მცირე პრივატიზაცია. ვაჭრობის საზოგადოებრივი კვების, მომსახურების სფეროს საწარმოები გაიყიდა ნაღდ ფულზე მომხმარებლების ინტერესების გათვალისწინებით. მყიდველი ვალდებული იყო, ობიექტების სპეციალიზაცია მინიმუმ 2 წლით მაინც შეენარჩუნებინა. ამ პირობის დარღვევისთვის გათვალისწინებული იყო მაღალი ჯარიმა. ერთდროულად მყიდველს არ შეეძლო ობიექტის გაყიდვა უცხოეთის მოქალაქეზე 2 წლის განმავლობაში.

მსხვილი საწარმოების პრივატიზაცია კი, ყველა ქვეყანაში სერიოზულ პრობლემებს წააწყდა, რაც მოულოდნელი იყო. მასთან დაკავშირებული ამოცანები და წინააღმდეგობები იმდენად რთული აღმოჩნდა, რომ მათი პრივატიზაცია, წინასწარ დასახულ გეგმებთან შედარებით, ყველგან მნიშვნელოვნად გახანგრძლივდა. საწარმოები უმრავლეს შემთხვევაში არ პასუხობდნენ საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებს პროდუქციის ნომენკლატურით, ხარისხით, კონკურენტუნარიანობით, გასაღების შესაძლებლობებით. ახალ პირობებში ისინი არაეფექტიანი აღმოჩნდნენ, ჭარბი სამუშაო ძალით, მოძველებული ტექნოლოგიებით, ძირითადი კაპიტალით და ა.შ.

მასობრივი და სოციალურად ყველაზე უფრო სამართლიანი პრივატიზაციის მაგალითად მიჩნეულია პრივატიზაციის ჩეხური მოდელი. საკუპონე პრივატიზაცია ამ ქვეყანაში 1991 წლიდან დაიწყო. ჩეხეთის ყველა სრულწლოვანმა მოქალაქემ 1 035 კრონის, ანუ 40 დოლარის ღირებულების საკუპონე ნიგნაკები მიიღო, რომელიც თავიყსუფალ

ყიდვა-გაყიდვას არ ექვემდებარება. მათ მფლობელებს შესაძლებლობა ეძლეოდათ, სპეციალური ინვესტიციური ფონდების მეშვეობით, შეეძინათ სანარმოთა აქციები 7 000 კრონამდე. ასეთმა პრივატიზაციამ, საკუთრების ძალიან ფართო გაბნევა უზრუნველყო, საზოგადოების სხვადასხვა სოციალურ ფენაში, შესაძლებელი გახდა ფართო სა-შუალო კლასის ჩამოყალიბება და დიდი პრივატიზაციის კრიმინალ-იზაციის თავიდან აცილება.

მაგრამ ამ ტიპის ნეგატიური შედეგია ის, რომ პრივატიზაციას არ ახლდა კაპიტალის რეალური დაგროვება. ასეთ პირობებში მსხვილი სანარმოების უმრავლესობა აღმოჩნდა ძალიან მძიმე მდგომარეობაში, ნარმოების გამოჯანმრთელებისა და მოდერნიზაციისთვის სახსრების უქონლობის გამო. ამით იყო გამოწვეული, რომ 1994-1996 წლებში დადებითი მაკროეკონომიკური შედეგების მიღწევების შემდეგ, ჩეხეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება საკმაოდ შეფერხებებითა და უთანაბრობით ხასიათდება.

ეკონომიკური ეფექტიანობის თვალსაზრისით, პრივატიზაცია ყვე-ლაზე უფრო წარმატებულად მიჩნეულია პოლონეთში. 90-იანი წლების დასაწყისში დიდი პრივატიზაციისთვის განკუთვნილი 8 000 სანარ-მოდან, 1 150 გაიყიდა კერძო ინვესტორებზე, რომელთაგან უმრავლე-სობა უცხოელი იყო. დანარჩენი დაახლოებით 5 000 სანარმო გადაეცა საპრივატიზაციო სააგენტოს. სანარმოებს დამოუკიდებელი სახ-ელმწიფოს დახმარების გარეშე, კომერციული ბანკებიდან აღებული კრედიტების საფუძველზე, უნდა განეხორციელებინათ საკუთარი სანიერება, მიეღნიათ რენტაბელობისთვის და მომზადებულიყვნენ შემდგომი პრივატიზაციისთვის. დანარჩენი ფინანსურად სუსტი და უიმედო 1 850 სანარმო ერთბაშად გაკოტრებულად გამოცხადდა და დაიხურა.

სააგენტოს სანარმოების აქციები დაწყებული 1995 წლის აგვისტო-დან ეტაპობრივად სპეციალურად შექმნილი საინვესტიციო ფონდების მეშვეობით იყიდებოდა მოქალაქეებზე ფულით, ან 1995 წლიდან საპრი-ვატიზაციო სერთიფიკატებზე, რომლებიც თავისუფალ ყიდვა-გაყიდ-ვაში იყო. სერთიფიკატები იყიდებოდა სახელმწიფო საშემნახველო სალაროებში 20 ზლოტად, ანუ 3 დოლარად. სერთიფიკატები ერთი წლის განმავლობაში უნდა გადაცვლილიყო აქციაზე. იგი დაახლოებით 27 მილიონმა პოლონელმა შეიძინა და ამგვარად, ზუთი წლის განმავლობაში მსხვილი პრივატიზაცია პოლონეთში დასასრულს მიუახლოვდა.

პოლონური პრივატიზაცია მოსახლეობისთვის მკაცრი იყო, უმუ-შევრობის მკვეთრი ზრდის გამო, სანარმოთა სანაციის შედეგად. მიუხე-

დავად ამისა, მას თან ახლდა კაპიტალის რეალური დაგროვების ზრდა, რამაც სანარმოთა კონკურენტუნარიანობის ამაღლება და კრიზისის შედარებით ხანმოკლე პერიოდში დაძლევა და ეკონომიკის შემდგომი აღმავლობა განაპირობა⁴³.

წინააღმდეგ აღნიშნული მაგალითებისა, პრივატიზაცია რუსეთში ძალიან გახანგრძლივდა და მაღალი სოციალური ფასით აღინიშნა. თუკი აღმოსავლეთ ევროპაში მას წინ უსწრებდა სანარმოების და ბანკების სანაციის, გამოჯანმრთელების პროცესი და პრივატიზაცია ინტენსიურად პაუზების გარეშე ხორციელდებოდა, რუსეთში ასეთი სანაცია არ ტარდებოდა და პრივატიზაცია ხანგრძლივი შესვენებებით ხასიათდებოდა⁴⁴.

პირველ ეტაპზე 1992-1994 წლებში, პრივატიზებულ იქნა მცირე სანარმოების 70%. მცირე სანარმოები, ექვემდებარებოდნენ გაყიდვას აუქციონებზე და საკონკურსო წესით. საბოლოო ანგარიშით კი, მათი უმრავლესობა კოლექტივებმა გამოისყიდა. დიდი პრივატიზაცია ამ ეტაპზე ხორციელდებოდა უპირატესად უსასყიდლო ფორმით, საპრივატიზაციო ჩეკების – ვაუჩერების მეშვეობით. სულ მოსახლეობის 96%-ს დაურიგდა 114 მლნ. ვაუჩერი 10 ათასი მანეთის ნომინალური ღირებულებით, თითოეულის ფასით 25 მანეთის ოდენობით. მსხვილი სანარმოები აქციონირდებოდნენ და შემდეგ იყიდებოდნენ პირველ რიგში ვაუჩერებზე და მხოლოდ შემდეგ ნაღდ ფულზე. ამასთან, დიდი შეღავათები მიიღო სანარმოთა კოლექტივებმა, რომლებიც უფასოდ ან შეღავათიანი პირობებით, თავიანთი სანარმოების 40-51%-ის მესაკუთრე გახდა.

1994 წლის მეორე ნახევრიდან რუსეთში ხორციელდება პრივატიზაციის მეორე ეტაპი, როდესაც უსასყიდლო პრივატიზაცია შეწყდა და საპრივატიზაციო სანარმოების აქციების შეძენა, მხოლოდ ფულზეა შესაძლებელი. ეს ეტაპი დღემდე გრძელდება, მაგრამ ნელი ტემპით, ძირითადად ქვეყანაში კაპიტალის უქმარისობის, მოსახლეობის მცირე გადახდისუნარობის გამო, მაგრამ რუსეთის ეკონომიკის დაბალი მიმზიდველობის შედეგად, უცხოური ინვესტორების შემოსვლაც ბოლო დრომდე შედარებით მოკრძალებულია, განსხვავებით, მაგალითად, ჩინეთისა და ცენტრალური ევროპის ქვეყნებისა, სადაც უცხოური კაპიტალის შემოსვლა ძალიან მასშტაბურია⁴⁵.

⁴³ იხ. Экономика. Под ред. А.С. Булатова. М., 1999, с. 660-662.

⁴⁴ იხ. Настаренко А. Экономический рост на основе институциональных изменений. Вопросы экономики, №7, 1996, с. 28-29.

⁴⁵ იხ. Приватизация в России: итоги и перспективы. Вопросы экономики, №4, 1996, с. 4-44.

საქართველოში მიმდინარე პრივატიზაციის პროცესი, მართალია, თავისებურებებით ხასიათდება, გამომდინარე სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მისთვის დამახასიათებელი სპეციფიკიდან, მაგრამ ძირითადი ტენდენციები მაინც დაახლოებით იგივეა, რაც ევროპის და პოსტსაბჭოთა ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში. მხედველობაში გვაქვს პრივატიზაციის მიზნები, ეტაპები და მეთოდები. პრივატიზაცია საქართველოში ეკონომიკური რეფორმებისა და პოლიტიკის ერთ-ერთ უმთავრეს შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. მისი მიზანია საბაზრო-კონკურენტული სისტემის ჩამოყალიბება, კერძო სექტორის განვითარების დაჩქარება, საშუალო ფენის ჩამოყალიბება, წარმოების ეფექტიანობის ამაღლება, ეკონომიკური ზრდის სტიმულირება, საბიუჯეტო შემოსავლების ზრდა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, პრივატიზაციის პირველ ეტაპზე 1990-1996 წლებში, ძირითადად მცირე, მასობრივი პრივატიზაცია განხორციელდა, ხოლო მომდევნო მეორე ეტაპზე მიმდინარეობს დიდი პრივატიზაციის პროცესი, რომელიც მსხვილი საწარმოების პრივატიზაციას გულისხმობს.

გამოყენებულია პრივატიზაციის კომბინირებული მეთოდები, როგორც ტრადიციული, ისე არატრადიციული, ანუ, ტრანსფორმაციული, მართვადი პრივატიზაციის მეთოდები.

კერძოდ, პრივატიზაციის პირველ ეტაპზე, მასობრივი პრივატიზაციის მიმდინარეობისას, უდიდესი როლი შეასრულა საპრივატიზაციო ბარათების სისტემის გამოყენებამ. სახელმწიფო ქონების მნიშვნელოვანი ნაწილის პრივატიზაცია სწორედ საპრივატიზაციო ბარათებით, ანუ ვაუჩერებით გახდა შესაძლებელი. ამ საგადამხდელო საშუალების პოპულარიზაციის, ესკიზის, ნომინალის, დასაქონლების, მოძრაობის სქემების და საერთოდ მისი რეალიზებასთან და მოქმედების შეწყვეტასთან დაკავშირებული საკითხების გადანყევტაში, აქტიურად მონაწილეობდა ფასიანი ქაღალდების სამსახური. მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა, აგრეთვე მასობრივი პრივატიზაციის პროცესში სპეციალიზებულთა საბარათო საინვესტიციო ფონდებმა.

ფართო შესაძლებლობები და შეღავათები მიეცა შრომით კოლექტივებს. მათ შესაძლებლობა მიეცათ აერჩიათ თავიანთი საწარმოს მომავალი მესაკუთრე ან მესაკუთრეთა ჯგუფი, რომელსაც მიეცა უფლება პირდაპირი შესყიდვის წესით შეეძინა აქციათა საკონტროლო პაკეტი კონკურენციის გარეშე, ან, თუ საკონტროლო პაკეტი დროებით რჩებოდა სახელმწიფოს ხელში, აქციათა პაკეტი, საწესდებო კაპიტალის 10%-მდე ოდენობით. ამასთან, საფასურის 30%-ის დაფარვა ხდებოდა საპრივატიზაციო ბარათებით, ხოლო ფულით დასაფარი ნაწილის

დაფარვა – 30%-ის ფასდაკლებით და განვადებით, ვაუჩერების პერიოდის დამთავრებამდე, ანუ 1996 წლის 1 ივლისამდე გადახდის პირობით.

ამ მექანიზმმა გაამართლა. იგი გამოიყენა 600-მდე საწარმომ, ხოლო მათგან 100-მდე საწარმოს აქციათა პაკეტები, სრულად იქნა გამოსყიდული. შედეგად, მხოლოდ პირდაპირი წესით აქციათა პაკეტების შესყიდვის გზით, მსხვილი მესაკუთრე გახდა 64 ათასზე მეტი ფიზიკური და იურიდიული პირი. მათ საკუთრებაში გადავიდა 50 მლნ. დოლარზე მეტი ნომინალური ღირებულების 40 მილიონ ცალამდე აქცია. საწარმოს მუშაკებსა და მათთან გათანაბრებულ პირებზე უფასოდ და 20%-ით ფასდაკლებული აქცია.

აქციების გაცემის შედეგად 200 ათასზე მეტმა კაცმა მიიღო, საერთო ჯამში 16 მილიონ დოლარამდე ნომინალური ღირებულების 11, 5 მილიონამდე ცალი აქცია, მათ შორის უფასოდ 11 მლნ. აშშ დოლარის ღირებულების 8 მილიონამდე ცალი აქცია. ჩვენ ვეთანხმებით იმ აზრს, რომ პრივატიზაციის ასეთ გზას თავისი ნაკლი გააჩნია, ეს ფორმა განსხვავებულ მდგომარეობაში აყენებს არამატერიალური წარმოების სფეროში დასაქმებულ ადამიანებს მასწავლებლებს, ექიმებს, კულტურის მუშაკებს, ასევე პენსიონერებს, სამხედრო მოსამსახურეებს, სტუდენტებს და სხვა. იწვევს ქონებრივ არასწორ დიფერენციაციას⁴⁶.

მოსახლეობის ღარიბი ფენის სოციალური დაცვისა და მასობრივი პრივატიზაციის პროცესში მონაწილეობის მიზნით პრივატიზებული სახელმწიფო ქონების გარკვეული ნაწილი საქართველოს მოსახლეობას გადაეცა უფასოდ საპრივატიზაციო ბარათების – ვაუჩერების სახით. აღნიშნული კამპანია დაიწყო 1995 წლის მარტის თვეში. მოსახლეობა მაშინდელი აღწერის მიხედვით შეადგენდა 5 098 736 ადამიანს, დარიგებულ იქნა 4 264 541 საპრივატიზაციო ბარათი (83, 64%), რომელთაგან დასაქონლებული იყო 3 910 000 საპრივატიზაციო ბარათი, ანუ დარიგებულის 92%.

ტენდერებში საკმაოდ აქტიურად მონაწილეობდნენ უცხოელი ინვესტორები. სპეციალიზებულ საბარათო აუქციონებზე გამოტანილი ქონების 20% შეიძინეს უცხოელებმა. მათ შორის იყვნენ ამერიკელი, ინგლისელი, ფრანგი, გერმანელი, პოლანდიელი, შვეიცარიელი, რუსი და სხვა ინვესტორები⁴⁷.

⁴⁶ იხ. ასათიანი რ. „პატარა ქვეყანას, დიდი შეცდომების უფლება არა აქვს“ თბილისი 2005. გვ 110.

⁴⁷ საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო. ინფორმაცია საქართველოს ხუთწლიანი (1995-2000 წწ.) პროგრამის შესრულებისა და ახალი პროგრამის (2000-2005 წწ.) შესაღწევად.

1997 წლის 30 მაისს, სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ ახალი კანონის მიღებით და ქვეყანაში განხორციელებული ტრანსფორმაციული ცვლილებების შედეგად, პრივატიზაციის პროცესი მეორე ეტაპზე გადავიდა. დღის წესრიგში დადგა მსხვილი საწარმოების პრივატიზაციის დაჩქარება, უცხოური ინვესტიციებისთვის მაქსიმალურად ხელშეწყობის პრობლემა, ბიუჯეტში დამატებითი შემოსავლების გადიდების აუცილებლობა, პოსტპრივატიზაციულ პერიოდში საწარმოებისა და მენარმეთა ფენის ხელშეწყობის უზრუნველყოფა.

ამ ურთულესი ამოცანების გადაწყვეტა კი, პირველ რიგში, პრივატიზაციის ინსტიტუციური, სამართლებრივი საფუძვლების სრულყოფას მოითხოვდა.

3. 2. პრივატიზაციის ინსტიტუციური საფუძვლები და საინვესტიციო გარემო

- * პრივატიზაციის ინსტიტუციური საფუძვლები მოიცავს:
- * მისი საკანონმდებლო ბაზის უზრუნველყოფას;
- * მართვის ორგანიზაციული სტრუქტურების ჩამოყალიბებასა და ფუნქციონირებას;
- * ქვეყნის ნორმებსა და თავისებურებებს;
- * სოციალურ მხარეს.

უნდა აღინიშნოს, რომ დღემდე გაბატონებულია პრივატიზაციისადმი ქონებრივი და ორგანიზაციული მიდგომები, მაშინ, როდესაც მის სოციალურ მხარეს, ქვეყნის ნორმებს, არასაკმარისი ყურადღება ენიჭება. ეს იმას ნიშნავს, რომ ვერ ვახერხებთ კომპლექსურ მიდგომას პრივატიზაციისადმი, რაც მის შედეგიანობაზე უარყოფითად მოქმედებს.

საქართველოში პრივატიზაცია 1992 წლიდან დაიწყო, მაგრამ მას წინ უძღოდა აუცილებელი საკანონმდებლო ბაზის შექმნა, სადაც მთავარი იყო საქართველოს რესპუბლიკაში, სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების შესახებ კანონი, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ, 1991 წლის 9 აგვისტოს მიიღო, რომელიც პრივატიზაციასთან დაკავშირებით თითქმის ყველა ძირითად საკითხს მოიცავდა. პრივატიზაციის პირველ ეტაპზე უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა: კანონებს მენარმეობის, იჯარის, გაკოტრების შესახებ; საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 20 მაისის დეკრეტს, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სახელმწიფო კომიტეტის შესახებ. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის 5 მარტის დადგენილებას, პრივატიზაციის პროცესის უზრუნველყოფის ღონისძიებების შესახებ. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის 11 აგვისტოს დადგენილებას, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაციის სახელმწიფო პროგრამის შესახებ. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 14 აპრილის დადგენილებას, საქართველოს რესპუბლიკაში საპრივატიზაციო ბარათების სისტემის შემოღების შესახებ. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 20 აგვისტოს დადგენილებას, პოლდინგური კომპანიების (პოლდინგების) შექმნისა და საქმიანობის საფუძვლების შესახებ დებულების თაობაზე. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 21 იანვრის დადგენილებას, სახელმწიფო (მუნიცი-

პალურ) საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების კონკურსით გაყიდვის შესახებ დებულების თაობაზე. საქართველოს პარლამენტის 1994 წლის 20 სექტემბრის დადგენილებას, სახელმწიფო ქონების იჯარით გაცემის დებულების შესახებ. საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1995 წლის 13 მარტის ბრძანებულებას, მასობრივი პრივატიზაციის განხორციელების უზრუნველყოფის ორგანიზაციულ ეკონომიკური ღონისძიებების შესახებ.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ ჯერ კიდევ პრივატიზაციის პროცესის დაწყებამდე, პრივატიზაციის შესახებ პირველ კანონში გამოიყო ის ობიექტები, რომლებიც პრივატიზაციას არ ექვემდებარებოდა: წიაღისეული, წყლის რესურსები, სასაზღვრო ზონა, ტყის ფონდი, საპაეო სივრცე; ისტორიულ-კულტურული და მხატვრული ფასეულობის ობიექტები; სახელმწიფო რეზერვის სისტემაში არსებული ობიექტები; ელექტროენერგეტიკული სექტორის გადაცემა-დისპეტჩერიზაციის სამსახურები; მეცნიერებათა აკადემიის, სახელმწიფო უმაღლესი განათლების, საშუალო განათლების და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები; ნავსადგურების აკვატორია, ჰიდროტექნიკური ნაგებობანი, ნავმისადგომები; სახელმწიფო რკინიგზა, სახელმწიფო გზები, გაზის მაგისტრალური მილსადენები, თვითმფრინავების ფრენის მართვის სისტემები, ასაფრენ-დასაფრენი ზოლები და ა.შ.

გარდა ამისა, ცალკე გამოიყო საწარმოები, რომლებშიც შენარჩუნდა სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობა ან ეს საწარმოები 100%-ით სახელმწიფო საკუთრებაში დარჩა.

ინსტიტუციური გარემოს ჩამოყალიბებაში, განსაკუთრებით დიდი როლი შეასრულა, საქართველოს კანონმა შენარჩუნდა შესახებ, რომელიც საქართველოს პარლამენტმა 1994 წლის 28 ოქტომბერს მიიღო. ეს კანონი აწესრიგებდა სამეწარმეო მონაწილეთა მოწყობის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ნორმებს. სამეწარმეო საქმიანობად მიიჩნეოდა მართლზომიერი და არაერთჯერადი საქმიანობა, რომელიც ხორციელდებოდა მოგების მიზნით, დამოუკიდებლად და ორგანიზებულად. კანონში განსაზღვრული იყო: საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები, მათი დაფუძნების წესი, პასუხისმგებლობა, სამეწარმეო რეესტრი, ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა, გენერალური სავაჭრო მინდობილობა, საბუღალტრო აღრიცხვის წარმოება და ანგარიშგება, ხანგრძლივობის, ლიკვიდაციის, გარდაქმნის, შერწყმის წესი, ფილიალების, კონცერნების, მეკავშირე საწარმოების ფუნქციონირების წესი, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების, სააქციო საზოგადოების, კოოპერატივის ფუნქციონირებისა და

განვითარების, მოგების და ზარალის განაწილების სამართლებრივი საფუძვლები⁴⁸.

არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა საპრივატიზაციო ბარათებით მასობრივი პრივატიზაციის განხორციელებას. მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით, დამტკიცდა სპეციალიზებული საბარათო აუქციონების დებულება, რომლითაც განისაზღვრა, რომ ყველა პრივატიზებული აქციების არანაკლებ 35%, გატანილ უნდა ყოფილიყო სარეალიზაციოდ, სპეციალიზებულ საბარათო აუქციონებზე. ასეთი აუქციონის ჩატარების მექანიზმმა საშუალება მისცა მოსახლეობის ფართო ფენებს, ჩართულიყო პრივატიზაციის პროცესში და დაებანდებინა კუთვნილი საპრივატიზაციო ბარათი, მისთვის სასურველი საწარმოს აქციებში. სწორედ ასეთმა აუქციონებმა უზრუნველყვეს პრივატიზაციის პროცესის მასობრიობა და ეკონომიკური რეფორმის შეუქცევადი ხასიათი, რის შედეგადაც ათასობით ადამიანი გახდა აქციების, ან აქციათა პაკეტების მესაკუთრე.

პრივატიზაციის მეორე ეტაპზე, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ისეთი კანონების მიღებას, როგორიც არის: სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ კანონი, იგი მიღებულ იქნა 1997 წლის 30 მაისს, კანონები აუდიტორული საქმიანობის შესახებ, სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის შესახებ, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მარაგისა და განკარგვის შესახებ, საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ, საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ, სააღსრულებო წარმოებათა შესახებ, საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ.

* სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ კანონში განსაზღვრულია:

- * სახელმწიფო ქონებისა და პრივატიზების ცნებები;
- * ამ უკანასკნელის განხორციელების და მართვის ორგანო;
- * სახელმწიფო ქონება, რომელიც პრივატიზებას არ ექვემდებარება; პრივატიზების წესი და ფორმები;
- * საპრივატიზებო ქონების საწყისი ფასის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესი;
- * პრივატიზებიდან შემოსული თანხის განაწილება;
- * ინფორმაციის გამოქვეყნების წესი;
- * გარიგებათა გაფორმების წესი;

⁴⁸ იხ. სახელმწიფო ქონების მართვა: პრივატიზება და ნორმატიული დოკუმენტები. თბილისი, 2003, გვ. 72-76.

• პრივატიზების შესახებ გარიგებათა ბათილობა “.

ძველი კანონისგან განსხვავებით, ახალ კანონში გაფართოებულია პრივატიზაციის ფორმები. მისი გამოყენებით ეს პროცესი უფრო მოქნილი გახდა, შეიქმნა წინაპირობები კაპიტალის უფრო მეტად მოზიდვისთვის, რესტრუქტურისაციის განხორციელებისთვის. რიგ შემთხვევაში კანონი ითვალისწინებს, გასაყიდი ობიექტის ფასის დადგენის სპეციალური მეთოდების გამოყენებას, რომელიც ინვესტორისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნითაა ნაკარნახევი.

კანონში ცალკე მუხლადაა ჩამოყალიბებული წესი პრივატიზაციის პროცესში გარიგებათა მონესრიგების შესახებ. ამ თავის ამგვარი ჩამოყალიბება გამოიწვია პრაქტიკამ, რომელმაც დაგვანახა მეტი სიზუსტის აუცილებლობა მყიდველსა და გამყიდველს შორის, ქონებრივი გარიგებების შედგენისას, აგრეთვე ორმხრივი პასუხისმგებლობის გათვალისწინების აუცილებლობამ, რაც საჭიროა განისაზღვროს პრივატიზაციის განხორციელების დროს.

პრივატიზაციის გამოცდილების, ახალი ვითარების გათვალისწინების აუცილებლობა, თავისთავად საჭიროებდა არსებული საკანონმდებლო ბაზის სრულყოფას. ამ მიზნით სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების შესახებ კანონში 1997 წლის 12 დეკემბერს შედგენილ იქნა პირველი ცვლილება სადავო საკითხების ვადის მონესრიგების თაობაზე. ხოლო 1998 წლის 12 ივნისს, კანონში შეტანილ იქნა მეორე ცვლილება კონკურსით, აუქციონით, პირდაპირი მყიდვის ფორმით სახელმწიფო ქონების პრივატიზაციისას და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქციების მართვის უფლების კონკურსის ფორმით გადაცემისას გასაფორმებელი ხელშეკრულებების ვადების მონესრიგებაზე. ძალიან მნიშვნელოვანი იყო აგრეთვე, ის ცვლილება, რომელიც 1998 წლის 24 დეკემბერს მიიღო საქართველოს პარლამენტმა და რომელიც ითვალისწინებდა სათბობ-ენერგეტიკის, კავშირგაბმულობის, რკინიგზის, სახელმწიფო წყალსადენისა და საკანალიზაციო მეურნეობის ერთიანი სისტემის, განათლების სფეროების ობიექტების პრივატიზაციის აკრძალვის ლიბერალიზაციას, პრივატიზაციის დაშვებას, გამომდინარე სახელმწიფო ინტერესებიდან.

ასევე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პრივატიზაციის მეორე ეტაპზე აღმასრულებელი ხელისუფლების დადგენილებებს, რომლებიც კონკრეტული საკითხების გადაწყვეტას ემსახურებოდა. მათ შორის განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 29 დეკემბრის №776 ბრძანებულებით დამტკიცებული საქარ-

49 იხ. სახელმწიფო ქონების მართვა: პრივატიზება და ნორმატიული დოკუმენტები. თბილისი, 2003, გვ. 137-147.

თველოს ეროვნული მეურნეობის ცალკეულ დარგებში პრივატიზების განხორციელების 1998-2000 წლების ერთიანი გეგმა და ანალოგიური გეგმები 2001-2002 და 2002-2005 წლებისათვის.

ამ გეგმების შემუშავება და განხორციელება ითვალისწინებდა, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და განვითარების ინტერესებს, საერთაშორისო საფინანსო და ეკონომიკური ინსტიტუტების რეკომენდაციებს. გეგმებში განსაზღვრული იყო, პრივატიზაციის განხორციელების კონკრეტული მიზნები და ამოცანები ენერგეტიკის, გაზის სექტორის, ქვანახშირის მრეწველობის, რკინიგზის, კავშირგაბმულობის, ჯანდაცვის, განათლების სფეროებში⁵⁰

მაგრამ დარგობრივთან ერთად, ხორციელდებოდა ღონისძიებები პრივატიზაციის რეგიონული ასპექტების ინსტიტუციური უზრუნველყოფისთვის. ამ მიმართულებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისთვის სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი ობიექტების გადაცემის წესის ამოქმედებას 1999 წლის 25 მაისიდან, აგრეთვე საქართველოს ქალაქების (რაიონების) მაკრომდებარეობის ინდექსების, ტერიტორიების ზონირებისა და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის მეთოდის ამოქმედებას, 1998 წლის დეკემბრიდან⁵¹.

უშუალოდ პრივატიზაციის მეთოდების, წესების, ხერხების, გეგმების შემუშავებასა და რეალიზაციასთან ერთად, სახელმწიფო პარალელურად ახორციელებდა ღონისძიებებს, მისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნისთვის. თუმცა ამ მიმართულებით მიღებული შედეგები დღემდე ძალიან მოკრძალებულია. კერძოდ, აღსანიშნავი ისეთი ღონისძიებები, როგორებიც არის:

- * ქვეყანაში მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევის საფუძველზე რისკის ფაქტორების შემცირება;

- * ანტიმონოპოლიური პოლიტიკის განხორციელება, კონკურენციის უზრუნველყოფა მეურნეობრიობის ყველა დონეზე;

- * საბაზრო ინფრასტრუქტურის განვითარება, საგადასახადო და საბაჟო სისტემების მოწესრიგება;

- * უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად, ლიბერალური და მიმზიდველი გარემოს შექმნა, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;

⁵⁰ იხ. სახელმწიფო ქონების მართვა: პრივატიზება და ნორმატიული დოკუმენტები. თბილისი, 2003, გვ. 381-387.

⁵¹ იხ. სახელმწიფო ქონების მართვა: პრივატიზება და ნორმატიული დოკუმენტები, გვ. 358, 439-441.

* თანამედროვე მენეჯმენტისა და ტექნოლოგიების დანერგვის, კვალიფიციური კადრების დასაქმებისთვის ხელშეწყობა;

* აუცილებელი ინფორმაციის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა.

პრივატიზაციის ინსტიტუციური უზრუნველყოფის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი იყო, მასზე უშუალოდ პასუხისმგებელი ორგანოს – სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს საქმიანობის შედეგიანობა. პრივატიზაციის გაღრმავების კვალობაზე, იხვეწებოდა მისი ფუნქციებიც და მუშაობის სტილიც. უცხოური ინვესტიციების მაქსიმალური ხელშეწყობის მიზნით, სამინისტროში ფუნქციონირებდა საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი. გაძლიერდა სამართლებრივი დეპარტამენტი, ხოლო სექტორული ეკონომიკის სფეროში ჩამოყალიბებული იყო ორი დეპარტამენტი: სამრეწველო სანარმოო რესტრუქტურირებისა და პრივატიზების და ინფრასტრუქტურისა და სოციალური სფეროს სანარმოთა დეპარტამენტები. შეიქმნა სანარმოთა ლიკვიდაციისა და აქტივების პრივატიზების დეპარტამენტი. პრივატიზაციის სფეროში, მიმდინარე ყველა პროცესზე პასუხისმგებელი იყო, პირველ რიგში, სწორედ ის ორგანო, რომელიც მას დებულების მიხედვით, ქვეყანაში სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის პროცესში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის უზრუნველყოფის მიზნით, ფლობს, სარგებლობს და განკარგავს საქართველოს სახელმწიფო ქონებას. შესაბამისად, ადრე ქონების მართვის სამინისტრო, ამჟამად კი, ეკონომიკის სამინისტრო და სანარმოების მართვის სააგენტო, პასუხისმგებელია სახელმწიფო ქონების პრივატიზაციასთან დაკავშირებული პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაზე, მისი საკანონმდებლო, მეთოდური, პროგრამული, ორგანიზაციული, ფინანსური, ინფორმაციული უზრუნველყოფის, სანარმოების სანაცვისა და პოსტპრივატიზაციული მონიტორინგის ჩათვლით.

ამასთან, ძალიან მნიშვნელოვანია საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა, რასაც უკვე დიდი ტრადიცია აქვს. საქართველოში პრივატიზაციის პროცესი ყოველთვის მიმდინარეობდა მსოფლიო ბანკისა და ევროგაერთიანების კონსულტანტებთან მჭიდრო კავშირში. პრივატიზაციის პირველ ეტაპზე, უცხოელი სპეციალისტების დახმარება უფრო საკონსულტაციო-სასწავლო ხასიათს ატარებდა, ხდებოდა გამოცდილების შესწავლა, მაგრამ მეორე, პოსტპრივატიზაციის ეტაპზე, უკვე საჭირო ხდებოდა უცხოელი ინვესტორების მოზიდვა, პრივატიზებული, აქციონირებული სანარმოების რეალურად ასამუშავებლად.

მაგალითად, მსოფლიო ბანკი აქტიურად მონაწილეობდა საქართველოსთვის სარეაბილიტაციო კრედიტის გამოყოფაში. პრივატიზაციის

მიზნით შეირჩა მსხვილი საწარმოების ჯგუფი, საერთაშორისო ტენდერებით უცხოელი ინვესტიციების მოსაზიდად. 1994 წლის ნოემბერში მუშაობას შეუდგა „Deloitte & Tiuche Tochmatsu international“-ის საპეციალისტო ჯგუფი. მათ შემუშავეს კრიტერიუმები საწარმოთა შესაფასებლად და რეკომენდაციები 15 საწარმოს ეტაპობრივად პრივატიზაციის შესახებ: რუსთავის ს/გ „ქიმიოჭკო“, რუსთავის გაერთიანება „აზოტი“, დარიშხანის საბადო, ჭიათურის მანგანუმის საბადო, ასკანის ბენტონიტის საბადო, საწარმო „თბილმარგარინმრეწვი“, თბილისის რძის ქარხანა „დვრიტა“, ხაშურის მინის ტარის ქარხანა, თბილისის შოკოლადის ქარხანა „მზიური“, თბილისის პარფიუმერიის ქარხანა „ივერია“, თბილისის საწარმო „ელექტროაპარატი“, რუსთავის ამნეების ქარხანა, თბილისის შამპანურის ქარხანა „ბაგრატიონი-1812“, თბილისის ოფსეტური ბეჭდვის ქარხანა. პროგრამის პირველი ეტაპისთვის შეირჩა ორი: თბილისის მარგარინის ქარხანა და შამპანურის ქარხანა „ბაგრატიონი-1812“. მსოფლიო ბანკის დახმარებით ტენდერში მონაწილეობისთვის, მოწვეულ იქნა 5 ევროპული ბანკი.

საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს მიერ, 1996 წლის 1 ივნისის მდგომარეობით, შესრულებულ იქნა მსოფლიო ბანკისგან მისაღები კრედიტის I და მე-2 ტრანშის პირობები ვადამდე. კერძოდ, მომზადდა და დამტკიცდა ამ ობიექტების ნუსხა, რომლებსაც პრივატიზება არ ეხებოდა; მომზადდა და მიღებულ იქნა საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება იმ სააქციო საზოგადოებების ნუსხის დამტკიცების შესახებ, რომელთა აქციების 51% დროებით რჩებოდა სახელმწიფოს საკუთრებაში; 1996 წლის 1 ივნისისთვის 407 საშუალო და მსხვილ საწარმოში, პრივატიზებულ იქნა აქციების 51%-ზე მეტი, მაშინ, როდესაც მე-2 ტრანშის მიხედვით გათვალისწინებული იყო 325 საწარმოს პრივატიზება; განხორციელდა პურპროდუქტების კორპორაციის სისტემის მსხვილი პურის საცხოვრების და ნისქვილკომბინატების პრივატიზება, უპირატესად იჯარა-გამოსყიდვის ფორმით; ყოფილ სახელმწიფო კომერციულ ბანკებში სახელმწიფოს პირდაპირი მონაწილეობა ნულამდე იქნა დაყვანილი, ხოლო არაპირდაპირი მონაწილეობა 25%-მდე და უფრო მეტად შემცირდა; მომზადდა ენერგეტიკული კომპლექსის საწარმოების რეორგანიზაციის, აქციონერებისა და პრივატიზების კონცეფცია; თითქმის დასასრულს მიუახლოვდა ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული უბრალო ქონების აღრიცხვისა და აღწერის პროცესი; დადებითად გადაწყდა საელჩოებისა და სახელმწიფო ორგანიზაციების განთავსების საკითხი და ა.შ.

საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა, კიდევ უფრო გაძლიერდა პრივატიზაციის მეორე ეტაპზე. ამ პერიოდისთვის ფუნქ-

ციონირებდა მსოფლიო ბანკის პრივატიზაციის პროცესის საინფორმაციო-პროპაგანდისტული უზრუნველყოფის (Public relation) პროექტი და ევროგაერთიანების Tacis-ის პროექტი, საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის, გამოფენების, სასწავლო პროგრამების, სემინარების, კომპიუტერული ქსელის დამონტაჟების, კომპიუტერული მომზადების სახით.

სტრუქტურული გარდაქმნების მესამე კრედიტის (SAC-III) პირობების შესრულების მიზნით საქართველოს მთავრობისა და მსოფლიო ბანკის შეთანხმებული მემორანდუმის მიხედვით, განხორციელდა მთელი რიგი საწარმოების პრივატიზაცია ტენდერის, საჯარო აუქციონის, აქტივების გაყიდვის ან ლიკვიდაციის მეშვეობით.

მსოფლიო ბანკთან არსებული შეთანხმების შესაბამისად, სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრომ USAID-ის ექსპერტებთან ერთად, შეიმუშავა უმნიშვნელოვანესი საწარმოების პრივატიზაციის გეგმები, მათ შორის ს/ს „ელექტრომექანიკოსის“, ს/ს „ლითოფონის ქარხანის“, ს/ს „ელმავალმშენებლის“, ს/ს „ქიმიოჭკოს“, ს/ს „საქგაზის“ და ა.შ.

ხელშემწყობი ინსტიტუციური გარემოს შექმნისთვის, უდიდესი მნიშვნელობა აქვს პრივატიზაციის ინფორმაციულ უზრუნველყოფას, გამჭვირვალობას, მიღებული კანონების, სხვა ნორმატიული დოკუმენტების ხელმისაწვდომობას, რაც სისტემატურად ზორციელდებოდა პრესის, ტელევიზიის და სპეციალური ინფორმაციული საშუალებების გამოყენების მეშვეობით. პრივატიზაციის დაჩქარებისთვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო ის, რომ ახალმა ხელისუფლებამ შეძლო სრულად აემუშაებინა გაკოტრების მექანიზმები, რაც გამოიხატებოდა იმით, რომ ხშირ შემთხვევაში სახელმწიფო ახდენდა მხოლოდ აქტივების გაყიდვას, ხოლო აღნიშნული კომპანიების ვალების (უმეტესად უიმედო) ჩამონერა ხდებოდა. ეს იყო სახელმწიფოს მიერ, იძულებით გადადგმული ნაბიჯი, ვინაიდან ვალებთან ერთად აღნიშნული კომპანიები ინვესტორისთვის არამიზიდველი იყო. ასეთი მაგალითი იყო ს/ს „აზოტის“ აქტივების მიყიდვა რუსული კომპანია „Enerji invest“-ისთვის

ზემოთ აღნიშნული გვიჩვენებს, რომ პრივატიზაციის ინსტიტუციური უზრუნველყოფის თვალსაზრისით, საქართველოში უდაოდ ბევრი რამ გაკეთდა. შექმნილია საკანონმდებლო ბაზა, კარდინალურად შეიცვალა მოსახლეობის დამოკიდებულება კერძო საკუთრებისადმი, ეს უკანასკნელი გაცნობიერებულია, როგორც ადამიანის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის, კეთილდღეობის საფუძველი, ყალიბდება ქვეყნის საბაზრო ნორმები. სახელმწიფო ქონების მართვის სამინ-

ისტრომ ამონჟრა თავისი შესაძლებლობები და ამ პროცესს უფრო მობილური სანარმოთა მართვის სააგენტო აგრძელებს. სამომავლო ამოცანები კიდევ უფრო საპასუხისმგებლოა. ჯერ კიდევ ძალიან სუსტია კონკურენტული მექანიზმის მოქმედება, ხშირად პრივატიზაცია დამახინჯებულად, ფარულად, ჩრდილოვანი გარიგებების საფუძველზე ხორციელდებოდა, სუსტად ითვალისწინებდა სოციალურ მოთხოვნებს, ნამდვილი მესაკუთრეების ჩამოყალიბების აუცილებლობას, რაც მის დინამიკაზე და შედეგებზე უარყოფითად ზემოქმედებდა.

2003 წლის შემდეგ, საქართველოს მთავრობის მიერ, საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების მიზნით განხორციელებულმა რეფორმებმა და ინიციატივებმა, დადებითი შედეგები გამოიღო, რაც საერთაშორისო კვლევებითა და შეფასებებითაც დასტურდება.

საინვესტიციო გარემოს და საერთოდ ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესებით, მთლიანად ეკონომიკური პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენს რეფორმები ფისკალურ სფეროში, რომლის მიზანია:

- * მოქნილი საგადასახადო პოლიტიკა;
- * ფისკალური დისციპლინის განმტკიცება;
- * უცხოური ინვესტიციების მოზიდვა.

ბოლო წლების განმავლობაში, მიღწეულ იქნა გარკვეული წარმატებები ამ მიმართულებით. განხორციელდა ცვლილებები საგადასახადო კანონმდებლობაში, 2005 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა ახალი საგადასახადო კოდექსი.

ახალი საგადასახადო კოდექსით გამარტივდა ადმინისტრაციული მექანიზმები, შემცირდა გადასახადების ოდენობა, შემოღებულ იქნა საგადასახადო დავების წარმოების წესი. მნიშვნელოვანია ის, რომ საგადასახადო კოდექსით არსებული 21 გადასახადიდან დღესდღეობით, მოქმედებს მხოლოდ 6 გადასახადი. გამარტივდა და შემსუბუქდა საგადასახადო სანქციები მაგალითად: პირგასამტეხლოები შემცირდა თითქმის 2, 5-ჯერ, ხოლო დღიური 0, 155 (წლიური 54%) საპროცენტო განაკვეთი შემცირდა 0, 07%-მდე (წლიური 24%); ასევე გადამხდელს უფლება აქვს, შეცვალოს და შეასწოროს მისი საგადასახადო დეკლარაცია საჯარიმო გადასახადის გარეშე, თუკი ეს მოხდება ინსპექციის მითითებამდე. ხოლო საგადასახადო კოდექსის დარღვევის შემთხვევაში, ჯერ ფინანსური სანქციები ეკისრება, ხოლო შემდგომ კრიმინალური სანქციები ინიცირდება მხოლოდ გადაუხდელობის ან განმეორებით დარღვევის შემთხვევაში. ასევე საინვესტიციო კლიმატის მიმზიდველობის ხელისშემწყობი ფაქტორები აღმოჩნდა: დაჩქარებული სახელმწიფო ქონების პრივატიზაცია. ამის დასტურია ის, რომ საქართველოს მთავრობამ 2004-2005 წლების პრივატიზაციიდან მიიღო

270, 5 მლნ. აშშ დოლარი, რომელიც 8, 6 -ჯერ აჭარბებს 2000-2003 წლების მაჩვენებელს; მყარი საბანკო სექტორი (ფულად საკრედიტო სისტემა); შემუშავებული მოდერნიზებული ბიზნეს-ლიცენზირების სისტემა, რომელიც 2005 წელს შევიდა ძალაში, ლიცენზირების გამართივების შედეგად, ნებართვების რიცხვი 144 ერთეულამდე შემცირდა (92 ლიცენზია და 52 ნებართვა). ეს რიცხვი 2005 წლამდე მოქმედი ლიცენზიებისა და ნებართვების მხოლოდ 16% შეადგენდა. მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა საბაჟო კანონმდებლობაში. კერძოდ 2006 წელს გადასახადები შემცირდა რიგი პროდუქციის იმპორტზე, ხოლო 2008 წლიდან რიგი პროდუქცია გათავისუფლდა საიმპორტო გადასახადებისგან. ასევე მნიშვნელოვანი იყო საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, სხვადასხვა სახის პროგრამული უზრუნველყოფისა და ელექტრონული მონაცემთა ბაზის შექმნა, რამაც საგრძნობლად გაამარტივა საჯარო რეესტრის მომსახურება, კერძოდ: შესაძლებელი გახდა მოქალაქეთა „ერთი ფანჯრის“ პრინციპით მომსახურება, გამარტივდა უძრავ ნივთებზე უფლებების რეგისტრაციის პროცესი, შემცირდა ვადები და მომსახურების საფასური.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ, კანონი სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი სასოფლო-სამეურნეო მიწების პრივატიზაციის შესახებ, ძალაში შევიდა 2005 წელს, რათა ხელი შეწყობოდა მიწის ნაკვეთების სარგებლიან მოხმარებას კერძო საკუთრებაში გადაცემის მეშვეობით და გაზრდილიყო სასოფლო-სამეურნეო სექტორის საერთო ნაყოფიერება.

ასევე მნიშვნელოვანია, ქვეყანაში ისეთი ახალი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების შექმნა, რომლებიც უზრუნველყოფენ ინვესტიციების მოზიდვას, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ეკონომიკური ეფექტურობის ამაღლებას, მდგრად განვითარებას, ქვეყანაში საერთაშორისო საფინანსო ცენტრების ჩამოყალიბებასა და საქართველოს სავაჭრო-სატრანზიტო ფუნქციის ამაღლებას.

ამასთან, ინვესტიციებისთვის ხელსაყრელი გარემოს შესაქმნელად განახლდა საქართველოსთვის მისაღები მოდელი „შემოსავლებსა და კაპიტალზე, ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ“. ასეთი შეთანხმება დღეისათვის საქართველოს გაფორმებული აქვს 30-მდე ქვეყანასთან.

3. 3. პრივატიზაციის დინამიკა და შედეგები 1993-2003 წლებში

პრივატიზაციის დინამიკა საერთო სინთეზური, ასევე მისი ცალკეულ დარგებისა და რეგიონების მაჩვენებლების ზრდის ტემპით აისახება.

სინთეზურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ 2002 წლის 1 ივლისის მდგომარეობით, ქვეყანაში სულ პრივატიზებული იყო 17 800-ზე მეტი ობიექტი, მათ შორის 1 360-მდე საშუალო და მსხვილი საწარმოების ბაზაზე დაფუძნებული სააქციო საზოგადოებათა აქციების საკონტროლო პაკეტი. ცალკეული სფეროების მიხედვით, პრივატიზაციის შედეგები ასეთი იყო:

მრეწველობა – 630 ობიექტი, სოფლის მეურნეობა და სურსათი – 1 256, მშენებლობა – 549, ვაჭრობა – 5 564, საყოფაცხოვრებო მომსახურება – 7 305, ენერგეტიკა – 211, ჯანდაცვა – 696, სოციალური სფერო – 793, ტრანსპორტი – 376 და სხვა.

მოუხედავად იმ დროისთვის არსებული სერიოზული სირთულეებისა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სფეროში, ფაქტია, რომ საქართველოში არასახელმწიფო საწარმოთა წილად, მოდიოდა მთლიანი შიდა პროდუქტის 75%, ექსპორტის – 60% და იმპორტის – 70%. ეს მონაცემები ადასტურებს, რომ საქართველოში პრივატიზაციის პროცესის შედეგად კერძო სექტორმა ქვეყნის ეკონომიკაში გაბატონებული მდგომარეობა დაიკავა.

ამასთან, ცალკეულ დარგებში და რეგიონებში პრივატიზაცია, ბუნებრივია, განსხვავებული ტემპით მიმდინარეობდა.

ცხრილი 1⁵².

საწარმოთა პრივატიზაცია დარგების მიხედვით

ცხრილი 1-დან ჩანს, რომ 1993-1997 წლებში ძირითადად მასობრივი, მცირე საწარმოების პრივატიზაცია მიმდინარეობდა. მან პიკს 1995-1996 წლებში მიაღწია, როდესაც შესაბამისად პრივატიზებულ იქნა 4 699 და 2 238 მცირე საწარმო. ამ ორი წლის განმავლობაში, პრივატიზებულ იქნა 6 937 მცირე საწარმო, ანუ 1994-2001 წლებში სულ პრივატიზებული მცირე საწარმოების 43%, მცირე საწარმოების პრივატიზაცია მკვეთრად შემცირდა 2000 წლის შემდეგ, რადგანაც ეს პროცესი

⁵² წყარო: საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო და სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი.

წლ	1993	1994	1995	1996	1997	1998	1999	2000	2001	2002
დაჯგ	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
სულ პრივატიზებული საწარმოები	1322	1370	4975	2390	1568	1972	1992	1009	166	655
მცირე საწარმოები	1310	1370	4699	2238	1496	1928	1450	883	614	
მრეწველობა			103	50	30	27	18	12	15	9
მშენებლობა			67	58	48	41	29	22	23	20
სოფლის მეურნეობა			125	76	96	112	218	141	88	77
ტრანსპორტი			40	31	20	22	51	38	25	17
ვაჭრობა და საბ. ეკება			2182	463	456	575	389	159	72	115
საყოფაცხოვრებო მომსახურება			1685	1152	683	1013	661	421	290	195
ჯანდაცვა			294	207	42	18	39	49	31	19
ენერგეტიკა	5	4	13	3	30	30	10	7	6	8
სოციალური სფერო	23	20	154	171	97	100	30	89	38	57
მსხვილი და საშუალო საწარმოების სააქციო საზოგადოებად გარდაქმნა			276	152	92	44	42	126	47	3
შემოსულები პრივატიზაციიდან				164.						
მლნ.ლარი		1.7	58.2	2	30.3	30	73.3	54.1	27.2	13.1

უკვე თავისი შესაძლებლობების ამოწურვის სტადიაზეა. სულ 1993-2002 წლებში პრივატიზებულ იქნა 16 759 საწარმო, მათ შორის 15 988 მცირე და 771 მსხვილი და საშუალო საწარმო.

კაპიტალური შემოსავლები პრივატიზაციიდან ყველაზე უფრო დიდი იყო 1994 წელს – 58,2 მლნ. ლარი, 1995 წელს – 164,2 მლნ. ლარი, 1998 წელს – 73,3 მლნ. ლარი, 1999 წელს – 54,1 მლნ. ლარი, 1998 წელს – 73,3 მლნ. ლარი, 1999 წელს – 54,1 მლნ. ლარი. თუმცა მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ყველაზე უფრო მსხვილი საწარმოების პრივატიზაცია საქართველოში ჯერ კიდევ წინ იყო.

წლების მიხედვით პრივატიზაციის დინამიკა კი ასეთი იყო: 1993 წ. – 1322 ობიექტი, 1994 წ. – 1 370 ობიექტი, 1995 წ. – 3 975 ობიექტი, 1996 წ. – 2 390 ობიექტი, 1997 წ. – 1 568 ობიექტი, 1998 წ. – 1 972 ობიექტი, 1999 წ. – 1 492 ობიექტი, 2000 წ. – 1 009 ობიექტი, 2001 წ. – 661 ობიექტი, 2002 წ. – 655 ობიექტი⁵³.

საინტერესოა პრივატიზაციის დინამიკა დარგების მიხედვით. ყველაზე უფრო ინტენსიურად იგი მიმდინარეობდა ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში, სადაც მცირე საწარმოების

⁵³ წყარო: საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო და სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი.

უდიდესი ნაწილი იყო თავმოყრილი. 1993-1994 წლებში აქ პრივატიზებული იყო, შესაბამისად 5 462 და 7 238 საწარმო, სოფლის მეურნეობაში – 897, სოციალურ სფეროში – 697, ჯანდაცვაში – 623, მშენებლობაში – 366, ტრანსპორტზე – 215, მრეწველობაში – 198, ენერგეტიკაში – 100 ობიექტი.

ნიშანდობლივია, პრივატიზებული მცირე საწარმოების განაწილება პრივატიზაციის მეთოდების მიხედვით.

ცხრილი 2⁵⁴.

პრივატიზებული მცირე საწარმოების განაწილება პრივატიზაციის მეთოდის მიხედვით (ერთეული)

მეთოდი	1996	1997	1998	1999	2000	2001
სულ პრივატიზებულია	2247	1474	1910	1450	883	614
1. აქტიური პრივატიზაციის აუქციონით	720	341	660	632	401	314
კომერციული კონკურსით	549	278	489	28	114	278
საინვესტიციო კონკურსით	3	8	16	3	2	3
2. პასიური პრივატიზაცია	966	869	769	787	366	19

როგორც ცხრილი 2-დან ჩანს, მცირე საწარმოების პრივატიზაცია, რაოდენობრივი თვალსაზრისით, 1993-1995 წლებში – ხორციელდებოდა უპირატესად პასიური მეთოდებით; 1996-1999 წლებში – აღინიშნებოდა მათი უპირატესობის ურთიერთჩანაცვლება; 1996 და 1998 წლებში უპირატესობა ჰქონდა აქტიურ მეთოდებს; 1997 და 1999 წლებში კი – პასიურ მეთოდებს და მხოლოდ 2000 წლის შემდეგ სახეუა აქტიური მეთოდების აშკარა უპირატესობა. პასიური პრივატიზაცია, გულისხმობს მის განხორციელებას ისეთი მეთოდებით, როგორიც არის: უსასყიდლო მასობრივი პრივატიზაცია ვაუჩერებით; მინიმალური ფასით საწარმოების გადაცემა მუშაკებისა და ხელმძღვანელი მენეჯერებისთვის; არაეფექტიანი საწარმოების უსასყიდლოდ გადაცემა მუშაკებისთვის, იჯარა-გამოსყიდვის წესით. წინააღმდეგ ამისა, აქტიური პრივატიზაცია გულისხმობს ობიექტის ყიდვა-გაყიდვას, მათ შორის აუქციონით, კომერციული კონკურსის, ან საინვესტიციო კონკურსის გამოყენებით. ანალიზით ირკვევა, რომ 1999 წლის

⁵⁴ წყარო: საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო

ჩათვლით, პასიური მეთოდებით პრივატიზაციის წილი მცირე სანარმოთა საერთო რაოდენობაში დაახლოებით 40-55% იყო, აუქციონით პრივატიზაციის წილი – 30-50%, კომერციული კონკურსით პრივატიზაციის წილი 15-20%. 2000 წლის შემდეგ, პასიური პრივატიზაციის წილი მკვეთრად შემცირდა და ასევე მკვეთრად გაიზარდა აუქციონით და კომერციული კონკურსით პრივატიზაციის წილი.

იმ დროისთვის აღნიშნული უდაოდ დადებითი ტენდენცია იყო. 2000-2003 წლებში პრივატიზაციიდან მიღებული შემოსავლების შედარებით მოკრძალებული მოცულობა პრივატიზებული საწარმოების საერთო რაოდენობის მკვეთრი შემცირებითა და საინვესტიციო კონკურსით გაყიდული ობიექტების სიმცირით, მსხვილი საწარმოების პრივატიზაციის შეფერხებით აიხსნება.

პრივატიზაციის მიმდინარეობა რეგიონების მიხედვით, შემდეგი თავისებურებებით ხასიათდებოდა. პრივატიზაციის მასშტაბებით სრულიად გამორჩეული ადგილი ეკავა და უკავია ქ. თბილისს, რომლის წილი პრივატიზებული საწარმოების საერთო რაოდენობაში 2002 წლის მდგომარეობით 31%-ს შეადგენდა. ეს ბუნებრივია, რადგანაც სწორედ ქ. თბილისშია კონცენტრირებული საწარმოებისა და სხვა ობიექტების დიდი რაოდენობა, რომლებიც კანონით პრივატიზაციას ექვემდებარებიან. მეორე ადგილზეა იმერეთის მხარე – 18, 9%, მესამეზე – ქვემო ქართლის მხარე – 6, 3%, მეოთხეზე – სამეგრელოსა და ზემო სვანეთის მხარე – 9, 2%, მეხუთეზე – კახეთის მხარე – 8, 0%, მეექვსეზე – შიდა ქართლის მხარე – 6, 3%, მეშვიდეზე – სამცხე-ჯავახეთის მხარე – 5, 6 %, მერვეზე – გურიის მხარე – 2, 8%, მეცხრეზე მცხეთა-მთიანეთის მხარე – 2, 5%, მეათეზე – რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარე – 1, 7%, მეთერთმეტეზე – აჭარა – 1, 1%.

ცხრილი 3⁵⁵

პრივატიზაციის მიმდინარეობა რაგიონების მიხედვით 2002 წლისათვის

მართალია, ცხრილში მოყვანილი მონაცემები მხოლოდ პრივატიზებული საწარმოების რაოდენობას ასახავს, მაგრამ ირიბად მაინც მიუთითებს ცალკეულ რეგიონებს შორის, მკვეთრ დისპროპორციაზე კერძო სექტორის განვითარების თვალსაზრისით. თუ გავითვალისწინებთ, რომ მსხვილი საწარმოების პრივატიზაციას ამ პერიოდში ერიდებოდნენ, მაშინ ცხადი ხდება, რომ კერძო სექტორის განვითარების რეგიონული დისპროპორციების აღმოფხვრა მომავალში არა

⁵⁵ წყარო: საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს მონაცემები.

რეგიონი, ქალაქი, რაიონი	აღმშენებლის დაგეგმვა	მშენებლის დაგეგმვა	მშენებლის დაგეგმვა	მშენებლის დაგეგმვა	მშენებლის დაგეგმვა
1	2	3	4	5	6
სულ საქართველოში	14017	16641	655	981	1656
1. აფხაზეთი	8	0	0	0	0
2. აჭარა	327	171		21	0
3. თბილისი	4689	5156	95	412	1655
4. გურიის მხარე	321	470	9	3	71
ლაჩხუთის რაიონი	64	110	5	0	17
ოზურგეთის რაიონი	200	259	2	3	40
ჩოხატაურის რაიონი	57	101	2	0	14
რაჭა-ლეჩხუმისა და ქვე. სვანეთის მხარე	171	279	6	2	50
ამბროლაურის რაიონი	60	96	2	1	18
ონის რაიონი	48	73	3	1	9
ცაგერის რაიონი	31	63	1	0	0
6. სამეგრელოსა და ზემო სვანეთის მხარე	1117	1542	17	164	279
აბაშის რაიონი	88	18		3	14
ზუგდიდის რაიონი	211	282	2	7	0
მარტვილის რაიონი	55	58	4	2	19
მესტიის	12	24	2	3	3
სენაკის რაიონი	250	428	1	140	104
ჩხოროწყუს რაიონი	89	65	2	0	28
ნალეჯიხის რაიონი	52	68	3	15	15
ხობის რაიონი	146	140	1	2	59
ქ. ფოთი	264	379	2	12	42
7. იმერეთის მხარე	2770	3145	129	187	582
ქ. ქუთაისი	626	830	47	71	211
ქ. ტყიბული	224	200	7	0	49
ქ. ნეაქლუბო	274	304	9	10	29
ქ. ჭიათურა	273	314	19	68	44
ბაღდათის რაიონი	73	113	8	0	36
უანის რაიონი	68	106		1	17
ზესტაფონის რ-ნი	424	426	24	12	52
თერჯოლის რაიონი	132	154		0	20
სამტრდიის რაიონი	446	460	9	19	59
ხარაგაულის რაიონი	71	75	3	5	14
ხონის რაიონი	64	76	1	1	35
8. კახეთის მხარე					
ახმეტის რ-ნი	179	182	2	18	28
გურჯაანის რ-ნი	141	170	6	18	19
დედოფლისწყა. როს რ-ნი	89	132	29	34	3
თელავის რ-ნი	218	272	2	3	36
ლაგოდეხის რ-ნი	74	66	7	0	15
საგარეჯოს რ-ნი	132	129		3	10
სიღნაღის რ-ნი	140	229	6	0	34
ყვარლის რ-ნი	126	156	4	0	38
9. მცხეთა-თიანეთის მხარე	327	411	12	25	71
ახალგორის რ-ნი	18	18		0	5
დუშეთის რ-ნი	89	132	4	1	12
თიანეთის რ-ნი	58	68	3	12	12
მცხეთის რ-ნი	138	158	1	12	42

ვაზუგის რ-ნი	29	38	3	0	0
10. სამცხე-ჯავახეთის მხ.	612	931	27	9	109
ადიგენის რ-ნი	82	115	11	0	5
ახალკალაქის რ-ნი	66	104	9	1	10
ახალციხის რ-ნი	246	369	5	7	56
ბორჯომის რ-ნი	160	250	1	0	34
საჩხერის რ-ნი	28	44	1	0	4
11. ქვემო ქართლის მხარე	1156	1632	54	20	154
ქ. რუსთავი	357	472	15	4	60
ბოლნისის რ-ნი	63	138	2	6	0
გარდაბნის რ-ნი	267	289	7	0	36
დმანისის რ-ნი	21	73		0	7
თეოტიკარის რ-ნი	115	241	8	4	17
მარნეულის რ-ნი	287	362	22	6	10
წალკის რ-ნი	35	37		0	24
შიდა ქართლის მხარე	696	1045	39	47	161
ქ. ცხინვალი	0	5		5	0
გორის რ-ნი	317	376	7	19	52
ქაშის რ-ნი	203	203	17	0	15
ქარელის რ-ნი	141	183	5	0	62
ხაშურის რ-ნი	235	278	10	23	32
ყვავის რ-ნი	0	0	0	0	0
13. ქრების მართვის სამინისტრო	524	524	70	0	0

ტრანსფორმაციული პრივატიზაციის, არამედ კერძო საწარმოების თანდათანობითი, ევოლუციური ჩამოყალიბებისა და გაფართოების საშუალებით უნდა მოხდეს. ცალკეული დარგებისა და სფეროების მიხედვით სააქციო საზოგადოებებზე წარმოდგენას მეოთხე ცხრილი იძლევა.

ცხრილი 4 ⁵⁶

სააქციო საზოგადოებების დაფუძნება დარგების მიხედვით 2002 წლისთვის

ცხრილიდან ჩანს, რომ 2002 წლის მონაცემებით სულ საქართველოში დაფუძნებული და რეგისტრირებულია 1 362 სააქციო საზოგადოება, მათ შორის ყველაზე უფრო მეტია მრეწველობაში – 305, სოფლის მეურნეობასა და სურსათის სფეროში – 305, არქიტექტურასა და მშენებლობის სფეროში – 164, ტრანსპორტისა და კომუნიკაციის სფეროში – 131, ენერგეტიკაში – 130.

როგორც მეოთხე ცხრილიდან ჩანს, სააქციო საზოგადოებების დიდი ნაწილი თავმოყრილია თბილისში – 418, იმერეთში – 245, სამეგრელო ზემო სვანეთი – 196, ქვემო ქართლში – 118, კახეთში – 111, სულ: 1 094 სააქციო საზოგადოება, რაც საერთო რაოდენობის 80%-ს შეადგენს,

⁵⁶ წყარო: საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს მონაცემები.

№	დარგი	დამტკიცებული სა გარდასაქმნელ ნუსხაში	დაფუძნებული და რეგისტრირებუ ლია. სულ.
	სულ საქართველოში	1426	1362
1	მრეწველობა	230	305
2	პურპროდუქტები	61	45
3	სოფლის მეურნეობა და სერსათი	391	305
4	არქიტექტურა და მშენებლობა	228	164
5	ვაჭრობა და მატერიალური რესურსები	86	62
6	საყოფაცხოვრებო მომსახურება	22	22
7	ნაყობიპროდუქტები	49	36
8	გაი	60	47
9	ტრანსპორტი და კომუნიკაციები	120	131
10	სოციალური სფერო	57	57
11	ჯანდაცვა	56	58
12	ენერგეტიკა	66	130

მარტო თბილსში კი 31%-ს. მაშასადამე, სააქციო საზოგადოებების შექმნა უმეტესად იმ რეგიონებშია გაადვილებული, სადაც ეკონომიური განვითარების დონეც მაღალია.

ეკონომიკის ძირითად დარგებში პრივატიზაცია შემდეგნაირად წარმართა:

1. კუპროდუქტების მრეწველობა – მოსახლეობის პურით გარანტირებული უზრუნველყოფის მნიშვნელობიდან გამომდინარე და სახელმწიფოში მიმდინარე პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პროცესების თავისებურებების გათვალისწინებით, ჯერ კიდევ პრივატიზაციის დაწყებიდანვე საჭირო გახდა კუპროდუქტების მრეწველობის სანარმოთა ფართო მასშტაბით პრივატიზაციის ჩატარება თანამიმდევრულად, რეორგანიზაციის პროცესში დაგროვილი გამოცდილების შესაბამისად, რათა გამორიცხულიყო ყოველგვარი შეფერხება წარმოების სფეროში, არ შელახულიყო მოსახლეობის ინტერესები.

ცხრილი 5⁵⁷

სააქციო საზოგადოებების დაფუძნება რეგიონების
მიხედვით 2002 წლისათვის

№	მსარეები, რაიონი, მსხვილი ქალაქები	დამსკიდებულია გარდასაქმნელ ნუსხები	დაფუძნებულია სულ	დაფუძნებულია 2002 წელს
1	აფხაზეთი	34		0
2	აჭარა	86	35	0
3	თბილისი	432	418	3
4	გურია	56	61	0
5	რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	12	9	0
6	სამეგრელო და ზემო სვანეთი	180	196	0
	ფოთი	25	28	0
	ზუგდიდის რ-ნი	54	62	
7.	იმერეთი	234	245	0
	ქუთაისი	80	87	
	ტყიბული	16	12	
	წყალტუბო	18	17	
	კიათურა	17	16	
	ზესტაფონი	24	24	
8.	კახეთი	120	111	0
9	მცხეთა-მთიანეთი	41	39	0
10	სამცხე-ჯავახეთი	54	57	0
11	ქვემო ქართლი	99	118	0
	რუსთავი	38	38	0
12	შიდა ქართლი	78	83	0
	გორის რ-ნი	36	38	
	ბაშურის რ-ნი	15	19	

ამისათვის საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს კოლეგიის 1995 წლის 6 ნოემბრის დადგენილებით, ამ სისტემის ობიექტების პირდაპირი მიყიდვის, პრივატიზაციის დროს სახელმწიფო ქონების პასიური ნაწილის აფასების ახალი მეთოდიკა დამტკიცდა. საქართველოს სახელმწიფოს 1995 წლის 7 აგვისტოს ბრძანებულების შესაბამისად, პრივატიზაციას დაექვემდებარა სულ 201 ობიექტი, მათ შორის პურის ცხობის დარგში – 152 ობიექტი, მარცვალგადამამუშავებელი და სხვა საწარმოები – 26 ობიექტი, პურის მიმღები და სხვა საწარმოები – 12 ობიექტი, მშენებლობადაუმთავრებელი – 11 ობიექტი.

57 წყარო: საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს მონაცემები.

პრივატიზაცია განხორციელდა სამ ეტაპად: პირველ ეტაპზე – მოხდა მცირე სიმძლავრის ობიექტების პრივატიზება, პირდაპირი მიყიდვის ფორმით, მეორე ეტაპზე – საშუალო სიმძლავრის, ხოლო მესამე ეტაპზე – დიდი სიმძლავრის ობიექტების პრივატიზაცია აქციონერების მოზიდვით. ბოლო ეტაპზე ამ სფეროში პრივატიზაციის დასრულების მიზნით გამოყენებულ იქნა იჯარა-გამოსყიდვის ფორმაც.

საქართველოს დიდი სიმძლავრის ნისქეილქარხნების (მარნეულის, გორის, ქუთაისის) ბაზაზე დაფუძნებული სააქციო საზოგადოებების „მარნეულის ელევატორის“, „ელიტას“ და „ნისქეილის“ აქციათა საკონტროლო პაკეტები, შესაბამისად საინვესტიციო პროგრამების განხორციელების პირობებით, მიეყიდათ ინვესტორებს, აქციების ნომინალური ღირებულების 20%-ად.

სააქციო საზოგადოებების „აბაშის პურის მიმღები საწარმოს“, „ოზურგეთის პურპროდუქტების კომბინატის“, „ზუგდიდის პურკომბინატის“, „სენაკის პურპროდუქტების“, „შირაქისა“ და „კახეთის პურის“ სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილი აქციები მთლიანად პრივატიზებული იქნა.

ეს პროცესი წარმატებით დასრულდა თბილისში და ქვეყნის სხვა რეგიონებში. პრივატიზაციის პროცესში განხორციელდა პურის ფასების ლიბერალიზაცია. წარმოებულ პროდუქციაზე კონკურენციის გაზრდამ ხელი შეუწყო პურზე ფასების სტაბილიზაციას. ამით შესრულდა საქართველოს აგროკომისიის წარმომადგენლების მოთხოვნები, საქართველოს კრედიტებისა და ბიუჯეტისთვის განსაზღვრული თანხების გაცემისას, ამ დარგში პრივატიზაციის დაჩქარების შესახებ.

2. ენერგეტიკა – არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ამ დარგში პრივატიზაციის პროცესის დაწყებას. მართალია, ამ მიმართულებით უკვე სერიოზული ნაბიჯებია გადადგმული, მაგრამ მისი წარმატებით დასრულებისთვის მაინც ბევრი რამ არის გასაკეთებელი. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობები, უწინარეს ყოვლისა, ენერგეტიკაზეა დამოკიდებული. ამ მხრივ პირველი მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იყო, საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 4 ივლისის ბრძანებულება ელექტროენერგეტიკული სექტორის რესტრუქტურისაციის შესახებ, რომელიც „საქენერგოს“ ბაზაზე ფინანსურად დამოუკიდებელი სამი ქვესექტორის – გენერაციის, გადაცემათა დისპეტჩერიზაციისა და განაწილების ჩამოყალიბებას ითვალისწინებდა. აქედან გამომდინარე სახელმწიფო ქონების სამინისტრომ შეიმუშავა საქართველოს ენერგოსისტემის კომპანიების პრივატიზების სტრატეგია, რომელიც საქართვე-

ლოს პრეზიდენტის 1998 წლის 5 ივლისის ბრძანებულებით დამტკიცდა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ს/ს „თელასის“ აქციათა საკონტროლო პაკეტის პრივატიზაცია, რის შედეგადაც ბიუჯეტმა 40, 3 მლნ. ლარამდე შემოსავალი მიიღო. განხორციელდა ელექტროენერგეტიკული სექტორის რესტრუქტურისა, რომლის თანახმად „საქენერგოს“ რეორგანიზაციის ბაზაზე ჩამოყალიბდა ფინანსურად დამოუკიდებელი გენერაციის, გადაცემა-დისტრიბუციისა და განაწილების სექტორები. განაწილება მთლიანად გამოეყო „საქენერგოს“, დაცალკევდა ტერიტორიული პრინციპით და გარდაიქმნა სააქციო საზოგადოებებად. სულ 66 სააქციო საზოგადოება ჩამოყალიბდა. ინვესტირებას ელექტროენერგიის გამანაწილებელი კომპანიებისა და გენერაციის ობიექტები, სახელმწიფომ ინვესტირებას სამ ლოტად შესთავაზა⁵⁸.

პირველი ლოტი:

1. ს/ს „რელასის“ აქციათა 75%, კონკურენტული პირდაპირი მიყიდვით;
2. ს/ს „თბილსრესის“ აქციათა 80%, კონკურენტული პირდაპირი მიყიდვით;
3. ს/ს „ხრამი 1“ აქციათა 100%, 25 წლით მართვის უფლებით, კონკურსით;
4. ს/ს „ხრამი 2“ აქციათა 100%, 25 წლით მართვის უფლებით, კონკურსით;

მეორე ლოტი:

1. ს/ს „თელასის“ აქციათა 75% კონკურენტული პირდაპირი მიყიდვით;
2. ს/ს „ლაჯანურპესი“ აქციათა 100%, 25 წლით მართვის უფლებით, კონკურსით;
3. ს/ს „ტყიბულპესი“ აქციათა 100%, 25 წლით მართვის უფლებით, კონკურსით;
4. ს/ს „შაორპესი“ აქციათა 100%, 25 წლით მართვის უფლებით, კონკურსით;
5. ს/ს „გუმათპესების კასკადი“ აქციათა 100%, 25 წლით მართვის უფლებით, კონკურსით;
6. ს/ს „რიონპესი“ აქციათა 100%, 25 წლით მართვის უფლებით, კონკურსით;

⁵⁸ იხ. გაზეთი მესაკუთრე 1990 წლის ივლისი

მესამე ლოტი:

პირველ და მეორე ლოტს გარეთ დარჩენილი რაიონული დაქვემდებარების გამანაწილებელი ენერგოკომპანიების აქციების 75%, კონკურენტული პირდაპირი მიყიდვით.

პაკეტები საჯაროდ გაიხსნა 1999 წლის 31 აგვისტოს, სადაც პირველი ლოტით ორი კომპანია – კომპანია „AES“ და „POWER MANAGEMENT RTY LTD“-ი დაინტერესდა. პრივატიზების მიზნით შექმნილი საკონკურსო კომისიის 1999 წლის 21 დეკემბრის სხდომაზე პირველი ლოტის კონკურსში გამარჯვებულად კომპანია „AES“ გამოცხადდა.

კომისიის გადანყვეტილებით მეორე ლოტში გაერთიანებული ობიექტების განსახელმწიფოებრიობის მიზნით გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოცხადდა ფრანგული კონსორციუმი „SLG ENERGIES SA“, „MECAMIDI SA“, „GMT GROUP“ და „EDF“.

მესამე ლოტის ენერგოკომპანიებიდან, კახეთის რეგიონის გამანაწილებელი კომპანიების აქციათა 75%, პირდაპირი მიყიდვის წესით მიეყიდა შპს „თაქლას“, ს/ს „ვარციხეშესების კასკადის“ გამარჯვებული ამჯერად კომპანია „ტერნა“ (საბერძნეთი) აღმოჩნდა.

საიჯარო ხელშეკრულებების შესრულების სირთულეებთან დაკავშირებით, პრივატიზაციის სიაში „ჟინვალჰესისა“ და „ზაჰესის“ პიდროლექტროსადგურები არ იქნა გატანილი.

პრივატიზაციის პროცესმა, კიდევ უფრო მეტად წარმოაჩინა ისედაც მძიმე მდგომარეობა, რაც საქართველოს ელექტროენერგეტიკაშია. გამანაწილებელი ქსელისა და გენერაციის ობიექტების ფიზიკური და ფინანსური მდგომარეობა, სასწრაფო გამაჯანსაღებელი ღონისძიებების გატარებას საჭიროებდა. განხორციელდა მრავალი გამანაწილებელი კომპანიის სამხარეო კომპანიებად ჩამოყალიბება. შემდეგ, რვა სამხარეო კომპანია 2002 წელს გაერთიანდა ერთ გამანაწილებელ კომპანიად. თუმცა, მცირე მოცულობის მქონე კომპანიები არ წარმოადგენდნენ სერიოზული საერთაშორისო ენერგეტიკული კომპანიების ინტერესებს. 2001 წლის შემოდგომაზე გაფორმდა მართვის კონტრაქტი ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარსა და ტენდერში გამარჯვებულ ესპანურ კონსორციუმ „IBERDRO“-ს შორის. რაც შეეხება გადაცემადისპეტჩერიზაციის მართვის კონტრაქტს, აქ 2002 წლის 1 თებერვალს ჩატარებულ ტენდერში გამარჯვებული ირლანდიური კომპანია „ESBI“ გახდა.

ყველა ამ პროცესში აქტიურად იყო ჩართული საერთაშორისო ორგანიზაციები კონსულტაციების, აუდიტორული შეფასებების, ინვესტორების მოძიების, ტენდერების, კრედიტების გამოყოფისა და სხვა

მიზნებით. ეს პირველ რიგში მსოფლიო ბანკთან თანამშრომლობას შეეხება. მაგალითად, 2001 წელს საქართველოსა და მსოფლიო ბანკის საერთაშორისო განვითარების ასოციაციას შორის დადებული ხელშეკრულებით ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის მხარდამჭერი პროექტი (EMSP) ითვალისწინებს კრედიტს 27, 4 მლნ. დოლარის ოდენობით. გადაცემის, დისპეტჩერიზაციისა და საბითუმო ბაზრის ხუთი წლით კერძო მმართველობაში გადაცემამ, დაგეგმილ ინვესტიციებთან ერთად, ხელი შეუწყო ფინანსური ნაკადების მართვის გაუმჯობესებას, ტექნიკური დანაკარგების შემცირებას, ენერგოსისტემაში სტაბილურობის ზრდას, მიუკერძოებელი საბაზრო წესების გატარებას, ელექტროგადაცემის შესაძლებლობების თანაბარუფლებიან გამოყენებას.

აღნიშნულიდან ჩანს, რომ ენერგეტიკის სექტორში მდგომარეობის გამოსწორება არა მარტო საკუთარი ძალისხმევის გაძლიერებას, არამედ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან სერიოზული დონორული დახმარების უზრუნველყოფას საჭიროებდა.

3. ტელეკომუნიკაციების სექტორი – ამ სექტორში პრივატიზაციის დაწყებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ს/ს „საქართველოს ელექტროკავშირის“ დაფუძნებას და შპს „საქართველოს ტელეკომის“ ჩამოყალიბებას 1996 წელს. ამ უკანასკნელის დამფუძნებლებად გამოვიდნენ საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტრო 40% ნილობრივი მონაწილეობით, შპს „საქალაქთაშორისო სატელეფონო კავშირის ცენტრი“ 11% ნილობრივი მონაწილეობით, „InterneiSenal Telxeli“ 30% ნილობრივი მონაწილეობით და „ბულკომს კომიტეტი“ 19% ნილობრივი მონაწილეობით. 2001 წელს გამოცხადდა საერთაშორისო კონკურსი საქართველოს ტელეკომუნიკაციების სექტორის პრივატიზაციის მიზნით. მაგრამ მასში მონაწილეობის სურვილი პრაქტიკულად არცერთ სერიოზულ უცხოურ კომპანიას არ გამოუთქვამს. ეს დამაფიქრებელი ფაქტია, რადგანაც ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო კორიდორის სრულფასოვნად ამოქმედება ტელეკომუნიკაციების სფეროს მარკეტინგულ მიმზიდველობას თითქმის გამორიცხავს. ამ ობიექტების ფინანსური მდგომარეობაც საკმაოდ სტაბილურია. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მსოფლიო ფინანსურ ბაზრებზე კრიზისულ მოვლენებთან და ევროპული ოპერატორების ფინანსურ პრობლემებთან დაკავშირებით ერთგვარად შესუსტდა ინტერესები ტელეკომუნიკაციების სფეროს სანარმოთა მიმართ.

4. ტრანსპორტი – ამ სფეროში მცირე სანარმოების პრივატიზაცია, ინტენსიურად ხორციელდებოდა, განსაკუთრებით ყურადსაღებია რკინიგზისა და ფოთის პორტის განსახელმწიფოებრიობის პროცესი.

რკინიგზის სისტემაში პრივატიზაციის პროცესი დაიწყო მისი ინფრასტრუქტურის, არასანარმოო დანიშნულების 200-მდე ობიექტის პრივატიზაციით. საქართველოს რკინიგზის ინსტიტუციური მოწყობის შესახებ პრეზიდენტის განკარგულებით დაფუძნდა შპს „საქართველოს რკინიგზა“. აგრეთვე, შპს-დ ჩამოყალიბდა „საქართველოს ავიახაზები“, რომელიც დამოუკიდებლად ფუნქციონირებდა. უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ფოთის საზღვაო ნავსადგურის, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირად ჩამოყალიბებას. პარალელურად ევროკავშირის (TACIS) ექსპერტთა მონაწილეობით მომზადდა ფოთის საზღვაო ნავსადგურის რესტრუქტურირებისა და ზოგიერთი ტერმინალის იჯარით გაცემის წინადადებები. შპს-დ ჩამოყალიბდა საქართველოს საზღვაო სანაოსნოც.

5. **მრეწველობა** – პრივატიზაციის პროცესი შედარებით აქტიურად მიმდინარეობდა როგორც მცირე, ისე მსხვილი საწარმოების სფეროში. ამისათვის საქართველოს მთავრობასა და მსოფლიო ბანკს შორის შეთანხმების საფუძველზე, პირველი რიგის 29 საწარმოდან სულ ცოტა 20 საწარმო უნდა ყოფილიყო პრივატიზებული, ტენდერის, საჯარო აუქციონის, აქტივების გაყიდვის ან ლიკვიდაციის გზით, აღნიშნული კრედიტის მე-2 ტრანშის მისაღებად. ხოლო მე-3 ტრანშის მისაღებად, საჭირო იყო მთლიანად ყოფილიყო განხორციელებული მეორე რიგის საწარმოთა ლიკვიდაცია ან პრივატიზაცია.

6. **ჯანმრთელობა** – ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში ეკონომიკური რეფორმების სრულად განხორციელების ერთ-ერთი მთავარ პირობას წარმოადგენდა პრივატიზების პროცესის წარმატებით წარმართვა, დარგის განვითარებისთვის ინვესტიციების მოზიდვა, სათანადო ფისკალური და სოციალური ეფექტის მიღწევა.

სამედიცინო დაწესებულებების პრივატიზაცია მიზნად ისახავდა, დარგის რეორგანიზაციის პროცესში რეგულირებადი სამედიცინო ბაზრის ჩამოყალიბებასა და მასთან ადაპტირებული სამეურნეო სუბიექტების ფორმირებას. პრივატიზებისას უპირატესობით სარგებლობდა დაწესებულების კოლექტივი, რომელიც ამ მიზნისათვის ქმნიდა ამხანაგობებს.

საპრივატიზაციო სამედიცინო და ფარმაცევტული დაწესებულებები დაიყო სამ ჯგუფად:

- * პირველი ჯგუფი: სახელმწიფო შეკვეთისა და საბაზო პროგრამით მუშაობისა და ვიწრო პროფილის შენარჩუნებით, 10 წლის განავლობაში მუშაობის აუცილებელი პირობით;

- * მეორე ჯგუფი: სამედიცინო დაწესებულების პროფილის შენარჩუნებით, 10 წლის განმავლობაში მუშაობის აუცილებელი პირობით;

* მესამე ჯგუფი: ობიექტები პირობითი შეზღუდვის გარეშე.

საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხაში დამტკიცდა 98 ობიექტი, რომელთაგან 29 ობიექტზე შრომით კოლექტივს, მათი განცხადების საფუძველზე, პირდაპირი მიყიდვის ფორმით, პრივატიზების უფლება მიეცათ.

7. ბანათლება – იგი მიეკუთვნება სოციალურ-კულტურულ სფეროს. ამ სფეროების პრივატიზაცია, განსაკუთრებით საპასუხისმგებლოა. მათი სწრაფად და მასობრივად განხორციელება მისი ეროვნული, პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, ფსიქოლოგიური შედეგების გათვალისწინების გარეშე არ შეიძლება. ამიტომ განათლების სფეროში პრივატიზაციაზე ფაქტობრივად მორატორიუმი იყო გამოცხადებული. რაც შეეხება სოციალურ-კულტურულ სფეროს (გამომცემლობები, ტიპოგრაფიები, კინოთეატრები, დასასვენებელი და სპორტული კომპლექსები, ბიბლიოთეკები და ა.შ.) აქაც პრივატიზაცია განსაკუთრებით დიდ სიფრთხილეს მოითხოვდა. 1993-2002 წლებში ამ სფეროში სულ პრივატიზებულია დაახლოებით 780 ობიექტი და დაფუძნებულია 57 სააქციო საზოგადოება.

8. საბანკო სისტემის პრივატიზაცია – რეფორმის პირველი ეტაპის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შედეგია, საქართველოს საბანკო სისტემის ჩამოყალიბება. ამისათვის, ადრე სახელმწიფო ბანკები, სააქციო საზოგადოებებად ჩამოყალიბდა და შემდეგ მათი აქციების პრივატიზაცია მოხდა. თავდაპირველად სააქციო საზოგადოებებად დაფუძნდნენ „აგრობანკი“, „საქართველოს ბანკი“ (ბინსოცბანკი), „ექსიმბანკი“, „ინდუსტრია ბანკი“ გაერთიანდნენ და დაფუძნდა სააქციო საზოგადოება „გაერთიანებული ქართული ბანკი“.

ამჟამად სრულად იქნა პრივატიზებული, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული „საქართველოს ბანკის“ აქციები. ამასთან ბანკის აქციათა 7, 27% საწარმოთა და იმ სააქციო საზოგადოებათა საკუთრებაშია, რომელთა აქციების მსხვილ პაკეტს განეკარგავდა საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო.

9. მინის პრივატიზაცია – სოფლის მეურნეობა – საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ფუნდამენტური პირობაა, მინაზე საკუთრების ინსტიტუტის ფუნქციონირების ხარისხი. უდიდესი ისტორიული მიღწევაა მინის პრივატიზაციის განხორციელება, რის შედეგადაც სასოფლო-სამეურნეო სავარგულების უმეტესი ნაწილი, კერძო საკუთრებას წარმოადგენს. კერძო სექტორს განეკუთვნება არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის ფართობებიც.

სოფლად, მინაზე საკუთრების ურთიერთობებს არეგულირებს, საქართველოს კანონი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის

საკუთრების შესახებ და საქართველოს კანონი სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის შესახებ, ხოლო სხვა დანიშნულებით სახელმწიფო მიწის სარგებლობაში ან საკუთრებაში გაცემას – საქართველოს კანონი სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვის და განკარგვის შესახებ.

მიწის პრივატიზაციის შედეგები 1998 წლის 1 აპრილის მდგომარეობით ასეთი იყო: სასოფლო-სამეურნეო სავარგულები – 2 991 100 ჰა, მათ შორის პრივატიზებული ფართობი – 789 700 ჰა (26, 4%), სახნავ-სათესი ფართობი – 785 000 ჰა, მათ შორის პრივატიზებული – 431,9 000 ჰა (55%), მრავალწლიანი ნარგავების ფართობი – 277, 5 ათასი ჰა, მათ შორის პრივატიზებული 185, 5 ათასი ჰა (66. 9%), საძოვრების ფართობი 1 788 000 ჰა, მათ შორის პრივატიზებული 125 000 ჰა (7%), სოფლის მეურნეობაში იჯარით აღებული იყო სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 25, 3%, სახნავ-სათესის – 32, 6%, მრავალწლოვანი ნარგავების – 11, 2%, სათიბის – 20, 3%, საძოვრების – 24, 7%. მიწების ის ფართობი, რომლებიც პრივატიზაციის მიღმა დარჩა და არ იქნა პრივატიზებული, შეადგენდა სავარგულების საერთო მოცულობაში – 48, 35%-ს, აქედან, სახნავი ფართობი – 12, 45%-ს, მრავალწლოვანი ნარგავები – 21, 9%-ს, სათიბი – 45, 8%-ს, საძოვარი – 68, 4%-ს. აქედან ჩანს, რომ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწების თითქმის ნახევარი, კონკრეტულ მენარმეზე მიმაგრებული არ იყო და პრივატიზაციის გაფართოების შესაძლებლობები არსებობდა.

კერძო საკუთრება გაბატონდა არა მარტო მიწათმოქმედებაში, არამედ მეცხოველეობაშიც. საერთოდ საქართველოში კერძო სექტორი ქვეყანაში წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის 90%-ზე მეტს იძლევა. თუმცა უნდა ვაღიაროთ, რომ პრივატიზაციის შედეგად, სადღეისოდ, მივიღეთ მსხვილი წარმოების შეცვლა წვრილი წარმოებით, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დაქუცმაცება, წარმოების დეინდუსტრიალიზაცია. რა თქმა უნდა ასეთი ვითარება დროებითია. კერძო საკუთრების გაბატონება აუცილებლად თავის დადებით შედეგს გამოიღებს და შრომის მაღალი მოტივაციის საფუძველზე საქართველოს სოფლის მეურნეობაც თანდათან მაღალი ეფექტიანობის მიღწევით აღმავლობის გზას დაადგება.

რა თქმა უნდა, აღნიშნული გვიჩვენებს, რომ სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის თვალსაზრისით, უკვე მნიშვნელოვანი შედეგებია მიღებული, მაგრამ დადებითთან ერთად, პრივატიზაციას უარყოფითი მხარეებიც აღმოაჩნდა. მისი სამომავლო პერსპექტივების განსაზღვრისთვის პრივატიზაციის როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი შედეგების გათვალისწინებაა საჭირო. ამიტომ პრივატიზაციის პერსპე-

ქტივების განსაზღვრას, წინ მისი საერთო შეფასება უნდა უსწრებდეს.

2005 წელს პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა საქართველოში შეადგინა 449, 8 მილიონი აშშ დოლარი (2004 წელს – 499 მილიონი აშშ დოლარი). ჩგარკვეული კლება წინა წლებთან შედარებით გამოწვეული იყო ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის დამთავრებით, თუმცა სხვა ინვესტიციების (არა ნავთობსადენთან დაკავშირებული) მოცულობა 2004 წელთან შედარებით გაიზარდა 44 მილიონი აშშ დოლარით – 139 მილიონი აშშ დოლარიდან 183 მილიონ აშშ დოლარამდე. 2006 წელს, პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა საქართველოში 1, 190 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 740, 2 მლნ. აშშ დოლარით აღემატება წინა წლის მაჩვენებელს. 2007 წელს პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა საქართველოში შეადგინა 2 014, 8 მილიონი აშშ დოლარი (2006 წელთან შედარებით ზრდა შეადგენს 824 მლნ. აშშ დოლარს). 2008 წელს პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა საქართველოში შეადგინა 1 564 მილიონი აშშ დოლარი (2007 წელთან შედარებით კლება შეადგენს 450, 0 მლნ. აშშ დოლარს).

რაც შეეხება ევროკავშირის ქვეყნებიდან საქართველოში შემოსულ პირდაპირ ინვესტიციებს, 2006 წელს მან შეადგინა 407, 1 მლნ. აშშ დოლარი, რაც 163, 4 მლნ. აშშ დოლარით აღემატება წინა წლის მაჩვენებელს. 2007 წელს ევროკავშირის ქვეყნებიდან საქართველოში შემოსული პირდაპირი ინვესტიციების მოცულობამ შეადგინა 1132, 7 მლნ. აშშ დოლარი, რაც 725, 6 მლნ. აშშ დოლარით აღემატებოდა 2006 წლის მაჩვენებელს. 2008 წლის მონაცემებით ევროკავშირის ქვეყნებიდან საქართველოში შემოსული პირდაპირი ინვესტიციების მოცულობამ შეადგინა 476, 6 მლნ. აშშ დოლარი.

ცხრილი 6 ⁵⁹.

ძირითადი ქვეყნების წილი

მთლიან პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში 2007 წელს

მსოფლიო ბანკისა (WB) და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის „DOING BUSINESS 2008“ (IFC) ანგარიშის თანახმად, 2007 წელს, ეკონომიკურად სწრაფად რეფორმირებად ქვეყნებს შორის საქართველოს ეკავა მეხუთე ადგილი ეგვიპტის, ხორვატიის, განისა და მაკედონიის შემდეგ. კომპანია „Standard and Poors Rating Service“-მა საქართველოს საფინანსო მომსახურების სფეროს რეფორმების მიღწევათა შეფასების შემდეგ ქვეყანას მიანიჭა „B+“ საკრედიტო

⁵⁹ წყარო: საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდი

ქვეყანა	მოცულობა (მლნაშშ დოლარი)	წილი (%)
1	2	3
სულ:	2 014.0	100
ნიდერლანდები	299.3	14.9
ჩეხეთი	228.0	11.3
ვირჯინიის კუნძულები	188.0	9.3
დანია	158.1	8.0
კვიპროსი	149.0	7.4
გაერთიანებული სამეფო	145.5	7.2
არაბეთის გაერთიანებული ემირატები	131.0	6.5
რუსეთი	0.89	0.04
არაბთა გაერთიანებული სამეფოები	306.6	19.6
თურქეთი	165.0	10.5
ნიდერლანდები	135.9	8.7
ვირჯინიის კ-ბი (ბრიტ.)	156.8	10.0
აშშ	167.9	10.7
გაერთიანებული სამეფო	149.0	9.3
შვეიცარია	90.0	5.8
ყაზახეთი	65.9	4.2

რეიტინგი (B+CREDIT RATINGB), შემდგომი გრძელვადიანი გაუმჯობესების პერსპექტივით;

მოუხედავად ჩვენს მიერ მოყვანილი პოზიტიური ცვლილებებისა, რომელიც განხორციელდა 2004-2008 წლებში, რომელმაც ხელი შეუწყო საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესებას და ინსტრუქციების მოზიდვას, ასევე არ შეიძლება არ აღინიშნოს ის მნიშვნელოვანი, უარყოფითი ფაქტორები, რომლებმაც საგრძნობლად დააზარალა საქართველოს ეკონომიკა და ხელი შეუშალა ბიზნესის განვითარებას, ინვესტიციების

შემოდინებას, საკუთრებითი ურთიერთობის განმტკიცებას, თავისუფალ ფასნარმოქმნას და თავისუფალ კონკურენციას. კერძოდ, ასეთ ფაქტორებად მიგვაჩნია:

1. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის გადაუჭრელი პრობლემა;

2. 2008 წლის აგვისტოს საომარი მოქმედებები;

3. შიდა პოლიტიკური დაძაბულობა ხანგრძლივი დროის განმავლობაში;

4. სუსტი სასამართლო სისტემა;

5. საკუთრების უფლებების ხელყოფა;

6. ბიზნესზე ზეწოლის ფაქტები;

7. პრივატიზაციის არასწორი სტრატეგია;

8. რუსეთის ემბარგო ალკოჰოლურ და მინერალურ სასმელებზე;

9. ანტიმონოპოლიური სამსახურის გაუქმება;

10. განუვითარებელი სავალუტო და საფონდო ბირჟა;

11. ეროვნული ბანკის ფუნქციების შეზღუდვა;

12. სუსტი სიღარიბის შემცირების პროგრამა;

13. ბიზნეს-ასოციაციების არ არსებობა;

ქვეყნისთვის ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვნად შემაფერხებელი ფაქტორი იყო და არის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა. თითქმის 17 წელია საქართველოს დაკარგული აქვს, თავისი ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილი. ერთ-ერთი ფუნდამენტური ფუნქცია, რითაც საქართველო გამოირჩევა ეს არის – სატრანზიტო ფუნქცია, რომლის სრულად განხორციელებაშიც ხელს უშლის სწორედ აღნიშნული ტერიტორიების არასტაბილური პოლიტიკური სიტუაცია. ამის გამო ქვეყანამ თავის დამოუკიდებლობის პერიოდში ვერ შეძლო, ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების სრული უზრუნველყოფა, თავისი გეოგრაფიული მდებარეობის შესაძლებლობების სრული რეალიზაცია, საინვესტიციო გარემოს სრული გაჯანსაღება და ინვესტორებისთვის დროებით დაკარგულ ტერიტორიებზე ინვესტიციების განხორციელების ხელშეწყობა.

აღნიშნული მდგომარეობა უფრო გამწვავდა 2008 წლის აგვისტოს საომარი მოქმედების დროს, როდესაც რუსეთის მიერ პირდაპირ ანექსირებულ იქნა საქართველოს ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილი (სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ტერიტორიები). აგვისტოს რუსეთ-საქართველოს 5-დღიანი ომის შემდეგ, მსოფლიო ფინანსური კრიზისის გათვალისწინებით, საქართველოს წინაშე ახალი ეკონომიკური საფრთხეები დადგა. კერძოდ, ომით მიყენებული ეკონომიკური ზარალის ლიკვიდაცია, საბანკო კრიზისის თავიდან

აცილება, ინფლაციის ზრდის პრევენცია და ლარის კურსის სტაბილურობის შენარჩუნება.

ეს ყველაფერი საქართველომ ნაწილობრივ შეძლო, მაგრამ ფაქტია, რომ ამაში დიდი წვლილი შეიტანეს დონორმა ქვეყნებმა, თუმცა ომმა ძლიერ შეასუსტა ინვესტიციების შემოდინება საქართველოში და გამოიწვია საქართველოსთვის არა ერთი გლობალური პროექტების ჩაშლა ან გაურკვეველი ვადით გადადება. ოფიციალური სტატისტიკის თანახმად 2008 წელს, საქართველოში შემოსულმა ინვესტიციებმა 1, 1 მლრდ. დოლარი შეადგინა, რაც 2007 წელთან შედარებით, 600 მლნ.-ით ნაკლებია.

ასევე შემცირდა საგარეო სავაჭრო ბრუნვა: 2009 წლის იანვარ-აპრილში საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა 1 595, 0 მლნ. აშშ დოლარს შეადგენდა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 34, 9%-ით ნაკლებია, აქედან ექსპორტი 311, 3 მლნ. აშშ დოლარია (34, 9%-ით ნაკლები), ხოლო იმპორტი 1 283, 7 მლნ. აშშ დოლარი (35, 3%-ით ნაკლები). შესაბამისად, საქართველოს უარყოფითი საგარეო სავაჭრო ბალანსმა 972, 4 მლნ. დოლარი შეადგინა. ამიტომაც 2009 წელს ბიუჯეტის ძირითადი რესურსი იქნება გრანტები და საერთაშორისო დახმარებებიდან შემოსული თანხები.

2007 წლის იანვარ-სექტემბერში ინვესტიციების მოცულობა 1, 312 მლრდ. აშშ დოლარის მაჩვენებელზე იყო, 2008 წლის ამავე პერიოდში კი, ინვესტიციები 1, 105 მლნ. აშშ დოლარამდე შემცირდა.

3. 4 პრივატიზაციის ახალი ტალღა და თავისებურებანი 2004-2008 წლებში – „აგრესიული პრივატიზაცია“

ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ პრივატიზების სფეროში დაიწყო ახალი, ე.წ. „აგრესიული პრივატიზაცია“, რომელსაც ხშირად „კაბინეტურ პრივატიზაციასაც“ უწოდებდნენ. ამიტომ ჩვენ ცალკე განვიხილავთ საქართველოში მიმდინარე პრივატიზაციის პროცესს, რომელიც დღემდე გრძელდება. 2004 წლამდე მიმდინარე პრივატიზაცია ძირითადად რეკომენდებული იყო საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან, როგორებიცაა სავალუტო ფონდი, ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკი, მსოფლიო ბანკი, „IFC“ – საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია, „PUBLIC RELACION“, „TACIS“, „USAID“, გერმანიის სახელმწიფო ბანკი და სხვა. წინა ხელისუფლება ხშირ შემთხვევაში დგამდა გაუბედავ ნაბიჯებს სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის სფეროში, რაც გამოწვეული იყო მთავრობის ლოიალობით საზოგადოებრივ აზრთან და საპრივატიზაციო ობიექტების კოლექტივებთან მიმართებაში (ხშირ შემთხვევაში გადაწყვეტილებას იღებდა კოლექტივისა და საზოგადოების აზრის გათვალისწინებით), რომელიც ქვეყნის ეკონომიკისთვის არასასურველ შედეგს იძლეოდა და თავის მხრივ პრივატიზაციის პროცესს აფერხებდა.

ახალმა ხელისუფლებამ მიიღო პოლიტიკური გადაწყვეტილება და განახორციელა საკუთრების სრული ლიბერალიზაცია. პრივატიზაციის პროცესში დაიწყო თამაში ნაბიჯების გადადგმა. ხშირ შემთხვევაში ეს შეიძლება სოციალურად გაუმართლებელიც იყო, მაგრამ მთავარი აქცენტი გაკეთებული იყო ბიუჯეტში თანხების მოზიდვაზე.

იგი მიზნად ისახავდა ქვეყანაში ინვესტიციების მოზიდვას, რესურსების რაციონალურად გამოყენებას. ინვესტორებს ყველაზე მეტად ის დარგები აინტერესებთ, რომლებიც ეკონომიკაში განიხილება როგორც ბუნებრივი მონოპოლიები, ასეთებია: „თბილგაზი“, „თელასი“, „თბილწყალკანალი“, „საქტელეკომი“, „საქართველოს ენერგო სადისტრიბუციო კომპანია“, „საქართველოს რკინიგზა“, ელექტრო სადგურები და ა.შ.

ამას ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ საქართველოში უკვე არსებობდა მყარი ფულადი საკრედიტო სისტემა, ინფლაციური პროცესები იყო მართვადი, ქვეყნის ეკონომიკა ინვესტორებს საშუალებას აძლევდა, მიეღოთ მაღალი მოგება.

სწორედ ამ მიზნით, ახალმა ხელისუფლებამ მოსვლიდან 6 თვეში უკვე პრივატიზაციის სია და მისი პრეზენტაცია გამოაქვეყნა. პრივატიზაციისთვის განკუთვნილ ობიექტთა სია საქართველოს ეკონომიკური განვითარების მაშინდელმა მინისტრმა, კახა ბენდუქიძემ წარმოადგინა. ამ ობიექტების ჩამონათვალში შედიოდა: ს/ს „თბილავიამშენი“ (100%), რუსთავის მეტალურგიული კომბინატი (100%), „აზოტი“ (7%), „საქართველოს ელექტროკავშირი“ (100%), „საქართველოს ტელეკომი“ (40%), „საქალაქთაშორისო კავშირი“ (100%), თბილისის საერთაშორისო აეროპორტი (100%), „ძეგრულპესი“ (100%), „შაორპესი“ (100%), „რიონპესი“ (100%), „გუმათპესი“ (100%), „ლაჯანურპესი“ (100%), ფოთის აეროპორტი (98, 3%), „საქგაზმშენი“ (97,1%), „გრუზია ფილმი“ (66, 6%), ნავთობის ბაზები, რაიონული გაზ-გამანაწილებელი სანარმოები, აგარაკები წყნეთში და სხვ.

ხოლო აჭარაში განლაგებული ობიექტების სიაში: გემთსაშენი ქარხანა (100%), „ენერგოკომპანია“ (100%), ბათუმის აეროპორტი (100%), „აჭართეზი“ (100%), მექანიკური ქარხანა (100%), სამშენებლო მასალების ბათუმის კომბინატი (100%), თამბაქოს კომბინატი (100%), საკონსერვო ქარხანა (100%), ნავთობბაზა (100%), სასტუმროები – „ოაზისი“ (100%), მესხეთი (41, 7%), „ინტურისტ“ (100%), „მელეა“ (100%), „სპუტნიკი“ (40, 5%), „კოლხეთი“ (100%), ჩაქვის ტურბაზა (100%), სანატორიუმი „ქობულეთი“ (100%) და სხვ. მოყვანილი მასალებიდან ჩანს, რომ მიუხედავად იმ პრობლემებისა, რომელიც წინა ხელისუფლების დროს იყო, ნათელია ის ფრთხილი, თუნდაც გაუბედავი დამოკიდებულება სახელმწიფოს მხრიდან პრივატიზების განხორციელებაში.

ფაქტიურად ყველა მსხვილი ობიექტი არ იყო პრივატიზებული ახალი ხელისუფლების მოსვლის პერიოდში. დასამალი არ არის, რომ ბატონი კახა ბენდუქიძე მსხვილი პრივატიზაციის დამთავრებას 2006 წლისთვის ვარაუდობდა. მისივე ინიციატივა იყო შეიცვლილიყო „თბილავიამშენის“ საკუთრების ფორმა, რომელიც დაახლოებით ერთი წლის წინ, სანარმოოს კოლექტივს მმართველობაში 10 წლის ვადით პქონდა გადაცემული და განხორციელებული იყო მისი სრული პრივატიზაცია. ასევე შეიცვლილიყო „აზოტთან“ პირობითი საკუთრების კონტრაქტი, რეალური პრივატიზაციის კონტრაქტით (შესაბამისი პროცედურების შემდეგ).

იყო დევიზი: „სტრატეგიული ობიექტი არ არსებობს“, ანუ „იყიდება ყველაფერი – ნამუსის გარდა.“ შედეგად, ერთის მხრივ – საგრძნობლად გაიზარდა პრივატიზაციიდან მიღებული შემოსავლები, თუმცა ზოგ შემთხვევაში პრივატიზაციის პროცესი გაუმჭვირვალე იყო. რიგ

შემთხვევებში აუქციონები არაობიექტურად ტარდებოდა, ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი ობიექტების მიყიდვა ისეთ კომპანიებზე ხორციელდებოდა, რომელთაც პოლიტიკური ან შავი ფული უმაგრებდა ზურგს. რის შედეგადაც ხშირად ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი ობიექტები ჩვენთვის არცთუ კეთილმოსურნე ძალების ხელში ხვდებოდა. მთავრობა ძალიან ხშირად სახელმწიფო ქონებას სხვა ქვეყნის სახელმწიფო კომპანიებზე ჰყიდდა. საინტერესოა, თუ საქართველოს ხელისუფლება ვერ აღმოჩნდა კარგი მენეჯერი, რა გარანტიაა, რომ იგივე რუსეთის, ან ყაზახეთის ხელისუფლება იქნება ხალხის დასაქმებაზე და ბიზნესის გაფართოებაზე ორიენტირებული.

ცხრილი 7 ⁶⁰.

პრივატიზებული ობიექტების რაოდენობა და პრივატიზებიდან შემოსავლები

წლები	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007
პრივატიზებული ობიექტების რაოდენობა	661	673	761	267	776	441	595
ნაერთი პრივატიზებიდან ბიუჯეტში მლნ.ლარი	5,6	8,7	23,6	72,6	419,4	564,9	643,8

ცხრილი 8 ⁶¹.

პრივატიზებული ობიექტების რაოდენობა რეგიონების მიხედვით

პრივატიზებული ობიექტების რაოდენობა და მისგან შემოსულ თანხებზე შეიძლება ვიმსჯელოთ ცხრილი 7 და ცხრილი 8-ის მონაცემების საფუძველზე, საიდანაც ნათლად ჩანს, თუ როგორ, რა მასშტაბით გაიზარდა საბიუჯეტო შემოსავლები 2003 წლის 23, 6 მლნ. ლარიდან 643, 8 მლნ. ლარამდე 2007 წლისათვის.

⁶⁰ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო. სტატისტიკის დეპარტამენტი. საქართველოს სტატისტიკური წელიწადური 2008. თბილისი 2009. გვ. 148.

⁶¹ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო. სტატისტიკის დეპარტამენტი. საქართველოს სტატისტიკური წელიწადური 2008. თბილისი 2009. გვ. 148.

წლები	2004	2005	2006	2007
ქ.თბილისი	20	92	30	69
აფხაზეთის არ	-	-	-	-
აჭარის არ	38	111	27	134
გურია	3	41	11	13
იმერეთი	52	137	77	142
კახეთი	39	123	87	78
მცხეთა-თიანეთი	12	28	19	27
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	4	13	8	7
სამეგრელო ზემო- სვანეთი	7	83	40	49
სამცხე-ჯავახეთი	28	33	32	34
ქვემო ქართლი	44	69	45	9
შიდა ქართლი	20	46	35	33
საქართველო სულ	267	776	411	595

თავდაპირველადვე, მთავრობის ძირითადი მიზანი იყო, ქვეყანაში ფინანსური დისციპლინის დამყარება, საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესება და სწრაფი პრივატიზაცია.

პრივატიზაციის პროცესში უპირატესობა მას ენიჭებოდა, ვინც უფრო ბევრს გადაიხდიდა. ზოგიერთი ექსპერტების აზრით ხელისუფლება არასწორ პოლიტიკას ახორციელებდა, როცა ობიექტს იმ მესაკუთრეზე ყიდდა, ვინც მეტს იხდის და მნიშვნელობა არა აქვს, მყიდველი საქართველოს მოქალაქე იქნება თუ უცხოელი. ამკარაა, რომ ამით ხელისუფლება ფისკალური პრობლემების მოგვარებას ცდილობდა, ანუ პრივატიზებიდან მიღებული თანხებით საბიუჯეტო შემოსავლების გაზრდას, რაც ერთჯერადი ღონისძიებაა და ქვეყნის ეკონომიკის გაძლიერებას გრძელვადიან პერიოდში არ გამოადგება.

აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითად შემოსავლებს პრივატიზაციიდან მიღებული შემოსავლები შეადგენს. ჩვენი აზრით კარგი იქნებოდა, თუ შეიქმნებოდა პრივატიზაციის სპეციალური ფონდი, საიდანაც ეს თანხები მიმართული იქნებოდა უშუალოდ ინვესტიციებისთვის, რაც არ გაკეთდა, როგორც წინა ისე დღევანდელი ხელისუფლების პირობებში. იმიტომ, რომ პრივატიზაციიდან მიღებული შემოსავლები ინფლაციის ზრდის მნიშვნელოვანი ფაქტორია, ვინაიდან ეს არ არის ახლად შექმნილი დამატებითი ღირებულება. მიგვაჩნია, რომ ამ თანხების თავმოყრა უნდა მოხდეს სპეციალურად შექმნილ ეკონომიკიური სტაბილიზაციის ფონდში,

ხოლო მისი გამოყენება მოხდეს ქვეყანაში არსებული ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გათვალისწინებით.

სახელმწიფო ქონების პრივატიზებით, სახელმწიფო ბიუჯეტში 2004 წელს – 71, 7 მლნ. ლარი ჩაირიცხა.

აღსანიშნავია, რომ 2004 წელს დაწყებული, სრულიად ახალი ეტაპის პირველი მსხვილი პრივატიზაცია „საქართველოს საოკეანო სანაოსნო კომპანია“ („OSCO“) იყო, რომელიც საკმაოდ სკანდალური აღმოჩნდა. მის პრივატიზებასთან დაკავშირებით თავიდან სერიოზული დანიტერვება – შეიძმა უცხოურმა კომპანიამ გამოხატა. ესენია: დანიური კომპანია „GREENOAK“, ავსტრალიური „ASP-SHIP MANAGEMENT“, ბრიტანული „MARINE CAPITAL“, გერმანული „SOELLER-SHIP MANAGEMENT“, თურქული „KURYAT“, რუსული „Промышленные инвесторы“ და იტალიური „CO-ARMA“. თუმცა ოფიციალური განაცხადი კონკურსში მონაწილეობაზე მხოლოდ „GREENOAK“-მა შემოიტანა. ხელისუფლება აცხადებდა რომ, ქართული მხარის მიერ „GREENOAK“-თან ხელმოწერილი მემორანდუმი არეგულირებს პირობებს, რომლითაც აღნიშნულ კომპანიას 107 მილიონ დოლარად მიჰყიდიან „საქართველოს საოკეანო სანაოსნო კომპანია“ „OSCO“-ს. თუმცა გაურკვეველი მიზეზების გამო, ორი კვირის შემდეგ საქართველოს მთავრობამ და უცნობმა ბრიტანულ-ავსტრიული კომპანიის „ARMSTRONG HOLDING ISP“-ს (რომელიც რეგისტრირებული იყო არა ლონდონში, როგორც ამას ხელისუფლება ამტკიცებდა, არამედ კარიბის ზღვის კუნძულებზე 2004 წლის იანვარში). წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს მემორანდუმს, საქართველოს საოკეანო სანაოსნოს („OSCO“) პრივატიზაციის გარიგების პირობების შესახებ. მემორანდუმის მიხედვით, ინვესტორი კომპანია ვალდებულია იღებდა გადაეხადა პრივატიზების საფასური 89 მილიონი აშშ დოლარი და თავის თავზე აეღო 72 მილიონი აშშ დოლარი ვალის მომსახურება გერმანული ბანკების წინაშე. მასვე უნდა შეენარჩუნებინა 12 წლის მანძილზე ყველა სამუშაო ადგილი სანაოსნოში, გემების რაოდენობა გაეზარდა 15-დან 30-მდე, მოეზადებინა კადრები და ა.შ. ასევე მას უნდა აეშენებინა ნავთობ-გადამამუშავებელი ქარხანა, სადაც განახორციელებდა 150 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიციას. აღნიშნული გარიგება, სერიოზულად დააყენა ეჭვის ქვეშ იმ გარემოებამ რომ, ამ კომპანიის ხელმძღვანელი ადრე რამდენიმე გაკოტრებულ კომპანიას ედგა სათავეში. რაც შემდგომში, მართლაც დადასტურდა „Armstrong Holding“ საქართველოდან მოულოდნელად უკვალოდ გაქრა. ხოლო შემდგომში საოკეანო სანაოსნო კომპანიის მფლობელი ბრიტანულ-ავსტრიული „MARINE CAPITAL“-ი გახდა, რომელსაც პირდაპირი

მიყიდვის ფორმით გადაეცა კომპანია. მან 93 მილიონი დოლარი გადაიხადა ნაცვლად საქართველოს მთავრობის მიერ გაფორმებული მემორანდუმით ბრიტანულ კომპანია „Armstrong Holding“-თან გათვალისწინებული 161 მილიონი დოლარისა.

ამავდროულად ტენდერზე გამოტანილი იყო სამი მსხვილი ობიექტი: „ჭიათურმანგანუმი“, „ტყიბულნახშირი“ და „ვარციხეჰესის“ კასკადი ერთ ლოტად, 100 მილიონ აშშ დოლარად. ამასთან ერთად იგეგმებოდა სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ზესტაფონის „ფეროშენადნობთა ქარხნის“ წილის პრივატიზებაც. თავიდან ამ ობიექტების მიმართ დაინტერესება გამოხატა 5 კომპანიამ. უკრაინულმა ჯგუფმა „ინტერპაიპ“-მა, ავსტრიულმა „DCM FERRO“-მ, ყაზახურმა „ყაზქრომ“-მა, რუსულმა „Evrazholding“-მა და ჩეხურმა „Moravia-Georgia“. აღნიშნული პრივატიზების პროცესი ყველაზე „საინტერესო“ გამოდგა 2005 წლის 11 იანვარს გამარჯვებულის გამოვლენის ნაცვლად გამოითიშა ორი კომპანია ჩეხური „Mორავია-ჩეორგია“ და ყაზახური „ყაზქრომი“, დანარჩენებთან კი, დახურული მოლაპარაკებები დაიწყო (ოფიციალურად 18 იანვრამდე). მოლაპარაკებების შემდეგ, მოხდა „გასაოცარი“ რამ, ორმა კონკურენტმა რუსულმა „Evrazholding“-მა და ავსტრიულმა „DCM FERRO“, ერთობლივი სანარმო დაარეგისტრირეს „Niu-Ko“ და ამ ახალ კომპანიას კონკურსის გარეშე მიანიჭეს კონტრაქტი. ამ გარიგებით განაწყენებული უკრაინული „Interpaip“, ხმაურის გარეშე გაეცალა სიტუაციას. თუმცა მის მიერ შემოთავაზებული 117 მილიონიანი წინადადება და რეაბილიტაციის გეგმა (თუ გავითვალისწინებთ მის უდიდეს გამოცდილებას ამ სფეროში) ყველაზე მომგებიანი იყო.

სკანდალური ისტორია ამით არ დასრულებულა, გადასახდელი თანხის ნაწილის დაფარვის ვადის ამონურევამდე „Evrazholding“-მა წინასწარ გადახდილი 18 მილიონი დოლარის ზარალი არაფრად ჩააგდო და გარიგება ჩაშალა. მოტივად ოფიციალური ვერსიით, ინვესტორმა დაასკვნა, რომ „ჭიათურმანგანუმი“ არარენტაბელურია და კაპიტალის შემდგომ ინვესტირებისგან თავი შეიკავა. ხოლო არაოფიციალური ვერსიით „Evrazholding“-ს გარანტიები ზეპირად ჰქონდა მიღებული ყოფილ პრემიერ-მინისტრ ბატონ ზურაბ ჟვანიასგან, რომლის გარდაცვალების შემდეგაც მთავრობაში უარი განაცხადეს დაპირებებზე. ასევე ინვესტორს მოსთხოვეს სხვა ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი დავალიანებების გადახდა. გარიგების ჩაშლის გამო ქართული მხარე აპირებდა „Evrazholding“-თან ფინანსური პრეტენზიების წაყენებას. თუმცა როგორ დამთავრდა პროცესი დღემდე გაუგებარია. მოგვიანებით ხელისუფლებამ გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით,

პირდაპირი მიყიდვის წესით 2007 წლის იანვარში „ჭიათურმანგანუმი“, „ფეროშენადნობი ქარხანა“ და „ვარციხეშის კასკადი“ 115 მილიონ აშშ დოლარად გადასცა ინგლისურ კომპანია „Stemkor“-ს. აღნიშნულმა კომპანიამ აიღო ვალდებულება შეძენილი ობიექტები, აიყვანოს ევროპულ დონემდე, გააუმჯობესოს ტექნოლოგიები, გაზარდოს ხელფასები და ა.შ.

ცხრილი 9⁶²

პრივატიზებული ობიექტების განადილება პრივატიზების ფორმების მიხედვით.

წლები პრივატიზ. ფორმა	2004	2005	2006	2007
აუქციონი	213	624	391	592
კონკურსი	45	129	20	1
სხვა	9	23	-	2
სულ	267	776	411	595

2005 წელს პრივატიზაციის შედეგად 776 ობიექტი გაიყიდა და ბიუჯეტში შემოსულმა თანხამ 564, 5 მლნ. ლარი შეადგინა⁶³.

პრივატიზაციის ძირითად ფორმად ეკონომიკური განვითარების სამინისტრო აუქციონს იყენებდა, ამ ფორმით პრივატიზებულია 624 ობიექტი. 23 ობიექტი პირდაპირი მიყიდვის წესით გაიყიდა, ხოლო დანარჩენი – კონკურსის წესით. (იხილეთ ცხრილი 9). აღსანიშნავია, რომ 2005 წელს 93 მლნ. აშშ დოლარად საოკეანო სანაოსნო, 6 მლნ. აშშ დოლარად – ვაგონშემკეთებელი ქარხანა, ხოლო 5 მლნ. აშშ დოლარად – „საქართველოს ტელეკომის“ აქციათა პაკეტი გაიყიდა. 2005 წლის 25 ოქტომბერს ს/ს „მადნეულის“ მფლობელი „STANTON EQUITIES CORPORATION“ გახდა, რომელმაც სანარმოში 36 მილიონი დოლარი გადაიხადა.

საინტერესოდ გამოიყურება სააქციო საზოგადოება „მადნეულის“ პრივატიზების ისტორია. როგორც ცნობილია „მადნეული“ ოქროსა და სპილენძის მომპოვებელი კომპანიაა. შპს „კვარციტი“ კი, ოქროს წარმოებით არის დაკავებული. საერთაშორისო კონკურსი, ამ კომპანიების პრივატიზებაზე 2005 წლის 20 სექტემბერს გამოცხადდა. ყოვლად გაურკვეველი მიზეზებით გამო ვადა მხოლოდ ერთთვიანი იყო.

⁶² საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო. სტატისტიკის დეპარტამენტი. საქართველოს სტატისტიკური წელიწადი 2008. თბილისი 2009. გვ. 148.

⁶³ იხ. ცხრილი 7

ერთიან საპრივატიზაციო პაკეტში შედიოდა: ს/ს „მადნეულის“ აქციათა 97,25 პროცენტი (აქციის ნომინალური ღირებულება 1 აშშ დოლარი); შპს „საქართველოს სამთამადნო კომპანია“, შპს „ბელაზკავკაზ-ტრანსსერვისისა“ და შპს „ტრანსფექშიდის“ 100-100 %, შპს „ეკოლოგის“ 51 %, შპს „კვარციტის“, შპს „თრანს ჩეორგიან ლესორს“-ისა და შპს საფეხბურთო კლუბ „დინამოს“ აქციათა 50-50 %. ამ უკანასკნელის გარდა, „მადნეულისთვის“ ყველა პროფილური სანარმო იყო. პაკეტის თავდაპირველი ფასი 32, 5 მლნ. აშშ დოლარი იყო. ამ კომპანიით დაინტერესებულ ქვეყნების რაოდენობა, მართლაც შთამბეჭდავი იყო: ავსტრალია, კანადა, დიდი ბრიტანეთი, შვეიცარია, რუსეთი და ა.შ. „მადნეულის“ ყიდვით დაინტერესებული კომპანიებისა თუ ფიზიკური პირების გრძელი ნუსხა კი, ასე გამოიყურებოდა: „RISORSIS QEFITAL FANDS“ (ავსტრალია), „LIUIN HOLDINGS“ (ბაჰამა), „EVRAZIAN MAINING KORPOREISEN“ (ბრიტანეთი-კოლუმბია), „HORST VIZINGER KONSALTING“ (ავსტრია), „ARMENIAN KOPER PROGRAM“ (სომხეთი), „OREZON RISORSIS INKORFOREITED“ (კანადა), „BOLNISI GOLD EN EL“ (საქართველო), „DEVID JEO SMEN“ (ბაჰამა), „CENGIZ GRUP ETI BAKAR A.S.“ (თურქეთი), „LONDON INTERNATIONAL BANK“ (დიდი ბრიტანეთი), „KazreTi Maining“ (საქართველო), „Stenton Equitiz Korporation“ (ვირჯინიის კუნძულები), „Deno“ (შვეიცარია), „Rusinkori“ (რუსეთი), „Stenford InterneiSenal“ (აშშ), „ROMTREID LIMITED“ (რუსეთი-შვეიცარია), „Franc Group“ (დუბაი), „KINGS UEI“ (ყირგიზეთი), „A-TEQ INDASTRIS“ (ავსტრია), „JuJuralzoloto“ (რუსეთი) და „Gien Menejmenti“ (გაერთიანებული სამეფო).

საბოლოოდ დახურულ ტენდერში მონაწილეობას იღებდა, მხოლოდ ორი კომპანია: შპს „Energia და ინდუსტრია კომპლექსი“ და „Stenton Equitiz Korporation“. კონკურსის გამოცხადებიდან ერთი თვის შემდეგ გამარჯვებულად გამოცხადდა ბრიტანული კომპანია „STANTON EQUITIES CORPORATION“, რომელიც რუსული ჯგუფის „სამრენველო ინვესტორების“ კომპანიის შვილობილი კომპანიაა და რომელიც სპეციალურად შეიქმნა სწორედ ამ მიზნისთვის, ხოლო მის უკან რუსული სპეც-სამსახურების გენერალი – გენერალოვი იდგა, რომელმაც სახელმწიფოს 51 მილიონი აშშ დოლარი შესთავაზა. აქედან 35, 1 მილიონი აშშ დოლარი სს „მადნეულის“ აქციებისთვის და კიდევ 16 მილიონი დოლარი სახელმწიფო ბიუჯეტში სს „მადნეულის“ დავალიანების დასაფარად. მისი კონკურენტი „ენერჯი“ და „ინდუსტრია კომპლექსი“ აცხადებდა, რომ ქართულმა მხარემ, რუსულ კომპანიას უპირატესობა უსამართლოდ მიანიჭა. ჩვენის აზრით, ამ

შემთხვევაში ყოვლად გაუმართლებელი იყო ერთთვიანი კონკურსით ამ დიდი ობიექტების პრივატიზება. აუცილებელი იყო ასეთი მსხვილი ობიექტების პრივატიზების საკონკურსო ვადა მინიმუმ სამთვიანი ყოფილიყო. რათა მსურველებს უფრო სრულად შეესწავლათ, აღნიშნული შეთავაზება და მიეღოთ შესაბამისი გადაწყვეტილება. მიუხედავად ასეთი სკანდალური გარიგებისა ხელისუფლებამ 2005 წელს, ნომინაციაში „წლის საუკეთესო გარიგება“ „მადნეული“ და „საოკეანო სანაოსნო“ დაასახელა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პრივატიზაციის დაჩქარებისთვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო ის, რომ ხელისუფლებამ შეძლო სრულად აემუშავებინა გაკოტრების მექანიზმები, რაც გამოიხატებოდა იმით, რომ ხშირ შემთხვევაში სახელმწიფო ახდენდა მხოლოდ აქტივების გაყიდვას, ხოლო აღნიშნული კომპანიების ვალების (უმეტესად უიმედოს) ჩამონერა ხდებოდა. ეს იყო სახელმწიფოს მიერ იძულებით გადადგმული ნაბიჯი, ვინაიდან ვალებთან ერთად აღნიშნული კომპანიები ინვესტორისთვის არამიმზიდველი იყო. ასეთი მაგალითი იყო სს „აზოტის“ აქტივების მიყიდვა რუსული კომპანია „ენერჯი-ინვესტისთვის“, („იტერას“ ჩამოერთვა სს „აზოტი“, რომელსაც სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ 50 მილიონი ლარის დავალიანება გააჩნდა და რომლის მომსახურებაც „იტერას“ ჰქონდა სახელმწიფოს წინაშე ვალდებულებით აღებული). მან სანარმოს აქტივებში 20 მილიონი აშშ დოლარი გადაიხადა, ხოლო სახელმწიფოს მიმართ დავალიანება 50 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით ჩამონერილი იქნა. რაც გაკოტრების როგორც სანარმოთა გაჯანსაღების ნათელი მაგალითია. რისი ამუშავებაც წინა წლებში შეუძლებელი იყო. გაკოტრების ძველი კანონმდებლობის რთული პროცედურების გამო, სანარმოს დახურვას სამ წელზე მეტი სჭირდებოდა.

თუმცა ხშირ შემთხვევაში, უამრავი ბიუროკრატიული ბარიერის გამო, კომპანიის დახურვა დროის ამ მონაკვეთშიც ვერ ხერხდებოდა. ზარალდებოდნენ კრედიტორები, რომლებიც ვალების ამოღებას წლების განმავლობაში უშედეგოდ ელოდნენ. ხშირად გაკოტრების პროცესს ხელს უშლიდნენ უშუალოდ სახელმწიფო სანარმოების დაქირავებული მენეჯერები, რომლებიც აღნიშნულ გარემოში თავს უზრუნველად გრძნობდნენ. ხოლო სახელმწიფო მექანიზმები და პოლიტიკური ნება კი, უსუსური იყო. გაკოტრების ეფექტური მექანიზმის უქონლობის გამო სახელმწიფოს ბალანსზე, ან კერძო საკუთრებაში არსებული უამრავი გაკოტრებული სანარმოს შენობა და სანარმო თანდათან ინგრეოდა – ვერც მევალების გასტუმრებას ახერხებდა და საბაზრო ღირებულებასაც კარგავდა. მსოფლიო ბანკის შეფასებით, გაკოტრების

ძველი კანონი, საქართველოს სამეწარმეო გარემოს უარყოფით მხარეს წარმოადგენდა.

2007 წლის დასაწყისში მიღებულ იქნა კანონი „გადახდისუნარიანობის საქმის წარმოების შესახებ“, რომელიც ჩაენაცვლა მანამდე არსებულ კანონს „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“. შემდგომში კანონმდებლობაში შეტანილმა ცვლილებებმა, გაკოტრების პროცესი მნიშვნელოვნად გაამარტივა. „USAID“-ის ბიზნესის გარემოს რეფორმის პროექტის თავმჯდომარე, კავკასიის რეგიონში ოლინ მაკგილი, ამ ცვლილებას ასე აფასებდა: „გაკოტრების კანონი პრივატიზაციის პროცესისთვის მნიშვნელოვანი იარაღია. ამჟამად 15 000 სახელმწიფო საწარმოა პრივატიზებული. მთავრობა სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილი 1 700 საწარმოს პრივატიზებას ცდილობს. ამ საწარმოების უმეტესობა გაკოტრებულია – მათი პასივები აქტივებს მნიშვნელოვნად აჭარბებს. სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილი 1 700 საწარმოდან მხოლოდ 400 ფუნქციონირებს“.

გაკოტრების ახალი კანონის ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგია ის, რომ ღირებული აქტივები, ცირკულაციის პროცესში მოხდა. მსოფლიო ბანკის „DOING BUSINESS-2007“-ის კვლევის თანახმად, საწარმოს დახურვას 3, 3 წელი სჭირდებოდა და კრედიტორებს, მათი ვალების მხოლოდ 27, 5 %-ის აღება შეეძლოთ. ახალი კანონის ამოქმედების შემდეგ, საწარმოს დახურვას მაქსიმუმ 6 თვე სჭირდება, კრედიტორებისთვის ვალების დაბრუნების მაჩვენებელი კი, 87, 9 %-მდე გაიზარდა. გაკოტრების ახალ კანონს, დიდი ეკონომიკური შედეგი აქვს. სახელმწიფოს კუთვნილი საწარმოების დაახლოებით 20 %-ის პრივატიზება გაკოტრების ახალი კანონის მეშვეობით განხორციელდა.

ამდენად, გაკოტრების ახალი კანონი, დადებითი მოვლენა იყო იმ საწარმოებისთვის, რომლებიც გაკოტრების რეჟიმში წლების განმავლობაში იმყოფებოდნენ – მათ ბიზნეს-საქმიანობაში ჩართვის პერსპექტივა გაუჩნდათ. ვალებს (სრულად ან ნაწილობრივ) ამოიღებენ კრედიტორებიც. სახელმწიფოში კი, მესაკუთრეთა ახალი თაობის წარმოშობის შესაძლებლობა გაჩნდა. ასევე გაკოტრების შედეგად გაიყიდა რუსთავის მეტალურგიული კომბინატის ქონება 20 500 ათას აშშ დოლარად, რომლის მფლობელიც კომპანია შპს „ენერგია და ინდუსტრია კომპლესი“ გახდა. აღსანიშნავია, რომ კომბინატს 123 მილიონი აშშ დოლარის საკრედიტო დავალიანება ჰქონდა. მათ შორის 60 მილიონი სახელმწიფო ბიუჯეტის. ამ დავალიანების წარმოშობის ძირითადი მიზეზი, კომბინატის სუსტი მენეჯმენტი, არსებული ქაოსი, კლანური მმართველობა და იმ დროინდელი ხელისუფლების უსუსურობა იყო. დასამალი არ არის, რომ 2001-2003 წლებში მეტ-

ალურგიული კომბინატის „ადგილობრივი მენეჯმენტის“ გაუგებარი წინამდებობის გამო, ხელისუფლებამ ვერ მოახერხა მსოფლიოში უდიდეს თურქულ კომპანია „ჩუქუროვა პოლდინგთან“ 100 მილიონიანი საინვესტიციო კონტრაქტის გაფორმება. როცა ქვეყნის ხელისუფლება აღნიშნულ საკითხზე თურქეთის სახელმწიფოსთან მართავდა მოლაპარაკებას და შეთანხმება თითქმის მიღწეული იყო, მაშინ სანარმოს ხელმძღვანელობამ საეჭვო რეპუტაციის მქონე იტალიურ კომპანიასთან „არეს ინტერნეიშელთან“ დაიწყო თანამშრომლობა, რომელსაც საერთოდ შეხება არ ჰქონდა მეტალურგიულ წარმოებასთან და რომელიც ჯართის ექსპორტით იყო მხოლოდ დაკავებული საქართველოში. აღსანიშნავია, რომ მას 2004 წელს რუსთავის სამართლოს გადაწყვეტილებით აეკრძალა „რუსთავის მეტალურგიულ კომბინატში“ საქმიანობა. ასევე ხელისუფლების უსუსურობის შედეგი იყო ის, რომ ზოგიერთი კერძო სატელეკომუნიკაციო მეპატრონეების ინტრიგების, მათ მიერ გაკეთებული ტენდენციური, დაკვეთილი სიუჟეტების გამო ვერ მოხერხდა საქართველოს „ელექტროკავშირის“ პრივატიზება. როდესაც 2002 წელს მსხვილი ნორვეგიული კომპანია „ტელენორი“ აპირებდა საქართველოს „ელექტროკავშირში“ მენეჯმენტის განხორციელებას და საპრივატიზაციოდ მის მომზადებას. ამ კომპანიის შემოყვანას ხელი შეუშალეს იმათ, ვისი კერძო ინტერესებიც უშუალოდ იყო მიბმული საქართველოს „ელექტროკავშირის“ საქმიანობასთან. შემდგომში 2006 წელს გაერთიანებული ტელეკომის აქციათა 99, 6% ყაზახურმა კომპანია „BLACK SEA TELECOM HOLDINGS BV“-მ 90 მილიონ აშშ დოლარად შეიძინა. მოგვიანებით აქციათა 40, 65% პოლანდიურ „CENTRAL ASIA LOGISTICS BV“-ს მიჰყიდა 52 მილიონ აშშ დოლარად.

საქართველოს ისტორიაში 2005 წელს, პირველად მოხდა ახალი მეთოდის დანერგვა, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში კერძო კაპიტალი მონაწილეობს. წინანდლის რეზიდენცია 49 წლის ვადით, იჯარით კერძო კომპანიას „ამბრელა კონსალტინგს“ გადაეცა. საიჯარო პირობების თანახმად, ქაჯჭავაძეების სახლ-მუზეუმი, რეზიდენცია და მიმდებარე ტერიტორია, ინვესტორს 49 წლიანი იჯარით გადაეცა, რომელიც ყოველწლიურად სახელმწიფო ბიუჯეტში 75 000 აშშ დოლარს შეიტანდა, ხოლო 2 წლის განმავლობაში მინიმუმ 5 000 000 აშშ დოლარის ინვესტიციას განახორციელებდა. საიჯარო პირობებში ჩადებული იყო სახლ-მუზეუმისა და არსებული ექსპონატების მოვლა-პატრონობის ვალდებულება, პერსონალის დასაქმება და თანამედროვე ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება. მოიჯარე ასევე ვალდებული იყო, უზრუნველყო რეზიდენციის ტერიტორიაზე არსებუ-

ლი მოძრავი და უძრავი ქონების შენახვა, მოვლა-პატრონობა. წინანდალი თანამედროვე მოთხოვნების ტურისტულ ცენტრად უნდა ქცეულიყო, სახელმწიფო და კერძოდ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, კულტურის, სპორტისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, წელიწადში ორჯერ, წინანდლის რეზიდენციის დეტალურ ინვეტარიზაციასა და სრულ მონიტორინგს განახორციელებდნენ.

2006 წელს პრივატიზაციიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 564, 5 მილიონი ლარი. სწორედ ამ წელს განხორციელდა ყველაზე მსხვილი პრივატიზაცია საქართველოს ისტორიაში, მანამდე არსებულთაგან, კერძოდ ენერგეტიკის სფეროში. ეს გახლდათ „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის“ და მათთან ერთად აჭარის „ენერგოკომპანიის“, კახეთის „ენერგოდისტრიბუციის“, „ლაჯანურჰესის“ – 113 მეგავატი, „რიონჰესების“ – 48 მეგავატი, „გუმათჰესის“ – 67 მეგავატი, „შაორის“ – 38 მეგავატის, „ძეველურას“ – 80 მეგავატი, „ანის“ – 16 მეგავატის, პრივატიზირება.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ პრივატიზების პროცესის დაჩქარებასა და აღნიშნული ობიექტებით უცხოელი ინვესტორების მხრიდან დაინტერესებას, ხელი შეუწყო იმ რეფორმებმა, რომლებიც განხორციელდა ენერგეტიკის მართვის სფეროში 2000-2003 წლებში. რაც გამოიხატა ენერგეტიკული ობიექტების გამსხვილებასა და სამართავად უცხოელ ინვესტორებზე გადაცემაში. კერძოდ, ჯერ კიდევ 2000 წელს, საქართველოს ენერგეტიკული ბაზარი 5 წლიანი მართვის უფლებით ესპანურ კომპანია „იბერ დროლა“-ს გადაეცა. მოგვიანებით, შპს „ელექტროდისტრიბუტივაცია 2000“-ის და სს „ელექტროგადაცემის“ გაერთიანების შედეგად 2002 წელს შეიქმნა შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“. ხოლო 2003 წლის მარტიდან, კომპანია სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრომ, სამართავად ხუთწლიანი ვადით ირლანდიურ კომპანია „ESBI“-ს გადასცა. ირლანდიური კომპანია ინტენსიურად თანამშრომლობდა დონორ ორგანიზაციებთან – მსოფლიო ბანკთან და გერმანულ ბანკ „KfW“-სთან. კომპანიაში მსოფლიო ბანკის დაფინანსებით მოწვეულნი იქნენ კომპანია „SIEMENS“-ის სპეციალისტები. რამაც ხელი შეუწყო ახალი ტექნოლოგიების დანერგვას, ენერგოსისტემის მართვის სრულყოფას. განხორციელდა მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემ ხაზებზე ოპტიკურბოჭკოვანი კაბელის განთავსება და ქვესადგურების ტექნიკური საშუალებებით აღჭურვა. დასრულდა ელექტროგადამცემი ხაზების რეაბილიტაცია. ყოველივე ამან განაპირობა „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მუშაობის ეფექტიანობის ამაღლება. 2003 წლის დასაწყისში. დანაკარგების პიკური მაჩვენებელი 2007 წლისთვის 4%-ზე ნაკლები იყო.

სახელმწიფო ქონების მართვის გაუმჯობესების თვალსაზრისით, ძალზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო რაიონული და რეგიონული ენერგოსადისტრიბუციო კომპანიების გაერთიანება 2001-2002 წლებში. მათი გაერთიანება იმ დროისთვის საკმაოდ წინააღმდეგობრივი იყო, ვინაიდან ადგილობრივი დისტრიბუციები, ხშირ შემთხვევაში წარმოადგენდნენ თვითმმართველობისა და მმართველობის, მერების, გუბერნატორების გავლენის სფეროებს. აღრიცხვიანობა იყო მოშლილი, მენეჯმენტი – ძალიან სუსტი, შესაბამისად გადასახადების მოკრეფა იყო დაბალი, ენერგომომხმარებელი არ იყო უზრუნველყოფილი საბითუმო, კომუნალური და ინდივიდუალური მრიცხველებით. დიდი იყო ურჩ გამამხდელთა ხვედრითი წილი. მაღალი იყო დანაკარგები, მასიური იყო დატაცების შემთხვევები. აღნიშნული გარემო აწყობდა როგორც მიმწოდებელს, ასევე მომხმარებელს, ვინაიდან ხშირ შემთხვევაში გადასახადების გადახდა ხდებოდა ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე კორუფციული გარიგების გზით.

ამიტომაც უზარმაზარი ვალები დაუგროვდა სადისტრიბუციო კომპანიებს. რაც იმ დროინდელი პოტენციური ინვესტორებისათვის, (მყიდველებისათვის) ყოველად არამიმზიდველი, არარენტაბელური იყო. საბოლოოდ, ხელისუფლებამ მაინც შეძლო სადისტრიბუციო კომპანიების იმერეთის, ქვემო ქართლის, გურიის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, სამცხე-ჯავახეთის, მცხეთა-მთიანეთისა და შიდა ქართლის გაერთიანების საფუძველზე, 2002 წელს შეექმნა „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია“. აღნიშნული კომპანიის ასეთი მძიმე ფინანსური და ეკონომიკური მდგომარეობა, თავისთავად ხელს უშლიდა და არამიმზიდველს ხდიდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ პიდროელექტროსადგურებს, რომლებიც ძირითადად იმერეთის რეგიონში იყო განთავსებული. („ლაჯანურპესი“, „რიონპესები“, „ანა“, „გუმათპესი“, „შაორი“, „ძველურა“). მიუხედავად იმისა, რომ 2002-2003 წლებში ბევრი უცხოელი, თუ ადგილობრივი ინვესტორი, დაინტერესებული იყო მხოლოდ აღნიშნული ელექტროსადგურების შესყიდვით სადისტრიბუციო კომპანიის გარეშე, სახელმწიფომ დონორ ორგანიზაციებთან ერთად, თავი შეიკავა აღნიშნული პიდროელექტროსადგურების პრივატიზებაზე. (როგორც შემდგომში გამოჩნდა, ეს გადაწყვეტილება ქვეყნისთვის ძალზე მომგებიანი იყო).

მართვისა და პრივატიზების ძირითადი სტრატეგია 2001-2003 წლებში მდგომარეობდა შემდეგში:

- * ჯერ უნდა გაუმჯობესებულიყო სადისტრიბუციო კომპანიის მენეჯმენტი;

- * გაუმჯობესებულიყო დენის მიწოდება მომხმარებელზე;

* გაზრდილიყო მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის ამოღების მაჩვენებელი;

* მონესრიგებულიყო აღრიცხვიანობა;

* მომხდარიყო ვალების რესტრუქტურისა და ნაწილობრივი დაფარვა და ა.შ.;

ყოველივე ეს, კი გულისხმობდა ჰიდროელექტროსადგურებს, დროულად მიეღოთ მათ მიერ გამოქვეყნებული მინოდებული ელექტროენერგიის საფასური და ამუშავებულიყვნენ სრული დატვირთვით. რაც თავისთავად საგრძნობლად გაზრდიდა, მათ საპრივატიზაციო ღირებულებას. რის გაკეთებაც ქართულ მენეჯმენტს ძალზე გაუჭირდებოდა. სწორედ ამ მიზნით სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება და „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია“ 2003 წლის მაისში „USAID“-ის დაფინანსებით ამერიკულ კომპანია „JA ჩმNშუგთიNR ჩლმუჯ“-ს 18 თვიანი ვადით გადასცა. ხოლო 2004 წლის ნოემბერში საქართველოს მთავრობამ ორი წლით გააგრძელა აღნიშნული კონტრაქტი (თუმცა შემდგომში კონტრაქტი ვადის ამოწურვამდე, ისე განყვიტა ინვესტორი საქმის კურსშიც კი არ ჩაუყენებია).

სადისტრიბუციო კომპანიას 24 300 კომერციული, 660 ათასი მომხმარებელი და 5 000 თანამშრომელი ჰყავდა. ენერგოკომპანიის მომსახურების არეალი საქართველოს ტერიტორიის 70 %-ს, ძირითადად – სასოფლო დასახლებებს მოიცავდა. „PA CONSULTING GROUP“ კომპანიამ აიღო ვალდებულება წელიწადნახევრის განმავლობაში, განეხორციელებინა ენერგოკომპანიის რეორგანიზაცია, ფინანსური მენეჯმენტი, აღრიცხვა-დარიცხვისა და გამრიცხველიანების სისტემების მონესრიგება, ელექტროენერგიის მინოდების უზრუნველყოფა, პრო-მითი რესურსის ოპტიმიზაცია.

„PA CONSULTING GROUP“ მუშაობის შედეგად, დროის მცირე მონაკვეთში ელექტროენერგიაზე ამოღებული გადასახადები საგრძნობლად გაზარდა, რაც 2004 წლის ბოლოს 20%-დან 44%-მდე ავიდა, 2005 წლის განმავლობაში 44%-დან 70%-მდე გაიზარდა, ხოლო 2006 წლის დეკემბრისთვის 70%-დან 85%-მდე ავიდა, რაც „USAID“-ის მიერ მართული სახელმწიფოს მფლობელობაში მყოფი ელექტროგამანაწილებელი კომპანიების ხარჯზე მოგვარდა. მოსახლეობაში ურჩი გადამხდელთა წილი 2006 წლის განმავლობაში 24%-დან 4%-მდე შემცირდა, სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფი სადისტრიბუციო კომპანიების „USAID“-ის მენეჯმენტმა აამოქმედა აღრიცხვების წარმოების ავტომატური პროცესი, რამაც შეამცირა ქვითრების შეგროვება; დაამონტაჟა პრიცხველები, რამაც 2003 წლიდან 2006 წლის ჩათვლით

17%-დან 100%-მდე გაზარდა მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის გადახდის დონე. გერმანიის განვითარების ბანკიდან („KfW“) მოზიდული იქნა 35 მილიონი ევრო დამატებითი ინდივიდუალური მრიცხველების დასაყენებლად, საქართველოს მთელ ელექტროქსელში და სადისტრიბუციო სისტემის გასაუმჯობესებლად.

ზამთრის განმავლობაში ქვეყნისთვის განეულმა დახმარებამ საქართველოს ზამთარში გათბობით უზრუნველყოფის პროგრამის მეშვეობით სარგებლობა მოუტანა 230 115 ოჯახს, 685 დაწესებულებასა და 20 554 იძულებით გადაადგილებულ პირს.

ყოველივე ამან კი, ქვეყნის ხელისუფლებას მისცა საშუალება სამი სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის და ექვსი პიდროელექტროსადგურის მაღალ ფასში პრივატიზაციისა. (ყველა ობიექტის საერთო სანყისი ფასი 119 მილიონ აშშ დოლარი იყო). საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხაში წარმოდგენილი იყო:

- „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია“ – 30 000 000 აშშ დოლარი;

- „აჭარის ენერგოკომპანია“ – 5 000 000 აშშ დოლარი;

- „კახეთის ენერგოდისტრიბუცია“ – 2 000 000 აშშ დოლარი;

- „ლაჯანურჰესი“ – დადგმული სიმძლავრე – 112, 5 მვტ. საპრივატიზაციო ფასი – 26 000 000 აშშ დოლარი;

- „რიონჰესი“ – დადგმული სიმძლავრე – 48 მვტ. – ქონების სანყისი საპრივატიზაციო ფასი – 14 000 000 აშშ დოლარი;

- „გუმათჰესების კასკადი“ – დადგმული სიმძლავრე – 66, 5 მვტ. – ქონების სანყისი საპრივატიზაციო ფასი – 12 000 000 აშშ დოლარი;

- „შაორჰესი“ – დადგმული სიმძლავრე – 38, 4 მვტ. – ქონების სანყისი საპრივატიზაციო ფასი – 12 000 000 აშშ დოლარი;

- „ძევერულჰესი“ – დადგმული სიმძლავრე – 80 მვტ. – ქონების სანყისი

- საპრივატიზაციო ფასი – 14 000 000 აშშ დოლარი;

- „ანჰესი“ – დადგმული სიმძლავრე – 16 მვტ. – ქონების სანყისი საპრივატიზაციო ფასი – 4 000 000 აშშ დოლარი.

თავდაპირველად 2005 წელს, ეკონომიკური რეფორმების საკითხებში სახელმწიფო მინისტრიეს, კახა ბენდუქიძის ინიციატივით, ენერგო-ობიექტების გაყიდვა ერთ პაკეტად იგეგმებოდა. თუმცა, შემდგომში მთავრობამ გადაწყვიტა ეს ობიექტები ცალკე-ცალკე გაეყიდა. გარდა ამისა, ეკონომიკის სამინისტროს მიერ კონკურსის პირობებში ნათქვამი იყო: „პიდროელექტროსადგურების ქონების პრივატიზებისას უპირატესობა ენიჭება ენერგეტიკის სადისტრიბუციო კომპანიების აქტივების (ქონების) რეალიზაციის თაობაზე გამოცხადე-

ბულ კონკურსში გამარჯვებულს".

პესების შესყიდვით რვა კომპანია – „TBC ENERGY“, რომელიც ქართული კომპანია „TBC GROUP“-ს წარმოადგენს, „LAXTRON ENERGY“, ჩეხური „ENERGY-PRO“, „UNIITRADE SERVICE“, „GEO STELL“ და „Inter Raees“- ი დაინტერესდნენ. სამი სადისტრიბუციო კომპანიით კი, ხუთი კომპანია - „FALCON CAPITAL“, „LAXTRON ENERGY“, „ENERGY PRO“, „TBC ENERGY“, „SB ENERGY“.

შეთავაზებული პირობები ასეთი იყო:

1. „LAXTRON ENERGY“ „ლაჯანურპესში“ 26 მლნ. 250 ათას აშშ დოლარის გადახდას სთავაზობდა; „რიონპესში“ – 14 მლნ. 320 ათასი, „ანპეს“-ში – 4 მლნ. 150 ათასი, „გუმათპესში“ – 12 მლნ. 300 ათასს, ხოლო „აჭარის ენერგოკომპანიაში“ – 8 მლნ. 500 ათას დოლარს.

2. „TBC ENERGY“ მზად იყო „რიონპესი“ 20 მლნ. 100 ათასი აშშ დოლარად შეეძინა.

3. ჩეხური კომპანია „ENERGY PRO“-ს შეთავაზება კი შემდეგნაირი იყო: „ძევრულპესი“ – 14 მლნ. 300 ათასი აშშ დოლარი, „ლაჯანურპესი“ – 60 მლნ., „გუმათპესი“ – 38 მლნ., „შაორპესი“ – 13 მლნ., „რიონპესი“ – 39 მლნ. 800 ათასი, „ანპესი“- 5 მლნ. აშშ დოლარი. „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიაში“ იგი – 27 მლნ. აშშ დოლარს იხდიდა.

4. კომპანია „UNIITRADE SERVIC“ მზად იყო შეეძინა „ანპესი“ 4 მლნ. 500 ათასი აშშ დოლარად, „შაორპესი“ კი 16 მილიონად.

5. რუსული კომპანია „ინტერ რაო ეესი“ ორ პიდრო-ელექტროსადგურზე აცხადებდა პრეტენზიას: „ანპეს-ზე“ და „ძევრულპეს-ზე“ – 4 მლნ. 500 ათასი და 20 მლნ. აშშ დოლარი შესაბამისად.

6. „GEO STELL“ „რიონპესში“ 21 მლნ. აშშ დოლარს, ხოლო „ანპეს-ში“ 5 მლნ. 150 ათასს იხდიდა.

7. „აჭარის ენერგოკომპანიისთვის“ „FALCON CAPITAL“-ი – 12 მლნ. აშშ დოლარს სთავაზობდა.

8. „TBC ENERGY“ – „კახეთის ენერგოდისტრიბუციაში“ – 5 მლნ. 100 ათას აშშ დოლარის შეთავაზებას აკეთებდა. იმავე სადისტრიბუციო კომპანიით „ENERGY PRO“ დაინტერესდა, რაშიც ის 2 მლნ. 100 ათასს დოლარს იხდიდა, ხოლო „აჭარის ენერგოკომპანიაში“ კი, – 8 მლნ. 400 ათასს.

ეკონომიკის სამინისტროს ინფორმაციით, ყველა ენერგო ობიექტის სანყისი ფასი ერთად აღებული 119 მლნ. აშშ დოლარს შეადგენდა, თუმცა კონკურსის შედეგად აღნიშნული თანხა, როგორც მოსალოდნელი იყო, 282 მლნ. აშშ დოლარამდე გაიზარდა.

ტენდერის შედეგად ჩეხურმა კომპანია „ENERGY PRO“-მ (იგი

ესპანეთშია დაარსებული, ძირითად სამუშაოებს ჩეხეთში, ბულგარეთსა და რუმინეთში აწარმოებს. 2006 წელს მან ორი პესის მშენებლობა თურქეთში დაიწყო და ენერგობიძეების შესყიდვით, საქართველოს ბაზარზეც შემოვიდა) შეისყიდა გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია და აჭარის სადისტრიბუციო ენერგოკომპანია, ასევე ექვსი პესი: „ძვერულპესი“, „ლაჯანურპესი“, „გუმათპესი“, „შაორპესი“, „რიონპესი“ და „ანპესი“. ამ გარიგების ღირებულებამ 312 მილიონ 350 ათასი აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო „TBC ENERGY“-მ, რომელიც ქართული კომპანია „TBC GROUP“-ს წარმოადგენს, 5, 1 მილიონი აშშ დოლარი გადაიხადა კახეთის სადისტრიბუციო ენერგოკომპანიაში. შემდგომში გაირკვა, რომ ჩეხურმა კომპანიამ შეძენილ აქტივებში 312 მილიონ დოლარის ნაცვლად 120 მილიონ დოლარამდე გადაიხადა (რაც დღემდე გაუგებარია) კერძოდ დასავლეთის ჰიდროელექტროსადგურებში „ლაჯანურპესი“, „რიონპესი“, „გუმათპესების კასკადი“, „შაორპესი“, „ძვერულპესი“, „ანპესი“ სულ 362 მეგავატი, მან, 73, 5 მილიონ დოლარად შეიძინა, გაერთიანებულ ენერგო სადისტრიბუციო კომპანია 32 მილიონი დოლარი, აჭარის ენერგოკომპანიაში 14, 5 მილიონი დოლარი დაუჯდა. ასევე საინტერესოა ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება, რომელშიც დაფიქსირებულია რომ, ენერგო სადისტრიბუციო სივრცეში იქნება, მხოლოდ ერთი ექსკლუზიური განაწილების ლიცენზია. „ენერგოპრო“ს მოქმედების არეალში სხვა ლიცენზიები არ გაიცემა გარდა თავად „ენერგო-პროს“ ლიცენზიისა. ეს რა თქმა უნდა ზღუდავს ლიბერალური ბაზრის ჩამოყალიბების შესაძლებლობას, რადგან მყიდველი თავად არეგულირებს თავისი საქმიანობის სფეროში კონკურენტების დაშვებას. ასევე მას აქვს შეზღუდვა გზის უფლება. მის მფლობელობაში გადასულ აქტივამდე მისასვლელად. იგი გათავისუფლებულია ამ ტერიტორიის მესაკუთრეებისთვის კომპენსაციის, იჯარის ან სხვა გადასახადის ვალდებულებისგან. რითაც შეზღუდულია მოქალაქის საკუთრების ფლობისა და განკარგვის უფლება. ასევე საეჭვოა ერთი გარემოება, კომპანიას რომელიც ინდივიდუალური გამრიცხველიანობისთვის ითხოვს 10 წლიან ვადას, საერთოდ შესწევს კი უნარი ხელშეკრულებით გათვალისწინებული 400 მილიონი დოლარის ინვესტიციების განხორციელებისა? ასევე ხელშეკრულებით გათვალისწინებულია ტარიფების ინდესაქცია ინფლაციასთან შესაბამისობაში, რამაც შესაძლებელია ტარიფის გაზრდა გამოიწვიოს.

ასევე, როგორც ჩვენთვის ცნობილია, „ენერგო-პრო ჯორჯიამ“ 25 მილიონ დოლარად შეიძინა „ორთაჭალპესი“, რომელიც კომპანია „ორთაჭალენერჯს“ 2019 წლამდე ჰქონდა იჯარით აღებული. (სახ-

ელმწიფომ „ორთაჭალენერჯის“ ყოველგვარი არგუმენტების გარეშე, შეუნყვიტა საიჯარო ხელშეკრულება (ყოველ შემთხვევაში ეს არგუმენტები სახელმწიფოს მხრიდან არსად არ გაუღერებულა).

მიუხედავად გარკვეული შენიშვნებისა, აღნიშნული ენერგეტიკული ობიექტების პრივატიზება, უდაოდ პოზიტიური მოვლენა იყო. ვინაიდან, ყოველივე ამან, ხელი შეუწყო ენერგეტიკის სფეროში წლების განმავლობაში გამეფებული ქაოსისა და კორუფციის აღმოფხვრას. ამ ეტაპზე, ჩვენ მივიღეთ ინვესტორი (მესაკუთრე), რომელიც დაინტერესებულია აღნიშნული სექტორის გამართული მუშაობით, მაღალი ტექნოლოგიების დანერგვით, ელექტროენერგიის შეუზღუდავი მიწოდებით, აღრიცხვიანობის მონესრიგებით, დანაკარგებისა და დაცვების ფაქტების სრული აღმოფხვრით. მარტო 2007 წლის განმავლობაში გენერაციის ობიექტების რეაბილიტაციისთვის კომპანიამ განახორციელა 7 მილიონი ევროს ინვესტიცია. პესების რეაბილიტაციის შედეგად გაუმჯობესდა პესების ეფექტურობა და მნიშვნელოვნად გაიზარდა ელექტროენერგიის ხარისხი და მოცულობა საკუთარი პესების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის ხარჯზე. საერთო ჯამში, კომპანიამ უკვე მოახდინა 400 000-ზე მეტი აბონენტის ინდივიდუალური გამრიცხველიანობა. გაიჭიმა ახალი გადამცემი ხაზები, მოხდა საკაბელო კომუნიკაციების რეაბილიტაცია და გამოცვლა.

ბოლო წლებში განხორციელებული მასშტაბური პრივატიზაციის შემდეგ, საქართველოს სახელმწიფოს საკუთრებაში, მხოლოდ რამდენიმე მსხვილი ენერგეტიკული ობიექტი დარჩა: „ენგურჰესი“, ვარდნილი პესების კასკადი და „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“, (ელექტროენერგიის დისპეტჩერიზაციის ცენტრი და მაღალი ძაბვის გადაცემის ქსელი) და საქართველოს მაგისტრალური გაზსადენი „ჩრდილოეთი-სამხრეთი“. პირველი ორი, კონფლიქტურ რეგიონებში მდებარეობს და ამიტომ მათი განსახელმწიფოებრიობა დღის წესრიგში არ დგას.

როგორც ცნობილია გაზის ობიექტების პრივატიზაცია გაზის სექტორის გაჯანსაღების ერთ-ერთ მთავარ ნინაპირობად განიხილებოდა, როგორც პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის დროს, ასევე ახალი ხელისუფლების პერიოდშიც, თუმცა მნიშვნელოვანი განსხვავებები იყო პრივატიზაციის განხორციელების ფორმებსა და შინაარსში. დღეს, საქართველოს გაზის ბაზარზე რამდენიმე მსხვილი, გაზის მომხმარებელი კერძო კომპანიაა:

1. „ყაზტრანსგაზი თბილისი“ – დედაქალაქის დისტრიბუცია;
2. „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი“, რომელსაც ეკუთვნის რუსთავისა და კასპის ცემენტის ქარხნები გერმანულ კომპანია

„პაიდელბერგ ცემენტთან“ ნილობრივი მონაწილეობით;

3. „მტკვარი-ენერგეტიკა“, რომელსაც ეკუთვნის გარდაბნის მეცხრე და მათე ენერგობლოკები;

4. „იტერა-საქართველო“ – რეგიონების მიმწოდებელი კომპანია, რომელსაც ეკონომიკურად აქტიურ ქვემო და შიდა ქართლის რეგიონებში 10 საკუთარი სადისტრიბუციო კომპანია აქვს;

5. „ენერჯი-ინვესტი“, რომელსაც ეკუთვნის რუსთავის აზოტი და გარდაბანში არსებული აირტურბინა;

6. „SOCAR“-ი აზერბაიჯანული კომპანია;

7. კომპანია „WISSOL“-ი.

რუსული კომპანია „იტერა“ 1996 წლიდან 2003 წლამდე საქართველოსთვის გაზის მთავარი მომწოდებელი იყო. 1998 წელს „იტერას“ ქართველმა პარტნიორებმა შეიძინეს 10 სადისტრიბუციო ქსელი ინდუსტრიულად აქტიურ ქვემო და შიდა ქართლის რეგიონებში. ამ პრივატიზაციას საფუძვლად დაედო ხელოვნურად წარმოშობილი დავალიანება, რაც 90-იან წლების პოსტსაბჭოთა სივრცეში პოტენციურად მომგებიანი ობიექტების ხელში ჩაგდების ტრადიციული სცენარი იყო. ხშირ შემთხვევაში ხელოვნურად ვალების დაგროვების პროცესში ჩართული იყვნენ საქართველოს ენერგეტიკულ შეურნეობაში დასაქმებული მენეჯერები. ხდებოდა სახელმწიფო ქონების წინასწარ შემუშავებული სქემებით მითვისება. ამის ნათელი მაგალითები იყო სს „რელასი“ (რომელიც 2002 წელს ქონების მართვის სამინისტროს პრინციპული პოზიციით სახელმწიფომ სასამართლო წესით დაიბრუნა), შპს „ნეოგენერაცია“, „საქენერგო 2000“ და ა.შ. ასეთივე სქემებით ხდებოდა დავალიანებების დაგროვება „თბილგაზში“ და ბევრ რაიონულ გაზგამანაწილებელ კომპანიაში.

„იტერა“ არსებული დავალიანების ჩამონერის სანაცვლოდ („იტერას“ მტკიცებით, 2002 წლისთვის ეს დავალიანება 91 მილიონ აშშ დოლარს შეადგენდა) საქართველოს ხელისუფლებისგან მისთვის თბილისის დისტრიბუციის, მაგისტრალური გაზსადენების და რუსთავის „აზოტის“ მიყიდვა მოითხოვა. კომპანია ამ დაინტერესებას იმით ხსნიდა, რომ მას ჰქონდა საკუთარი გაზის მოპოვება რუსეთში და კარგი ურთიერთობები როგორც „გაზპრომთან“, რომელიც მილსადენების სისტემაში გაზს უტარებდა, ისე თურქმენეთის ხელისუფლებასთან, საიდანაც გაზს ყიდულობდა. 2002 წლიდან „იტერას“ ურთიერთობები „გაზპრომთან“ თანდათან გაუარესდა და 2003 წლის შუა პერიოდში კრიტიკულ ნიშნულს მიაღწია. საქართველოს ხელისუფლებამ, შეიტყო რა „გაზპრომსა“ და „იტერას“ შორის ურთიერთობების დაძაბვის შესახებ, ნელ-ნელა დაიწყო „იტერაზე“ ზეწოლის განხორციელება და

მისი ქართული ბაზრიდან განდევნა. 2002 წლიდან პარალელურ რეჟიმში ინტენსიური მოლაპარაკებები დაიწყო „RAO UES“-თან და „გაზპრომთან“, ერთის მხრივ, თელასში „AEC“-ის ჩანაცვლებისა და მეორეს მხრივ, გაზის ობიექტების პრივატიზაციის შესახებ.

საქართველოს ხელისუფლებამ მოლაპარაკებები „გაზპრომთან“ 2002 წელს დაიწყო და 2003 წლის 1 ივლისს, ოცდახუთწლიანი სტრატეგიული შეთანხმების ხელმოწერით დაასრულა.

შეთანხმების შინაარსი მაშინვე ექსპერტების მიერ ეჭვქვეშ დადგა. იქცა მნიშვნელოვანი კრიტიკის საგნად. შეთანხმება გულისხმობდა მხარეების მიერ პარიტეტულ საწყისებზე (თანაბარი წილობრივი მონაწილეობით) ერთობლივი სანარმოს შექმნას და გაზის მთელი სექტორის, მაგისტრალური მილსადენების ჩათვლით, „გაზპრომისთვის“ გადაცემას. ამ შეთანხმების საფუძველზე ქართული მხარე წარმოშობილი დავალიანების დაფარვის პასუხისმგებლობას იღებდა თავის თავზე, ხოლო რუსული მხარე დებდა პირობას, რომ უახლოესი ათი წლის განმავლობაში, გაზზე ფასს არ გაზრდიდა. თუმცა ეს ბოლო პუნქტი შეთანხმებაში რატომღაც აღარ ფიგურირებდა. 2003 წლის ზაფხულში ქართულმა არასამთავრობო ორგანიზაციამ „პარტნიორობა სოციალური ინიციატივებისათვის“ („წმ“) და „კასპიისპირეთის ენერგეტიკული კვლევების პროექტმა“ არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველო ნატოსათვის“ ოფისში რამდენიმე ღია დისკუსია გამართა, რომლებიც „გაზპრომსა“ და საქართველოს ხელისუფლებას შორის გაფორმებულ სტრატეგიულ შეთანხმებას ეხებოდა. მასში მონაწილეობა მიიღეს სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურების, ენერგეტიკული კომპანიების და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებმა და დამოუკიდებელმა ექსპერტებმა.

ამ შეხვედრებზე გამოთქმული მოსაზრებების თანახმად, ოცდახუთწლიანი შეთანხმება საქართველოში, რუსული ტიპის მონოპოლური გაზის ბაზრის ჩამოყალიბების საფრთხეს ქმნიდა, ვინაიდან ბუნებრივი აირის შემოტანა, ტრანსპორტირება და დისტრიბუცია, მთლიანად ერთი კომპანიის ხელში გადადიოდა. გარდა ამისა, ჩნდებოდა იმის საშიშროებაც, რომ მილსადენების „გაზპრომის“ შვილობილი კომპანიისთვის გადაცემის შედეგად, საქართველოს ენერგეტიკული ბაზარი ან საერთოდ დაკარგავდა აზერბაიჯანის „შაჰდენიზის კონსორციუმთან“ დადებული შეთანხმებით გათვალისწინებული იაფი ბუნებრივი აირის მიღების შესაძლებლობას, ან მისი ერთადერთი ბენეფიციარი მხარე – გაზის სექტორში წარმოშობილი რუსულ-ქართული გაზის მონოპოლია გახდებოდა.

დამოუკიდებელმა ექსპერტებმა გააკეთეს სამართლებრივი შეფა-

სება, რომელიც აშშ განვითარების სააგენტომ დააფინანსა. რომლის-თვისაც რა თქმა უნდა პირველ რიგში პოლიტიკური თვალსაზრისით მიუღებელი იყო რუსული კომპანიის მონოპოლია საქართველოში. ყველა ეს ღონისძიება მიზნად ერთ რამეს ისახავდა – დაერწმუნებინა საქართველოს ხელისუფლება, „გაზპრომთან“ დადებული შეთანხმების დენონსაცია ან გადახედვა მოეხდინა. ხელისუფლების ცვლილების შემდეგ ეს პროცესი საერთოდ შეწყდა, რადგან ლობირებაში ჩართულმა ორგანიზაციებმა და ექსპერტებმა ჩათვალეს, რომ ახალი ხელისუფლება საკუთარი ინიციატივით გადასინჯავდა „გაზპრომთან“ გაფორმებულ ხელშეკრულებას და მას საქართველოს სახელმწიფო ინტერესებთან შესაბამისობაში მოიყვანდა. რაც ყოველად მიუღებელი იყო.

ხელისუფლების მთავარი ამოცანა შეიქმნა. გაზის სექტორის პრივატიზაცია: თბილისის დისტრიბუცია, რუსთავის აზოტი, მაგისტრალური გაზსადენები, საწარმოების ვალებისგან გათავისუფლება და მონინალმდევე პოლიტიკურ-ფინანსური ჯგუფების განეიტრალება, რაც ჩვეულებრივი ბუნებრივი მოვლენა იყო.

ახალმა მთავრობამ უარი განაცხადა ხელოვნურად დაგროვილი დავალიანების მქონე საწარმოების ვალში გაქვითვაზე (მითუმეტეს, რომ ამ დავალიანებების წარმოქმნასთან დაკავშირებით ბევრი კითხვა არსებობდა). შედეგად, „იტერას“ უარი ეთქვა თბილისის გაზის დისტრიბუციისა და რუსთავის ქიმიური კომბინატის დავალიანებების გაქვითვაზე. რაც ხელისუფლების მხრიდან სავსებით სწორი გადაწყვეტილება იყო. ვინაიდან ახალი მთავრობის ამგვარ ქმედებას მყარი საფუძველი ჰქონდა – დიდი იყო ხელოვნურად შექმნილი ტექნიკური და ბუნებრივი დანაკარგები. გაზის გამზომი ხელსაწყოები ყველგან არ იყო დამონტაჟებული, მათი დიდი ნაწილი კი, ძველი და მწყობრიდან გამოსული იყო. ერთადერთი გამართული გაზის გამზომი რუსეთის მხარეს მაგისტრალურ გაზსადენზე იდგა. „იტერა“ სწორედ ამ გამზომის მონაცემებს ეყრდნობოდა.

2003 წლის აგვისტოდან რუსულმა სახელმწიფო მონოპოლურმა კომპანია „გაზპრომმა“ კერძო კომპანია „იტერას“ თავის მილსადენებში გაზის გატარების უფლება ჩამოართვა და შედეგად, საქართველოსთვის გაზის მთავარი მომწოდებელი გახდა. ამ დროიდან უკვე დაიწყო ვალების დაგროვება „გაზპრომის“ მიმართ (თუმცა შედარებით ნაკლები ტემპებით). 2005 წლის მარტისთვის „თბილგაზის“ მიერ, „გაზპრომის“ მიმართ წარმოშობილმა დავალიანებამ 7, 4 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა.

2004-2005 წლებში ხელისუფლებამ „გაზპრომთან“ ქართული სახელმწიფო კომპანიების – „თბილგაზის“, რუსთავის ქიმიური კომპი-

ნატის და მაგისტრალური გაზსადენების მიყიდვის შესახებ აქტიური მოლაპარაკებები წამოიწყო. „გაზპრომი“ ყველაზე მეტად მაგისტრალური გაზსადენების შესყიდვით იყო დაინტერესებული.

მოლაპარაკებების ერთ-ერთ ეტაპზე ქართული მხარე მზად იყო, მაგისტრალური გაზსადენები „გაზპრომისთვის“ 300 მილიონი აშშ დოლარის სანაცვლოდ პირდაპირი მიყიდვის წესით გადაეცა (მიუხედავად იმისა, რომ ოცდახუთწლიანი შეთანხმების თანახმად, ისინი რუსულ-ქართულ სანარმოს უნდა გადასცემოდა) მით უმეტეს, რომ „გაზპრომი“ ენერგეტიკის სფეროში ახალი ტექნოლოგიების შემოტანისა და დანერგვის პირობასაც დებდა. მხარეებმა მაშინ ე.წ. განზრახულებათა ოქმიც კი მოამზადეს, თუმცა ამ ოქმს შემდგომი განხორციელება არ მოჰყოლია.

ქართული მაგისტრალური გაზსადენებით „გაზპრომის“ განსაკუთრებული დაინტერესება, სავარაუდოდ, იმით იყო განპირობებული, რომ მას ირან-სომხეთ-საქართველო-რუსეთის გაზის მილსადენების ერთმანეთთან დაკავშირებით, გაზის ერთიანი ინფრასტრუქტურის შექმნა სურდა. ეს რუსულ გიგანტს საშუალებას მისცემდა, ირანიდან ევროკავშირის მიმართულებით პოტენციურად წამოსული საექსპორტო გაზის ნაკადები გაეკონტროლებინა. ამ გზით „გაზპრომის“ სატრანსპორტო და სატრანზიტო მონოპოლია, უკვე ირანული გაზის პოტენციური ექსპორტის გარკვეულ სეგმენტზეც გავრცელდებოდა. მოვლენების ასეთი განვითარება, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვნად გაზრდიდა „გაზპრომის“ და რუსეთის გეოპოლიტიკურ როლს კავკასიასა და სპარსეთის ყურეში. ქართველი ექსპერტები და საქართველოს სტრატეგიული პარტნიორები ევროკავშირისა და აშშ-ში მაგისტრალური მილსადენების „გაზპრომისთვის“ მიყიდვას სწორედ ამ მიზეზით ეწინააღმდეგებოდნენ.

მიუხედავად ამ წინააღმდეგობისა, სანყის ეტაპზე საქართველოს ხელისუფლება მაგისტრალური გაზსადენების „გაზპრომისთვის“ გადაცემაზე მოლაპარაკებებს კვლავ განაგრძობდა, რასაც იმით ხსნიდა, რომ მაგისტრალური მნიშვნელოვან შეკეთებას საჭიროებდა. იყო ვარაუდი, რომ რუსული მხარე მაგისტრალური მილსადენების გადაცემის სანაცვლოდ საქართველოს სამხრეთ-ოსეთის საკითხის მოგვარებაში დახმარების განეცხადებდა. ეს მოლაპარაკებები საბოლოოდ მაშინ შეწყდა, როცა 2005 წლის აგვისტოში ამერიკულმა ფონდმა „ათასწლეულის გამოწვევა – საქართველო“ მაგისტრალური გაზსადენების რეაბილიტაციისთვის საქართველოს 49, 5 მილიონი აშშ დოლარი გამოუყო.

მას შემდეგ, რაც „გაზპრომმა“ მისთვის მაგისტრალური მილ-

სადენების მიყიდვაზე უარი მიიღო, მან „თბილგაზისა“ და რუსთავის „აზოტის“ შესყიდვის ინტერესი დაკარგა.

2005 წლის ბოლოს და 2006 წლის დასაწყისში, საქართველოს ხელისუფლებამ განაგრძო „გაზპრომთან“ მოლაპარაკებები გაზის მონოდებასთან დაკავშირებით გრძელვადიანი კონტრაქტის დადების შესახებ, თუმცა 2006 წლის იანვარში ეს მოლაპარაკებები შეწყდა.

როგორც აღენიშნეთ, 2005 წლის გაზაფხულისთვის „თბილგაზის“ დავალიანება „გაზპრომის“ მიმართ 7, 4 მილიონ აშშ დოლარს, ხოლო ქალაქის ბიუჯეტის მიმართ 120 მილიონ ლარს შეადგენდა, რაც არამიმზიდველი იყო ინვესტორისთვის, ამიტომ ხელისუფლებამ დაიწყო „თბილგაზის“ გაკოტრება. ამასთან ერთად „გაზპრომთან“ ჩაშლილი მოლაპარაკებების შემდეგ, საჭირო იყო ისეთი ინვესტორის მოძებნა, რომელიც ან თავად შემოიტანდა იაფ გაზს, ან შესძლებდა „გაზპრომს“ სასურველ ფასში საჭირო რაოდენობის გაზის მონოდების შესახებ მოლაპარაკებოდა.

ასეთი ინვესტორი, ხელისუფლების გადანყვევტილებით, ყაზახური კომპანია „ყაზტრანსგაზი“ აღმოჩნდა, რომელსაც მთავრობამ თბილისის დისტრიბუცია (აქტივები, გაკოტრების შემდეგ) 230 000 აბონენტით, 2000 კმ ქსელით, 4 700 კომუნალური ობიექტით, 600 მსხვილი სანარმოს მომსახურებით – 12, 5 მილიონ დოლარად მიჰყიდა. „ყაზტრანსგაზი“ ყაზახური სახელმწიფო ნავთობისა და გაზის კომპანია „ყაზმუნაიგაზის“ შვილობილი კომპანიაა და ყაზახეთში გაზის ტრანსპორტირებას ახორციელებს. სათავე კომპანია „ყაზმუნაიგაზი“ ნავთობსა და გაზს თავად მოიპოვებს ყაზახეთში და მას „გაზპრომთან“ ახლო პარტნიორული ურთიერთობები აქვს. შესაბამისად, საქართველოს ხელისუფლებამ მიიჩნია, რომ „ყაზმუნაიგაზი“ შეძლებდა „გაზპრომი“ დაერწმუნებინა, რომ თბილისისთვის განკუთვნილი გაზი, თავის მილსადენში გაეშვა და ამგვარად, „ყაზტრანსგაზი“ საქართველოს იაფი ყაზახური გაზით უზრუნველყოფდა. რაც მომავალში „ყაზტრანსგაზის“ მიერ არ იქნა უზრუნველყოფილი. ასევე, ვერ განხორციელდა 82 მილიონი დოლარის ინვესტიცია, რომელიც 4 წლის განმავლობაში მოძველებული და ავარიული ქსელების რეაბილიტაციას უნდა მოხმარებოდა. მიუხედავად საქართველოს ხელისუფლების ოპტიმისტური დამოკიდებულებისა, „ყაზტრანსგაზმა“ ვერ შესძლო განეხორციელებინა, კომპანიის ეფექტიანი მართვა. ვერ აღმოფხვრა დიდი ოდენობით კომერციული დანაკარგები, გაზის დატაცებისა და მრიცხველების გაყალბების ფაქტები. ვერ განახორციელა ლიცენზიით ნაკისრი ვალდებულებები. კომპანიის ფინანსური პრობლემებს, ვერც გაზის ტარიფის გაზრდამ უშველა (ქსელში ახლადჩართული კომერცი-

ული მომხმარებლებისათვის ტარიფი 60%-ით გაიზარდა). კომპანიის მენეჯმენტის განმარტებით, ყოველწლიურმა ზარალმა 50 მილიონ ლარს მიაღწია, რის გამოც კომპანიას 80 მილიონი ლარის დავალიანება დაუგროვდა, აქედან 68 მილიონი „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ ვალია. საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელმა კომისიამ „ყაზტრანსგაზს“ დროებითი მენეჯმენტი დაუნიშნა. ასევე გავრცელდა ინფორმაცია, რომ „ყაზტრანსგაზი“ აპირებს გაზის დისტრიბუციის გაყიდვას. ჩვენ მიგვაჩნია, რომ დღესდღეობით ძნელია მოიძებნოს ინვესტორი, რომელიც გადაიხდის „ყაზტრანსგაზის“ აქტივების შეძენის დროს გადახდილი თანხისა და განხორციელებული ინვესტიციების შესაბამის ღირებულებას. ამის ნათელი მაგალითია, როდესაც ამერიკულმა კომპანიამ „AES CORPORATION“-მა, რომელმაც 150 მილიონ დოლარზე მეტი ინვესტიცია განახორციელა, „თელასის“ აქციები ძლივს მიჰყიდა „რაო-ეის“ 24 მილიონ დოლარად.

ძალზე ბუნდოვანია თუ, როგორ აღმოჩნდა ბათუმის პორტი და ბათუმის ნავთობტერმინალი კომპანია „Greenoak Group“-ის საკუთრება. ვნახოთ, თუ როგორ განვითარდა მოვლენები. 2006 წლის აპრილის თვეში გამოცხადდა კონკურსი ბათუმის საზღვაო-საეაჭრო ნავსადგურის 49-წლიანი მართვის უფლებით გადაცემის შესახებ, რომელიც გამოქვეყნდა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საიტზე. კონკურსი შპს „ბათუმის საზღვაო საეაჭრო ნავსადგურის“ მართვის უფლებით გადაცემის მიზნით შპს „ბათუმის საზღვაო საეაჭრო ნავსადგურის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100% წილის კონკურსის ფორმით მართვის უფლებით გადაცემის მიზნით სანყისი საზღაური – 35 000 000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში, „ბე“ – 3 500 000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში, მართვის ვადა – 49 წელი, იურიდიული მისამართი – საქართველო, ქ. ბათუმი, გოგებაშვილის ?20, დებიტორული დავალიანება – 4 790 010 ლარი, კრედიტორული დავალიანება – 33 649, 85 ლარი, წილის ოდენობა – 100%. სანესღებო კაპიტალი – 20 564 780 ლარი. საკონკურსო პირობებიდან ჩანს, რომ სახელმწიფო აპირებდა ბათუმის პორტის მართვის უფლებით გადაცემას და არა მის გაყიდვას⁶⁴.

კონკურსში მონაწილეთა რიცხვი და შეთავაზებები ძალზე შთამბეჭდავი იყო:

1. „ენერჯი ინვესტი“ – 71, 5 მილიონი აშშ დოლარი.
2. „ინტერნეიშენელ კონტინენტ ტერმინალ სერვისი“ – 53, 8 მილიონი აშშ დოლარი.

⁶⁴ მონაცემები აღებულია საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდიდან.

3. „ტურან ალენისა“ და „სილქ როუდ გრუპის“ ერთობლივი კომპანია „ცენტრალ ეიჯელ ლოჯისტიკ“ – 65 მილიონი აშშ დოლარი.

4. „ინსტუნგ მერითაიმ ლიმიტედი“-53 მილიონი აშშ დოლარი.

5. „გრინოუქ გრუპი“ (რომელიც ბათუმის ნავთობ ტერმინალის მფლობელიც იყო) – 92 მილიონი აშშ დოლარი.

2006 წლის 17 მაისის მთავრობის სხდომაზე, საქართველოს მაშინდელმა პრემიერ მინისტრმა ზურაბ ნოლაიდელმა, საზოგადოებას მიაწოდა ინფორმაცია, რომ ბათუმის პორტის აქციების 49 წლით მართვის უფლებისათვის გადახდილ იქნა 92 მილიონი აშშ დოლარი და გამარჯვებულად გამოაცხადა „გრინოუქ გრუპი“ (რომელიც ბათუმის ნავთობ ტერმინალის მფლობელიც იყო). 2008 წლის თებერვალში „გრინოუქ გრუპის“ ოფიციალურ ვებ გვერდზე გამოქვეყნდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ბათუმის ნავთობტერმინალი და ბათუმის პორტი მიეყიდა ყაზახეთის სახელმწიფო კომპანიას „კაზმუნაიგაზს“. გენერალური დირექტორის მოგენს ჰანსენის განცხადებით, მათ ბათუმის პორტი 2006 წელს სახელმწიფოსგან იყიდეს. მისი აზრით, ეს გაყიდვა უკავშირდებოდა 2006 წელს ბათუმის ნავთობის ტერმინალსა და კომპანია „კაზმუნაიგაზს“ შორის გაფორმებულ ალიანსს (მათ ერთობლივი კომპანია დაარსეს). ამ ინფორმაციით საზოგადოება ძალზე გაკვირვებული დარჩა. გამოდის, რომ კომპანია „გრინოუქ გრუპს“ ბათუმის პორტი (საზღვაო-სავაჭრო ნავსადგური) მართვის უფლებით კი არ აუღია, როგორც ამას ხელისუფლება აცხადებდა, არამედ უყიდია 92 მილიონ აშშ დოლარად, რისი დამადასტურებელი დოკუმენტიც ჩვენ ვერ მოვიძიეთ, ხოლო რაც შეეხება ბათუმის ნავთობტერმინალს მისი გაყიდვა 1999 წელს განხორციელდა აჭარის ხელისუფლების მიერ კანონის დარღვევით. არავითარი შეთანხმება არ მომხდარა შესაბამის ცენტრალურ ინსტანციებთან, ხოლო იქ განხორციელებული ვითომ და დიდი ინვესტიციები იყო სრული ფარსი. ეს თანხები ჩადებული იყო სანარმოს საკუთარი შემოსავლებიდან. ცნობილი ექსპერტის, ლადო პაპავას განცხადებით, მოხდა ნაციონალიზაცია. ბათუმის პორტი იყო კერძო საკუთრება, ახლა გადავიდა სახელმწიფო საკუთრებაში, ოღონდაც არა საქართველოს არამედ ყაზახეთის საკუთრებაში. ეს სახელმწიფო კომპანია იმ ქვეყნის ინტერესების გამტარებელი იქნება. ყაზახეთისთვის, ბუნებრივია, ბათუმის პორტი სტრატეგიული ობიექტია-სატრანზიტო ღერეფანი, საკვანძო ობიექტი ჩაიგდეს ხელთ. ყაზახების, ყაზახური კაპიტალის სანინააგმდგომ არაფერი მაქვს, მაგრამ ჩემთვის აბსოლიტური მიუღებელია, როცა სახელმწიფო კომპანიები შემოდიან საქართველოს ეკონომიკაში. მისივე აზრით საქართველოს ყველაზე მთავარი ეკონომიკური ფუნქცია არის სატრანსპორტო ღერე-

ფანი, რომლის საკვანძო ობიექტები სწორედ რკინიგზა და პორტია და მათი გასხვისება ძალზე საფრთხილო საქმეა.

შემდგომში ყაზახეთის სახელმწიფო კომპანია, აღნიშნული ობიექტები (ბათუმის პორტი, ნავთობტერმინალი) გადასცა რუმინულ კომპანია „რომპეტროლს“. ცნობილია რომ 2007 წელს „კაზმუნაიგაზ-მა“ „რომპეტროლის“ აქციათა 75% შეიძინა. მას დიდი საპორტო გამოცდილება აქვს. ის ახორციელებს რუმინული პორტ „კონსტანცას“ მართვებობას. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამ კომპანიის მაღალი დონის მენეჯმენტი საშუალებას მისცემს ბათუმის პორტის და რუმინული პორტის მეშვეობით ყაზახეთსა, აზერბაიჯანსა, საქართველოსა და ევროპას შორის, გაიდოს ენერგეტიკული ხიდი. ყოველივე ეს, ხელს შეუწყობს (ნაბუკოს) პროექტის განხორციელებას.

3. 5. პრივატიზაციის საერთო შეფასება და პერსპექტივები

პრივატიზაციის საერთო შეფასება, მისი შედეგების კლასიფიკაციას უნდა ემყარებოდეს – ასეთი კლასიფიკაცია დროითი და კონკრეტული კრიტერიუმების გამოყოფას მოითხოვს. დროითი კრიტერიუმების მიხედვით, გამოიყოფა მოკლევადიანი, საშუალოვადიანი და გრძელვადიანი ეფექტები. კონკრეტული კრიტერიუმების მიხედვით, მიზანშეწონილია გამოვყოთ შემდეგი ეფექტები: პოლიტიკური, იდეოლოგიურ-ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სოციალური, ინსტიტუციური, ეკოლოგიური, კრიმინალური. ამასთან შესაფასებელია როგორც დადებითი, ისე უარყოფითი ეფექტები.

პოლიტიკური ეფექტის უდიდესი ისტორიული ეფექტი გამოიხატება იმით, რომ პრივატიზაციის განხორციელების შედეგად, სოციალისტური პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემების რესტავრაცია შეუძლებელი გახდა. ერთდროულად პრივატიზაციის პროცესმა უდაოდ ხელი შეუწყო დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბებას საქართველოში. მეორეს მხრივ, არ შეიძლება არ აღინიშნოს რომ პრივატიზაციის მეთოდის შერჩევაში, მისი რადიკალურად, არატრადიციული მეთოდებით განხორციელება, გამონეული იყო პირველ რიგში პოლიტიკური მოტივი – რათა სწრაფად მომხდარიყო სოციალისტური სისტემის ნგრევა და ლიკვიდირებულიყო სოციალიზმის რესტავრაციის საფრთხე.

ასევე, უდიდესი მნიშვნელობისაა იდეოლოგიურ-ფსიქოლოგიური ეფექტი, განსაკუთრებით მოსახლეობის მიერ კერძო საკუთრების ინსტიტუტის როლის გაცნობიერება, კაპიტალიზმის დადებითი აღქმა, რაც ადრე არ იყო.

ეკონომიკური ეფექტიდან აღსანიშნავია: პრივატიზაციის მიკრო და მაკროეკონომიკური ეფექტიანობა; ფინანსური, საბიუჯეტო სტაბილიზაცია; რესტრუქტურიზაცია; დემონოპოლიზაცია და კონკურენტული გარემო; ინვესტიციების მოზიდვა. კერძოდ, პრივატიზაციის დადებითი ეკონომიკური ეფექტებიდან ეჭვს არ იწვევს, განსაკუთრებით გრძელვადიან პერიოდში, წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისთვის ხელშეწყობა, მისი მომგებიანობა, რაც საბოლოო ანგარიშით ბიუჯეტში შემოსავლების გადიდებას, ფინანსური სტაბილიზაციის მიღწევას და ეკონომიკური განვითარების დაჩქარებას ემსახურება. მოკლევადიან და საშუალოვადიან პერიოდში ასეთი დადებითი შედეგების მიღწევა, როგორც წესი იშვიათად ხდება პრივატიზაციის

სისტემატური და თანმიმდევრული განხორციელების პირობებში.

საქართველოში პრივატიზაციის სისტემური და თანმიმდევრული მაღალი ეფექტიანობა საშინაო და საგარეო ფაქტორების გამო ვერ მოხერხდა. საშინაო ფაქტორებიდან უნდა დავასახელოთ, პირველ რიგში სუსტი სახელმწიფოს არსებობა, რომელმაც ვერ შეძლო წარმატებული პრივატიზაციისთვის აუცილებელი მაკროეკონომიკური და მიკროეკონომიკური გარემოს შექმნა, ფინანსური სტაბილიზაცია, საბიუჯეტო კრიზისის თავიდან აცილება, კონკურენტული ბაზრების ჩამოყალიბებისთვის ხელშეწყობა. საფონდო ბირჟების ამოქმედება, მეორადი ბაზრის ჩამოყალიბება. მართალია პრივატიზაციის შედეგად ქვეყანაში მოხდა სერიოზული სისტემური ცვლილებები, რომელთაგან უნდა დავასახელოთ კერძო სექტორის ჩამოყალიბება, მაგრამ ვერ მივალწიეთ სერიოზულ ძვრებს პრივატიზაციის სხვა მიზნების განხორციელებაში, მათ შორის: სოციალური სამართლიანობის დამკვიდრების, ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების, ბიუჯეტში შემოსავლის სათანადო უზრუნველყოფის თვალსაზრისით. სერიოზული საშინაო ფაქტორი იყო აგრეთვე, პრივატიზაციის სტრატეგიაში დაშვებული შეცდომა, რაც იმით გამოიხატება, რომ ფაქტობრივად გაბატონებული იყო, რაოდენობრივი, ქონებრივი მიდგომა პრივატიზაციისადმი და სუსტად იყო გათვალისწინებული მისი თვისობრივი, ანუ სოციალურ-ეკონომიკური მხარე – ცხოვრების დონისა და ეფექტიანობის ამაღლებისადმი ხელშეწყობა. აღნიშნული საქმიანობა არ იყო მიმართული გრძელვადიან პერიოდში შედეგის მიღებისათვის. საგარეო ფაქტორებიდან უნდა აღინიშნოს არამართო თავსმოხვეული კონფლიქტები გარედან სეპარატიზმის გაღვივების საფუძველზე, 2008 წლის აგვისტოს საომარი მოქმედება, რაც მძიმე ტვირთად დაანვა ქვეყნის ეკონომიკას, არამედ სწრაფი გარდაქმნების ის ტემპი, რომელსაც იძულებული ვიყავით დავთანხმებოდით, მაშინ როდესაც ქვეყანა ამისთვის ინსტიტუციურად, მენტალურად და კვალიფიკაციური კადრების არსებობის თვალსაზრისითაც, მოუმზადებული იყო.

საქართველოს ეკონომიკის შედარებით დაბალი ეფექტიანობა მნიშვნელოვანწილად განაპირობა პოტენციურ უცხოელ კერძო ინვესტორთა დაბალმა დაინტერესებამ საქართველოსადმი, რისი ერთ-ერთი მიზეზიცაა კერძო საკუთრების დაცვის გარანტიებისადმი უნდობლობა.

საკუთრების უფლება ცალსახად აღიარებულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციითა და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციით: „ყოველ ფიზიკურ და იურიდიულ პირს აქვს თავისი საკუთრებით შეუფერ-

ხებელად სარგებლობის უფლება. მხოლოდ საზოგადოებრივი საჭიროებისთვის შეიძლება ჩამოერთვას ვინმეს თავისი საკუთრება კანონითა და საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპებით გათვალისწინებულ პირობებში”.

ამასთან, წინარე დებულებები არანაირად არ აკნინებს სახელმწიფოს უფლებას, გამოიყენოს ისეთი კანონები, რომელთაც ის აუცილებლად მიიჩნევს საერთო ინტერესების შესაბამისად საკუთრებით სარგებლობის კონტროლისთვის, ან გადასახადებისა თუ მოსაკრებლების, ანდა ჯარიმების გადახდის უზრუნველსაყოფად.

როგორც მუხლის შინაარსიდან ჩანს, საკუთრების უფლება არ განეკუთვნება აბსოლუტურ უფლებათა კატეგორიას, რომელთა შეზღუდვაც დაუშვებელია. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ამ უფლებაში ჩარევისა და რეგულირების ფარგლების დადგენა. ევროპული კონვენცია იმ პირობათა მკაცრ რეგლამენტაციასაც ახდენს, რომელთა შემთხვევაშიც გამონაკლისის წესით შეიძლება დაიშვას საკუთრების უფლების შეზღუდვა:

- * საზოგადოებრივი საჭიროება, რომელიც უნდა იყოს განპირობებული საზოგადოებრივი ან სოციალური მოთხოვნით, უნდა ემსახურებოდეს კანონიერ მიზანს და იყოს ამ მიზნის პროპორციული;

- * ნებისმიერი ჩარევა საკუთრებით შეუფერხებლად სარგებლობის უფლებაში, ეს იქნება ქონების ჩამორთმევა, თუ ქონებით სარგებლობის უფლების შეზღუდვა, უნდა იყოს კანონით განსაზღვრული და განხორციელდეს, კანონით დადგენილი პროცედურების დაცვით;

- * ჩამორთმევა უნდა განხორციელდეს, საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპებით გათვალისწინებულ პირობებში.

2001 წლის 27 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა 1950 წლის ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის რატიფიცირება მოახდინა, რითაც თავისი ოურისდიქციის ფარგლებში, საკუთარ თავზე აიღო საკუთრების უფლების დაცვის უზრუნველყოფის ვალდებულება. საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად – „საქართველოში საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია. დაუშვებელია საკუთრების, მისი შეძენის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება“.

საქართველოს კონსტიტუცია საკუთრების უფლების შეზღუდვისა და ჩამორთმევის პირობებსაც განსაზღვრავს:

- * აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების შემთხვევების კანონით გათვალისწინება;

- * შეზღუდვის წესის კანონით დადგენა.

რაც შეეხება საკუთრების უფლების ჩამორთმევას, საკუთრების ჩამორთმევა დასაშვებია:

- * აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისთვის, კანონით პირდაპირ დადგენილ შემთხვევებში, სასამართლოს გადაწყვეტილებით და სათანადო ანაზღაურებით;

- * აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისთვის, ორგანული კანონით დადგენილი გადაუდებელი აუცილებლობისას, სათანადო ანაზღაურებით.

საკუთრების ჩამორთმევის დროს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების შემთხვევები განსაზღვრულია „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისთვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში:

- * გზისა და მაგისტრალის გაყვანა-მშენებლობა;
- * რკინიგზის ხაზების გაყვანა;
- * ნედლი ნავთობის, ბუნებრივი გაზისა და ნავთობპროდუქტების მილსადენების გაყვანა;
- * ელექტროენერგიის გადამცემი და გამანაწილებელი ხაზების მშენებლობა;
- * წყალმომარაგების, კანალიზაციისა და ატმოსფერული ნალექების კოლექტორული ხაზების გაყვანა;
- * სატელეფონო ხაზების გაყვანა;
- * სატელევიზიო კაბელების გაყვანა;
- * საზოგადოებრივი საჭიროებისათვის აუცილებელი ნაგებობისა და ობიექტის მშენებლობა;
- * ეროვნული თავდაცვისათვის საჭირო სამუშაოები;
- * სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება.

საქართველოში საკუთრების უფლება აღიარებული და გარანტირებულია კონსტიტუციითა და კანონებით, თუმცა რამდენიმე ფაქტი კერძო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ხელყოფასთან დაკავშირებით, არა მარტო საქართველოს ადამიანის უფლებათა დამცველი უწყებებისა და ორგანიზაციების განსჯის საგანი გახდა. ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის („HUMAN RIGHTS WATCH“) ყოველწლიურ მოხსენებაში ნათქვამია: „2007 წლის იანვარ-თებერვალში, როდესაც თბილისის მერიამ დაანგრია პატარა მაღაზიები, ჯიხურები და სავაჭრო პუნქტები მეტროების მიმდებარე ტერიტორიებსა და სხვა ადგილებზე, მიზეზად ქალაქის იერ-სახის დამახინჯება დაასახელა. უმეტეს შემთხვევაში მესაკუთრეები მხოლოდ ზეპირ გაფრთხილებას იღებდნენ, მათ საკუთრებას კი მანამდე ანადგურებდნენ, სანამ დაზარალებულები სასამართლოს მიმართავდნენ.

კერძო საკუთრების ხელყოფის შემდეგი ტალღა თბილისში და ქალაქის ახლოს მდებარე რესტორნების მფლობელებს დაატყდათ თავს, მესაკუთრეებს მოსთხოვეს ნებაყოფლობით გადაეცათ საკუთრება სახელმწიფოსთვის, წინააღმდეგ შემთხვევაში აღიძვრებოდა საქმე მათ წინააღმდეგ იმისათვის, რომ ეს ქონება კორუფციული გარიგებებით მიიღეს ექსპრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის მმართველობის პერიოდში. 2007 წლის აპრილში დაზარალებულებმა მასობრივი საპროტესტო აქციები გამართეს, სადაც აცხადებდნენ, რომ ხელისუფლებამ ისინი აიძულა კერძო საკუთრება სახელმწიფოსათვის „ეჩუქებინათ“, „HUMAN RIGHTS WATCH“ ამით არ შემოიფარგლება და თბილისში, თაბუკაშვილის №50-ში მდებარე ცნობილი ბინის დემონტაჟსაც ეხება – 2007 წლის ივლისში, დედაქალაქის ცენტრალური უბნის ერთ-ერთი კორპუსის მცხოვრებნი პოლიციამ სახლებიდან იძულებით გამოასახლა, კორპუსიც დაანგრიეს იმ მიზეზით, რომ მშენებლობის დროს დაშვებული იყო კონსტრუქციული შეცდომები, რაც შენობას ავარიულს ხდიდა. მოქალაქეები მიიჩნევენ, რომ მათი გამოსახლების მიზეზი იყო ის, რომ მინა, რომელზეც აღნიშნული ბინა მდებარეობდა საქართველოს მთავრობამ უცხოელ ინვესტორს მიჰყიდა. მართალია, მესაკუთრეებმა მიიღეს კომპენსაცია ინვესტორისაგან, მაგრამ დაზარალებულები თვლიან, რომ ეს თანხა არ იყო მიყენებული ზიანის ადეკვატური.

ასეთია ფაქტები, რომელთა შესახებაც „HUMAN RIGHTS WATCH“ საქართველოში ადამიანის უფლებათა მიმოხილვის დროს საუბრობს, მაგრამ იქვე დასძენს, რომ 2007 წლის ნოემბერში საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება „კერძო საკუთრების უფლებების ხელშეწყობის დამატებითი ღონისძიებების შესახებ“ (იხ. „საქართველოს ეკონომიკა“, 2007) მომავალი გვიჩვენებს, თუ რამდენად შეუწყობს ხელს ეს დადგენილება კერძო საკუთრების ინსტიტუტის განმტკიცებას საქართველოში – აღნიშნულია საერთაშორისო ორგანიზაციის მოხსენებაში.

ასეთმა ვითარებამ ბუნებრივია პრივატიზაციის უარყოფითი ეკონომიკური ეფექტები წარმოშვა, რომელთაგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შემდეგი: უწინარეს ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ ვერ მოხერხდა ნამდვილი მესაკუთრის ჩამოყალიბება, თავის შემოქმედებითი უნარით, მოტივაციით, მოგების მიღებისკენ სწრაფვით და სოციალური პასუხისმგებლობით; ჯანსაღი კონკურენტული ბაზრების ჩამოყალიბება; სანარმოთა ეფექტიანობის, მომგებიანობის ამაღლება; მათი დროული რესტრუქტურიზაცია და პროდუქციის კონკურენტუნარიანობის მიღწევა; პირველ ეტაპზე უცხოური ინვესტიციების

საჭირო მოცულობით მოზიდვა; დაბალი კონკურენტუნარიანობის გამო ხშირად სანარმოები მცირე ფასით ან ნულოვან აუქციონზე იყიდებოდა, რაც პრივატიზაციიდან მიღებული შემოსავლების გადიდებას აფერხებდა. ამასთან ძალიან მაღალი აღმოჩნდა ტრანსაქციული დანახარჯების სიდიდე, არამართო კონკრეტულ შემთხვევებში, არამედ საერთოდ ეკონომიკაში⁶⁵.

ძალიან მოკრძალებული იყო დადებითი სოციალური ეფექტი, პრივატიზებული სანარმოების მცირე რაოდენობის მენეჯერებსა და მუშაკებს გაეზარდათ შემოსავლები და ცხოვრების დონე, ხშირად მათ ბაზარზე მონოპოლისტური მდგომარეობა უკავიათ, მაშინ როდესაც მოსახლეობის დიდი ნაწილის ხელფასები და შემოსავლები ძალიან დაბალია. დაუსაქმებელია მოსახლეობის ნახევარზე მეტი, ქვეყანაში მოხდა შემოსავლებისა და ქონების მკვეთრი დიფერენციაცია, რაც ხშირ შემთხვევაში სოციალურ კონფლიქტებს წარმოშვებს, რაც მთავარია ვერ მოხერხდა საშუალო ფენის ჩამოყალიბება, რომელიც თავისი სიძლიერით, შემოსავლებით, მოტივაციით, სოციალურ-ეკონომიკური და საზოგადოებრივი პროგრესის, სტაბილურობის გარანტი იქნებოდა⁶⁶.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ინსტიტუციური ეფექტების ხასიათი, რადგანაც მათი დიდი უმრავლესობა როგორც მიმდინარე ისე საშუალოვადიან და გრძელვადიან პერიოდში, ერთ-ერთ ყველაზე უფრო გამსაზღვრელ ზემოქმედებას ახდენდა და ახდენს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე. დადებითი ინსტიტუციური შედეგებიდან როგორც უკვე აღინიშნა მთავარია კერძო სექტორის ჩამოყალიბება ეკონომიკაში. საბაზრო ინფრასტრუქტურის შექმნა. მათ შორის საბანკო, საგადასახადო, სადაზღვევო სისტემების, სასამართლოს დამოუკიდებელი და ობიექტური გადანყვეტილებების, საკუთრების ხელშეუხებლობის დაცვის აუცილებლობა. აღსანიშნავია, რომ ამასთან ერთად საბაზრო ეკონომიკის წარმატებით განვითარებას აფერხებს ისეთი უარყოფითი ან სუსტი ინსტიტუციური ეფექტები, როგორიც არის: არაეფექტიანი სახელმწიფო მმართველობის არსებობა, მისი ჩარევის მაღალი ხარისხი ეკონომიკაში, კონკურენციის სუსტი განვითარება, სუსტი ანტიმონოპოლიური პოლიტიკა, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისთვის ინსტიტუციური გარემოს უქონლობა; ფასიანი ქაღალდების ბაზრის განუვითარებულობა. ზოგჯერ ინვესტორების უნდობლობა ქვეყნის ეკონომიკისადმი. ეკონო-

⁶⁵ იხ. ებ-გვერდი <http://makamedia.blogspot.com> გადამონმებულია 07.07.2009

⁶⁶ იხ. ეკონომიკური განვითარება და სიღარიბის დაზღვევის პროგრამა, თბილისი 2003 წ.

მიკური ეფექტი თავისი ბუნებით ისეთია, რომ თითქმის არ ჩანს და უფრო მეტად გრძელვადიან პერიოდში ვლინდება. მართალია გარკვეულ წილად პრივატიზაციამ ხელი შეუწყო საქართველოში ეკონომიკური სიტუაციის ვითარების გაუარესებას, მაგრამ გრძელვადიან პერიოდში მისი დადებითი ეფექტი ჩვენი აზრით, აუცილებლად იქნება რეალურად მესაკუთრეების ფენის გაძლიერების კვალობაზე.

რაც შეეხება კრიმინალურ ეფექტს, იგი თავისი არსით საერთოდ უარყოფითია. აქ უნდა დავასახელოთ, პირველ რიგში, კორუფციის ჩრდილოვანი ეკონომიკის, კრიმინალური ბიზნესის გაფართოებისათვის პირობების არსებობა, ფარული კაპიტალის გათეთრება, სპონტანური პრივატიზაციის „ველური ფორმები“ სხვადასხვა კორუფციული გარიგებების საფუძველზე. ასე, მაგალითად, დაუკვირებადი ეკონომიკის წილი, ქვეყნის ეკონომიკის მთლიან გამოშვებაში 1999 - 2003 წლებში 27, 7 - დან 31, 8 %-მდე გაიზარდა. 2003 წლის მონაცემებით, იგი ძალიან მაღალია მრეწველობაში - 35, 9 %, მშენებლობაში - 47, 5 %, სასტუმროებისა და რესტორნების ბიზნესში - 70, 8 %, საბითუმო და საცალო ვაჭრობაში - 67, 2 %, ტრანსპორტზე და სასაწყობო მეურნეობაში - 38, 3 %. წარმოების დიდი ნაწილის ჩრდილში მოქცევასთან ერთად, ადგილი აქვს ლეგალურ ბიზნესში გადასახადებისგან თავის არიდების მრავალ შემთხვევას, რაც კორუფციასთან და საერთოდ ეკონომიკის ინსტიტუციურად სუსტად მონყობასთან არის დაკავშირებული. ამით იყო გამოწვეული ხანგრძლივი და ღრმა საბოუჯეტო კრიზისი საქართველოში, ცხოვრების დაბალი დონე, სამართლადარღვევების დიდი მასშტაბები, მაშინ როდესაც „ვარდების რევოლუციამდე“ სახელმწიფო უძღური იყო, განეხორციელებინა ქმედითი ღონისძიებები ერთი მუჭა კორუფციონერებისა და კრიმინალური ბიზნესის წინააღმდეგ.

ამრიგად, მართალია, პრივატიზაციის შედეგად ქვეყანაში ჩამოყალიბდა კერძო სექტორი, საბაზრო ურთიერთობებს ჩაეყარა მყარი საფუძველი, მაგრამ ამასთან ერთად მისი სოციალური ფასი აღმოჩნდა ძალიან მაღალი, ამის მიზეზი კი არ არის მხოლოდ სუსტი სახელმწიფოს არსებობა, ან შეცდომები საერთოდ რეფორმების პოლიტიკაში, ასეთი ვითარება პრივატიზაციის სტრატეგიაში, მისი მეთოდების არჩევანში დაშვებული შეცდომებითაც აიხსნება. ჯერ ერთი, ეს სტრატეგია, როგორც უკვე აღინიშნა, ბოლო დრომდე ნაკლებად იყო ორიენტირებული სოციალურ ეფექტზე, სამართლიანობაზე, წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაზე. მეორეც - მის ძირითად მეთოდად გამოიყენებოდა, სანარმოს გამოსყიდვა მენეჯერებისა და მუშაკების მიერ, რომელიც თეორიულად და პრაქტიკულადაც თავისთავად მცირე ეფექტიანია.

საქართველოში სანარმოების პრივატიზაციის მიზნით გამოიყენებოდა ძირითადად მენეჯერებისა და მუშაკების მიერ მათი გამოსყიდვის მეთოდი, მეორადი მეთოდი იყო – პირდაპირი გაყიდვის მეთოდი, ხოლო მნიშვნელობით მესამე - მასობრივი პრივატიზაციის მეთოდი. ეს მეთოდი ძირითადი იყო, აგრეთვე: ალბანეთში, მაკედონიაში, რუმინეთში, რუსეთში, სლოვაკეთში, სლოვენიაში, ტაჯიკეთში, თურქმენეთში, უზბეკეთში, უკრაინაში, ხორვატიაში, რომლებიც არ გამოირჩევიან მიღწევებით სოციალურ ეკონომიკურ განვითარებაში და წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაში. ამავე დროს საერთაშორისო გამოცდილებით ირკვევა, რომ ამ მეთოდის გამოყენებისას: ეკონომიკური ეფექტიანობის მიღწევა შესაძლებელია, მაგრამ რთულად გადასანყვეტი ამოცანაა; შედარებით რთულად წყდება საზოგადოებრივი კეთილდღეობის მიზნები, მაგრამ ადვილად-პოლიტიკური მიზნები, ნელი ტემპით მიიღწევა. გაკოტრებისგან თავდაცვითი და სტრატეგიული რესტრუქტურისაცია; დამახასიათებელია ტრანსაქციული და სამმართველო ხარჯების ზრდა. მეორე ადგილზე თავისი მნიშვნელობით იყო პირდაპირი გაყიდვის მეთოდი, თუმცა იგი ყველაზე უფრო შედეგიანია. მისთვის დამახასიათებელია: ეკონომიკური ეფექტიანობისთვის, ფისკალური და ფინანსური, საზოგადოებრივი კეთილდღეობის მიზნების განხორციელებისთვის ხელშეწყობა; რესტრუქტურისაციისადმი აშკარად გამოკვეთილი და ძლიერი მხარდაჭერა; შედარებით დაბალი ტრანსაქციული და სამმართველო ხარჯები. ეს მეთოდი ძირითადი იყო: პოლონეთში, უნგრეთში, ესტონეთში, ბულგარეთში განხორციელებული პრივატიზაციისას და შემთხვევითი არ არის მათი წარმატებანი ცხოვრების დონის, ეფექტიანობის, კონკურენტუნარიანობის ამაღლების სფეროში. მესამე ადგილზე – თავისი მნიშვნელობით საქართველოში მიმდინარე პრივატიზაციის პროცესში, გამოიყენებოდა მასობრივი პრივატიზაციის მეთოდი, რომლისთვისაც დამახასიათებელია: აშკარად გამოხატული პოლიტიკური მიზნები, ეკონომიკური ეფექტიანობისა და ცხოვრების დონის ამაღლებისათვის სუსტი ხელშეწყობა; თავდაცვითი და სტრატეგიული რესტრუქტურისაციის სუსტი სტიმულირება; მაღალი ტრანსაქციული და სამმართველო ხარჯები.

საინტერესოა, რომ პირდაპირი გაყიდვის მეთოდის შეზღუდული გამოყენება მარტო საქართველოსთვის არ იყო დამახასიათებელი. ვ. ანდრეფის მონაცემებით 1994 წლის ბოლოსთვის პრივატიზირებული სანარმოების 13 % იყო გაყიდული, 43 % გამოსყიდული იყო მენეჯერებისა და მუშაკების მიერ, 24 % გახდა მასობრივი პრივატიზაციის ობიექტი, ხოლო 20 %-ში შეიცვალა საკუთრების ფორმა რესტრუქტურ-

იზაციის, კომპენსაციის და მუნიციპალიზაციის ხერხით. აქტივების გამოსყიდვა მენეჯერებისა და მუშაკების მიერ პრივატიზაციის ძირითადი მეთოდი იყო 13 გარდამავალი ეკონომიკის ქვეყანაში, მასობრივი პრივატიზაცია – 8 ქვეყანაში, აქტივების გაყიდვა – 4 ქვეყანაში.

სხვა მეთოდებთან შედარებით პირდაპირი გაყიდვის მეთოდის შედარებით გამოუყენებლობა საქართველოსა და სხვა პოსტსოციალისტურ ქვეყნებში, ჩვენი აზრით, აიხსნება შემდეგი ძირითადი მიზეზებით: პირველი მიზეზია – ის, რომ მოსახლეობასა და საწარმოებს არ ჰქონდათ საკმარისი ფინანსური რესურსები, სახელმწიფო საწარმოების აქტივების უფრო ინსტენსიურად ყიდვისთვის. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მენეჯერებისა და მუშაკების მიერ გამოსყიდული საწარმოების უმრავლესობა არაუფექტიანია, რადგანაც მათ არ აქვთ ფინანსური რესურსები, თავდაცვითი და სტრატეგიული რესტრუქტურიზაციის განხორციელებისათვის. მეორე უმთავრესი მიზეზია – ის, რომ ამ მეთოდის წარმატებით გამოიყენება ქვეყანაში ფასიანი ქაღალდების კონკურენტული ბაზრის არსებობას მოითხოვს, რაც ჯერ-ჯერობით საქართველოში არ არსებობს. იგი განვითარების მხოლოდ საწყის სტადიაზეა.

ამრიგად, პრივატიზაცია დღემდე ძალიან მაღალი სოციალური ფასით ხორციელდებოდა, მეორეს მხრივ – ძირითადად მეთოდად გამოიყენებოდა საწარმოების მიყიდვა მენეჯერებისა და მუშაკებისათვის, რომელიც პირდაპირი გაყიდვის მეთოდთან შედარებით ნაკლებ ეფექტიანია და რესტრუქტურიზაციის დროულად განხორციელებას აფერხებს. ამიტომ ამჟამად განსაკუთრებით აქტუალურია პრივატიზაციის ახალი სტრატეგიის შემუშავებისა და განხორციელების პრობლემა ქვეყნის განვითარების მოთხოვნების შესაბამისად. პრივატიზაციის პერსპექტივები საქართველოში შესაბამისად ამ ახალი სტრატეგიის განხორციელების ხარისხზე იქნება დამოკიდებული.

პრივატიზაციის ახალი სტრატეგიის არსის ძირითადი ნიშნებია:

- * მისი სოციალური ორიენტაციის გაძლიერება, სოციალურ-ეკონომიკური და ქონებრივი მხარეების თანაფარდობის რაციონალიზაცია;

- * პრივატიზაციის მეთოდების თანაფარდობის სრულყოფა, პირდაპირი გაყიდვების მეთოდის პრიორიტეტულობის უზრუნველყოფა, განსაკუთრებით მსხვილი და საშუალო საწარმოების პრივატიზაციის დროს;

- * პრივატიზაციის ინსტიტუციური ელემენტის გაძლიერება, კანონმდებლობის სრულყოფით, კორუფციისა და ჩრდილოვანი ეკონომიკის

მკვეთრი შემცირებით, კრიმინალური გარიგებების ლიკვიდაციით, კონკურენციის ყოველმხრივი მხარდაჭერით;

* თავდაცვითი და სტრატეგიული რესტრუქტურიზაციის წინა პლანზე წამოწევა, რის გარეშეც პრივატიზაციისა და საერთოდ, ქვეყნის სოციალურ ეკონომიკური განვითარების მიზნების განხორციელება შეუძლებელია.

* საქართველოში, პრივატიზაციის პერსპექტივები დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ როგორი იქნება მისი ძირითადი პრობლემების გადაწყვეტის ხარისხი. მოკლევადიან, საშუალოვადიან და გრძელვადიან პერიოდში. ამ პრობლემებიდან უნდა აღინიშნოს შემდეგი:

1. პრივატიზაციის ეფექტის სისტემური მართვის უზრუნველყოფა;

2. მსხვილი საწარმოების პირდაპირი გაყიდვის მეთოდის პრივატიზაციის ორგანიზაცია, უცხოური ინვესტორების მოზიდვის ჩართვით;

3. უკვე პრივატიზებული საწარმოების ფსევდო მესაკუთრეების შეცვლა, ნამდვილი მესაკუთრეებით, მათი აქტივების ხელახალი გასხვისებით საფონდო ბირჟებზე;

4. საკუთრების სტრუქტურის შეცვლა, უფრო ეფექტიანი რეკომბინირებული ანუ შერეული ქსელური ტიპის საკუთრების ჩამოყალიბებით, თანამედროვე განვითარების შესაბამისად.

ამ პრობლემების გადაწყვეტისათვის საჭიროა შემდეგი სტრატეგიული ღონისძიებების განხორციელება:

* პრივატიზაციის სოციალური ეფექტების პრიორიტეტული უზრუნველყოფა საზოგადოების ყველა ფენისათვის თანასწორი უფლებებისა და შესაძლებლობების მისაღწევად;

* საწარმოების პრივატიზაციისადმი დიფერენციული მიდგომა. მათი ლიკვიდურობის ნდობის ხარისხის შესაბამისად საწარმოების პრივატიზაციისას, გათვალისწინებული უნდა იქნეს არამარტო მათი ფინანსური მხარე, არამედ განვითარების შესაძლებლობანი და ინტელექტუალური რესურსები;

* პრივატიზაციის ინსტრუმენტარიუმის გაფართოება, მათ შორის ფასიანი ქაღალდების ბაზრის გაფართოება, გაყიდვა, ინვესტორებთან პირდაპირი მოლაპარაკების საფუძველზე, გაყიდვა განვადებით, ბანკების გარანტიით;

* საპრივატიზაციო გადაწყვეტილების მიღება პოტენციური ინვესტორების მიერ საწარმოების განვითარების გრძელვადიანი გეგმების და საპრივატიზაციო ხელშეკრულების დადების ანალიზის საფუძველზე, რომელიც დეტალურად ასახავს ინვესტორის ვალდებულებებს;

* სახელმწიფოს გრძელვადიანი და მოკლევადიანი ინტერესების შეხამება. პრივატიზაცია განხილულ უნდა იქნას არამარტო სახელმწიფო

ქონების მართვის და განკარგვის პოლიტიკად, არამედ აგრეთვე სახელმწიფოს სტრუქტურული და ინსტიტუციური პოლიტიკის ელემენტად. ამიტომ სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას: პრივატიზაციის სოციალურ-ეკონომიკური ეფექტი, საგადასახადო ბაზის გაფართოება, დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნა, ბაზრის საქონლით და მომსახურეობით შევსება, წარმოების ეფექტიანობის, ცხოვრების დონის ამაღლება; სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურის სრულყოფა, მათ შორის განათლების, მეცნიერების, ჯანმრთელობის ინფორმაციული სფეროს დაჩქარებული განვითარება. ეფექტიანი სახელმწიფოს ჩამოყალიბება, ინდივიდის, კოლექტივის, საზოგადოების, სახელმწიფოს ინტერესების თავისებადობის მიღწევა, კორუფციისა და ჩრდილოვანი ეკონომიკის დაძლევისთვის ხელშეწყობა;

* საწარმოების კლასიფიკაცია რენტაბელობის დონის მიხედვით, მათი რესტრუქტურიზაცია, სანაციის განხორციელება;

* პრივატიზაციის მსოფლიო გამოცდილების შესწავლა და გამოყენება საქართველოს სპეციფიკის გათვალისწინებით;

* პრივატიზაციის მოკლევადიანი, საშუალოვადიანი და გრძელვადიანი გეგმების შემუშავება და განხორციელება, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინდივიდუალური გეგმების მოთხოვნის შესაბამისად;

* სახელმწიფო კონტროლის სრულყოფა, პრივატიზაციის განვითარებაზე, ფინანსური კონსულტანტებისა და სახელმწიფო ქონების შეფასების შერჩევის საკონკურსო პროცედურებზე. პრივატიზაციის შესახებ გადაწყვეტილებების მიღებისათვის განსაზღვრული პარამეტრების შერჩევის დასაბუთებაზე (გასაყიდი აქციების მოცულობა, პრივატიზაციის ვადები და ხერხები, საპრივატიზაციო ქონების ფასი);

* საპრივატიზაციო პროცედურების რეალიზაციის ეტაპზე, აუცილებელია გაძლიერდეს სახელმწიფო კონტროლი, შემდეგი მიმართულებებით: სახელმწიფო ქონების გაყიდვისას აუქციონებში კომერციულ კონკურსში მონაწილეობის უფლების მქონე პრეტენდენტების იმიჯის გათვალისწინება (პრესტიჟი, საქმიანი რეპუტაცია, ფინანსური მდგომარეობა, გამოცდილება, სამომავლო პერსპექტივები); ახალი მესაკუთრეების ბიზნეს – გეგმის ანალიზი, კომერციული პირობების კრიტერიუმების თვალსაზრისით; საწარმოების პოსტპრივატიზაციული განვითარების მაჩვენებლების სისტემის შემუშავებასა და მათ შესრულებაზე კონტროლი, მათი მიზნობრივი მხარდაჭერის უზრუნველყოფა შეღავათიანი პირობებით, ახალი პროდუქციის შემუშავებისას, ბაზარზე ახალი სეგმენტის დაუფლებისას, ჰორიზონტალური, ქსელური მენეჯმენტის დანერგვისას, კვალიფიციური კადრების მომზადებისა და გადამზადებისას;

* სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის ინფორმაციული უზრუნველყოფა, მათ შორის სახელმწიფო ქონების რეესტრის მუდმივი სრულყოფა, აგრეთვე ინფორმაციის მუდმივი სრულყოფა, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ტენდენციების, პერსპექტივების სახელმწიფო საკუთრების ევოლუციის, საპრივატიზაციო სანარმოების გასაყიდად მომზადებისთვის, მათი ღირებულების შეფასებისთვის, პრივატიზაციის პროცესზე კონტროლის განხორციელებისთვის;

საქართველოში საკუთრებითი ურთიერთობის სისტემური ტრანსფორმაციის პროცესი მიმდინარეობს, რომელიც საკუთრების უფლებების გადანაწილების თანდათანობითი გაფართოებით ხასიათდება პირველადი პრივატიზაციის განხორციელების შემდეგ. სწორედ საკუთრებითი ურთიერთობის ასეთი გადანაწილების ხარისხი განსაზღვრავს, მნიშვნელოვანწილად, მომავალში საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხასიათს, ამიტომ ამ ეტაპისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კომპეტენტური სახელმწიფო პოლიტიკის გატარება, საკუთრებრივი უფლებების ეფექტიანი გადანაწილებისთვის.

პრივატიზაცია საქართველოს გარდამავალი ეკონომიკის აუცილებელი ატრიბუტია. პრაქტიკამ დაადასტურა, კერძო საკუთრების უპირატესობა სახელმწიფო საკუთრებასთან მიმართებაში, განსაკუთრებით იმ სფეროებში, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს, როგორც არასტრატეგიული – განსახელმწიფოებრიობა, ხელს არ უშლის ქვეყნის სტრატეგიული ამოცანების გადაწყვეტას და სახელმწიფოებრიობას, მის ტერიტორიულ მთლიანობას. ამიტომ, პრივატიზაცია საერთოდ უნდა ჩაითვალოს, არა მარტო აუცილებელ, არამედ ეფექტურ და ეკონომიკურად გამართლებულ პროცესად, თუმცა, მას თან სდევდა ცალკეული შეცდომები, ზოგჯერ შეიძლება ეჭვის ქვეშ დადგეს პრივატიზაციაში დანაშაულებრივი ქმედების ნიშნებიც.

სანარმოო ძალთა შემცირების პროცესი, რომლითაც ხასიათდება დღევანდელი საქართველოს ეკონომიკა, გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისთან შედარებით, გამოწვეულია არა იმდენად პრივატიზაციაში დაშვებული შეცდომებით, რამდენადაც მიუღებელი სამეწარმეო გარემოთი, ბიზნესის დაუცველობით, არამყარი სამართლებრივი ბაზით, სახელმწიფოს მხრიდან საბაზრო ინფრასტრუქტურის განვითარებისადმი ინდიფერენტული დამოკიდებულებით, მენეჯმენტის ახალ მოთხოვნებთან შეუსაბამობით და ა.შ.

სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკისა და ბიზნესის განვითარებისადმი ქმედითი მხარდაჭერის შემთხვევაში, მომავალში მოსალოდნელია საგრძნობი ეკონომიკური წარმატებების მიღწევა, რაც მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობაზე გაუმჯობესების თვალსაზრისით მკვეთრად აისახება.

განსხვავებით მე-19 და მე-20 საუკუნეების ინდუსტრიული ხანისგან, 21-ე საუკუნის გლობალიზაციის სისტემის პირობებში, ეკონომიკური პროგრესის გარეშე არ არსებობს საზოგადოებრივი პროგრესი. მაშასადამე, წარმატებული ბიზნესი არის, საზოგადოების წინსვლის აუცილებელი პირობა, ამიტომ უნდა მოხდეს კონცენტრირება, იმაზე, თუ რა განაპირობებს წარმატებული ბიზნესის არსებობას და როგორ უნდა მოხდეს ბიზნესისთვის წარმატების განმაპირობებელი გარემოს შექმნა. უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყნის ეკონომიკური განვითარება არ არის მხოლოდ ტექნიკურ-ეკონომიკური პრობლემა. იგი თავის თავში მოიცავს ეკონომიკურ, პოლიტიკურ, ფსიქოლოგიურ და კულტურულ პრობლემათა ერთობლიობას. დღევანდელ საქართველოში არსებული ეკონომიკური სტაგნაცია და კრიზისი, ტექნიკურ-ეკონომიკურთან ერთად, უმეტესწილად ზნეობრივი და კულტურული სტაგნაცია და კრიზისია. მონოგრაფია, ეძღვნება სახელმწიფო ქონების განსახელმწიფოებრიობა-პრივატიზაციას.

პირველ თავში – განიხილება საკუთრებითი ურთიერთობების ტრანსფორმაციის მეთოდოლოგიური საკითხები, ამოსავალი პრინციპები, პრივატიზაციის სახეები, საკუთრების ფორმები და საქართველოს ეკონომიკის განვითარებისა და მართვის თავისებურებანი, გამოწვეული ქვეყნის თვითმყოფადობით, განვითარების ისტორიული გზით, მოსახლეობის მენტალიტეტით, ეკონომიკის არსებული დონით.

მეორე თავი – მოიცავს სახელმწიფო ქონების მართვის სტრატეგიას და მეთოდოლოგიას. სახელმწიფო ქონების მართვის სამართლებრივი საფუძვლები, ორგანიზაციული სტრუქტურა და სანარმოთა რესტრუქტურისაცია, სადაც, სახელმწიფო ახორციელებს მის საკუთრებაში არსებული სანარმოებისა და სააქციო საზოგადოებებში თავისი წილის უშუალო მენეჯმენტს. მას ამ გზით შეუძლია ზემოქმედება მოახდინოს ეკონომიკის რესტრუქტურისაციასა და ეფექტიანობაზე. აქედან გამომდინარე საჭიროა მართვის ოპტიმალური მეთოდების, ხერხებისა და ქმედებების შერჩევა.

მესამე თავში – ასახულია პრივატიზაციის განხორციელების შედეგები საქართველოში, მისი ანალიზი ჩატარებულია უცხოური გამოცდილებისა და სტატისტიკური მასალების საფუძველზე. გამოვლენილია დაშვებული შეცდომები და დასახულია გზები პრივატიზაციის პროცესის მაღალი ეფექტიანობის, მისი სოციალურ-ეკონომიკური შედეგიანობის გაზრდის, პრივატიზებულ სანარმოთა ინტენსიური ფუნქციონირების პირობების შესაქმნელად.

გაანალიზებულია პრივატიზაციის ინსტიტუციონალური საფუძვლები, დინამიკა და შედეგები, პრივატიზაციის „ახალი ტალღა“ და თავისებურებანი 2004 - 2008 წლებში.

რაც მთავარია, შეფასებულია პრივატიზაცია მთლიანობაში და დასახულია სამომავლო ახლებური, მაღალეფექტური და პერსპექტიული მოდელი.

RESUME

Different from the industrial epoch of the 19th and 20th centuries, in the conditions of the globalization of the 21st century, there is no social progress without an economic progress. Hence the successful business is a necessary condition for ensuring social promotion, this is why a concentration should be made on what causes the existence of the successful business. It should be pointed out, that the condition of the economic development of the country is not a technical - economic problem only. It implies the integrity of economic, political, psychological and cultural problems. The economic stagnation and crisis existed in today's Georgia, together with technical – economic crises, are mainly moral and cultural stagnation and crisis.

The monographic work is dedicated to the generalizing though the state and to the privatization of the state property.

In the first chapter – issues of transforming the proprietary relations, initial principles, types of privatization, forms of proprietary rights and the characteristics of developing and managing the economy of Georgia are discussed, which are caused by the self-existence of the country, by the historical way of development, by the mentality of the population and by the existed level of the economy.

The second chapter includes the strategy and methodology of state property; the legal basis of managing the state property, an organizational structure and restructuring of the enterprises, where the state carries out direct management of the own share in enterprises and in the joint ventures owned by it. This way, the state can influence on the economical restructuring and effectiveness of the country. Preceding from this it is necessary to select optimal methods, ways and activities.

In the third chapter – results of carrying out a privatization in Georgia are described; the analysis has been carried out on the basis of the foreign practice and statistical data. The mistakes have been revealed and the ways of reaching high effectiveness of the process of privatization and of increasing its social-economic consequences have been planned to create favorable conditions of intensive functioning of the privatized enterprises.

The institutional bases of the privatization, dynamics and results, "new wave" of the privatization and its characteristics in 2004-2008 have been analyzed.

What is most important, the privatization as a whole has been evaluated and the future, newly approached, highly effective and perspective model has been planned.

სამეცნიერო პროექტების სია:
პავლიაშვილი სოლომონ პავლეს ძე

№ №	სამეცნიერო პროექტების დასახელება	ნაბეჭდი ან ხელნაწერი	გამომცემლობა ფურცალი (ნომერი, წელი) ან სააქტობრო მონომოხის ნომერი	ნაბეჭდი თაბახის ან გვერდების რაოდენობა	თანაავტორის გვარი
1	2	3	4	5	6
1	ძირითადი ფონდების განახლების ტექნიკური საქ. ელექტროტექნიკური პრევენციულაში.	ნაბეჭდი	ახალგაზრდა მეცნ. ეკონომ. V111 რესპ. კონფ. თეზისები, თბ. 1985	0,1 ნთ.	
2	ელექტროტექნიკური პრევენციის განვითარება საქართველოში.	ნაბეჭდი	ფიდი სამაშალო ომში საბჭ. ხალხის გამარჯვ. 40 წლისთა მიძღვნ. აბ. მეცნ. რესპუბ. კონფერენც. მომხსენებათა თეზისები, თბ. 1985	0,1 ნთ.	
3	პროექტის მასალაზე ფონდის ელექტროტექნიკური საქ. ელექტროტექნიკური პრევენციულაში.	ნაბეჭდი	მეცნ. პრევენციის დაზარალების რეგულირება ეკონომიკური პრობლემები რესპ. სამაშალო კონფერენცია, თბ. 1985	0,1 ნთ.	
4	ძირითადი საწარმოო ფონდების ელექტროტექნიკური პრევენციულაში.	ნაბეჭდი	ფურცალი "მაცნე", 1986, №3.	0,5 ნთ.	
5	წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის კრიტერიუმები და მაჩვენებელი.	ნაბეჭდი	საქ. ნოტები თბილისი, 1987	1,6 ნთ.	
6	ძირითადი საწარმოო ფონდების მეცნიერების ზოგიერთი საკითხი საქ. სსრკ ელექტროტექნიკური პრევენციულაში.	ნაბეჭდი	საქ. ნოტები თბ. 1987	0,7 ნთ.	
7	სოციალისტ. წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის მისი და კრიტერიუმების ცნობიერების საკითხისათვის.	ნაბეჭდი	ფურცალი "ეკონომისტ" №5 1985.	0,2 ნთ.	
8	წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის მაჩვენებლის საკითხები.	ნაბეჭდი	განხილვა, "განათლება" თბ. 1989	2,0 ნთ.	
9	წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის მაჩვენებლის რესპუბლიკის ელექტროტექნიკური პრევენციულაში.	ნაბეჭდი	ფურცალი "მაცნე", ეკონომიკის სფერო 1989.	0,5 ნთ.	

10	ნარჩენების ექსპერტიზის პრაქტიკული მეთოდები	ნაშედი	შენიშნული ნარჩენების შეფუთვა, ნარჩენების "ნარჩენების დამუშავება და სადაცინო ნარჩენების პრობლემატიკა" ნარჩენების დამუშავების პრაქტიკა" 1997წ.	0,1 წთ.	
11	მრავალ კომპონენტის მეთოდები	ნაშედი	ნარჩენების "ნარჩენების სამსახურის" №7, 1990წ.	0,1 წთ.	
12	რეგულირებადი და უნდა ეკონომიკური მართვა ფუნქციონირება	ნაშედი	ნარჩენების "ნარჩენების", 1990წ.	0,1 წთ.	
13	ნარჩენების ექსპერტიზის ნაშედი	ნაშედი	ნარჩენების "ნარჩენების დამუშავების დამუშავების", გამოც. "ნარჩენების" 1992	0,2 წთ.	
14	ნარჩენების ექსპერტიზის მართვის სამსახურის სამსახურის და მისი სამსახურის-ნარჩენების მეთოდების ნაშედი	ნაშედი	ნარჩენების "ნარჩენების", №4, 1997წ.	0,2 წთ.	
15	ნარჩენების ექსპერტიზის რეგულირებადი მეთოდების მეთოდების მართვა	ნაშედი	ნარჩენების "ნარჩენების" №11-12, 1997წ.	0,2 წთ.	
16	ნარჩენების ექსპერტიზის ნაშედი	ნაშედი	ნარჩენების "ნარჩენების ნარჩენების მართვა", 1997წ.	4,1 წთ.	
17	ნარჩენების ექსპერტიზის მართვის სამსახურის მართვის სამსახურის მართვის სამსახურის ნაშედი	ნაშედი	ნარჩენების "ნარჩენების ნარჩენების დამუშავების ნარჩენების დამუშავების ნაშედი", 111 გვერდი, 1997წ.	0,25 წთ.	
18	ნარჩენების ექსპერტიზის მართვის სამსახურის ნაშედი	ნაშედი	ნარჩენების "ნარჩენების", 1997წ.	2,5 წთ.	
19	ნარჩენების ექსპერტიზის მართვის სამსახურის ნაშედი	ნაშედი	ნარჩენების "G.G.C.I" №, 1997წ.	11 წთ.	ნ.ნუბერიძე გ.დომიძე
20	ნარჩენების ექსპერტიზის მართვის სამსახურის ნაშედი	ნაშედი	ნარჩენების "ნარჩენების", №1-3, 1998წ.	0,5 წთ.	
21	ნარჩენების ექსპერტიზის მართვის სამსახურის ნაშედი	ნაშედი	ნარჩენების "ნარჩენების", 1998წ.	5,5 წთ.	

22	საქ. მწიგნულის ძირითადი პრინციპები - ექვემდებარება მისი აქტების იმპერატივები.	ნახევარი	გერმანული "ნახევარდღიური" ჟურნალი "ანგარიშგება", №4, 1998წ.	0,3 ნაი	
23	ევროპული ექვემდებარება მის განვითარების იდეალური განხილვა.	ნახევარი	ინგ. - გამომცემლობა 1998წ.	4,53 ნაი	
24	ნაწილის ექვემდებარება მარტის სპეციალური სისტემა საქართველოს მრეწველობაში.	ნახევარი	ინგ. - გამომცემლობა 1998წ.	35 ნაი	
25	ევროპული ექვემდებარება მის ექვემდებარება და ნაწილის რეკონსტრუქცია.	ნახევარი	გერმანული "სოციალური ეკონომიკა", №1, 1999წ.	0,5 ნაი	
26	ექვემდებარება მარტის ნაწილის ფაქტორების მართვა.	ნახევარი	გერმანული "სოციალური ეკონომიკა" 1999წ. №5	0,6 ნაი	
27	ექვემდებარება ინტეგრირებული სოციალური სისტემები.	ნახევარი	ინგ. გამომცემლობა სოხუმის უნივერსიტეტის მედიკალური ფაკულტეტი მისივე ეკონომიკის სპეციალისტის მასალები, 1999წ.	0,25 ნაი	
28	ევროპული ექვემდებარება მის საკითხები ქართული ეკონომიკის რეკონსტრუქციაში.	ნახევარი	გერმანული "სოციალური ეკონომიკა", №2 2000წ.	0,25 ნაი	
29	სახელმწიფო სამართლის სისტემა მისივე.	ნახევარი	გერმანული "სოციალური ეკონომიკა" №2 2001წ.	0,4 ნაი	
30	ქართული სახელმწიფო ქართული მართვა.	ნახევარი	გერმანული "სოციალური ეკონომიკა", №2 2002წ.	0,4 ნაი	
31	სახელმწიფო ქართული მართვის განვითარების იდეალური.	ნახევარი	გერმანული "ეკონომიკა" №1-2, 2002წ.	0,2 ნაი	
32	სახელმწიფო ქართული მართვა პრაქტიკული და ნაწილის ფაქტორები.	ნახევარი	ბიბლია, 2002წ.	36 ნაი	გ. ფრეილინგ პ. სერაძე კ. ზურაბიძე
33	მართვის მართვის რეკონსტრუქცია.	ნახევარი	რუსეთის სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, ნაწილი 2, ელბრეტი, 2004წ.	0,4 ნაი	

34	ფანდარშოქენა (რუს).	ნაბეჭდი	სასნ. სახელმძღვან. გამოშვებულა "ბიზნესის ეროვნული ინსტიტუტი", მოსკოვი, 2004წ.	16,7 წ.თ.	ნ. შარენკოვი
35	საქართველოს ეკონომიკური განვითარების პრობლემები. (რუს)	ნაბეჭდი	თანამშედროვე რუსეთის ეკონომიკის და სამართლის აქტუალური პრობლემები. კონფერენციის მასალები. გამოშვება, გამოშვ. "ბიზნესის ეროვნული ინსტიტუტი" მოსკოვი, 2004წ.	0,5 წ.თ.	ტყეშელაშვილი
36	შრომის ბაზრის რეგულირების ძირითადი ნიშნები. (რუს)	ნაბეჭდი	დსთ-ს და ბაღდათის ქვეყნების სოციალ. და საპენსიო ფონდების ჟურნალი "სოციალური შაცნე," №3 (17) მოსკოვი, 2004წ.	0,7 წ.თ.	
37	ნარშოების ეფექტიანობის ჩამორჩენის ძირითადი მიზეზები და პრობლემები საქართველოს მრეწველობაში.	ნაბეჭდი	ჟურნალი "ბუღალტრული აღრიცხვა," №2-4, 1999წ.	1,0 წ.თ.	
38	საკუთრებითი ურთიერთობების ტრანსფორმაციის ამოსავალი პრინციპები	ნაბეჭდი	ჟურნ. "სოციალური ეკონომიკა". №4, 2009	0.5 წ. თ.	
39	ეკონომიკის თავისებურებანი სახელმწიფო ქონების მართვისა და პრივატიზების სფეროში.	ნაბეჭდი	ჟურნ. "სოციალური ეკონომიკა". №4, 2009	0.5 წ. თ.	

იბეჭდება ავტორის მიერ წარმოდგენილი სახით

გადაცა წარმოებას 17.07.2009. ხელმოწერილია დასაბეჭდად
29.07.2009. ქალაქის ზომა 60X84 1/16. პირობითი ნაბეჭდი თაბახი
8,5. ტირაჟი 200 ეგზ.

ფასი სახელმეკრულებო.

საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი,
კოსტავას 77



Verba volant,
scripta manent